

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

19 იანვარი 2007

№2 (28)



პოეტების კაზინო  
თამარ მეფის პოლიტიკა  
უიტმენის ლექსის ბადალი  
აზერბაიჯანული ბაიათები  
ინგლისური დეტექტივი  
საბრალო დედიკო

## შინაარსი

<b>რედაქტორის გვირგვინი</b>	2	<b>ხელისუფალნი, აკლდამეპი, მეცნიერები</b>
<b>ჩვენი სსრკ-ის გზაზე</b>	4	<b>დავით წერეთლიანი მცირე ასკიანი ქეთევან ანანიაშვილზე</b>
<b>ენისტოლე</b>	5	<b>გია ჩაფიძე იქნებ უფრო ახლოს გაგვაცნოთ</b>
<b>პროზა</b>	6	<b>სანდრო კაკულია სამი ნოველა</b>
<b>პოეზია</b>	12	<b>თემურ ჩხეტიანი ტანამ-აუტი</b>
	15	<b>ზურა რთველიაშვილი მავრი ქალაქში</b>
<b>უსსრ-ის სსრკ-დან</b>	16	<b>ქეთევან ტომარაძე პოეტის დაბრუნება (ნაზიმ ჰიქმეთი)</b>
<b>ენისტიკა</b>	20	<b>როსტომ ჩხეიძე წმინდანი, ორეული, პოეტების კანონი (ტომას ჩატერტონის სადღეგრძელო)</b>
<b>მომონებათა სივრცე</b>	23	<b>სიმონ წერეთელი მომონება პეტრა მირიანაშვილზე</b>
<b>ფილმები</b>	24	<b>არნოლდ ბენეტი თავგადასავალი ერთი პორტრეტისა</b>
<b>დაუნიწყარი სახელები</b>	29	<b>ნინო ვახანია „ეს ჩემი სული შენვე გამოხსნა“</b>
<b>ქრისტიანობა</b>	31	<b>პაატა ჩხეიძე ორიგინალის ბადალი (უოლტ უიტმენის ერთი ლექსის თამაზ ჩხენკელისეული თარგმანი)</b>
	33	<b>ამირან არაბული ფრთაღება ნისლევის მიგობარი და მისი დღეობა</b>
<b>ფილოლოგია</b>	34	<b>დროის კონტექსტში (მაია ჯალიაშვილს ესაუბრება ირმა რატიანი)</b>
<b>არი და გედინება</b>	38	<b>მანანა გაბაშვილი თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით</b>
<b>რეპორტაჟი</b>	46	<b>უწყვეტობა ჭამისა (ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები ემიგრაციაში 20-30-იან წლებში)</b>
<b>ლიბრის ნუთხა</b>	49	<b>ანდრე მორუა საბრალო დედოქო</b>
<b>პოეზიის მერიდიანები</b>	50	<b>ახარბაიჯანული გაიანები</b>
<b>უსსრ-ის ნოველა</b>	54	<b>ელიზაბეთ ჰაუერი ლტოლვილი</b>
<b>ნაკვეთები</b>	61	<b>მასპილსიტყვარების ნიშნები</b>
<b>მოზაიკა</b>	63	<b>გადი ქალისა</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 95-23-24

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა ტეგი“  
საბეჭდო, თბილისი, სარაიშვილის 17  
ატელფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ავსტრიის კურორტი ტიროლი

დავით წერეთლიანი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 2 თებერვალს

## ხელისუფალნი, აკლდამეზი, მეცნიერები

მწერლის ჩანაფიქრით, არჩილ ალავაძე თითქოს განზე დგას სიუჟეტის განვითარებისაგან და უფრო გარეთა ფონის შესაქმნელად გამოიყენება, როგორც მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, მაგრამ სინამდვილეში სწორედ იგია მოქცეული მოვლენათა გულისგულში, წარმართავს კომპოზიციური ქარგის ყველა საფეხურს და ჩარჩოსაც მისი გამოჩენა და გაქრობა შეკრავს.

გამოჩენა – თბილისის ქალაქკომის მდივანად.

გაქრობა – მოხსნა ამ თანამდებობიდან, რაც მართლაც გაქრობაა ასეთი ადამიანებისათვის, სავარძელს მოწყვეტილი ერთბაშად არარაობის უფსკრულში რომ ინთქმევიან.

სავარძელში მსხდომნი კი თავდაყირა აყენებენ ყველაფერს და მათ ჟინსა და ძალმომრეობას საზღვარი არ გააჩნია.

მხატვრულად განზოგადებულია ეს სახე ოთარ ჩხეიძის რომანში „ბურუსი“, თუმც მას ჰყავდა თავისი პროტოტიპი – თბილისის ქალაქკომის მდივანი ვინმე ბალავაძე, 50-იანი წლების დამდეგს, დედაქალაქის ხელმძღვანელად დანიშნულებისთანავე უღმობლად რომ დაუპირისპირდა ყველაფერს, რაც ვერ თავსდებოდა მარქსიზმისა და მატერიალისტური მოძღვრების პროკრუსტეს სარეცელზე. კიდევ უფრო დანიშნულება მოენდომებინა, ყოველგვარ დრომოჭმულთან, იდეალისტურთან, ანტისახელმწიფოებრივ მოვლენებთან თავდადებული მებრძოლის სახელის მოხვეჭა ენება და... მეცნიერებათა აკადემიას დააცხრებოდა, მის ინსტიტუტებს შეუტევედა და მწარედაც დაამახსოვრებდა თავს, ვიდრე თვითონაც არ გადაჰყვებოდა თავის პოლიტიკურ კურსს.

სწრაფად ნაენყობოდა ერთმანეთს მოვლენები.

საბჭოთა ქვეყნის ზოგადი პოლიტიკური ყოფა კიდევ ერთხელ განიცდიდა ამ ხანაში მკვეთრ ცვლილებებსა და მოულოდნელობებს და ისტორიის ჩარხის ტრიალი მალე შეინირავდა ამ ჩვენს მოყმე-ვინმე-რამ-ბალავაძესაც (გურამ დოჩანაშვილის სიტყვათათამაშს რომ დავესესხოთ).

ჯერ კი ამ სხარტი და ტევადი დახასიათებით უნდა გამოჩნდეს თხრობისას მისი მხატვრული ორეული: რამდენსაც სხვა წლობით იზრდებოდა, იმდენს ის – საათობითაო.

რომანის სატირული მანერისათვის შესაფერისი ფრაზაა, არჩილ ალავაძის წამოყვლელებას იმთავითვე რომ განსაზღვრავს, ვიდრე მალაროების ქალაქში იხვეჭს წარმატებებს და, დაისაჭიროვებენ თუ არა დედაქალაქისათვის მეტად მჭქეფარე, მგზნებარე, მღელვარე და რიხიან ახალგაზრდას, დიდი ძებნა აღარც მოუნდებათ.

და ჩაეკვრება რომანის სიუჟეტს რეალური ეპიზოდები, მათგან ერთი სულაც კომპოზიციურ ქარგას რომ განსაზღვრავდა – ფსიქოლოგთა თავგანწირული ბრძოლა თავიანთი ინსტიტუტისა და დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის გადასარჩენად.

არჩილ ალავაძის მოვლინებას გამოუწვევია ეს მძაფრი წინააღმდეგობა, იმის ჯიქურ შემოტევას – მტკიცე თავდაცვა, არადა, არ მოელის ქალაქკომის ახალი მდივანი რაიმე რეალურ შეწინააღმდეგებას და დარწმუნებულია, ყველა დაბრკოლებას პირწმინდად მოშლის მილიციის, ჯარისა და უშიშროების კომიტეტის ტახტრევანზე ამალმებული.

იმას ყოველგვარი ძალა უპყრია ხელთ.

მეცნიერებს – მარტოდენ სიმართლეს.

ეს სიმართლეა, მეტად მყიფე და უმწეო რომ ჰგონია ალავაძესა თუ ბალავაძეს და ამიტომაცაა:

„... ფიცხლად დატრიალდა,

პირველყოვლისა ქალაქის მთავარ ბანაკს ეკვეთა დიდი სარდალივითა, ქალაქის გულს – მეცნიერებათა აკადემიას, გულშიც გული, გულის გული ამოიმიზნა – ფილოსოფიის ინსტიტუტს ეძგერა და ორი თვის – ჯერ მხოლოდ ორ თვეს ითვლიდა ამის მოღვაწეობა – განმავლობაში მოასწრო დაერბია არა მხოლოდ ფილოსოფიისა, არამედ ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიცა. ახლა ხმა გავარდა, ღრუბლები თავს იყრის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ირგვლივად, ვარაუდობდნენ, თუ როგორი იქნებოდა ღრუბელთა შემდგომი მოძრაობანი, ღმერთმა თუ დააცალაო...“

ალავაძე ისეთ კაცად გაჩენილა, ვინც სასწაულებრივი აღმოჩენები უნდა მოახდინოს ყოველ დარგში და ამის იმედადაა, ყველას ასე ენერგიულად რომ უტევეს.

აგერ ფილოსოფიის ინსტიტუტში კი მიუგნია ადამიანებისათვის, რომელთა მრწამსიცაა ჯერ კიდევ არ გასცი-



მხატვარი კარლო ფაჩულია



ლებია ქრისტიანულ-ფეოდალურ იდეოლოგიას, რადგანაც ბევრი მათგანი თურმე გართულია ტაძრებისა და ციხე-კოშკების შესწავლით.

რაო, რის დამტკიცებას ლამობენ?

უამრავი ქართული ტაძრებიდან და ციხე-კოშკებიდან თვითუფლები რომ დამოუკიდებელი, თავისებური, განუყოფელი ძეგლია, უიშვიათესი ხელქმნილებაა, კლასიკური ოსტატობის ნიმუშია?

მაგრამ... ახალ მბრძანებელს ყველგან და ყველაფერში მხოლოდ იდეოლოგიური მხარე აინტერესებს.

იდეოლოგიურად ტაძრები და ციხე-კოშკები ფეოდალიზმი გახლდათ, მათი დაწვრილებითი აღწერილობა და შესწავლა კი ფორმალიზმია, სხვა რა. ლოგიკურად ასე გამოდის და ეს ლოგიკაა, რომელიც ადასტურებს ფეოდალიზმის იდეოლოგიებისა და ფორმალისტთა არსებობას ხელოვნების ინსტიტუტში.

და არჩილ ალავაძეს, ამ აღმოჩენით აღშფოთებულს, ერთი სიტყვით რომ სურს მთელი თავისი გულისწყრომისა და მრისხანების გამოხატვა, სულზე მოუსწრებს ტერმინი „ველფლინიზმი“, რომლითაც ძალიან მოიხიბლება და ხელოვნების ინსტიტუტს რომ „ველფლინიზმი“ მოიხსენიებს, მერე და მერეც ამ სახელს უწოდებს ყველაფერს უვარგისს, უმსგავსსა და გადასაგდებს.

– „ველფლინიზმი“, მამ რაა?! – მრისხანებს ალავაძე, – ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ყოველ ტომს კონტრ-ტიტულზე აწერია – არს გეორგიკა – მამ რა არის, „ველფლინიზმი“ არ არის?!

და ყელმოღერებული რომ ჩამოდის ტრიბუნიდან, მე-რე უკვე:

„... სხვადასხვა ჯურის ფეხისხმის ამყოლები, სხვადასხვა ჯურის კრიტიკოსები, – ამასთან შეუმცდარნი, რადგან არა სცდება, ვინც არაფერს აკეთებსო, – რომელთაც ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებზე მეტი არასოდეს არაფერი დაუწერიათ, არჩილ ალავაძის სიტყვებით შთაგონებულნი ერთ ან ორციდა ფელეტონებით მინასთან ასწორებდნენ დიდრონ ტომებსა, ათეულ წელთა ნანვაგ-ნადაგსა, ვეებერთელა გამოკვლევებსა“.

აი, რა ხდებოდა, რა დიდი მოძრაობა იყოო, – სარკასტული ფრაზაც გაიღვებს ქალაქკომის მდივნის ფართი-ფურთის შეფასებისას.

და ხოტბა-დიდებას რომ ასხამენ მეგუნდრუკენი განსაკუთრებული სასოებით, იგი ყოველთვის დიდი თავმდაბლობით აცხადებს, რომ კვლავაც თავდადებით ემსახურება ხალხის ბედნიერებას, ხალხს შესწირავს მთელს თავის ნიჭიერებას, ცოდნას, გამოცდილებას... და მხოლოდ გაბრწყინებულ სახეებს ხედავს, იმის იქით, იმის მიღმა ვერაფერს წვდება, ვერ ამჩნევს, ალბათ არც ესმის და ამიტო-

მაც გამოორჩება ერთ-ერთი მეცნიერის საკმაოდ ხმამაღლა წამოცდენილი სიტყვები: ვაი, ვაი ჩვენი ბრალიც!

ღრუბლები თავს იყრიდნენ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ირგვლივო...

არჩილ ალავაძეს ამჯერად თავისი ფალავანი გამოუშვია ასპარეზზე უზნაძის თეორიისა და ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შესამუსრად – ლევან ქურდოვანიძე, ვისაც მყისვე განულაგებია წიგნები სტრატეგიულ-ტაქტიკური პრინციპების მიხედვით, გარს შემოურტყამს ფიზიოლოგთა და ფილოსოფოსთა ნაშრომები და დიდი სარდალივით ჰკვეთებია „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტულ საფუძვლებს“, ჰკვეთებია და აღმოუჩენია, რომ მისი ავტორი არაფერად აგდებდა ფიზიოლოგიის პრინციპებს, აბუჩად იგდებდა დიდ ფიზიოლოგთა მოძღვრებას, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებდა ფსიქიკურს, და ამ ფსიქიკურს რომ წყვეტდა მატერიალისტურისაგან, მიდიოდა აშკარა იდეალიზმამდე ან ცდილობდა შეექმნა რალაც ახალი მოძღვრება, განსხვავებული როგორც იდეალისტური, ისე მატერიალისტური ფსიქოლოგიისაგან.

ალავაძე დიდად კმაყოფილი დარჩება თავისი ფალავნის წინასწარი მონახაზით და იმ ახალი ტერმინითაც, რითაც შეიძლება გამოითქვას გულისწყრომა და მრისხანება აკადემიკოს უზნაძის თეორიისა და მის მიმდევართა მიმართ: ჰოლიზმი (ველფლინიზმის განმამტკიცებლად!).

კმაყოფილი დარჩება და აღარც გადადებს დისკუსიას განწყობის თეორიის ანუ ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მთელი მუშაობის შესახებ და იქვე შეიტანს პირველი კვარტლის გეგმაში.

ამ უწყინარი სახელის – დისკუსია – ქვეშ უნდა დასამარდეს მოძღვრებაც და ინსტიტუტიც.

და ისევ მწვავე ირონია:

„ასე გადაწყდა დიდად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი საქმე. და მერე ორი თავდადებული ადამიანი სინანულს გამოთქვამდა, წუხდა, რო აქამდე უყურადღებოდ იყო მიტოვებული ფსიქოლოგია, ოღონდ ოდნავ მაინც იმ-შვიდებდნენ თავსა, – ჩვენ ჰო მივხედეთ, ახლა ჰო მივხედეთ, ამიერიდან ჰო ეშველებო. და ამოისუნთქეს. იმუშავეს. დაილაღნენ. დაიქანცნენ. ამოისუნთქეს“.

დისკუსია უნდა გამოიწვიოს ლევან ქურდოვანიძის მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულმა სტატიამ „ერთი იდეალისტური კონცეფციის შესახებ ფსიქოლოგიაში“, და ჯერ მარტო ეს განსაზღვრება – იდეალისტური – უკვე გულისხმობს ამ თეორიის გამოცხადებას საბჭოთა იდეოლოგიისათვის მტრულ მოვლენად, მაგრამ, ცხადია, ნითელი მეცნიერი მეტი სიმტკიცისათვის საგანგებოდ აღნიშნავს: განწყობის ფსიქოლოგია უპირისპირდება მარქსისტულ-ლენინურ ასახვის თეორიას, უპირისპირდება მარქსისტულ მატერიალიზმს,

აღმოსავლურ კაფეში „ქარავანი“

კვირას, 28 იანვარს  
გაიმართება  
**ინგლისურენოვანი პოეზიის**  
სალამო  
დასაწყისი 14 საათზე

ოთხშაბათს, 31 იანვარს  
**ბესო ხვედელიძის**  
შემოქმედებითი სალამო  
დასაწყისი 18 საათზე  
ფურცელაძის 10

ექებს რაღაც ახალს, შუაღედს მატერიალიზმისა და იდეალიზმისაო...

გამოიწვიოს და... ლამის კიდეც აღსრულდეს საბედისწერო განზრახვა.

მაგრამ ფსიქოლოგები არ დათმობენ არაფრისდიდებით და მათი ჰეროიკული შემართება სულიერ ფასეულობათა დასაცავად რეალობიდან რომანის ფურცლებზეც გადაინაცვლებს და მხატვრული ექსპრესიითაც შემორჩება საზოგადოებრივ ცნობიერებასა და სამწერლო ცხოვრებას.

„ბურუსი“ კვალზევე მიჰყვებოდა ფსიქოლოგთა გამარჯვებით დასრულებულ დისკუსიას და ხელისუფლების გულისწყრომა ახლა აქეთ, რომანის ავტორისაკენ გადმოინაცვლებდა. დევნაში ახლა ოთარ ჩხეიძე მოჰყვებოდა.

გადარჩენილიყო ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

ალარც დიმიტრი უზნაძის თეორიას ელოდა დასამარება.

მაგრამ პოლიტიკურ ორომტრიალს უნებურად რომ არ ეშველა ფსიქოლოგებისათვის და დისკუსია მათი განადგურებით დასრულებულიყო?

მთავარია, რომ მზად იყვნენ ვალი მოეხადათ მეცნიერებისა და ქვეყნის წინაშე, პირნათელნი წარდგომოდნენ წინაპართაც და შთამომავალთაც და, თუ სხვა გზა აღარ დარჩებოდათ, ნანგრევებში ჩაყოლოდნენ თავიანთ მრწამსს განწირულის სულისკვეთებით.

ჰეროიკაც სწორედ ეს არის, და გამარჯვებითაც რომ დაგვირგვინდა, ამას რაღა სჯობდა.

პოლიტიკურ ნანგრევებში სხვა ჩავარდებოდა.

ჩვენი მოყმე-ვინმე-რამ.

სათითაოდ მოეკითხება პასუხი გადამეტებულად მკაცრი ადმინისტრირების მეთოდისათვის ანუ იმ რბევით, ალბევების სანინდრად რომ ესახებოდა, და გვაძებზე ასაფეხურების ნაცვლად სულაც გაისტუმრებდნენ სავარძლიდან. უარესსაც მოელოდა პლენუმზე და ნერვები რომ უმტყუნებს:

„... სახეც მოერღვა, მოეშალა, თითქოს აღარც შერჩა აღარცერთი ნაკვთი სახეზედა, ჩაიმტვრა მეხდაცემულივითა, დაემხო პირქვე, დორბლი და დუჟი შემოედო პირისახის ირგვლივა... ბნედა სჭირებოდა“.

ასე უსახელოდ და მწარედ დაასრულებდა კარიერას ბალავაძე, თუმც სხვა მისებრთაგან განსხვავებით მაინც ბედი ჰქონია – რომანის ფურცლებზე დაუვანებია და აღარც არასოდეს ამოიშლება ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, მართალია სატირული რომანისა, მაგრამ ასეთ ხვედრს უნდა შეეგუოს... მასაც ხომ ჰქონდა ერთი დრო – სარდალივით რომ მისტანებოდა მეცნიერებათა აკადემიას, და ვერაფრისდიდებით ვერ აეხსნა, რატომ კითხულობდნენ ფილოსოფოსები ჰეგელისა თუ კანტის თხზულებებს, რატომ იკვლევდნენ ხელოვნების ისტორიკოსები ტაძრებსა და ციხე-კოშკებს და რატომ აჩემებინათ ფსიქოლოგებს განწყობის თეორია, სრულიად აცდენილი მარქსისტულ მატერიალიზმს.

... და ბრუნავს დრო-ჟამი, ბრუნავს და ბრუნავს...

დავით წერეთლიანი

# მცირე ესკიზი ქეთევან ანანიაშვილზე

როცა სიყმაწვილის წლებს ვიხსენებ, ახლა უკვე გამოკვეთილად მოჩანს, რომ ცხოვრებაში ერთადერთი მასწავლებელი მყოლია, მოძღვარი, ამ სიტყვის ძველი, საერო გაგებით – ქეთევან ანანიაშვილი. პირველად მის ხელში – პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის შემოქმედებით წრეში – მეხუთეკლასელი ბავშვი მოვხვდი და ალბათ მთლად გაუგებარიც არ არის, რომ ახლაც მიჩნდება ხოლმე შეგრძნება, რომ ისევ ისე მისი მოსწავლე ვარ.

არადა, რას გვასწავლიდა? თითქოს არც არაფერს. მაგრამ ეს შთაბეჭდილება სრულიად ყალბი იყო, უბრალოდ თავში არავინ არაფერს გვატენიდა, გამგებს უნდა გაეგო. ცნობიერად მხოლოდ გვიან მივხვდით, რომ ჩვენთვის უცნობ, თავისუფალ სამყაროში მოვხვდით, რომელიც იმ დროს მცირე ოაზისებად თუ არსებობდა და ბედმა ერთ-ერთ უკეთეს ოაზისში ყოფნის ბედნიერება გვიბოძა.

სხვათა გავლენებით ვწერდით. აღნიშნავდა, მაგრამ არ გვსაყვედურობდა. ეტყობა, მიაჩნდა, რომ რაღაც ასაკამდე გავლენებით წერა საუკეთესო სკოლა იყო. მერე და მერე ამ მხრივ უფრო გაგვიმკაცრდა.

ყური კარგად უნდა მიგეგდო. არ დაუჯერებდი და ესეც არაფერი. გასაგებია, ნიშნებს არ გვინერდა.

– არა, ასე არა, „სევდა“ – „მისევდა“. დღეს თავმოყვარე პოეტები ასეთ რითმას აღარ ხმარობენ. ამ საზომში ორმარცვლიანი სიტყვა ორმარცვლიანსვე ერთიმება. თვალი თუ შეავლეს, ნაუკითხავად დაასკვნიან, რომ ლექსის წერა არ იცი. შეიძლება, მხოლოდ ახირება იყოს. ისეთი სმენის პოეტები, როგორც ბესიკი და გალაკტიონია, ამას არ გაუზრბიან, რაც, ჩემთვის პირადად, საკმარისზე მეტი საბუთია. მაგრამ, რაკი გემოვნებაში გაჯდა, ჯობია, დავემორჩილოთ.

– არა, ასე არა, ძალიან აწენილი სტროფია. თუ წერის დროს სათქმელი უკვე მორგებული არა გაქვს, ჯობია, სტროფის აგება ბოლოდან დაიწყო.

თან, როგორც ირწმუნებოდა, თავის სიცოცხლეში ლექსი არ დაწერა.

ერთხელ ქართული პოეზიის რუსულენოვანი ანთოლოგია გამოგვიტანა, რამდენიმე საუკეთესო ნიმუში წავიკითხა, მათ შორის, საყოველთაოდ აღიარებული „Цвет небесный“. რა თქმა უნდა, თვითონაც ძალიან მოსწონდა, მაგრამ დასაწყისით მთლად კმაყოფილიც არ იყო.

– ჯერ ერთი, „С малых лет“ ძალიან უსიამოვნოდ ჩამესმის, მაგრამ, რაც მთავარია, მთელი დასაწყისი ამ-

კარა თხრობაა. „Цвет небесный, синий цвет, Полюбил я с малых лет. В детстве он мне означал Синеву иных начал“. გეგონება, რაღაცა ამბავი უნდა გვიამბონ. ქართულადაც თითქოს იგივეა – „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს და არ ამქვეყნიურს სიყრმიტგან ვეტრფოდ“. მაგრამ, დააკვირდით, რა ჰაეროვნად მსუბუქია, შიგ თხრობის ნატამალიც არ არის.

ლექსი კი არასოდეს დაენერა! ამგვარი, ერთი შეხედვით, წვრილმანი რჩევა-დაკვირვებები დიდხნობით მყოფნიდა საფიქრალად. „ისმინე, სწავლის მძებნელო“...

და, მაინც, უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ, რაღაც შეუცნობელი გზებით, იხვეწებოდა გემოვნება, მაღლდებოდა სიტყვიერი კულტურა. თემებს არასოდეს გეთავაზობდა, ეს ჩვენი პრეროგატივა იყო. ოღონდ ხანდახან – მოგეხსენებათ იმდროინდელი პოლიტიკური კლიმატი! – რაღაც ოფიციალური ლექსი დასჭირდებოდა და ამ საქმეს უმეტესად ან განსვენებული ნელი გაბრიჩიძე ეწირებოდა, კარგი და ჯეროვნად დაუფასებელი პოეტი.

ძუნწი ქება, ძირითადად კი კოპების შეკვრა გამახსენდება. თან როგორ უხდებოდა! ლიმილზე არანაკლებად! გვიან გამიმჟღავნა, რომ თურმე განსაკუთრებულად ვეიძებოდი. როცა თარგმანების გამოქვეყნება დავიწყე,



ქეთევან ანანიაშვილი

შემიქებდა ხოლმე, მაგრამ დიდი ენთუზიაზმით არ ეკიდებოდა. „იხარჯები, საყვარელო, ზედმეტად იხარჯები“.

მე კი, არცთუ მთლად გულწრფელად – ასეთი რამ სხვებისგანაც არაერთხელ მომესმინა – მკაცრი ცენზურის მარწუხებს ვიმიზეზებდი.

– სისულელეა, სრული სისულელე! წარმოიდგინე, არავის არაფერი ებეჭდა! რაო, უკეთესი იქნებოდა, ქართული მხატვრული სიტყვა საერთოდ გამქრალიყო?

მისგან სხვა უამრავი ამაგიც მახსოვს, როცა შეგირდული ურთიერთობა მრავალწლოვან სიახლოვეში გადაიზარდა. ამ ურთიერთობამ მისი კიდევ სხვა, ახალი, ჩემთვის რამდენადმე მო-

ულოდნელი სახე დამანახა, თბილი და ალერსიანი. დამანახა მისი უაღრესი ემოციურობა. თან ოღონდ ძლიერი პიროვნება იყო, ყოველგვარი ემოციის ნებისამებრ გაკონტროლება შეეძლო.

უეცრად, ყოველგვარი გარესაბაბის გარეშე, მომინდა მისი გახსენება, მომინდა, ერთი ჭეშმარიტად ურჩეულესი მოღვაწის მიმართ ბოლომდე ვერნათქვამი სიყვარული გამომეხატა.

ასეთი უეცარი ფრაგმენტები, ვგრძნობ, კიდევ დამიგროვდება და მათი გაერთიანებისას შევეცდები, სახეცა და სიტუაციებიც უფრო ნათლად აღვბეჭდო.

დღეს ამით დავამთავრებ.

ეპისტოლე

იქნებ უფრო ახლოს გაგვაცნოთ

გამოცემის დღიდან ვკითხულობ ჟურნალს „ჩვენი მწერლობა“ და ქართული ლიტერატურის გულისცემას დადარაჯებული ყოველ მეორე პარასკევს მოუთმენლად ველოდები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ჟურნალი ქართული (და არამხოლოდ ქართული) მწერლობის მოყვარულთათვის ჭეშმარიტი ოაზისია თავისი გამორჩეული ხიბლით, თავისი მრავალფეროვანი პუბლიკაციებით პოეზიაში, პროზაში, ესეისტიკაში... გამორჩეულია ქართულად თარგმნილი უცხოური ნოველები და დეტექტივები.

ცალკე აღსანიშნავია, რომ ჟურნალი დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდობას. ამ მხრივ განსაკუთრებით საგულისხმო იყო თათია ჯგუშიას წერილი „ნოე და მისი კიდობანი“, რომელიც „ჩვენი მწერლობის“ ბოლოსწინა ნომერში გამოქვეყნდა.

თითოეული ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ ზუგდიდში, ქალაქში, რომელიც მავანთა მიერ პროვინციად მოიხსენება და რომელმაც წლების წინათ ტრაგედიები გადაიტანა, არსებობს კულტურული კერა,

ლიტერატურული კლუბი „ნოე“, რომელიც ცდილობს ნიჭისა და ფასეულობების დაცვას და უფრო მეტად წარმოჩენას. ტარდება თეატრალიზებული პერფორმანსები, კითხულობენ ლექსებს, ესკიზებს, მინიატურებს.

... სტატიის ავტორს ციტატებად აქვს მოხმობილი კლუბის ცალკეულ მონაწილეთა (ზვიად კვარაცხელია, გიორგი ხასაია, თათია ქობალია, გიორგი ქობალია, ანა ლოლუა) ნაწერები, რაც თვალნათლივს ხდის მათ ნიჭიერებას და სურვილს ბადებს, უფრო ახლოს გავეცნოთ მათ შემოქმედებას.

კარგი იქნება, თუ ნიჭიერი ახალგაზრდობისადმი მხარდაჭერით ცნობილი თქვენი რედაქცია გამოიჩენს დაინტერესებას მათი თხზულებებით და გამოიტანს სამზუოზე. ასევე საინტერესო იქნებოდა დიალოგი (რაც ასერიგად ამშვენებს „ჩვენი მწერლობის“ ყველა ნომერს) კლუბის წევრებთან, რომლებიც ისაუბრებენ „ნოეს“ ისტორიაზე, მიზნებზე... დაგვიხატავენ, თუ როგორია დღეს სამეგრელოს შუაგულში, საქართველოსა და თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საზღვართან ლიტერატურული ცხოვრება.

დიდ მადლობას გიხდით ახალგაზრდობის ნიჭის პოპულარიზაციისათვის და ბევრ მკითხველსა და წარმატებებს გისურვებთ.

გია ჩაფიძე



დაიბადა 1985 წლის 24 თებერვალს. 2001 წელს დაამთავრა ამერიკული კოლეჯი და იმავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 2006 წელს დაასრულა. 2002 წლიდან დღემდე ჰქონდა რამდენიმე შემოქმედებითი საღამო: 2002 – გოეთეს ინსტიტუტი (თბილისი); 2003 – ლიტერატურული კაფე (თბილისი); 2005 – თეატრალური სარდაფი (თბილისი); 2006 – მწერალთა კავშირი (ბათუმი).

2004 წლის თებერვალში „თეატრალურ სარდაფში“ (რუსთაველზე) გაიმართა მისი პიესის „ფანჯარა“ (რეჟისორი ლელა ჭინჭარაული) პრემიერა. 2004 წლის დეკემბერში სანდრო კაკულიას ინსცენირებით შედგა მარიოს ფონ მაინბურგუის პიესის „ცივი ბავშვის“ პრემიერა (რეჟისორი გ. ბრეგაძე, თეატრალური სარდაფი). 2005 წელს შექმნა მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ინსცენირება. რომელიც რუსთავეის სახელობის თეატრში ლევან წულაძემ დადგა. 2006 წლის ნოემბერში რუსთაველის თეატრში, დრამატურგიის კვირეულზე (კითხვის სახით) შედგა მისი ახალი პიესის „დაბურული მინის ზღვარზე“ პრემიერა, რომელიც უახლოეს მომავალში, თეატრის მცირე სცენაზე დაიდგმება. არის კინოსტუსია „სანგაკოს“ სცენარისტი. მუშაობს ჟურნალში „ცხელი შოკოლადი“.

სანდრო კაკულია

# სამი ნოველა

## ბელადური სახლები

ძველ ე.წ „სტალინურ“ სახლში მეხუთე სართულზე ვცხოვრობ. ჩემ პირდაპირაც ასეთი სახლი დგას, მის გვერდითაც და საერთოდ ამ ქუჩაზე ბევრი სახლი ასეთია- „სტალინური“.

ვილაცას ბერლინს ახსენებს, აღმოსავლეთ ბერლინს. ფართე „შტრასეებით“ და ერთმანეთის მოპირდაპირე „ბელადური“ სახლებით.

მე კი იმის გამო, რომ ბერლინი არასდროს მინახავს ეს ქუჩა, მისი სახლები და ხედები არანაირ განსხვავებულ არც მიმსგავსებულ გრძობას ინვეეს, გარდა იმისა, რომ მთელი ცხოვრება, დაბადებიდან, ფეხის ადგმიდან აქ მაქვს გატარებული. რაც კი დაბადების დღე მქონია, ყველა აქ მქონია და რაც კი უბედურება მომხდარა, ყველა აქ გადამიტანია...

მისაღები ოთახი სახელმწიფოს რომ ჰკითხო, 40 კვ მეტრია, თუმცა მე მგონი, ცოტათი მეტია და ეს შეკვეცილი ფართი მამაჩემის ნაჩათლახარია არეულობის პერიოდში. ახლა ასეთ რამეს ნაჩათლახარს უძახიან, შეიძლება უწინაც ასე იყო. მაგრამ...

დიდი ფანჯრები ბებიჩემის თხოვნა კიარა ლამის მოთხოვნა ყოფილა. ომის დროს კრასნოდარის ფრონტზე ექიმად მუშაობდა თუ იბრძოდა... ალბათ უფრო იბრძოდა.

აქედან რომ ნავიდა, მამაჩემი ოთხი წლისა ყოფილა. ბაბუაჩემი უკვე იქ იყო, ბებიჩემიც დიდი სიხარულით ჩანერილა მოხალისეთა რიგებში- უყვარდა ქმარი!

45-ის აგვისტოში დაბრუნდა ბაბუა. მამაჩემი ყვებოდა: ექვსი წლის ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს კარზე კაკუნი და ვილაც, სიმპათიური, ლამაზ და ძვირფას პლაშსა და ცილინდრში გამოწყობილი მამაკაცი, დეიდანჩემის გაცხოველებული კვილი: ნახე, ნახე მამაშენი

დაბრუნდა! დაბრუნდა, დაბრუნდა... ისე მაჯანჯლარეს, რომ ლამის გული ამერია! ყვებოდა მამაჩემი. ვერაფრით მივხვდი, სად იყო მამა, დიდხანს არ ვიჯერებდი, როცა იქაურ ამბებს ყვებოდა... იქედან ასეთები არ ბრუნდებიან!

თურმე ეს ბაბუაჩემი ჯერ ავსტრიის, შემდეგ კი ჩეხეთის გათავისუფლებაში იღებდა მონაწილეობას. ომის დამთავრების შემდგომაც იქ დარჩენილა, ვენასა და პრალას საკუთარი ქალაქივით იცნობდა, ასეთი ჩაცმულიც იქედან დაბრუნდა.

ბებია კი... ბებია კი კრასნოდარის მხარეში დაჭრილა. ცუდად უმკურნალეს, ინფექცია მთელს სხეულს მოედო და ორი კვირის თავზე სამხედრო ჰოსპიტალში ისე გარდაიცვალა, რომ ქმარი არცერთხელ უნახავს.

ჩემმა ოჯახმა კი დიდი ხნის განმავლობაში არაფერი იცოდა.

მახსოვს, როგორ დავყავდი ბაბუას უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. ბების ყოველ დაბადების დღეზე ყვავილებით ადიოდა, წუთიერი დუმილის შემდეგ მეტყოდა: ეს ბებიაშენის საპატივცემულოდ ააგეს, და ჩვენც მისი სულის უკვდავსაყოფად პატივი უნდა მივავოთო.

მე იმ ხანად ვერ გამეგო, რატომ დაუდგეს გარდაცვლილ ბებიას სამხედრო ფორმაში გამოწყობილი მამაკაცის ძეგლი?... ვერც ის გამეგო, ბებიას რომელიც ყოველთვის, ლამაზ, თბილ სახლში, სავარძელში ხალათ-მოცმული, საკერავ ან საქსოვ დაზგასთან, ტკბილი ხმით მოლილინე ქალად წარმომედგინა, რატომ უწოდებდნენ ჯარისკაცს, თანაც უცნობს?!

თუმცა მალე ყველაფერი გაირკვა...

როცა ახალგაზრდა პაციფისტი მომღერალი გოგონების ანსამბლი „ მზიური“ ფილმის გადასაღებად, კრუიზში წავიდა, სამშობლოში დაბრუნებისას გზად კრასნოდარშიც გამოუვლიათ, იქ დაღუპული ქართველი მეზობლების მემორიალზე ქართული მინის დასაყრელად ...მოკლედ, იქედან დაბრუნებულები ყვებოდნენ ერთადერთი დაღუპული ქალის შესახებ. ის ქალი ბებიჩემი აღმოჩნდა.

ამ დროს ბაბუა უკვე კარგა მოხუცებული იყო, თანაც ომის შემდეგ ათასმა წყალმა ჩაიარა და ამის გაგება დიდად არ ეპიტნავა:

– ახლა რა, იქ უნდა ვიარო? არა, არა! ხელები გაასავსავა და გადაწყვიტა, რომ უკვე ტრადიციად თუ ჩვევად ქცეულ ადგილას- ისევ აქ უცნობი ჯარისკაცის საფლავზე ეარა. ასე უფრო მოსახერხებელი იყო...

მამაჩემის მონაყოლს თუ დავუჯერებთ ფეხი მხოლოდ მაშინ ავიდგი, როცა ხუთი წლისა ვიყავი. დამიგვიანდა სიარული... მიზეზი კი ძალიან მარტივი რამ იყო – არავის უსწავლებია, არც მცდელობა ჰქონიათ. მამიდაჩემი ბაბუაჩემთან ერთად თვლიდა, რომ ყველაფერი თავისით მოხდებოდა და რომ ფოფხვიდან ფეხის ადგმამდე ერთი ნაბიჯი იყო. მამაჩემს კი მათი საკუთარი თავივით სჯეროდა და იმის გამო, რომ თვითონაც ასე თვლიდა, ლამის სასკოლო ასაკამდე იატაკზე მაფოფხილეს.

პირველი ნაბიჯები კარგად მახსოვს:

მე და ჩემი მეზობელი სამი წლის ბავშვი ჩემს სახლში, ჩემს ოთახში ჩემივე სათამაშოებით ვთამაშობდით.

ოჯახის წევრები მასწავლიდნენ: სხვას არ წაართვა, თუ შენით რამეს იზოვნი კარგია, ე.ი ძალა გგქონია, მაგრამ მთავარია საკუთარი შეინარჩუნო... იმ ხანად მთელი ჩემი ქონება მხოლოდ ჩემი სათამაშოები იყო, მხოლოდ მათზე ვრცელდებოდა ჩემი პირდაპირი საკუთრების უფლება. მოკლედ მაშინ ამ დარიგებას ასე იოლად ვუყურებდი, ხოდა ასეთი პრინციპით მცხოვრებს ახლა ეს ძუნძგლიანი მეზობლის ბავშვი, რომელიც ასაკის მიუხედავად ზრდასრულივით დააბიჯებდა ბებერ მინაზე, სათამაშოს მპარავდა:

- ნავედი ექლა მე...
- სად?
- სახში.
- ლატომ?
- საქმე მაქ.
- მოქვალ?
- ალა...

მე მუხლებზე დაჩოქილი, ის ჩემს ზემოთ-ფეხზე. რომ გატრიალდა, იდაყვქვეშ ამოჩრილი ჩემი წითელი მანქანის ბორბალი შევნიშნე. რა უნდა მექნა? ფოფხვით ვერ დავენეოდი. ის უკვე ოთახიდან გადიოდა, როცა წამოვდექი:

- მოიცა! – გაჩერდა.
- ლა იკო?
- მომეცი მანქანა.

– ნავედი ექლა მე... არაფრად ჩამაგდო. იცოდა, რომ ვერ გავეკიდებოდი, სიმწარე რომელიც მაშინ ვიგრძენი, ახლაც მახსოვს. თავი გავწირე და იძულებითი ნაბიჯებით წინ ნავედი.

მეზობელი შოკში იყო:

– ლატომ დადიხალ? სათამაშო ხელიდან გაუვარდა. გაცოცხლებულ მიცვალებულს ვგავდი ანდა ინვალიდს, რომელიც ეტლიდან წამოდგა და გაიარა: ალილია!

მოკლედ ეს იყო ჩემი პირველი „ნილ არმსტრონგული“ ნაბიჯები ბებერ მინაზე.

მე კი ავდექი, მაგრამ ორი წლის შემდეგ ბაბუა გარდაიცვალა და მისი დარდი მამიდამ ისე ახლოს მიიტანა გულთან, რომ საკუთარ ოთახში გამოიკეტა და ღმერთი იწამა.

მალე საწოლის თავზე პირველი ხატებიც გამოჩნდნენ...

ეკლესიაში თავიდან ჩუმად, შემდეგ კი დაუფარავად დაიწყო სიარული.

მამა რძის კომბინატის დირექტორობიდან დის ღვთისმოსაობის გამო გაათავისუფლეს, პარტიიდანაც გარიცხეს და ისევ ღვთის ანაბარა დატოვეს:

- შენი ბრალია! – გაცხარებით უყვიროდა მამიდას.
- რა არის ჩემი ბრალი?
- შენს გამოა, ახლა ასე რომ ვარ! შენი და შენი ღმერთის!
- ჩვენი ღმერთის.
- ჩემი არ არის! შენია და შენ გყავდეს, მე თავი გამანებეთ, მომავალს მინგრევთ!

მამიდა ბოდბეში წავიდა. მამა კი ისევ ღვთის ანაბარა იყო.

პენსია დაუნიშნეს. პენსიით ვცხოვრობდით, სანამ ინსტიტუტს დავამთავრებდი, მერე კი სპეციალობით გამანაწილეს და კვების პროდუქტების ექსპერტად ერთ-ერთ ქარხანაში მიმავლინეს.

მამა კმაყოფილი ჩანდა. უკვე მოხუცებული იყო, სამოცდაათამდე... ბევრი ფული არ მქონია, მაგრამ მე და მამას გვყოფნიდა თუმცა, ახლა რომ ვუფიქრდები, მაშინ ყველას ყველაფერი ჰყოფნიდა.

საყოველთოდ დაკმაყოფილებული საზოგადოების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი...

სამოცდაათწლიანი სამოთხე დედამინაზე...

სტალინური სახლები!

მამას ავადმყოფობამ დასძლია. მის მოხუცებული სხეულს სარეველასავით მოედო, მკვდარი უჯრედები, ფესვებგადგმულნი ნელ-ნელა ხრავდნენ მის ბებერ ძვლებს...

თავთან დამისვა:

- მელაპარაკე.
- რაზე?
- კარგზე.
- ვმარხულობ! – წუთიერი იყო სიჩუმე, რომელიც საუკუნოდ მეჩვენა.
- რისი გნამს?

მოხუცის ხმა ჰქონდა, ნამდვილი მოხუცის, ტკბილი და მორიდებული.

– მამა გეშინია?

- სიკვდილი არაფერია, ვერ მომერევა.
- მე მაგაზე არ გეკითხები.
- აბა?
- სულზე...
- რა ვიცი? სად არის სული?



– შენში.  
 – მამიდაშენს გავხარ.  
 – უნდა გაზიარო.  
 – შენ ვერ მაზიარებ, მე ჩემსას უკვე ვეზიარე, ჩემი ცოდვების გამო უკვე კარგა მაგრად ვაზღვიე.  
 – არ მოგინანიებია!  
 – შენ საიდან იცი? (გამიღიმა)  
 – ეკლესიაში არასდროს ყოფილხარ.

– მე ღმერთმა გამწირა...  
 – ნუ აბრალებ!

– არაფერსაც არ ვაბრალებ, ასე იყო, ჩემი ცოდვები კი სიკვდილის ბოლომდე ამომდინდა! არაფერი ვარ, ხედავ, მამი, დაუცველი ხორცის ნაგლეჯი განწირული... (გაჩერდა და მზერა ოთახის ერთ-ერთ კუთხეზე გააშეშა) ჩემს ხელქვეითებს, მთელი ჩემი ცხოვრება ეკლესიაში სიარულს ვუკრძალავდი, მაგის გამო სამსახურიდან ვაგდებდი და საჯაროდ ვლანძღავდი, მამიდაშენის შემდეგ მე იქ შესული ვინმეს რომ ვენახე, არ იტყოდნენ რომ...

– მამა რეებს ამბობ?! რომც ენახეთ რა? მაგათი რა საქმე იყო? ან შენ ისინი...

– უსულო ვარ, შენ კიდევ ზიარებაზე მელაპარაკები... კარგია, რომ მარხულობ, კარგია, რომ გწამს...

– უსიცოცხლო თვალები ჩემსკენ შემოაბრუნა და დიდხანს ჩამაცქერდა:

– დაიხსოვე, რასაც გეტყვი, ჩემკენ დაიხარე...

რამდენიმე წამს მხოლოდ მისი დამძიმებული სუნთქვა მესმოდა ყურთან ახლოს, მერე მითხრა:

– ჩურჩულთ გეტყვი, შენც სასოებით შეისმინე, ის დრო რომ ყოფილიყო უფრო ჩუმად გეტყოდი ალბათ კედლებისა და შენს მომავალს მოვერიდებოდი, მაგრამ დაინგრა ქვეყანა და კედლებიც დაყრუვდნენ. აღარ არის ჯანსაღი ადგილი ჩემს სხეულში, უფლის რისხვის გამო ... აღარ არის მშვიდობა ჩემს ძვლებში ჩემი ცოდვების გამო, აყროლდნენ და დაღბნენ ჩემი ნყლულები ჩემივე უგუნურობის გამო, აღარ არის ჯანსაღი ადგილი ჩემს სხეულში, გესმის?! დაუფლურდი და დაეიჩაგრე მეტისმეტად! ვლრიალებ ჩუმად გულის კვნესით, ძალ-ლონემ და თვალში სინათლემ ერთდროულად მიმატოვეს. ჩემი მოყვარულნი, ძველი

ნაცნობები და მეგობრებიც კი განერიდნენ ჩემს ნყლულებს...

ვფიქრობდი, გავუფრთხილდები ჩემს გზებს, რომ არ შევცოდო ჩემი ენით, ალიკაპს ავიკრავ პირზე, ვიდრე ბოროტება იმყოფება ჩემს პირდაპირ-მეთქი და ამის გამო დაემუნჯდი და დავდუმდი, სიკეთეზეც კი! სისაძაგლე აცდუნებს კაცს და თუ დანვა, ველარ წამოდგება!

შენ კი, ჩემო ბიჭო, იცოდე, რომ უნდა მოეშვა მრისხანებას და მიატოვო გულისწყრომა, ნუ გამძვინვარდები, რათა არ გაბოროტდე, რამეთუ ბოროტმოქმედნი ამოწყდებიან და უფალზე მინდობილი დაიმკვიდრებენ ქვეყანას! კიდევ ცოტაც და აღარ იქნება ბოროტი, დაუკვირდები მის ადგილს და აღარ იქნება იგი!...

საუბრისას, დროდადრო იღლებოდა და სულისმოსათქმელად ყოვნდებოდა. ხელი მომკიდა და მაგრად მომიჭირა :

– მამიდას გააგებინე, უთხარი ჩამოვიდესო...

გაზაფხულის მეორე თვეს ერთი „ბელადური“ სახლის მეხუთე სართულზე, შეკვეცილ ფართიან ოთახში მამას სიცოცხლეს მიიწურა.

მამიდამ რამდენიმე საათით დააგვიანა.

კარის ზღურბლზე შემდგარი ჩუმად ტიროდა და ასევე ჩუმად ბუტბუტებდა ფსალმუნებს...

სამი დღის შემდეგ მამა მიწას, მამიდა კი მონასტერს ჩაბარდა.

მას მერე ათ წელზე მეტი გავიდა...

გარეთ ისე იშვიათად გავდივარ, რომ ყოველ გავლანზე ახალ-ახალ შენობებს, სახლებს, მშენებლობებს და ფეშენებელურ სავაჭრო ცენტრებს ვაწყდები. მიკვირს, ქვეყანაში, სადაც საყოველთაო უვადო შიმშილობაა გამოცხადებული, რისთვის შენდება ცენტრები? მოხუცებულის ფიქრებმა მომკიდეს ხელი, დამეტყო ასაკი აზრებზე... სხვის თვალში ჩემი ნათქვამით არც ერთხელ არ ავმალდი, პირიქით მითხრეს: „კარგია, ბევრი ახალი სავაჭრო ცენტრი შენდება, ხალხი დაინახავს შექენა მოუნდებათ და ფულის შოვნაზე დაინწყებენ ჩალიჩსო“... ჩვენივე ჩალიჩი- ძალით!



მხატვარი ია გიგოშვილი

ბავშვობაში, ჩემიანებზე გამწყრალი, ხშირად ჩემს სიკვდილს წარმოვიდგენდი. დეტალურად ვხედავდი ჩემ ირგვლივ შეკრებილებს, როგორ დამტიროდნენ თავზე, ჩემზე ამბებს იგონებდნენ, მე მიხსენებდნენ... ყველა მოვიგონე და ახლა მე თვითონ აღარ დამჩნა მომგონებელი...!

ბერლინის „შტრასეს“ მიმსგავსებული ქუჩის „ბელადურ“ სახლში, ნაჩათლახარ ფართში, ბებიის იმპერატიულად მოთხოვნილ დიდფანჯრებიან ოთახში... ადამიანის გარეშე, იმ სულგრძელი ადამის შვილების გარეშე, რომლებსაც ცხოვრების ზღვაში მცურავ თევზებს ვამსგავსებ, იმათ ვისაც ორბალიან ტალღებში ცურვის შემდეგ სიამაყის, თავდაჯერების და კიდევ რაღაც ჩემთვის გაურკვეველი გრძნობა ეუფლებათ, განვლილი წლების მიხედვით ზომავენ გამოცდილებას, დამოკიდებულებას. წყვეტენ ურთიერთობის მრავალ ტიპს! ამბობენ ათასი თოკიდან გამომძვრალებს შენ რას გვასწავლი, ვინ მიგდინხარო?!.. არადა, არც კი იციან, რომ ამ ცხოვრებაში ყველაფრის განმსაზღვრელი დრო რომ ყოფილიყო, მაშინ ქვეყნად არაფერი იარსებებდა დროის გარდა. ჩვენ მხოლოდ მის გასაყვანად შევიქმნებოდით, ვიცხოვრებდით და დრო გავიდა!..

ათასი თოკიდან გამომძვრალეობო, ფრთხილად! უფიქროდ დროს მართლაც გაიყვანთ, მაგრამ, ვაი, რომ დროის გასვლამდე, ანდა დროის გაუსვლელად აიბნევიოთ და გაებმებით მაგ თქვენს თოკებში და თქვენი გონება ინის სქელი ფენით დაიფარება... შემდეგ გახდებით გაიძვერები, ეშმაკნი, გაქნილნი და დაუნდობელნი...

გონებაზე ბინდგადაკრული ქალების საშოებიდან ზარბაზნებივით გამოვარდებიან ავი და ქლესა ვითომ „ბავშვები“!

მაგრამ იცოდე, რომ თქვენ არც მკვდრებში იქნებით და არც ცოცხლებში, არც ცისა იქნებით და არც მიწისა! თქვენზე და თქვენს მოტიტვლებულ თავისქალებზე ასი ენა დაილაპარაკებს და ასი პირი დაიჩივლებს, ასი თვალი შემოგხედავთ და ამდენივე მზე დაგადგებათ თავზე! გაშიშვლდებით და გამოხარშული ძვლის მსგავსად უდაბნოს ცხელ ქვიშაზე დაეყრებით!

მთელი ცხოვრება დროს შეჰყურებდით, ახლა კი მზის ჯარს უცქირეთ... არავინ იცის, დღეს რა მოაქვს და ღამეს რა?!

და თუ ამიტომ რომელიმე თქვენგანს სინანულის გრძნობა თუნდაც წამით გაუტოკდება გულში, გამოფხეკილ ძვლებს მალე ხორცი შეესხმება, მის ირგვლივ კი იმ უდაბურ მიწაზე ათასი ყვავილი გაიხარებს, თავზე პალმის ცოცხალი ფოთლები გადაეფარება და ჩრდილში მოაქცევს... რამეთუ უსაზღვროა უფლის მოწყალეობა!

\* \* \*

ჩემს სახლში 12 ახალი აღთქმის წიგნია. თორმეტივე ერთნაირი, ერთი და იმავე წლის გამოცემა, სტამბაც იგივეა, თუმცა ნაყიდია სხვადასხვა დროს.

ოთხოთახიან ბინაში ვარ. სადაც დავიბადე, ახლაც იქ ვარ. თუმცა რად გინდა? მისაღებ ოთახში შეყუყუულს დამაინწყდა სხვა ოთახები. ბოლო ხუთი წელია სახლს მთლიანად ვერ ვათბობ და... და სადაც ვათბობ, იქ ვარ. არა კი არ ვწუნუნებ, მაგრამ მარაზშია, სამი ოთახი უმოქმედოა, ერთი მაგარი მოქმედი. მეც მაგარი აქტიური ტიპი ვარ! ვკერავ! მთელი დღე ვკერავ.. რას და რას აღარ, კაბიდან დანყებულ პიჯაკით დამთავრებული, შიგადაშიგ საბნისა და ბალიშის პირებიც შემომერევა.

ერთი პერიოდი კომბაინიც მყავდა. ჰო, მახსოვს ზაფხული იყო და სოფლის ბიჭს სამუშაო ფორმა შევეუკერე, მერე ერთხელაც დეპეშა მომივიდა, ვა დეპეშა რა მაგარი რამე იყო... ჰოდა, მომივიდა დეპეშა, სოფლელი ყმანვილისაგან: “ ჩამოდი ჩვენთან კომბაინია”. მაგრად გამიკვირდა. ჩავედი და იმწუთასვე ვიკითხე, აბა კომბაინი-მეთქი? იქაურებმა ამაზე ბევრი იცინეს, ერთი-ორმა თავშიც წამომარტყა, ისე ხუმრობით და ახლობლობით, ვითომ შე სულელო, ამას რას კითხულობ, არ იცი რომ ჩვენი სოფელი კომბაინცენტრიაო?

### წინმკანების კარალი

„ქართული კინოთეატრი! მექანიკოსი ქართული ფილმების ჩვენებას არაა მიჩვეული, ვერც ეკრანი იგებს რაიმეს! თქვენ ჩემს სახელს ვერ დაიმასხვრებთ! ვერც მე თქვენსას! ერთმანეთს ვერ გავიცნობთ, უცხოსავით შემომხედავთ, შემომიბღვერთ და შეიძლება, ცოტათი მხარიც კი გამკრათ! მე გული დამწყდება! აქ ხომ გიტარაზე დასაკვრელ მუსიკას მთელი ორკესტრი უკრავს?! მუზას მენჯეფერი და საკუთარი დიზაინერი ჰყავს! გამაფრთხილებელი ნიშნები ქუჩაში: ღიმილი გადახაზულია! ტირილი რამდენიც გინდათ! აქ ხომ მზე წამყვანებს ჰყავთ დაჭერილი!...

მართალი იყო ბერძენი, ის, ვინც ამბობდა, რომ ქვეყანას მხოლოდ კეთილშობილნი და ბრძენნი უნდა მართავდნენ, მდაბიოებს ხელისუფლებასთან არაფერი აქვთ საერთო! ძირს ოლიგარქია, გაუმარჯოს არისტოკრატია! მდიდრები კარგად არიან! ბედნიერები და უდარდელები! ღარიბებსაც შეუძლიათ ბედნიერება! შეუძლიათ და ჯობია კიდევ! ძირს მატერიალიზმი, გაუმარჯოს სულიერებას, რეალიზმსა და გონიერებას! ბედნიერება ერთია ყველასთვის, განსხვავებული მხოლოდ მისი შემეცნების ხერხებია! ჭეშმარიტად ბედნიერები მხოლოდ მაშინ ვიქნებით, როცა ქვეყნად მხოლოდ ერთი ხერხი იარსებებს! მხოლოდ მაშინ!...

ფიქრით სავსე თავი სჯობია, საჭმლით სავსე მაცივარს თუ რა?! განსხვავებული აზრების ერთი მიზნისთვის გამოყენება: შეგნება შეუგნებლებს! გალღვობა ქვის გულს! აქ ხომ სამკაულებივით გვეცვლება გუნება?! ანდა პირიქით, აქ ხომ სამკაულებს აღარავინ ხმარობს?! აქ ხომ არც ზარდახშები აქვთ? რომც ჰქონ-



დაივინყებთ ფიქრს! ფრანგულ კოცნაზე ნუ იფიქრებთ ბევრს! და ერთს გთხოვთ, თუნდაც დაგიჩოქებთ, ოღონდ ბავშვები ხელში აყვანილები ატარეთ!...

**ჰორიზონტი**

გიხაროდესო, ხოდა მეც მიხარია! განა ეს შესაშურია? არაფერია! უცხო ფერია, მხოლოდ ფერია! ჯადოსნური ხის ჯოხია! ის რაც სიზმრად გველანდება ხოლმე! მერე ამბობს რომ თეთრია! მეუბნებოდა, ნუ ენდობი იოლ გზებსო, ხოდა არც ვენდობი! განა ეს შესაშურია? არაფერია! მხოლოდ ფერია! გაცრეცილი უმომავლო ფერია! ერია! გერი ერია! დასანანია, რომ მგელია! ერთია! ქუჩაში მარტოს გელიან!

იმ ღამით მაკოცა ყველაზე მაგრად! თითქოს მეძინა და ვხედავდი, როგორ ეღვიძა! ჩუმად რომ მაკოცა, დიას მაშინ ყველაზე მაგრად მაკოცა! ის იყო მაშინ ფერია! მახსოვს, როგორ ეძინა! მაშინ ხომ ყველას ეძინა, ხოდა მეღვიძა! ეს იქ.....აქ კი ყველაფერი ძნელია! გრძელია! გზები უზომოდ გრძელია! სკამები ყველგან სველია და ხალხი ძალიან ნელია! აქ ფიქრიც კი უკვე ძნელია! ვგრძნობ, როგორ მტოვებენ მუხები! მათ მაგივრად კი შავი მუხები და უაზრო შუტკები! აქ მივინყებენ დროები და გრძობებიც სადღაც ქრებიან! გულს ხელოვნურად ყინავენ, თავიდანვე იციან, თუ გაგიტებენ – ცუდია, თუ არადა მაშინ ფულია!:

- ვა რაღაც გულზე მაციებს!
- სამჯერ დააკაკუნე ფული იცის!

ყოველდღე ვხედავ, რომ ვიღაც აკაკუნებს! გულზე აციებს! ფულს ელოდება! ბოლოს ეყინება, ისევ ხეს უხმობს, ისევ კაკუნი, ისევ ფული, ბოლოს მთლიანად იყინება და ხე ფულთან ერთად გამთბარი რჩება! ის კი.....

რომ ეკითხათ რა გირჩევნია, ნახო, მტრედი ნიანგის ტყავშიო თუ ნიანგი მტრედის ტანშიო? ვიტყოდი, მტრედი ნიანგის ტყავში-მეთქი!

მიდის დრო და მართლაც რომ მიდის, მაგიტომ მწყდება გული! მარტო დროის კი არა, ყველას წასვლაზე! გულზე რომ აციებთ, ისინიც ხომ მიდიან, ხოდა სანყენია! ჩემი ნება რომ იყოს, დროს ხანდახან უკან გადავწევდი ხოლმე, რომ გაყინვა ცოტათი მაინც შემეჩერებინა და დაეტკებოდი! იქნებ ვასიკომ გაიგოს ჩემი თხოვნა და ქალაქის მთავარი საათი ხანდახან უკან დააბრუნოს ხოლმე, თუნდაც რამდენიმე ნუთით.....მე ამ დროს კი სიყვარულს მოვასწრებდი!....

დასანანია! რომ სულიკოს საფლავი მაკენას ოქროდ აქციეს და მისი ძებნა ოქროს მაძიებელთა ემმაკურ თამაშს დაემსგავსა! დასანანია, რომ ჰორიზონტი, რომელიც თვალუნვდენელი უნდა ყოფილიყო, ახლა მეზობლის სახურავამდეა მოსული!

- აგე, მამი, ჰორიზონტი! რას შვებით, თავს ილუპავთ?!!! ეზოში საშინლად ანერვიულებული გავვარდი!
- ბავშვებს ვართობთ! მამებმა ბავშვები ჰორიზონტზე სათამაშოდ გაუშვეს!....

დასანანია რომ ღიმილი, რომელიც უნინ კეთილგანწყობას ნიშნავდა, ახლა ცუდ ტონად ითვლება! სიცილი კი სულელობად! ფიქრზე რომ აღარაფერი ვთქვა! აქედან წასულს ხომ დაბრუნება არ უნერია?!.....

ასე ტოვებენ ქუჩებს, უბნებს დაბოლოს ისევ გულზეს! დასანანია!....

მოდით ერთად ვიყვიროთ ცხოვრება და ისე ვქნათ, რომ ქუჩაში მარტოს აღარავინ გველოდოს! მოდით ის უმომავლო ფერი და გერი ერი ერთად შევცვალოთ!...იქნებ სიცილი ისევ კარგ ტონად ჩავთვალოთ და მოდით ერთად ვიზრუნოთ რომ ჰორიზონტი, რომელიც ცხვირნინ მოგვადგა, კვლავ თვალუნვდენელი გავხადოთ!...

**ჩვენი ფოსტა**

ბატონო როსტომ!

ძალიან საინტერესო იყო თქვენი ამასწინანდელი ლექცია პავლე ინგოროყვაზე ანდრია რაზმაძის სახელობის 41-ე საჯარო სკოლაში და ლექციის შემდგომი დიალოგი.

გულდასაწყვეტია, თქვენი შეხვედრები ქუთაისის ისეთი ვიწრო და შემოფარგლული ხასიათისაა, რომ მას ვერ ესწრება ბევრი ნიჭიერი, მწერლობით ნამდვილად დაინტერესებული ადამიანი. ვერ ესწრებიან ახალგაზრდებიც, რომლებიც ეძებენ ორიენტირს.

თქვენმა შეხვედრებმა დიდი რეზონანსი შეიძლება გამოიწვიოს, მაგრამ ეს ლექტორთან ერთად აუდიტორიაზეცაა დამოკიდებული. შემთხვევითი აუდიტორია ვერასოდეს აძლიერებს რეზონანსს და ვერც იმ იმპულსებს ანიჭებს მოღვაწეს, რომელი ნუთუმსვენების შემდეგაც მოღვაწემ ისევ უფიქროს შრომის (პავლე ინგოროყვას შრომის თქვენეული განსაზღვრება) უღელი უნდა დაიდგას კისერზე.

ამ ხმისა და გამომძახილის გარეშე კი ერთიან, ნამდვილ სალიტერატურო ცხოვრებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ქუთაისი კვლავ რჩება საკუთარ წვენი ჩახარშულ, პატარ-პატარა სამწერლო საძმკაცოვებად დაყოფილ ქალაქად. ქალაქად, რომელსაც თბილისისაგან განსხვავებით, არსაიდან არ ესმის გამაერთიანებელი ხმა, ძახილი. აქ არ არის ლაპარაკი, თუნდაც იდეურ გაერთიანება, არ გაერთიანებაზე, აქ ლაპარაკია მოღვაწის ძახილზე, რომელიც თანაბრად უნდა ეკუთვნოდეს ყველას.

მიმე სოციალურ პირობებში, როცა ლიტერატორებს ნიგნის შეძენა უჭირთ, როცა ინტერნეტი კიდევ კარგა ხანს იქნება ფუფუნება, ერთ ქალაქში, ერთ სასწავლო დაწესებულებაში შეუძლია განმანათლებლობის დიდი და საზოგადოებრივი მისია იტვირთოს, მაგრამ უპირველესად სურვილი უნდა ჰქონდეს, რომ ეს დიდი იდეა სკოლის პრესტიჟს კი არ დაუქვემდებაროს და კონკურენტული, თუ სხვა პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე – დააკონსერვოს, არამედ ნამდვილ ეროვნულ-საგანმანათლებლო მოძრაობად აქციოს. საქვეყნო იდეალებზე თავგამოდებული საუბრის შემდეგ აღარავის რჩება უფლება მოღვაწის ხმა და ძახილი მარტო სათავისოდ ჩათვალოს, თითქოს ნაყიდი გრამფირფიტა იყოს, დაუკრას და ინუგეშოს.

ბატონო როსტომ, დიდი სურვილი მაქვს იმ აუდიტორიას შეგახვედროთ, რომელზეც ზევით ვთქვი. ეს ორმხრივად საჭირო და სასარგებლო საქმე იქნება.

**ცირა ყურაშვილი**



თემურ ჩხეტიანი

**ორი ლექსი თეონა გაქიშვილს**

**1. ვაშლის ყვავილი**

მე დღეს დავასრულე ჩემი კვირტობა.  
მე დღეს ავახილე თვალი  
და გადავიშალე ყვავილად.

მე მიხარია ჩემი ყვავილობა;  
მიხარია ეს თბილი დღე  
და სიხარულით ვთრთი მზის სხივებში.

მე მიხარია და არ ვიცი, –  
ან საიდან უნდა ვიცოდე? –  
ხვალ რა იქნება  
ან თვითონ მე რა მელიოდება.

არა, არ ვიცი,  
რომ სულ მალე დამცვივდება  
ჩემი თეთრ-ვარდისფერი ფურცლები  
და ჩემგან პანანინა ნაყოფი გამოინასკვება;

რომ გავა დრო და ნაყოფი იგი  
თანდათან გაიზრდება;  
გაიზრდება და დამნიფდება;  
დამნიფდება და იქცევა უცნაურ ნაყოფად  
(უცნაურ ნაყოფად, რომელიც თავის დროზე  
გახდება საცნაური).

მე დღეს არ ვიცი, –  
ჰო, საიდან უნდა ვიცოდე? –  
რომ სწორედ იმ მიმზიდველ ნაყოფს  
შეეხება პირველი ხელი;  
შეეხება პირველის ხელი,  
შეეხება პირველის ბაგე,  
ჩაიკბიჩება პირველის კბილით.

და ამის მერე ნაყოფი იგი  
გადინაცვლებს პირველის ხელიდან  
და მას შეეხება მეორის ხელი;  
შეეხება მეორის ბაგე,  
ჩაიკბიჩება მეორის კბილითაც!..

შეიჭმება ჩემი ნაყოფი –  
მე შევიჭმები,  
და უცნაური იქმნება საცნაურად.  
ბოლოს კი ჩემი,  
ყუნწურჩენილი საბრალო ნარჩენი  
(იმ მეორის ჩემსავ წვენიტ დასვრილი ხელიტ)  
მრავლად წამოზრდილ ბალახებში გადაიგდება.

დასაკარგად... დასაფარავად...

მე დღეს არ ვიცი, –  
ან საიდან უნდა ვიცოდე? –  
რომ, მიუხედავად ყველაფრისა,  
მე მაინც არ დავიკარგები;  
რომ ჩემს ნარჩენს  
ვერ დაჰფარავს ვერანაირი ბალახი  
და ვერც ბალახივით მრავალი ასწლეული.

რადგან  
სწორედ ამით დაიწყება კაცობრიობის ისტორია,  
და საერთოდ – ყველაფერი დედამინაზე.

**2. ყორანი**

გადანყდა: ჯერ მე უნდა გავფრინდე.  
პირველი მე უნდა გავიდე აქედან,  
ამ დახშულ სივრციდან,  
სადაც უკვე ამდენი ხანია,  
ერთად ვართ ყველანი;  
ერთად ვართ და კიდევაც მოგვებზრდა ერთმანეთი.

პირველი მე უნდა გავიდე აქედან.  
და არ ვიცი, პატივი მერგო,  
თუ უბრალოდ –  
ამითვალწუნეს და გამიმეტეს?..

ასეა თუ ისე, მე უნდა გავფრინდე,  
რომ, იქნებ, რამე ამბავი მოვიტანო –  
რისხვის დასასრულის შესახებ ამბავი;  
ამბავი ყველასთვის, რომ მიწა დაგვიბრუნდა  
და შეგვიძლია განვაგრძოთ სიცოცხლე!..

\* \* \*

მე ჩავისუნთქავ ჰაერს წყლის სურნელიანს;  
მე გავშლი ფრთებს დიდი ხნის გაუშლელს,  
გავფრინდები და ვიფრენ ცისა ქვეშე,  
ვიფრენ წყალსა ზედა.  
ვიფრენ, ვიფარფატებ,  
მაგრამ თვალს ვერ ვკიდებ არათუ მიწას,  
არამედ ცისა და წყლის გამყოფ ჰორიზონტს.



და მე დავბრუნდები დაღლილ-დაქანცული,  
და ვერაფერს მოვიტან საიმედოს.  
დავბრუნდები  
და ფრთებჩამოყრილი  
დავფრინდები კიდობნის კიდეზე.

უიღბლოდ დასრულდება ჩემი მისია –  
ვერაფერს მოვიყოლებ საიმედოს.

\* \* \*

უიღბლოდ დასრულდება ჩემი მისია  
და მე მართლა ამითვალწუნებენ.  
და უკვე მერე,  
როცა ყველანი დავბრუნდებით მინაზე, ხმელეთზე  
და როცა ყველანი ჩვენ-ჩვენ გზას ვენევით,  
ეს მე ვიქნები ყველასთვის საძულველი  
და ავბედითობის სიმბოლოდ ქცეული:

ეს მე დავაბნელებ ცას;  
ეს მე დავზაფრავ ასწლეულებს;  
ეს მე ვიყრანტალებ დაჟინებით –  
**Nevermore;**  
ეს მე გავეუთხრი საფლავებს პოეტებს!..

\* \* \*

უიღბლოდ დასრულდება ჩემი მისია –  
ვერაფერს მოვიყოლებ საიმედოს.

ჩემს შემდეგ კი უკვე სხვა წავა –  
ჩემზე ლამაზი და ჩემზე იღბლიანი;  
ჩემზე იღბლიანი და კეთილხმოვანიც.

გაფრინდება ერთხელ... მეორედ...  
და ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ის მოიტანს  
ზეთისხილის პანია ნედლ რტოს  
ლამაზი ნისკარტით.

## ახალი იონა

ეს რა ვეშაპა გადამყლაპა?!..  
დიდი ხანი გავიდა უკვე  
და აღარ მახსოვს, როდის მოხდა და როგორ მოხდა,  
არ ვიცი, ლურჯია ეს ვეშაპი თუ თეთრი  
ან, თუ ჰქვია, რა ჰქვია სახელად;  
და ვერც იმაში გავრკვეულვარ,  
ახლა რომელი ოკეანის ტალღებს მიაპობს  
ჩემი შთანთქმელი.

ეს რა ვეშაპა გადამყლაპა?!..  
ბნელში ვზივარ და მაინც ყველაფერს ვხედავ;

ამოყრუებული ვარ და მაინც ყველაფერი მესმის,  
ამ დახშულ სივრცეს კი ვერა და ვერ ველწევი,  
თავს ვერ ვიხსნი უძირო სტომაქიდან  
და, როცა ვამბობ რამეს,  
მხოლოდდამხოლოდ ჩემს თავს ვესიტყვები.

ახლა ყველაფერი მესმის.  
შორით, შორეულ ექოდ მესმის  
როგორ ეხეთქებიან მძლავრი ტალღები  
ვეშაპის ფერდებს.

ახლა ყველაფერი მესმის,  
როცა ვეშაპის სტომაქში ვარ დანთქმული,  
როცა ვეშაპის უიმედო ტყვე ვარ  
და არავინ მყავს ჩემი ხმის გამგონი.  
ვხედავ და მესმის.  
და, რალა მაინცდამაინც მაშინ დავყრუვდი  
(დავყრუვდი თუ არ შევისმინე),  
უფალო, შენ რომ მეუბნებოდი?..

რა მითხარი? რა არ შევისმინე?  
გაფრთხილების სათქმელად მგზავნიდი?  
სად, უფალო? რომელ ქალაქში?  
ან რა გამფრთხილებელ-გადამრჩენელი  
მე ვიყავი, რომ ჩემთვის ესმინათ?!..

ან, იქნებ, სულ სხვა რამისთვის გსურდა  
ჩემი თავი და ვერ გაგიმართლე? –  
ვყოფილიყავი მინის მუშა ან კირითხურო;  
ვყოფილიყავი ან ვაჭარი, ან მეომარი...  
ნეტავ, რა გსურდა, რა გინდოდა ჩემგან,  
უფალო!..

... წყლის სიღრმეში, წყლის ზედაპირზე  
დანთქმული ვარ ვეშაპში და,  
რა ხანია, ამ ვეშაპს ვეშაპის ტყვე ვარ:  
თავზე მაცვივთა თევზები და ნიჟარები,  
მელვრება წყალი,  
ვიხლართები მისგანვე შთანთქმულ  
წყალმცენარეებში...  
და არ ვიცი, თვით მე ვინა ვარ,  
რისგან ვარ შექმნილი,  
რა ვარ ასეთი, რომ ყველაფრის მომნელებელმა  
აქამდე ვერ მომიწვია ჩემმა ვეშაპმა?!..

ამდენი ხანი!..  
მაგრამ, იქნებ, შენს სამ დღედაც არ დაითვლება  
ჩემგან დათვლილი ათწლეულები?  
უფალო, იქნებ სამ დღედ არ გიღირს  
ჩემი ტყვედ ყოფნა მთელი სიცოცხლე?..

ეს ვეშაპი კი არად აგდებს ყველას  
და ყველაფერს –  
დროს თუ სტიქიას.  
მას ვერაფერს ვერ აკლებენ

ვერც ზვიგენები,  
ვერც მამაცი ვეშაპთმჭერები.

ძლიერი და სასტიკია ჩემი ვეშაპი.  
მე მისი ტყვე ვარ  
და ისევ შორიდან მესმის,  
ისევ შორეულ ექოდ მესმის  
როგორ ეხეთქებიან მძლავრი ტალღები  
ვეშაპის ფერდებს.

**ნაჩუქარი ნიჭი**

სიახლეებს  
რადგან ისევ აგვიანდებათ,  
მე თავს ვირთობ  
კითხვითა და მოგონებებით.

მოგონებებით,  
გრძელ საბელად რომ იგრძობა.  
ეს საბელი კი კვლავ არ მიშვებს  
ახალ ფიქრისკენ  
და ახალი სანახებისკენ.

დღეს ახალი მხოლოდ ესა მაქვს:  
ნაჩუქარი,  
ორმაგად ძვირფასი!..

ერთი ეგაა,  
რომ სათვალეს ვერ შევეგუე,  
დაძაბული ვარ  
და თვალები მალე მელღება.

**ნაქირავები ბინები**

ერთ დროს მეც ვცხოვრობდი დედაქალაქში.  
ვცხოვრობდი რამდენიმე წელიწადს  
და ვცხოვრობდი ნაქირავები ბინებში,  
რადგან საკუთარი ბინა არ გამაჩნდა.

ბინის გამოცვლა კი ხშირად მიწევდა,  
მიწევდა სხვადასხვა მიზეზის გამო:  
ან გარემო და გარემოება,  
ან გაზრდილი ქირა ბინისა,  
ან თვითონ მე,  
ან ბინის პატრონი.

სხვადასხვა ქუჩა,  
შესახვევი, აღმართი, ჩიხი;  
მესამე სართული, კერძო სახლი, ნახევრადსარდაფი...  
სხვადასხვა ბინები  
და სხვადასხვაგვარი ხმები  
კედლის მიღმიდან:

ან ბოლო ხმაზე ჩართული ჰიტი,  
მთელ კორპუსს რომ აზანზარებდა;  
ან შოპენის ეტიუდები,  
ფორტეპიანოზე რომ უკრავდა ვილაცა;  
ან მეუღლეთა შორის კამათი,  
მოსაბეზრებელიც და ღიმილის მომგვრელიც;  
ან ჩემსავით სტუდენტი გოგონების  
მხიარული ტკარცალი – კედლის მიღმიდან!..

და ეს ყველაფერი,  
რასაკვირველია, უფრო საინტერესო იყო,  
ვიდრე მეორე დღისთვის მოსამზადებელი სემინარი  
ან საკურსო თემა ეკონომიკურ გეოგრაფიაში.

... დიდი ხანია, სოფელში ვცხოვრობ.  
ვცხოვრობ საკუთარ სახლში  
და არ ვიცი, როდისმე  
კიდევ თუ მომიწევს ბინის გამოცვლა.

**ციკლიდან: „ტაიმ-აუტი“**

**შემოდგომა**

დილაადრიან სახლიდან გამოსულმა  
შევამჩნიე:  
ცა უმერცხლებო იყო.

მე ვცხოვრობ სოფლად  
და ჩემი კედლების მიღმიდან ახლა  
ზაფხულის ღამის სიჩუმე ისმის.

**პარალელი**

მე – ფეხზე მდგომი და გულხელდაკრეფილი,  
სათვალე კი ნიგნზე  
და ისიც გულხელდაკრეფილი.

**საი-სიონაგონი**

ლულუნი მტრედის,  
ლულუნი ზავშვის,  
ლულუნი ლუმელისა.

**სავონაროლა**

ჩამოახრჩვეს.  
მერე კი დანვეს...  
არადა, რა ლამაზად ჟღერს:  
ჯიროლამო სავონაროლა.

ზურა რთველიაშვილის პოეზია გამორჩეული მოვლენაა ბოლო წლების ქართულ სინამდვილეში. პოეტი-ტრიბუნის ხატის მიუხედავად, რისკენაც საგანგებოდ მიისწრაფის ავტორი, რათა მკითხველს ასეთი წარმოდგენა თავის სავიზიტო ბარათად შესთავაზოს, იგი მაინც მუდმივად ლირიკოსად რჩება და ეს ის არსებითი ნიშანია, რაც ზურა რთველიაშვილს თავისი კიდევ ერთი ნაძალადევი პროტოტიპის ვლადიმერ მაიაკოვსკისგანაც განასხვავებს.

ზურა თითქოს საგანგებოდ ქმნის მაიაკოვსკისთან საკუთარი მსგავსების ილუზიას, რათა სწორედ ამით დაუპირისპირდეს იმას, რაც არანამდვილია პოეზიაში – პათეტიკურობასა და ლოზუნგურობას. საკუთარი იარაღით, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისივე თავით ამოჭამოს და გაანადგუროს ის, რაც ხელს უშლის ნამდვილ გრძნობას, რათა პოეტური სისავსით გაიბრწყინოს. ამიტომაც ქმნის ნიღბებს, ქმნის ბარიკადებს, მონაწილეობს რევოლუციაში და რევოლუციას „ვარდებით“ – პოეზიით აკეთილშობილებს.

მის პოეტურ ხანაში კი ზუსტი სიზმრების დრო დგას და მხოლოდ ამ სიზმრებმა იციან, რა ვნებები ჩქეფენ რთველიაშვილის გულის სანაწახელიში.



**ზურა რთველიაშვილი**

**მავრი ქალაქში**

**წმინდა მგელი ლოცვა**

წმინდა მგელი ვარ,  
ვერცხლისფერი დავფარე ველი –  
ულუფას ველი შენი ხელით  
უფალო წმინდა!  
მე ვარ მძევალი საკუთარი ნიჭის  
და მცველი  
(ა) უუუუუუუუუუუუუუუუუუუუუ  
შენდამი ჩემი ლოცვა  
მიილე წმინდად!  
თაკარა მზეა ჩემი მოწმე,  
მიელავს თვალში  
უნეტარესი და სასტიკი  
ნადირის მზერა,  
ბევრ ხიფათს ავცდი  
როცა ცხელ მსხვერპლს  
ვედექი კვალში,  
ასეთი არის წმინდა მგლების  
მრწამსი და რწმენა!..  
არა მწამს ფიცის,  
მაგრამ ვიცი,  
სავსეა თასი.  
მე ამ თასს ვიცავ,  
როგორც წმინდა გრაალის მცველი,  
მგელი ვარ!  
მინდა გამოვცადო სიფხიზლის ფასი  
ან  
ვეცე ყელში თუ მომეცა  
ამისი ნება...  
ამ ბგერებს ცისკენ,  
როგორც ღრუბლებს  
ყმუილით ვდეენი!  
ჩემი ძელია გზები გრძელი,  
უფალო წმინდა!  
მე ვარ მძევალი საკუთარი ნიჭის  
და მცველი  
(ა) უუუუუუუუუუუუუუუუუუუ  
შენდამი წრფელი ლოცვა  
მიილე წმინდად...

ზან-ზალაკებს ქალაქებს  
ნუ შეაბამთ ღამით,  
ქლიავს აჭმევს აქლემებს  
ფეხშიშველი ქალი –  
დაჟინებით ნანრთობ ფოლადს  
ნერწყვით რომ გააგრილებს.  
ენის წვერით ჩამოპარსავს  
ალიონზე მახვილებს.

ზან-ზალაკებს ქალაქებს  
ნუ შეაბამთ ღამით.  
ბევრმა ზანგმა დაზილა  
გზაზე ნაზი მგზავრი.

\* \* \*

მქონდა მაგიდა თერძის,  
ვსვამდი ქათქათა რძეს.  
ვწერდი საათზე ლექსებს,  
ციფრი ის არის წრე.  
არის წამმზომის რისკი,  
როცა ციფერბლატს თმობს,  
იყო საათი X-ი  
ზუსტი სიზმრების დრო...

**წარწერა სიზმრების კოლოფზე**

მონევა ინვევს ნაადრევ სიკვდილს!  
მონევა თურმე ყოფილა მანენ!  
ჯანდაცვის მოლა ამ ლოცვებს იტყვის  
და შუქნიშანზე აანთებს მწვანეს.

ენევა ყველა პოეტის მუზა,  
წერაში შეაქვს უზომო წვლილი –  
ნაფაზს – ნაფაზი მიჰყვება უკან,  
სიზმარს – სიზმარზე დასტოვებს ძილი.

მონევა ინვევს ნაადრევ სიკვდილს!  
მონევა თურმე ასუსტებს ფილტვებს!  
ჯანდაცვის მოლა ამ ლოცვებს იტყვის  
და შუქნიშანზე გადართავს წითელს...

ქეთევან ტომარაძე

## პოეტის დაბრუნება

2001 წელს თურქეთის მთავრობასა და ლიტერატურულ წრეებში ნაზიმ ჰიქმეთის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი თანდათან აბსურდის თეატრს დაემსგავსა. კამათსა და დებატებს ბოლო არ უჩანდა. მემარჯვენე ნაციონალისტური მოძრაობა სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა კულტურის მინისტრს, რომელსაც მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, 2002 წელს, დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, ორმოცდაათიან წლებში თურქეთიდან გაძევებული, 38 წლის წინათ გარდაცვლილი პოეტისათვის მოქალაქეობა აღედგინა.

მსოფლიო მოქალაქედ აღიარებული სიტყვის ჭეშმარიტი ოსტატი ნაზიმ ჰიქმეთი და მთელი მისი შემოქმედება იმხანად თურქეთში ჯერ კიდევ დევნილად ითვლებოდა. პოეტის ნაწარმოებები ამოღებული იყო სასკოლო სახელმძღვანელოებიდან, ლიტერატურის ისტორიიდან, ტაბუ ჰქონდა დადებული მის სახელს. ახალგაზრდები შიშით, მალულად ეცნობოდნენ ლექსის დიდი რეფორმატორის, შესანიშნავი პროზაიკოსისა და დრამატურგის ნაწარმოებებს.

მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებს, რომლებიც ნაზიმ ჰიქმეთისათვის მოქალაქეობის აღდგენის კამპანიას ხელმძღვანელობდნენ, მილიონნახევარი ხელმონერა შეეგროვებინათ და მხარს უჭერდნენ თურქეთის პრემიერ – მინისტრს, ბულენტ ეჯევითს, რომელიც მთარგმნელობითი საქმიანობით არის გატაცებული და მშვენიერი ლექსების ავტორია. პოლიტიკური ინტერესების გარდა, როგორც ჩანს, ეჯევითს ამქრული სულისკვეთებაც ამოძრავებდა, როდესაც ნაზიმ ჰიქმეთის დაცვას მიჰყო ხელი და, პოეტი უნდა დავაბრუნოთო, ირწმუნებოდა. კომუნიკაციების მინისტრი, მემარჯვენე ენის ოქუზი, კი გაიძახოდა, რომ დიდი წინააღმდეგობა შეხვდებოდა მისი პარტიის მხარდამჭერებისაგან, თუ ნაზიმ ჰიქმეთისთვის მოქალაქეობის აღდგენის დოკუმენტზე ხელს მოაწერდა: „ჰიქმეთი ათათურქისა და ჩენი სახელმწიფოს მტერი იყო, მოლაღატეს მე ვერ აღვუდგენ მოქალაქეობას“ – ამგვარი მკვახე განცხადებებით გამოდიოდა.

„მოლაღატე“ პოეტი კი, ვისი დანაშაულიც მხოლოდ ის იყო, რომ თურქეთში შეჩერებულ დროს წინ უსწრებდა, დამოკიდებულებას სამშობლოს მიმართ, რომელმაც პოეტი არ დაინდო და მისთვის მიწის ერთი მტკაველი ვერ გაიმიტა, ამგვარად გამოხატავდა: „მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, ვქანაობ მის წერნეტა ხეებზე, ვწევარ მის ციხეებში, ისე არაფერი მიმსუბუქებს ნოსტალგიას, როგორც მისი თამბაქო და სიმღერები“... „ზღვასთან მიწა დაბრუნება, ზღვასთან მისვლა მიწა... ლურჯი ტალღა და ბუნება სარკესავით წმინდა... იქ მსურს ვიყო, რომ ვისმენდე მეზღვაურთა ლილისს, იმ გემებზე ყოფნა ერთ დღეს – მთელ სიცოცხლედ მიღირს!“ ... და ბავშვობისა და სიყმაწვილის

დაუფინყარი ქალაქის, სტამბოლის გახსენება: „ჩამლიჯაში დგას მშობლიური პატარა სახლი, და ჩემი გული ყოველ ღამით იქ იმყოფება“...

ნაზიმ ჰიქმეთისათვის მოქალაქეობის აღდგენის ირგვლივ აგორებული სკანდალი, ბუნებრივია, ბევრს უძველეს სენტენციას ახსენებდა: „არავინ წინასწარმეტყველი შეწყნარებულ არს თვისსა მამულსა“... მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კეთილგონიერებამ პოლიტიკურ სპეკულაციებს სძლია და თურქული საზოგადოებრიობის უდიდესმა ნაწილმა მხარი ერთხმად დაუჭირა თავისი უკვდავი შვილის, ნაზიმ ჰიქმეთის „სამშობლოში დაბრუნებას“.

ეს ფაქტი შეიძლება სერიოზული შემობრუნების ეტაპად ჩაითვალოს თურქული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში, კულტურულ-ისტორიული მცხსიერების ულტრანაციონალისტურ ძალებზე დიდ გამარჯვებად.

ნაზიმ ჰიქმეთს თავისი ხალხისთვის მწარე სიმართლის თქმის არასოდეს შეშინებია, მიუხედავად იმისა, რომ ზედმინენით კარგად იცოდა სიმართლის საზღაური. გაუგონარი იყო მისი სიმამაცე და თავდადება, როდესაც საქმე ადამიანის ინტერესების დაცვას ეხებოდა; მან საკუთარ ტყავზე გამოსცადა თურქეთის ციხეებში გამეფებული სისასტიკე და დაუნდობლობა, მაგრამ ერთხელ არჩეულ გზას არ უღალატა და თამამად ამხილა ყველა ის მანკიერება, რაც თურქულ სახელმწიფოებრიობას ძირს უთხრიდა. მართლაც, ფასდაუდებელია პოეტის წვლილი თურქეთის პროგრესული განვითარებისაკენ შემობრუნების, მწერლობისა და კულტურის ახალი იდეებით გამდიდრებისა და გაღრმავების, სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბებაში.

მარტო ის რად ღირს, რომ 1949 წელს ნაზიმი ასეთი სიტყვებით მიმართავდა თანამემამულეებს: „ძვირფასო ძმაო, რა სუსტი ხარ, რარიც მშობარა. ყველა სულდგმულზე უზადრუკი და სასაცილო: ვით ლოკოკინა შესაძრომად ეძებ ნიჟარას, მორიელივით ბნელ კუნჭულში დამაღვას ცდილობ, მოუხვეწრობით და სიმფრთხალით ბელურას ჰგავხარ, კაცი კი არ ხარ, – მაგ დუმილით მაგონებ ლოქოს, თან საშიში ხარ, ვით მთვლემარე ვულკანის ხაზა, რომელსაც ძალუქს არემარე ცეცხლით ალოკოს“...

ნაზიმ ჰიქმეთის ღრმად მოქალაქეობრივი პოეზია, ფაქტობრივად, გაგრძელებაა იმ ტენდენციებისა, რომლებიც თურქულ მწერლობაში მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს და უზარმაზარ გავლენას ახდენს ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე, თურქული რესპუბლიკის ფორმირებაზე. თურქმა მწერლებმა, თავდაუზოგავი ბრძოლისა და დიდი გამძლეობის ხარჯზე, უარი თქვეს კანონიერებულ, დამტკამულ სალექსო ფორმებზე, დრომოჭმულ რითმებზე, რომლებიც სრულიად არ იყო ორგანული თურქული ენობრივი სტრუქტურისათვის. მათ გაათავისუფლეს თურქული ლექსი არაბულ-სპარსული ლექსთწყობის, არუზის ტყვეობისაგან და საფუძველი ჩაუყარეს ახალ ლიტერატურას, რომელიც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღებისა და პროგრესის გზაზე თურქი ხალხის გაყვანის სამსახურში უნდა ჩამდგარიყო.

შემთხვევითი არ არის სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებით ნაზიმ ჰიქმეთისა და მის თანამოაზრეთა გა-

ტაცება. კომუნისტური იდეოლოგია, რომელიც საკუთარი უზნეობისა და უმწეობის წინაშე ხელებდაშვებული კაცობრიობის მორიგ ბოდვას წარმოადგენდა, მაგრამ რამაც, თეორიულად, სამყაროს ახლებური ხედვა და ახალი სააზროვნო არხები გახსნა, მრავალმა პროგრესულად მოაზროვნე ინტელექტუალმა იმ დროს შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის ერთადერთ საშუალებად მიიჩნია. საზოგადოდ, რევოლუციური იდეები მუდამ აღიქმება ხოლმე, როგორც ძველის ნგრევისა და ახალი ცხოვრების დაწყების უტყუარი ნიშანი. მან, ამ შემთხვევაში, საფუძველი დაუდო დიდ მოძრაობას, ავანგარდიზმს, რამაც სრულიად ახალი იდეები მოიტანა ლიტერატურასა და ხელოვნებაში. მაგრამ ტოტალიტარიზმის საბოლოო გამარჯვებამ თავისუფალი აზროვნების არხები დაახშო და ეს ყველაფერი ბევრ ქვეყანაში მხოლოდ დიდი კრიზისის დასაწყისი აღმოჩნდა. წინ მრავალი დაბრკოლება იყო გადასალახი, მაგრამ ჯერ მხოლოდ ახლის გაცნობიერების ხანა დამდგარიყო: „ჰეი! მისმინე! ბრიყვო, დაეხსენ მოსაწყენ სიმებს! იგ შენი საზი, ახლა ვილასთვის უნდა ვარგოდეს? – ზედ სამი სიმი, – სამი ბულბული კვენის და ჰგოდებს... დღეს მილიონებს ვერ ააღლევებს, ვერ გააცივნებს, ვერც აატირებს პატარა საზის აქვითინება!.. ეს ცხოვრება წინ მიდის, მიდის, მიედინება... ჩვენ, დღევანდელ დღის გმირნი, მეხოტბენი ხვალისა, ვუმდერთ ძველის ნგრევას და ახლის აღორძინებას..“

ნაზიმ ჰიქმეთის პოლიტიკური ხედვა დროის კონტექსტის ზუსტი და ადეკვატური აღმოჩნდა, ისევე, როგორც მრავალი ადამიანისა, ვინც საკუთარი შინაგანი მრწამსით, ტემპერამენტითა და ტალანტით მზაობას გამოხატავდა ახალ ეპოქასთან შესახვედრად.

საუკუნეზე მეტი დრო დასჭირდა თურქეთს იმ რუბიკონის გადასალახად, რომელიც ხელს უშლიდა, ნაზიმის ლექსებში სრულიად ახალი სალექსო ფორმებით მიწოდებული იდეები ორგანული გაეხადა და გაეთავისებინა. ეს ის იდეებია, რომლითაც დღეს თურქი ხალხი ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისაკენ მიისწრაფის. პოეტის რეაბილიტაციის მიზნით დაწყებული დებატები კი უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია თურქეთისათვის ევროპის სახლის სრულყოფილებიან წევრად გახდომის, მისთვის ასე სასურველსა და რთულ, გზაზე.

2002 წელს, „იუნესკოს“ ეგიდით, მსოფლიო საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ნაზიმ ჰიქმეთის დაბადების 100 წლისთავი. მხატვრული სიტყვის თავყანისცემლებმა ერთხელ კიდევ პატივი მიაგეს დიდი პოეტისა და მოაზროვნის ხსოვნას, თურქმა ხალხმა კი საბოლოოდ დაიბრუნა თავისი უკვდავი შვილი, რომელიც მხოლოდ თურქულად წერდა, ცხოვრების საუკეთესო წლები კი სამშობლოს საზღვრებს გარეთ გაატარა. განუზომელი სევდითა და ლირიზმით არის აღსავსე უცხოებაში დანე-

რილი ნაზიმის ლექსები, რომლებიც მომავლის რწმენისა და განახლების პათოსს ასე ხშირად ენაცვლება: „მდინარის ნაპირას, პატარა ჩანჩქერთან, თითქოს მშვიდ ბუნებას მიენდო, მიბარდა, მტირალი ტირიფი წყლის სარკეს ჩასცქერდა და ტოტებს ჩამოშლილ თმებივით იბანდა“.

კონსტანტინე სიმონოვი ნაზიმის ხსოვნისადმი მიძღვნილ წერილში შენიშნავდა: „ნაზიმ ჰიქმეთის ბიოგრაფია, თავიდან ბოლომდე, მის ლექსებში გაცილებით უკეთ არის გაცხადებული, ვიდრე ჩვენ, ვინც მას ვიცნობდით, ძალგვიძს მის შესახებ ლაპარაკი. მისი ბიოგრაფია მოთხრობილია, აგრეთვე, მის პროზაში, პიესებში, მაგრამ მის ლექსებში შეუდარებლად კარგად არის ასახული, რადგან ის, როგორც პროზაიკოსი, ნიჭიერი იყო, როგორც დრამატურგი – ბრწყინვალე, როგორც პოეტი კი – დიდებული“.

ნაზიმ ჰიქმეთი 1902 წელს სალონიკში (თესალონიკი, იმხანად თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო) დაიბადა, სადაც მამამისი, დიპლომატიურ სამსახურში იმყოფებოდა: „მე 1902-ში დავიბადე, აღარასოდეს მივბრუნებულვარ იმ ადგილებში, სადაც დავიბადე. არ მიყვარს უკან მიბრუნება. სამი წლისა, ალუპოში, ფაშას შვილიშვილის როლში ვიყავი. ცხრამეტი წლისა, უკვე სტუდენტი, მოსკოვის კომუნისტურ უნივერსიტეტში. ორმოცდაცხრიდან ისევ მოსკოვში, პარტიის ცეკას სტუმარი ვარ, თოთხმეტი წლიდან კი პოეტად ვარ ჩარიცხული პოეზიაში“...

ნაზიმ ჰიქმეთის წინაპრები პოლონელები იყვნენ. პაპამისმა ნებაყოფლობით მიიღო ისლამი და თურქეთის იმპერიის მიერ წარმოებულ ომებში აქტიურად მონაწილეობდა. ნაზიმი სტამბოლში აღიზარდა და იქ მიიღო საშუალო განათლება. დედა, აიშე ჯალილა

მხატვარი იყო. ხატვისადმი სიყვარული ნაზიმს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. იგი თვითონაც კარგად ხატავდა და არაერთი საინტერესო პეიზაჟი და პორტრეტი შექმნა. ბაბუა კი, ლექსებს წერდა და მწერალთა წრეში ტრიალებდა.

ნაზიმ ჰიქმეთს სიცოცხლის ბოლომდე ყურში ჩაესმოდა ბებუის დაბალ ხმაზე ნამღერი ლაზური იავანანა, და ქართველ კოლეგებსა და მეგობრებთან შეხვედრისას შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ ეს ფაქტი არ აღენიშნა.

მომავალი პოეტი უკვე ბავშვობიდან მწერლობისადმი დიდ სიყვარულსა და სიტყვისადმი ფაქიზ დამოკიდებულებასა ეზიარა, რაც ისეთი სკოლა აღმოჩნდა, რომელიც შემდგომში ვერავითარმა სასწავლებელმა ვერ შეცვალა.

ნაზიმმა ადრე დაიწყო ლექსების წერა. 14 წლისა უკვე გამართული პოეტური სტრიქონების ავტორი იყო. 17 წლისამ კი პირველი კრებული გამოაქვეყნა. ეს კრებული ბაქოში დაიბეჭდა. ნაზიმი მცირე ხნით „გალათასარაის“ ფრანგულ ლიცეუმში სწავლობდა, შემდეგ კი, მიუხედავად პოეზიით გატაცებისა, საზღვაოსნო სასწავლებელში



ნაზიმ ჰიქმეთი



ჩააბარა, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოკავშირეთა მიერ სტამბოლის ოკუპაციისა და ავადმყოფობის გამო, სწავლა ვერ დაასრულა.

ნაზიმ ჰიქმეთის შემოქმედებაზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა თეატრით გატაცებამ. როგორც კი დროს მოიხელთებდა, მაშინვე სტამბოლის თეატრში დადგმულ სპექტაკლებს ესწრებოდა: „სად და როდის ვნახე პირველად თეატრი?“ – კითხულობს პოეტი და ამ კითხვას ამგვარად პასუხს: „თუ შეიძლება, რომ „ყარაგიოზს“ თეატრი ვუნოოდოთ, სტამბოლში, რვა წლისამ, დღესასწაულის დროს“.

მომავალ დრამატურგზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, სტამბოლში ნანახმა ოპერეტამ. შემდეგ კი დრამატული თეატრის სპექტაკლებით ტკბობის ხანა იწყება ...

იმ დროს თურქი მსახიობი ქალის ცნება საერთოდ არ არსებობდა. რელიგია კრძალავდა სცენაზე ქალის გამოსვლას. ამ და სხვა გარემოებათა გამო, თანამედროვე თურქეთის დრამატული თეატრის, ოპერისა და ოპერეტის სათავეებთან დიდი სომეხი მსახიობები დგანან, რომელთა შორის, ბუნებრივია, ქალებიც გვხვდებით: მანაკიანი, ფაფაზიანი, ბენემჯიანი და სხვ. ნაზიმს პირველი ნახვისთანავე შეუყვარდა მშვენიერი მსახიობი ქალი ელიზა ბენემჯიანი და ყოველ საღამოს „დარულბედაის“ დრამატულ თეატრში ატარებდა. უნიჭიერესი არტისტის ოსტატობითა და სილამაზით შთაგონებულმა პოეტმა გადამწყვიტა თვითონაც ეცადა ბედი დრამატურგიაში და პიესა დაენერა. იმდროინდელ თავის განცდებს ასე იგონებს ნაზიმ: „მე გამოვედი თეატრიდან. უნდა დავნერო პიესა, – ვუთხარი საკუთარ თავს. სხვა გამოსავალი არ გამაჩნია, პიესა უნდა შევქმნა; მხოლოდ ასე შევძლებ მასთან დაახლოებას. მაგრამ პიესის დაწერა ამქვეყნად ყველაზე რთულ საქმედ მიმაჩნდა. პიესის დაწერა, შემდეგ „დარულბედაისთვის“ შეთავაზება, შემდეგ პარტერის პირველ რიგში ჯდომა, არა, ავტორთა ლოჟის მარჯვენა მხარეს, და იმის ექტერა, თუ როგორ თამაშობს ელიზა ჩემს სპექტაკლში. გადავწყვიტე პიესა ლექსად დამეწერა. მაგრამ რაზე? რა თქმა უნდა, სიყვარულზე. ასე დაიბადა ჩემი პირველი პიესა, სახელწოდებით „ცეცხლთან“.

ჰიქმეთმა პიესა კი დაასრულა, მაგრამ მისი დადგმა აღარ დასცალდა. თუმცა თეატრითა და სომეხი მსახიობით დიდმა გატაცებამ ნაზიმს, როგორც ჩანს, მთელი სომეხი ერისადმი განსაკუთრებული სიმპათია შთაუნერგა. შემთხვევითი არ არის, რომ ნაზიმ ჰიქმეთი პირველი იყო, ვინც გააპროტესტა 1915 და 1922 წლებში თურქების მიერ სომეხთა მიმართ ჩადენილი გაუგონარი სისასტიკე. აღსანიშნავია, რომ შარშან თურქმა მწერალმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ორჰან ფამუქმა შეედღური ჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, თითქოს მის გარდა ვერავინ გაბედა იმის აღიარება, რომ 30 000 ქურთი და ერთი მილიონი სომეხი იქნა გაჟლეტილი თურქების მიერ. ფამუქი მხოლოდ მსოფლიო საზოგადოებრიობის მხარდაჭერამ და თანადგომამ იხსნა ხანგრძლივი პატიმრობისგან. ნაზიმ ჰიქმეთი კი, მართლაც, პირველი იყო ვინც, რეაქციის ბატონობის ხანაში თავისი ხალხის ყველა მანკიერება, რომელიც მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ფონით იყო განპირობებული და მათ შორის სომე-

ხებისადმი უსამართლო დამოკიდებულება, სააშკარაოზე გამოიტანა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ახალი ქვეყნის, თანამედროვე თურქული სახელმწიფოს აშენება.

1920 წელს ნაზიმ ჰიქმეთი თურქეთის კომუნისტური პარტიის წევრი ხდება. 1921 წელს კი ანკარაში, ათათურქთან მიემგზავრება და ანატოლიის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში აქტიურად ერთვება. იმავე დროულად, ბოლშევი, პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს.

იმავე წელს ნაზიმ ბათუმში ჩამოდის და სასტუმრო „ფრანციაში“ ჩერდება: „დღეში ორჯერ სიმინდის ფაფას მივირთმევედი ას გრამ პურთან ერთად და ფეხსაცმლის ხის ლანჩების კაკუნით მიტინგებზე დავდიოდი; ვმუშაობდი გაზეთ „წითელ პროფკავშირებში“, რომელსაც თურქეთის კომუნისტური პარტიის საზღვარგარეთის ბიურო უშვებდა, და ვკითხულობდი ფრანგულ პიესებს, რომლებიც „ილუსტრასიონის“ სერიით გამოდიოდა. ისინი მრავლად – ასე ორმოცდაათი ცალი, იქნებ უფრო მეტიც, ჩემი ნომრის კარადაში აღმოვაჩინე. ყველა მათგანი 1914 წლამდე იყო გამოქვეყნებული. ექვსი თვე ვცხოვრობდი მაშინდელი ფრანგული ბულვარული თეატრებისა და ფრანგული ვოდევილების ატმოსფეროში. მაშინ შევიცანი არა მხოლოდ ფრანგული წერილი და მსხვილი ბურჟუაზიის შინაგანი ბუნება, არამედ დრამატურგიის ზოგიერთი საიდუმლოც“ – წერს ნაზიმ. მის მიერ ბათუმში გატარებული დღეების მოგონება საინტერესო შტრიხია თანამედროვეობისათვის გასული საუკუნის დასაწყისში აჭარის დედაქალაქში გამეფებული ატმოსფეროს წარმოსადგენად.

1922 წელს ნაზიმ ჰიქმეთი მოსკოვში ჩადის და კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება – სოციალოგიასა და ეკონომიკას ეუფლება, და აქტიურად ერთვება დედაქალაქის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში; განსაკუთრებით თეატრების ხშირი სტუმარია. მოსკოვში პოეტმა მაიაკოვსკი გაიცნო, რომელმაც მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და მთლიანად შეცვალა პოეზიისადმი მისი დამოკიდებულება. შემთხვევითი არ არის, რომ პოეტური ტემპერამენტით, ძლიერი შინაგანი მუხტითა და რეფორმატორული სულისკვეთებით ნაზიმ ჰიქმეთს ხშირად ვლადიმერ მაიაკოვსკის ადარებენ.

მიუხედავად ამისა, ერთ-ერთ ბიოგრაფიულ ნარკვევში ნაზიმ აღნიშნავს: „საბჭოთა თეატრის გავლენა ჩემს პოეზიაზე მეტია, ვიდრე საბჭოთა პოეზიისა. თეატრში ვგულისხმობ არა მარტოდენ დრამატურგიას, არამედ რეჟისორებს, მსახიობებს, მხატვრებს“. ბუნებრივია, დიდი შემოქმედებითი პოტენციალი და ფართო ინტერესების მქონე პოეტი გულგრილი ვერ დარჩებოდა იმ უზარმაზარი კულტურული პლასტის მიმართ, რომელიც მარტოდენ რუსეთს კი არა, დასავლეთ ევროპის კულტურულ ცხოვრებას ასაზრდოებდა. ცნობილია, რომ მოსკოვში თავი მოიყარა რეჟისორების, მხატვრების, პოეტების, მწერლების, კრიტიკოსების, მსახიობების საუცხოო პლენადამ, ვინც მეოცე საუკუნის აზროვნების სათავეებთან იდგა და საფუძველი ჩაუყარა მთელ რიგ ახალ მიმდინარეობას ხელოვნებასა და მწერლობაში.

ნაზიმ ჰიქმეთმა მოსკოვში აქტიურ დრამატურგიულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. მისი პიესები იდგმებოდა კი-

დეც ვსევლოდ მიერხოლდის თეატრში. რეჟისორ ნიკოლაი ეკთან ერთად კი მან თეატრალური არტელიც შექმნა, სახელწოდებით „ცოცხი“, რომელიც პირველი და უკანასკნელი აღმოჩნდა ამ ტიპის დაწესებულებებიდან. მან ექვსი თვე იარსება და ნაზიმს დრამატული ნაწარმოებების შექმნის სურვილი გაუძლიერა.

მიუხედავად სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრებისა, პოეტს გული მაინც სამშობლოსაკენ მიუწევდა.

1924 წელს ნაზიმ ჰიქმეთი თურქეთში დაბრუნდა, მაგრამ მალე, მემარცხენე ორიენტაციის ჟურნალში თანამშრომლობის გამო, დაპატიმრებულ იქნა. პოეტმა გაქცევა მოახერხა, რუსეთში ჩავიდა და განაგრძო დრამატული თხზულებებისა და ლექსების წერა. 1928 წელს ნაზიმი, უვიზოდ, კვლავ სამშობლოში გაემგზავრა. აქ მან ათი წელი დაჰყო და ლექსების ცხრა კრებული, ხუთი რჩეული და ოთხი პიესა გამოაქვეყნა. ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას, მუშაობდა კორექტორად, თარგმნიდა, წერდა სცენარებს ფილმებისათვის. მუდმივი დევნისა და დაჭერების მიუხედავად, ნაზიმ ჰიქმეთი პოეზიის ერთგული დარჩა. მან 17 წელი გაატარა ციხეში, მაგრამ ლექსების წერა არ შეუწყვეტია, მიუხედავად იმისა, რომ პოეტურ ენაზე ნათქვამმა სიმართლემ მრავალი უბედურება მოუტანა. პოეზიას ნაზიმმა „ხელოვნების დარგებს შორის ყველაზე სისხლიანი უწოდა“: „მე პოეტი ვარ. ჩემი სტვენა, ფოლადს ჩამოჰკავს, ელვასავით ერჭობა სახლებს. ჩემი თვალეები ორას მეტრზე არჩევს ორ ხოჭოს, ერთმანეთს რომ შერკინებინან. და ამ თვალეებმა ღამის ნკვარამსა და სიცივეში როგორ არ ნახონ ორფეხათა ორად გახლეჩა?“

1938 წელს ნაზიმ ჰიქმეთს ისევ აპატიმრებენ ანტიფაშისტურ მოძრაობაში მონაწილეობისა და ფრანკოს წინააღმდეგ ორგანიზებული გამოსვლების გამო. თერთმეტი წლის შემდეგ ინტერნაციონალური კომიტეტი, ჟან-პოლ სარტრისა და პაბლო პიკასოს აქტიური მონაწილეობით, იწყებს ბრძოლას ნაზიმ ჰიქმეთის გასათავისუფლებლად. 1950 წელს, ხელისუფლების გამოცვლასთან ერთად, გენერალური ამნისტიის გამოცხადებისას, პოეტს ციხიდან უშვებენ და იგი, ოჯახის – მეუღლისა და ვაჟიშვილის გარეშე, რუმინეთში მიემგზავრება, რადგან ცოლ-შვილს არ მისცეს თურქეთის დატოვების უფლება. იმავე წელს, პაბლო ნერუდასთან ერთად, ნაზიმ ჰიქმეთს მშვიდობის საერთაშორისო პრემია ენიჭება. ამ დროს მისი ნაწარმოებები უკვე მსოფლიოს ოცდაათ ენაზეა თარგმნილი.

1951 წელს ნაზიმ ჰიქმეთი ხელახლა აფარებს რუსეთს თავს. „მოსკოვის ვნუკოვოს აეროდრომზე სამგზავრო თვითმფრინავი დაემშვა. თვითმფრინავს ხალხის ტალღა მოაწყდა. კარი გაიღო და ზღურბლზე მაღალი, თვალტანადი ვაჟკაცი გამოჩნდა. იგი ერთი შეხედვით, ცისფერი თვალეებით, ქერა თმითა და სახის იერსახით ქართველს ჰგავდა. – ნაზიმი!... ნაზიმ ჰიქმეთი!... –

აჩურჩულდა ხალხი. ჩვენ ყველანი ჰიქმეთის შესახვედრად ვიყავით მისულნი. ბედნიერების ღიმლით განათებული სტუმარი კიბეზე ჩამოვიდა. ჩვენს შორის იდგა საოცარი ვაჟკაციური სილამაზის მქონე, ტანად ბრვე ადამიანი. იგი ყვავილების ზღვაში იძირებოდა და დამხვდურთა ხელის ჩამორთმევასა და კოცნას ველარ აუდიოდა. რუს პოეტებთან ერთად მეც მხვდა წილად მეგობრულად შეხვედროდი მოსკოვში თურქეთის უდიდეს პოეტსა და მოქალაქეს – ნაზიმ ჰიქმეთს“ – იგონებს გრიგოლ აბაშიძე.

ნაზიმ ჰიქმეთს თურქეთის მოქალაქეობა ჩამოართვეს და სიცოცხლის დარჩენილი წლები, ძირითადად, საბჭოთა კავშირში, ვარშავასა და სოფიაში გაატარა. ავადმყოფობის მიუხედავად – პოეტს გული ანუხებდა – ბევრს მოგზაურობდა. იყო აფრიკაში, ჩინეთში, კუბაზე, პარიზსა და რომში. საქართველოს პოეტი რამდენჯერმე ეწვია. იგი ძალზე პოპულარული პიროვნება იყო. მას ყველგან, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, აღფრთოვანებით ხვდებოდნენ...

1952 წელს შესანიშნავმა თურქოლოგმა ვახტანგ კეკელიძემ თარგმნა ნაზიმ ჰიქმეთის რჩეული ლექსები. წიგნი გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა მწერლობა“. კრებულმა დიდი წარმატება მოუტანა მთარგმნელს, ხოლო ნაზიმი ქართველი ახალგაზრდების საყვარელ პოეტად იქცა.

1954 წელს, მარჯანიშვილის თეატრში წარმატებით დაიდგა ნაზიმ ჰიქმეთის პიესა „ლეგენდა სიყვარულზე“. პრემიერას ნაზიმი არ დასწრებია, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ საგანგებოდ ჩამოვიდა სპექტაკლის სანახავად. მას დადგმა ძალზე მოსწონებია და სცენაზეც ასულა შთაბეჭდილებების გასაზიარებლად. თვითმხილველებს ახსოვთ, როგორ ღელავდა ნაზიმის პირადი ექიმი, ყველგან რომ დაჰყვებოდა, როდესაც სცენაზე საუბარი გაუგრძელდა და ძალზე ემოციური გამოსვლა გამოუვიდა. ნაზიმ ჰიქმეთი მკაცრ რეჟიში იმყოფებოდა და მისთვის ზედმეტი დატვირთვა არ შეიძლებოდა. საქართველოში იგი თითქოს შინ გრძნობდა თავს – ისე გალალდა, ავადმყოფობა სულ გადაავიწყდა: „მე გულზე თხუთმეტი ჭრილობა მატყვია, თხუთმეტი შავგარა დანა მაქვს გაჩრილი, მაგრამ გულს ვერ მოკლავს ფოლადი და ტყვია, – მაინც ძგერს და მუდამ იძვრება დაჭრილი!“

50-იან წლებში ქართველი ახალგაზრდობა გატაცებით კითხულობდა ნაზიმ ჰიქმეთის ლექსებს. ხშირად გაიგებდით ზეპირად წარმოთქმულ პოეტის უკვდავ სტრიქონებს, რომლებიც ფრთიან ფრანზად იქცა: „მე თუ არ დავინვი, შენ თუ არ დავინვით, ჩვენ თუ არ დავინვით, ბნელს რა გაანათებს?!...“

ნაზიმ ჰიქმეთი 61 წლისა სამშობლოს მონატრების სევდით, გადაულახავი ნოსტალგიითა და რევოლუციური იდეებით განზილებული დაინვა და ჩაიფერფლა. პოეტი 1963 წელს მოსკოვის კლინიკურ საავადმყოფოში გულის მწვავე შეტევით გარდაიცვალა.

## ანონსი

ჩვენი ჟურნალის მომდევნო, 2 თებერვლის ნომერში დაიბეჭდება

ფრიდონ ხალვაშის

მომგონება ნაზიმ ჰიქმეთთან

როსტომ ჩხეიძე

# წმინდანი, ორეული, პოეტების კაზინო

\*

ტომას ჩატერტონის  
სადღეგრძელო

რესტორნის სახელწოდებანი ხან ლექსის სათაურივით გახშირდებოდა.

თვით მეპატრონე შეარქმევდა ასე – გულწრფელად თუ წამხედურობით.

ან პოეტები დაარქმევდნენ და, აბრაზე რაც გინდა, ის წერებულები, თვითონ ყოველთვის ამ მეორე სახელით მოიხსენიებდნენ.

პაროლივით ექნებოდათ.

ცისფერყანწლები აბრას უკვე აღარც შეხედავდნენ, „პოეტის კარიერას“ როდესაც ახსენებდნენ. იქნებ მართლა ასე შეარქმეოდა იმ რესტორანს. იქნებ თვითონ ამათ მოეგონებინათ. ან რა მნიშვნელობა აქვს ჩაძიებას – მათთვის ასე ერქვა და ასე.

ეგაა, აქ, ამ გარემოში ყოფნას განსაკუთრებულად აფასებდნენ.

თვით სახელწოდება უბიძგებდათ საამისოდ:

„პოეტის კარიერა“.

და ეს კარიერა კი სიგიჟესა და თვითმკვლელობას გულისხმობდა.

პოეტისათვის სხვა კარიერა, უკეთესი, ვერც წარმოედგინათ.

ედგარ პო თუ ფრანგი დაწყველილი პოეტები დაუსახავდნენ მათაც ამ იდეალს და ამ მოჯადოებულ წრეში იტრიალებდნენ სიგიჟისა და თვითმკვლელობის განმადიდებელნი, ერთსაც და მეორესაც ძალიან და ძალიან რომ უფროსობდნენ და ერჩივნათ ექსტაზი მარტოდენ სიტყვაში დაეღვარათ.

და, აი, იმ დღესაც „პოეტის კარიერაში“ იხარჯებიან ერთმანეთისა თუ განთქმულ უცხოელთა დითირამებად.

სადღეგრძელოს თქმის უფლებას ითხოვს ვალერიან გაფრინდაშვილი.

ისე წამოდგება, სასმისსაც ისე თავმოძნონედ მოიმარჯვებს, უკვე მიხვდებიან, რაღაც ახალსა და განსხვავებულს წარმოთქვამსო.

ის დაახანებს, ამძაფრებს ცნობისწადილს, ამძაფრებს, ამძაფრებს და გაჭიანურებულ მოლოდინს დაავიწყებინებს... ტომას ჩატერტონის შესახებ.

სუფრაზე განმარტება არავის სჭირდება, თუ ვინ არის ჩატერტონი.

იმასაც მაშინვე მიხვდებიან, რომ მხოლოდ პოეტური გენიისათვის არ ერგებოდა თვრამეტი წლის ასაკში აღ-

სრულეულ ინგლისელს ასეთი პატივი – არა ხსენება საწადიმო საუბრებისას, არამედ საგანგებო სადღეგრძელო.

მხოლოდ იმ ერთ დღეს?

აღბათ არა. ვალერიან გაფრინდაშვილი სხვა დროსაც წამოდგებოდა ამ უჩვეულო ტოსტით, ამყოლებსაც ყოველთვის აიყოლებდა, და თუ უცვლელად არ დამკვიდრდებოდა ჩატერტონის სადღეგრძელო ქართულ სუფრაზე, სადღეგრძელოთა ისტორიაში მაინც ნუ გამოგვრჩება ეს ორიგინალური წუთები.

მხოლოდ პოეტური გენიისათვის არ ერგებოდაო...

ეს ტრაგიკული ჭაბუკი „დაისების“ შემოქმედის თვალში წარმოსდგებოდა პოეტების კაზინოს საპატიო თავმჯდომარედ, ვის აწრდილსაც წელიწადში ერთხელ ახლაც ურიგებდნენ კარტს.

ასე გახდოდა მითოსური ციკლის მონაწილედ და კაზინოსაც ისეთი შარავანდით შებურავდა, თითქოს პარნასს სხვა უკეთესი სანახაობა არც მოეძვევებოდა.

მითოსურ გმირად ხომ იგულისხმებდა, და, ამავე დროს, დააფასებდა როგორც პოეტური მითის შემქმნელსაც: გამოიგონა მე-14 საუკუნის პოეტის როულის მითი.

აზნაურთა გამოგონება გაადვილებულიყო, აშორდისა შემდგომ ეს ვილას გაუკვირდებოდა, მაგრამ პოეტის? ეს გაცილებით საძნელო საქმე გახლდათ და ამიტომაც მოიხსენიებდა ვალერიან გაფრინდაშვილი მონინებით აქ გრიგოლ რობაქიძეს – ფანტასტიკური წინაპრის ირრუბაქიძის მითის შექმნისათვის, და იქ – ტომას ჩატერტონს.

რობაქიძეს სულიერ სიმხნევებს შემატებდა თავისი პოეტური ორეული.

ჩატერტონს მძიმე ტვირთივით დააწვებოდა და საბოლოოდ კიდევ გასრესდა.

ეს ვინ შეიძლება იცოდეს, მართლა როულები გასრისა თუ არა თავისი შემოქმედი – ფრანკენშტაინისა და მისი საზარელი ქმნილების მტრული ურთიერთობისა არ იყოს, მაგრამ „დაისების“ ავტორი სწორედ ასე გაიაზრებდა ამ ფანტასტიკურ შეხვედრას პოეტისა თავის მითოსურ ორეულთან. იმ ვერსიას გაიზიარებდა, რომ იმ საბედისწერო ღამეს როულის აწრდილი გამოეცხადებოდა ჩატერტონს, მთელი სხეულით აღმართებოდა თვალწინ კოშმარულ ხილვებში, დაემუქრებოდა მიზრაფის ჩონჩხით და თვითმკვლელობის რუკასაც დაუტოვებდა.

ბედისწერის განჩინებას როულის სახე მიეღო და გარდუვალობას ვერც ჩატერტონი გადაუვიდოდა – ისედაც გატანჯული, გაუბედურებული, მათხოვარივით მორული და ბანქოს თამაშში შთანთქმული. იქ იოკებდა და ველარც იოკებდა აზარტის ჟინს და მისი სახება რომ აემაღლებინათ, პოეტების კაზინოს საპატიო თავმჯდომარედ მონათლავდნენ.

სხვა რა ელონათ.

თანაგრძნობის ხელი შორიდან, აბა, სხვაგვარად როგორ გაენვდინათ!..

და შეისმოდა „პოეტის კარიერაში“ ტომას ჩატერტონის სადღეგრძელო – თვითმკვლელისა და პოეტისა. და კიდევ – აზარტული მოთამაშისა და ყალბი ფულის მჭრელის.

ესეც პოეტის ლეგენდის ნაწილი გახლდათ.

\*\*\*

განახლებული „ჩვენი მწერლობის“ პირველი ნომრი-სათვის ჯუზეპე მაძინის სტატიას ვამზადებთ გამოსაქვეყნებლად: „ალფრედ დე ვინის „ჩატერტონის“ იტალიური თარგმანის წინასიტყვაობა“ – დალი ინკირველის მიერ ასე ჩინებულად თარგმნის, და სხვადასხვა ინგლისურ გამოცემაში ტომას ჩატერტონის სურათს დავეძებ. გადავჩხრიკე ლიტერატურის ისტორიის რამდენიმე ჩინებული გამოცემა, უხვად ილუსტრირებული, ეს კიდევ ქრესტომათიებიო, ეს კიდევ ანთოლოგიებიო... ვერსად ვერაფერს ვაგნებ და მიკვირს: ნუთუ არავის დაუხატავს? ნუთუ ასეთი მძაფრი და ამალეღვებელი თემა მხატვართა მზერის მიღმა დარჩა? – და გუნებაში ვსაყვედურობ ყველას ერთად: რა ინტერესებთ ნეტავ?..

მაგრამ პუბლიკაციას აუცილებლად ესაჭიროება მხატვრული გაფორმება და კარლო ფაჩულიას ვთხოვ ისეთი ნახატის მოძებნას, სტატიის განწყობილებებს რომ ეხმაურებოდეს: ან თვითმკვლევლობის სცენა იყოს, ან ტავერნები თუ საეჭვო ადგილები, თავისი აზარტული თამაშებით. სჯობს, თუ ინგლისელი მხატვრისას შეარჩევ, თუმც მინცდამაინც აუცილებელი არ არის. ევროპელი იყოს.

ჩემი მხრივ ამასობაში კიდევ რამდენიმე გამოცემას გადავსინჯავ. იმედი უკვე აღარ მაქვს, მაგრამ მაინც...

გაგიგონია?..

კარლოს ალბომი მოაქვს.

– რა ვიცი, მაინც ეს ვიფიქრე. თვითონ ნახატი შესანიშნავია, თან თვითმკვლევლობის სცენაა.

– რომელი მხატვრის?

– ნაკლებად ცნობილია – ჰენრი უოლისი, XIX საუკუნეში ცხოვრობდა, თუმცა მეოცე საუკუნეში მოესწრო.

და ალბომს გადამიშლის.

ტახტზე გულაღმა გდია ყმანვილკაცი, ცალი ხელი იატაკზე გადმოსთრევს, სარკმლის ცალი ფრთა შეღებულია.

თითქოს ტომას ჩატერტონის სიკვდილის სცენააო.

მიხარია, რომ სტატიის განწყობილებასა და თემას ასე ზუსტად მიესადაგება და წარწერას გადავავლებ თვალს.

„ჩატერტონის აღსასრული“ – იუნყება წარწერა.

თუ გინდა, თვალებს ნუ დაუჯერებ.

დუმილი საკმაოდ ჭიანურდება... ჭიანურდება და კარლო შეფიქრიანდება: ეტყობა, ძალიან არ მომიწონა არჩევანი, ოღონდ ეხათრება და უარი პირდაპირ არ მომახალაო, – ამიტომაც სასწრაფოდ ამიხსნის, რომ ძებნას კვლავაც გააგრძელებს, ბოლოსდაბოლოს, დრო ხომ კიდევ გვაქვს, და უმთავრესად მაინც ტავერნებისა თუ საეჭვო ადგილების ილუსტრაციებს მოიტანს, ერთს კი არა, რამდენიმესაც, არჩევა რომ გადავიღდეს.

სიტყვები მესმის, მაგრამ შინაარსს მკაფიოდ ვეღარც ვარჩევ.

ნახატი რაღაც დიდი კატასტროფის სულით გაჟღენთილია.

ჩატერტონის აღსასრული – გვიდასტურებს ჰენრი უოლისი.

კარლო უკვე კართანაა.

– ტავერნებისა შესანიშნავი ნახატები არსებობს. აზარტული თამაშებიც ისე ოსტატურად გამოუხა-

ტავთ... რატომღაც თვითმკვლევლობის სცენა ვამჯობინე, თორემ...

– მოიცა, რისი ტავერნები, რა საეჭვო ადგილები.

ყმანვილკაცს ხელი გადმოსთრევს იატაკზე, უღონო, უსიცოცხლო.

თვრამეტი წლის წმინდანო – ლაღადებს ჯუზეპე მაძინი – თვით პოეზიის სიმბოლო და ცით მოვლენილი ანგელოზიო.

და ბრალს დასდებდა საზოგადოებას მის თვითმკვლევლობაში: მნიშვნელობა არ გააჩნია, იარაღმა გამოიწვია ეს სიკვდილი, შიმშილმა თუ დამცირებამო.

... შინ რომ ვბრუნდები და აღტაცებული ვყვები, რა მოულოდნელად გამოჩნდა ჩატერტონის სურათი, იდუმალების რა უცნაურმა განჩინებამ შესთავაზა კარლოს მაინცდამაინც ეს ნახატი, უეცრად მამაჩემი მეტყვის:

– ის ხომ არ არის, გულაღმა რომ გდია ტახტზე, ცალი ხელი იატაკზე გადმოსთრევს და სარკმელი... მგონი სარკმელია გაღებული... ხომ არ მეშლება?

დღეს ადამიანებს აღარ შესწევთ დიდი საქმის აღსრულების უნარიო – მოსთქვამს ჯუზეპე მაძინი – მეცნიერებაში უთანხმოება სუფევს და აზრი უნაყოფოდ რჩება, სერიოზული გამოკვლევები აღარ ტარდება და ლიტერატურაშიც სასიკვდილო დაღლილობა გამეფდა მას შემდეგ, რაც ფეხქვეშ გაითელა გენიოსის ბუნებრივი უფლებები, ცხოვრებაზე მატერიალიზმი გაბატონდა და მდაბალ ანგარებას ფილოსოფიის ნიღაბი მოარგეს, გულგრილობა სიბრძნედ მონათლეს, პოეზია კი ცხოვრებიდან გააძევეს და წამიერ გასართობად აქციესო.

გენიოსის უფლებებიო...

ადამიანის უფლებანი ილახებოდა.

და გენიოსისა – მითუფრო.

ჯერ კიდევ როდის და სად გამოიტირა მაძინიმ პოეზიის დაცემა, მისი გავლენის შეზღუდვა, ლიტერატურის ძველი იდეალების დათმობა, შთაგონების გზის დახშობა, შემოქმედებითი უნარის დასუსტება, ფანტაზიის ამონურვა, გულქვაობის, პირმოთნეობის, მონური მიმბაძველობის გამეფება და ლიტერატურის სამყაროს წაღვეკვა წესებით, პოეტიკით, დიდაქტიკური თხზულებებით, რითმისმთხველობით, უსულგულო კრიტიკით, უმიზნო მჯღაბნელებით, ზნედაცემული ადამიანებით, მცირერიცხოვან ტალანტთა სანამებლად რომ გაჩენილიყვნენ.

ეს სასტიკი იერიში პოეზიის წინააღმდეგ უკვალოდ ვერ ჩაივლიდა და ყოვლით ხელაღუპრობელი მოჩანს ამ მწუხარე ლაღადისის ავტორი: საბოლოოდ დასამარდა იტალიური სიტყვიერება, ქარს გაჰყვა ჩვენი დიადი მამის დანტეს მემკვიდრეობაო.

რეალობა ასეთი წარმოისახება ცრემლით დაბინდული თვალით, თორემ პოეტური სიტყვა არც იტალიაში გადაეგებოდა და არც სხვა ქვეყნებში, სადაც ერთხელ მაინც ამოქმედებულა პოეზიის გულისცემა, და ქარს არც დანტესა და დანტეთა მემკვიდრეობა გაჰყვებოდა ასე იოლად.

ძალმომრეობა, კრიზისი, თუნდაც საკმაოდ გახანგრძლივებული, ვერასოდეს იქცევა პოეზიის დამსამარებლად.

თუმცა ვერ იქცევა იმიტომ, რომ ყოველთვის გამოჩნდებიან ამ მუზისადმი მსხვერპლად შენიღული ადამიანები, რომელნიც თავიანთი ბედისწერით ყოველთვის შეახსენებენ საზოგადოებას, რომ ყოფითობის გვერდით არსებობს სულიერი ღირებულებანი და უფლისაყენ სვლის აუცილებლობაც.

აღფრედ დე ვინიც მათ შორის აღმოჩნდებოდა, ვინც თავის დრამას იმ სულთა ამონაკვნესად გამოჰკვეთდა, საკრალური უბედურებისათვის რომ არიან განწირულნი, „თუმცა ყველას თანაუგრძობენ, თვითონ კი ვერსად ჰპოვებენ ნუგეშს, მსოფლიო ნალველს დაატარებენ გულით და მათი მწუხარება მაინც გაუზიარებელი რჩება. „ჩატერტონი“ ყველა ცნობილი და უცნობი პოეტის შეუპოვარი გულიდან აღმომსკდარი პროტესტია, იმ მგოსანთა გოდება, მწირი სიმარტოვისათვის რომ გაიმეტა ხარბმა და დამცინავმა საზოგადოებამ...“

ვინც თავს ესხმოდა ჩატერტონის (საერთოდ, მწერალ-წამებულთა) სახელს, დე ვინის დრამისათვის სახელის გატეხვასაც შეეცდებოდა და მაძინი კი, გამოქმნაგებისას, ამასაც დასძენდა: თითქოს ათასობით ჩატერტონი არ არსებობდეს და თითქოს ამ სიმბოლოს დამხობით წამებული პოეტის იდეასაც დაამხობდნენ, გააქარწყლებდნენ იმ მონოდებას, რომ გლოვა გემართებს უმადურობისა და ეგოიზმის გამო, თუ გვსურს, რომ მომავალი თაობები არ იმსხვერპლოს ამ მოუნანიებელმა სირცხვილმაო.

იტალიური გამოცემის წინასიტყვაობაში ძალუმად გადმოღვრილა აღფრედ დე ვინის დრამის ექსპრესია და ვნება და მაძინის სტატიაც თითქოს ცეცხლის მხურვალეობაში გამოწრთობილაო – პოეზიის სიმძაფრე მოსდევს და საუკეთესო პოეტურ ქმნილებებსაც შეუტოლდება ექსტაზით. პოეტსა და პოეზიას სხვაგვარად ვერც დაიცავ, ვერც უპატრონებ, ვერც უჭირისუფლებ, ვერც ასეთი დარწმუნებით მოუწოდებ კაცობრიობას – შეარიგეთ პოეტი სიცოცხლესთან და დაუთმეთ მას სამოქმედო ასპარეზო:

„განა მზე თანასწორად არ მოჰყვინს ყოველ სულდგმულს თავის ცხოველმყოფელ სხივებს? მაშ ზნეობრივ სამყაროსაც დავუბრუნოთ სულიერი მზე. პოეზია – სინმინდია, ის პოეტის სულში ჩაკეტილი ყალბი გამონაგონი კი არ არის, არამედ ის ჰაერია, რომლითაც უნდა ვსუნთქავდეთ; ის სამყაროს აზრია და შესაქმის სული, თუ მას სამყაროდან გავაძევებთ, სივრცე, რომელშიც ვცხოვრობთ, უზარმაზარ მკვდარ მექანიზმად იქცევა, შესაქმე კი უსიცოცხლო ჩონჩხს დაემსგავსება“.

ნიშანდობლივია, რომ წინასიტყვაობის ფინალში პოეზიასთან ერთად მუსიკაც იხსენიება, როგორც მისი ღვიძლი და; და ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსის დასასრულსაც უნდა ამომზევდეს მუსიკა.

კიდევ არ არის სიმფონია „ჩატერტონი“, მაგრამ იქნებაო, – ეს ფიქრი განმსჭვალავს ქართველ პოეტს, როდესაც თვალდათვალ შეჰყურებს საუკუნუნახვერის წინათ აღსრულებული თანამოკალმის შავი კატაფალკის სვლასა და მის გვერდით ადევნებულ ნოსტრადამუსს. და თუკი იქნება, კიდევ „მოხდება აჯანყება ორკესტრის, რომელიც გამოაცხადებს დირიჟორათ დაღუპულ მგოსანს. და საკრავები, გადაქცეულნი ქიმერებად, დაერევიან მოკაზმულ ფილისტერებს“.

ამათი ჯვარი სჭირდა „დაისების“ ავტორს – ფილისტერების, და თუ თვითონ ისე ვერ შეებედა მათთვის ტომას ჩატერტონის აჩრდილს გამოიხმობდა მშველელად, მისი სულისაგან აჟღერებულ საკრავებსა და მათ მარადიულობას შეხედავდა იმედოვნებით.

თვით აღფრედ დე ვინიც იმის სახელს ჩასჭიდებოდა, მის ჩრდილში მოითქვამდა სულს.

სადღეგრძელოდ დრამას შექმნიდა.

ვალერიან გაფრინდაშვილი ლექსს იკმარებდა, მაგრამ ნამდვილ სადღეგრძელოსაც მოადევნებდა, ლექს-ტოსტს ეს საფანელიც დასჭირებოდა, არტისტიზმი გაგრძელებას მოითხოვდა და მხოლოდ წარმოსახვაში კი არა, მართლა ასწევდა სასმისს „პოეტის კარიერაში“.

აყოლით ერთბაშად აჰყვებოდნენ თანაყანწელები, შეეხარებოდნენ, ჩვენ რატომ ვერ მოვიფიქრეთო, და იქნებ სადღეგრძელოს მოხდენილობითა და შთამბეჭდაობით გადაეჭარბებინათ პირველმთქმელისათვის.

და გაისმოდა:

წამებულიო.

თვითმკვლელიო.

აზარტული მოთამაშეო.

ყალბი ფულის მჭრელიო.

და დაბეჭდავდა საბოლოო სიტყვით ვალერიან გაფრინდაშვილი:

პოეტების კაზინოს საპატიო თავმჯდომარეო.

... ლონდონს უნდა გავეცალო, ჩემს ბრისტოლს უნდა დავუბრუნდეო, – სულს აწყდებოდა ჩატერტონი, უკვე მიხვედრილი, აქ დარჩენა გარდუვალ სიკვდილს რომ უმზადებდა. სულს აწყდებოდა, მაგრამ ეთაკილებოდა შინ დაბრუნება გახუნებული, გაცრეცილი ტანისამოსით, თანამოქალაქეებს ასე ვერ დაენახებოდა ლონდონის დამპყრობლად გამომგზავრებული. რაოდენ გაბედული იმედი ასულდგმულებდა – ფეხქვეშ გავიგებ დედოფალ ელიზაბეთისა და შექსპირის ქალაქს. და ახლა კი, ტრიუმფატორობის მსურველი, მათხოვრად ვერ წარუდგებოდათ.

ამიტომაც დაახანებდა.

ბედი იქნებ სასიკეთოდ შემობრუნებოდა.

სასწაულის იმედად შერჩებოდა საეჭვო ოთახებს.

მაგრამ როული არ დააცდიდა სასწაულთან შეგებებას და ავბედითი სახით გამოცხადებული დაუტოვებდა თვითმკვლელობის რუკას.

ჩატერტონის ბიოგრაფიის რუკა კი შორს გადაიჭიმებოდა და იქ „პოეტის კარიერაც“ აუცილებლად აღინიშნებოდა შესაფერისი სიმბოლიკითა და პოეტების კაზინოთი, საპატიო თავმჯდომარეობა ინგლისელი ჭაბუკისათვის რომ ერგუნებინათ და სული ეწენკებოდათ, სახელთა მაგიაში თვითონაც როგორ გარეულიყვნენ.

\*\*\*

– ეს ნახატი თუ არ გამოგვადგება, უფრო შესაფერისს მოვძებნი, – კარლო უკვე კართანაა და გონების თვალს ავლებს საუკეთესო მხატვართა ალბომებს, ცხოვრების ფსკერი დიდი ხელოვნებით რომ წარმოუსახავთ.

ტახტზე კი ჭაბუკი გდია.

მარჯვენა ხელი უღონოდ გადმოვარდნია იატაკზე.

და შეღებულა ცალი სარკმელი.



პეტრე მირიანაშვილის (1860-1940), ამ მრავალმხრივი მოღვაწის (პუბლიცისტი, პედაგოგი, ლიტერატურის კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, მთარგმნელი) ჯერ მარტო თარგმანებს რომ გადაავლო თვალი „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ ფურცლებზე, საკმაოდ შთამბეჭდავი სია გამოიკვეთება: ეს ჰომეროსიო, ეს ვერგილიო, ეს ესქილეო, ეს გოეთეო, ეს რენანო, ეს ინდური და ძველბერაული ჰიმნებიო. თუმც არსადაა აღნიშნული (ეტყობა, „და სხვ.“-შია ნაგულისხმევი!) მუსლიმანთა წმინდა წიგნის – ყურანის თარგმანი, რომელიც საუკუნის წინათ – სახელდობრ, 1905 წელს – გამოიცა და მეოცე საუკუნის მიწურულს კიდევ ერთხელ განმეორდა ფოტოტიპური სახით.

ნიშანდობლივია, რომ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ რედაქცია იძულებული იყო გაეთვალისწინებინა იდეოლოგიისა და ცენზურის მოთხოვნა და დიდი გარჯის ეს წარმატებული ნაყოფი მიეყრუებინა პეტრე მირიანაშვილის ღვაწლის აღნუსხვისას.

მთარგმნელმა ფრანგული ვერსიიდან გადმოიღო ყურანი, მაგრამ ეს თარგმანი ენობრივი დახვეწილობითა და სისავსით თავის დროზე შთამბეჭდავ მოვლენად გამოჩნდა და ერთი საუკუნეა შემცველიც არა ჰყავდა, ვიდრე გიორგი ლობჯანიძე უშუალოდ არაბული ენიდან მოპკიდებდა ხელს მუსლიმანთა წმინდა წერილის ამეტყველებას ქართულ ენობრივ სამოსელში, ყოველმხრივ გაითვალისწინებდა არაბისტიკისა და ყურანოლოგიის თანამედროვე საერთაშორისო დონეს და შექმნიდა შესანიშნავ ორეულს. რასაკვირველია, მან გულდასმით დაამუშავა პეტრე მირიანაშვილის თარგმანიც და შემოქმედებითად გაიაზრა მისი გამოცდილება.

სხვათა შორის, პეტრე მირიანაშვილმა დაწერა ლიბრეტო ზაქარია ფალიაშვილის ოპერისათვის „აბესალომ და ეთერი“ და ეს შემთხვევით სულაც არა ყოფილა, რადგანაც მას გადაამუშავებული და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული „ამირანის ლექსი“, „როსტომიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, აგრეთვე „ქართული სიტყვიერების განარკვი“.

ეს მემუარული ჩანაწერი ქართული ლიტერატურის მუზეუმის ფონდებიდან მოგვანოდა ლია გუსევაძე.

სიმონ წერეთელი

## მოგონება პეტრე მირიანაშვილზე

მწერალ პეტრე მირიანაშვილთან მე ვიყავი კარგად დაახლოებული. ის ხშირად დადიოდა რედაქცია ჟურნალ – „თეატრი და ცხოვრებაში“, სადაც მე ვმუშაობდი პასუხისმგებელ მდივნად 1917-1922 წწ. პერიოდში. იგი გატაცებული იყო ხალხური ფოლკლორით. სადაც რომ გაეგო ხალხური ლექსები, გაჩერდებოდა, ამოიღებდა უბიდან წიგნაკს და ჩაიწერდა. ერთხელ მახსოვს რედაქციაში შემოვიდა ერთი მოხუცი მეფანდურე გლეხი და თავისი თავი გაგვაცნო მეფანდურეთ-მგოსნად და დაიწყო ფანდურზე მრავალ შაირების წამღერება. „ეს შაირები საიდან აიღეთ, პირადათ თქვენია?“ – ჰკითხა პეტრე მირიანაშვილმა, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა და გულდასმით უსმენდა მოხუცის ამ ლექსებს.

„არა, ხალხურია, მაგრამ მე გადავამუშავე“, – უპასუხა მეფანდურემ.

„აბა გთხოვთ, კიდევ წაიმღერეთ“, – თხოვა პეტრემ, აილო კალმისტარი და დაიწყო ჩაწერა. ორი საათი გააჩერა მეფანდურე და სულ ჩაიწერა, რაც მან იცოდა ლექსები, შემდეგ წაიყვანა სასადილოში და კარგათ გაუმასპინძლდა. „ამ ლექსებში ზოგი რამ არის საყურადღებო და ჩვენ ამას გადავამუშავებთ და მოვიხმართ სათანადოთო“, სთქვა კმაყოფილმა პეტრემ.

პეტრე მირიანაშვილი იყო ნიჭიერი ჟურნალისტი და მწერალი, იგი, აკაკი წერეთლისა არ იყოს, ხალხურ ფოლ-

კლორში ეძებდა მასალებს შემოქმედებისა. ამ მასალას იყენებდა იგი ლიბრეტოებისათვის და სხვა. მან მშვენივრად გადაამუშავა და გამოიყენა ხალხური ულამაზესი ლეგენდა „აბესალომი და ეთერი“ და დასწერა მართლაც თვალსაჩინო ლიბრეტო ოპერისათვის, სადაც ეხლანდელ ავტორებს მართებს ნაბაძონ ამ ნიჭიერ კაცს.

ბევრი ეხვეწა კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს დაეწერა ოპერა ამ ლიბრეტოზე, მეც ჩამითრია შიგ და როგორც იქმნა დავითანხმეთ და დავანწყებეთ ამ განთქმულ ოპერას დაწყება. ამ რიგად ეს ხალხური ცნობილი ლეგენდა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ვერ ვიხილავდით ამ მშვენიერ ოპერას, რომელიც ამ ჟამად ცნობილია მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საყურადღებო და სამწუხარო ფაქტი, რომელიც დღევანდელ საზოგადოებისათვის უცნობია, მაგრამ მეც ძალაუნებურად და ზოგადათ ჩათრეული ვიყავი შიგ.

ოპერა „აბესალომ და ეთერი“ დირიჟორობა დაავალეს ცნობილ დირიჟორს სტოლერმანს. ამ სტოლერმანს ყავდა ცოლად უცხო ტომის ქალი, რომელიც „ველიკოდერჟავინი“ სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და საშინლად სძულდა ყოველი ქართული. მიუხედავად იმისა, რომ მისი ქმარი მსახურობდა საქართველოში და მას დიდ პატივს სცემდნენ, იგი არ ერიდებოდა საქართველოს ლანძღვას. საზოგადოების ადგილას კი ერთხელ მე და იოსებ იმედაშვილის თანადასწრებით მან გაკიცხა ქართული მუსიკა და ასე თავხედურად გამოთქვა:

„Эта собачья музыка!“

და ასეთ „ხულიგან“ ქალს ყავდა ასეთი ნიჭიერი მოღვაწე სტოლერმანი ქმრათ. ეს ამბავი მოხდა 1918 წელს. ზაქარია ფალიაშვილმა გადასცა სტოლერმანს „აბესალომ და ეთერი“ ხელით დაწერილი კლავირი და თხოვა დაეწყო რეპეტიციები. ფალიაშვილს ეს კლავირი ერთი ჰქონდა მარტო. სტოლერმანმა წამოიღო სახლში ეს კლავირი და გადასცა თავის ცოლს შეენახა იგი ფრთხილად, რადგან ფალიაშვილს ამ ეგზემპლარის გარდა სხვა არ გააჩნდა; ხელით ჰქონდა დაწერილი. ცოლმა შენახვის მაგიერ ცეც-



**მოზონებათა სპივრი**

ხლში ჩააგდო ეს კლავირი და ფერფლად აქცია. სტოლერმანს რომ გამოეღვიძა, თხოვა ცოლს ეს ხელნაწერი.

„ცეცხლში დაწვნი!“ იყო ცოლის მკვახე პასუხი.

„ცეცხლში? ეს შემოქმედებაა. ხომ არ გაგიჟდი?“ გაოცებული ეკითხებოდა ქმარი.

„ცეცხლში დასანჯავნი არიან ყველა ქართველნი!“ შეუბღვლა ცოლმა. აფექტი მოსულმა სტოლერმანმა ჯიბიდან ამოიღო რევოლვერი და შვიდივე ტყვიით მოჰკლა თავისი ცოლი და შემდეგ მილიციაში თვითონ გამოცხადდა.

სტოლერმანი დააპატიმრეს და საქმე გადასცეს სასამართლოს. პროკურორად მაშინ იყო რიჟამაძე. ეს ამბავი მირიანაშვილმა რომ გაიგო, კინალამ დამბლა არ დაეცა, ბევრიც იტირა.

დაჯდა და ხელახლა შეადგინა, როგორც ახსოვდა ეს ლიბრეტო, რა თქმა უნდა ზაქარია ფალიაშვილსაც არ გაეხარდა ეს ამბავი და დამატებითი ბევრი უძილო ღამეები გაატარა ამ ახალ კლავირის შესადგენად.

ქართულ საზოგადოებაზე რა თქმა უნდა ამ ამბავმა საზარელი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან ეს მკვლელობა განზრახ არ მოხდა, მე ვცადავ სტოლერმანის მდგომარეობა შემემსუბუქებინა და ჟურნალ „თეატრის და ცხოვრების“ ფურცლებზე ვწერდი: „სტოლერმანი არ არის პროფესიით მკვლელი და ბანდიტი. ეს შემთხვევითი ამბავია. ჩვენ გვაქვს აფექტთან საქმე და სასამართლომ უნდა მიიღოს მხედველობაში ეს მდგომარეობა და შეღავათზეც ვიფიქროთ, რადგან ეს მოხდა ჩვენი ეროვნული ხელოვნების შელახვის ნიადაგზე. თუმცა მკვლელობა, როგორც ასეთი, არ არის გასამართლებელი“. ამის საპასუხოდ ჟურნალისტმა

და გარუსებულმა ქართველმა ლევან ყიფიანმა დამინერა უღირსი პასუხი გაზეთ „ტფილისკი ლისტოკის“ ფურცლებზე. ეს გაზეთი იყო თფილისის სომეხ ვაჭრების ორგანო და რედაქტორად იყო ვინმე ხაჩატურიანი:

„არიან თურმე ისეთი ქვის და ნადირის პერიოდის ჟურნალისტები, როგორც წერეთელი, რომელნიც ამართლებენ მკვლელობას და ისიც სხვა“ – ასე მლანძღავდა ყიფიანი მეორე ბანაკიდან.

სასამართლოს აუარებელი ხალხი დაესწრო, ქუჩები სავსე იყო. ხალხი მოუთმენლად ელოდა განაჩენს.

სრული სამი საათი ილაპარაკა პროკურორმა რიჟამაძემ და ისიც აღნიშნა, რომ ქალის კულტი ყოველთვის დაცული იყო საქართველოში და ქალის მოკვლა, ისიც კულტურული ადამიანის მიერ, მეტად დასასჯელიაო, დამცველს ბევრი არ ულაპარაკია. მან სხვათა შორის მოიყვანა მაგალითად ჩემი სტატიის ამონაწერი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებიდან“. საბოლოო სიტყვა მისცეს სტოლერმანს, მაგრამ მან ვერაფერი შეძლო ეთქვა, რადგან ძარღვებაშლილი ხმამალა ქვითინებდა.

სასამართლომ გაამართლა სტოლერმანი, ხალხი „ვაშას“ ძახილით შეხვდა განაჩენს.

პეტრე მირიანაშვილმა ხელახლად დაწერილი გადასცა ლიბრეტო ფალიაშვილს, რომელმაც ბევრი უძილო ღამეების შედეგათ გადასცა კლავირი იგივე სტოლერმანს, რომელმაც დასდგა პირველად ეს ჩვენი ხელოვნების დიდება „აბესალომ და ეთერი“ და ასე მწუხარეთ დაიწყო „აბესალომ და ეთერის“ ისტორია და ასე გამარჯვებით დამთავრდა იგი, რომ მთელი მსოფლიო აფასებს დღეს ამ ხელოვნების იშვიათ განძს.

**ღებუქტივი**

**არნოლდ ბენეტი**


**თავგადასავალი ერთი პორტრეტისა**

– ჯი, – თქვა ლედი დენმა, – თუკი ამ პორტრეტს კედლიდან არ ჩამოხსნი, ერთ მშვენიერ დღეს მოგიწევს ჩემი გასტუმრება ფეირჰილში.

ფეირჰილში მდებარეობდა რეგიონის ყველაზე დიდი ჰოსპიტალი, მაგრამ იქვე იდგა ყველაზე დიდი სახლი შემოღობული და როდესაც მცხოვრებნი ფაივგაუნისა, ინგლისის მეთუნეობის ცენტრი რომ იყო, უბრალოდ იტყოდნენ, ფეირჰილიო, სწორედ ამ სახლს გულისხმობდნენ.

– ბოლო ხანებში საკვებს ველარ ვინელებ და ყოველივე ეს ამ ნათიხნის ბრალია, – განაგრძობდა ლედი დენი. მან საწყლად შეხედა ზეთით დახატულ ვეება პორტრეტს, რომელიც ეკიდა კედელზე დიდრონ და დიდებულ სასაბუღო ოთახში, მაგიდასთან ამოჩემებული ადგილის პირდაპირ.

სერ ჯიოჰოსოფატს პასუხი არ გაუცია. მიუხედავად მძაფრი კრიტიკისა ლედი დენისგან და მიუხედავად იმ უეჭველი ფაქტისა, რომ ფაივგაუნში არავის მოსწონდა ეს პორტრეტი, ის ხომ ათასი გირვანქა სტერლინგი დაჯდა და თუმცა შესრულებული იყო მხოლოდ ორი წლის წინათ, მისი ფასი უკვე გაიზარდა, სულ ცოტა, ათასხუთას გირვანქამდე, რადგანაც ეკუთვნოდა მთელს მსოფლიოში ერთ-ერთი უბრწყინვალესი მხატვრის – კრესაჟის ყალამს.



პორტრეტი მიეძღვნა სერ ჯიოჰოსოფატის კარიერის მწვერვალს, ხოლო მისი კარიერა, შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, ყველაზე ბრწყინვალე იყო ფაივგაუნის მთელს ისტორიაში.

ეს სახელგანთქმული კაცი ბრძანდებოდა მთავარი მფლობელი ფირმისა, რომელსაც ერქვა „მეზი დენ“ და რომელიც ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა გახლდათ მთელს რეგიონში – იაფ თიხის ჭურჭელს ამზადებდა.

ფირმა უკიდურესად ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა მენარმეთა შორის, ვინაიდან მუდმივად დაბლა სწევდა ფასებს. ფაივგაუნის ყველა სხვა ფირმას სძულდა „მეზი“

და მისი კონკურენტებისთვის ყური რომ დაგეგდოთ, უსათუოდ იფიქრებდით – სერ ჯიმ კოლოსალური ქონება მონაგრა იმით, რომ სისტემატურად ასალებდა თავის საქონელს იაფად.

„ძმები დენ“ ასევე სძულდა ამ ფირმის ათასობით მოსამსახურეს. მაგრამ ამ სიძულვილმა, რაგინდ მძვინვარე ყოფილიყო, ხელი ვერ შეუშალა სერ ჯის კარიერის გაფურჩქვნას. მან გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, სახელი მოეხვეჭა და კიდევ მიაღწია ამას.

ფაივტაუნში შექმლოთ, რამდენიც გაეხარებოდით, მასხრად აეგდოთ მისი ვულგარული სნობიზმი და გაექირდათ მისივე ანგარიშისანი ქველმოქმედება, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა ის ყველაზე გამორჩენილი კაცი იყო ქალაქში, სწორედაც მისმა სნობიზმმა და მისმა ქველმოქმედებამ ატყორცნეს მწვერვალზე. უფრო მეტიც, ის ერთი პირველთაგანი იყო ფაივტაუნის საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომელსაც მიენიჭა ნოდება რაინდისა.

ფაივტაუნში ვერაფერს უარყოფდა, რომ ყველა ამაცობდა ამ ნოდებით. არავინ დაგიდევდა, რა ხერხით მოიპოვა ჯილდო, მთავარი ის იყო, რომ მოიპოვა. მორჩა და გათავადა! გარდა ამისა, განა ის თავის მშობლიურ ქალაქს მამობას არ უნებდა? განა ოლქის მთელი ჩრდილო ნაწილი მისგან ნაამაგარი არ იყო? და აი, ქალაქის მერის პოსტზე სერ ჯის ყოფნის შესამე წლისთავისა და მისი გარჯით აგებულ ტექნიკური ინსტიტუტის საზეიმო გახსნის აღსანიშნავად ქალაქში გაჩაღდა მოძრაობა, რათა სერ ჯისთვის მიერთმიათ საჩუქარი, რომელსაც ღირსეულად უნდა გამოეხატა ის ღრმა პატივისცემა, რითაც ოფიციალურად სარგებლობდა ქალაქში.

საყოველთაო თვალსაზრისით, ამგვარ საჩუქრად გამოდგებოდა მისი საკუთარი პორტრეტი. ერთმა ადგილობრივმა დილექტანტმა ბრძანა, კრესაჟს დაეუკვეთოთო და როდესაც ფაივტაუნში შეიტყვეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეს გენიალური მხატვარი სახელგანთქმულია მთელს ცივილიზებულ სამყაროში და უტოლებენ დიეგო ველასკესს, რომ მის ყალბს ეკუთვნის მსოფლიოს არისტოკრატთა დიდი ნაწილის პორტრეტები და ზღაპრული შემოსავალი აქვს, რასაკვირველია, წინადადება მიღებულ იქნა და კრესაჟთან მოლაპარაკებას შეუდგნენ.

კრესაჟმა შეინყნარა ფაივტაუნის ვედრებანი და დათანხმდა, რომ დახატავდა სერ ჯის პორტრეტს, ოღონდ მისთვის ჩვეული პირობით, სახელდობრ – სერ ჯი უნდა ჩაბრძანებულიყო ბედფორდშირის პატარა სოფელში, სადაც მოთავსებული იყო კრესაჟის მთავარი სტუდია და, გარდა ამისა, ვიდრე მფლობელს ჩააბარებდნენ, პორტრეტი ექვსი თვის მანძილზე გამოფენილი იქნებოდა ლონდონის სამეფო აკადემიაში.

სერ ჯი გაემგზავრა ბედფორდშირს. სამუშაო მალე გასრულდა და ქალაქის მერი შინ დაბრუნდა, ოღონდ ძალზე დაღონებული იყო. არჩეული კომიტეტი, მთელ საქმეს რომ ხელმძღვანელობდა, თავის მხრივ, გაეშურა პორტრეტის სანახავად ბედფორდშირში და კომიტეტის ყველა წევრი ასევე დაღონებული დაბრუნდა შინ.

ამის შემდეგ სამეფო აკადემიაში გაიხსნა გამოფენა და სავარძელში მჯდომი, მანტიამოსხმული და ყელზე ძენკჩამოკიდებული სერ ჯის პორტრეტს კრიტიკამ მისივე

მისცა მაღალი შეფასება და ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე და ოსტატურ ნაწარმოებად შერაცხა. ყველა კრიტიკოსი ერთსულოვანი იყო. კომიტეტიც და სერ ჯიც თითქოს დამშვიდდნენ, მაგრამ ექვსი წია ტვინს უხრავდათ, და ყველაზე მეტად – სერ ჯის, რადგანაც კრიტიკოსთა მთელ ამ ენთუზიაზმში იყო რაღაც, რაც უაღრესად ანუხებდა მას. განათლებული პირნი, კარგად რომ იცნობდნენ კრესაჟის პორტრეტთა ყოველწლიურ ბრწყინვალე ნაწარმოებას, მშვენივრად ხვდებოდნენ სერ ჯის შემოფოტების მიზეზს.

ერთი კრიტიკოსი წერდა, რომ კრესაჟმა ამჯერად ჩვეულებრივზე მეტადაც კი გამოავლინა თავისი „გასაოცარი ნიჭი ხასიათის გახსნისა“.

მეორე კრიტიკოსი წერდა, რომ კრესაჟის დამოკიდებულება თავისი ობიექტისადმი, ჩვეულებისამებრ, იყო მშვიდი და გულცივად მტრული. მესამე კრიტიკოსი ლაპარაკობდა „ქალაქის ტიპიურ პროვინციულ მერზე, რომელიც უკვდავყვეს მომავალი თაობების გასართობად“.

ფაივტაუნის მცხოვრებნი გაემგზავრნენ ლონდონს, რათა საკუთარი თვალით ენახათ ნამუშევარი, რაშიც ფული გადაიხადეს და იქ დაინახეს ჩია, ბებერი წუნურაქის სახე, რომელსაც ჰქონდა თხელი ტუჩები, გაჭალარავებულ მერხერი წვერი, დაცეცებული თვალები და ნათლად გამოკვეთილი ნაკვთები სნობისა, სასაცილოდ რომ გამოიყურებოდა თავის მდიდრულ მანტიაში.

ასლოდან პორტრეტი მოგეჩვენებოდათ საღებავთა ნარევიად, მაგრამ ოთხი მეტრის მანძილიდან გაგაოცებდათ თავისი აბსოლუტური მსგავსებით დედანთან და განსაცვიფრებლად, ზებუნებრივად გაცოცხლებულ ასლად ჩათვლებოდა. მსგავსება იმდენად საოცარი იყო, რომ ფაივტაუნის ზოგიერთ მცხოვრებს სიცილი წასკდა. მაგრამ ბევრსაც ეწყინა, ოღონდ სერ ჯის გამო კი არა, არამედ ლედი დენის გამო, რომელიც ყველას გულწრფელად უყვარდა და ქალაქში პატივსაც სცემდნენ.

უბრალო და სანდომიანი ქალი გახლდათ. მისი ერთადერთი ხიზი ის იყო, რომ ვერასოდეს ვერ შეძლო ჩასწვდომოდა სერ ჯის სულს და დაენახა თავისი ქმარი ისეთად, როგორც იყო სინამდვილეში.

პორტრეტის გადაცემის ცერემონიაზე ყველანი, რასაკვირველია, გახლებით აქებდნენ პორტრეტს, ფასდაუდებელი შენაძენი არისო. ზეიმის მიზეზი, თავის ცოლთან ერთად, თავს იკატუნებდა, ამ პორტრეტს რომ დავეპატრონეთ, სიხარულით ცას ვენიეთო.

სერ ჯის სახლის სასადილო ოთახში პორტრეტი ეკიდა დაახლოებით თექვსმეტი თვის განმავლობაში, რის შემდეგაც ლედი დენმა ქმარს განუცხადა, პორტრეტი, ბოლოს და ბოლოს, საგიჟეთამდე მიმიყვანსო.

– ნუ ლაპარაკობ სისულელეს, – თქვა სერ ჯიმ, – ამ პორტრეტს ვერ გავიმეტებდი, თუნდაც ათჯერ მეტი ფული მოეცათ ჩემთვის, ვიდრე გადაიხადეს.

უკაცრავად პასუხია და ეს მტკნარი სიცრუე იყო. სერ ჯის გულში თვითონაც სძულდა პორტრეტი სხვებზე მეტად. ლამის მზად იყო, მთელი სახლი გადაეხედა, რათა სამუდამოდ გაექრო თავისი გამოსახულება. მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ მშვენიერ საღამოს, ქალაქის სამმართველოს მდივანთან საუბრისას, მისი მარიფათიანი ტვინი გა-

ანათა ბრწყინვალე აზრმა იმის თაობაზე, თუ როგორ მოემორებინა ეს პორტრეტი ხანძარზე უფრო იაფი ხერხით.

ქალაქში გავიდა და ამ გეგმას ამუშავებდა თავში. მართალია, გიჟური და სახიფათო ეთქმოდა, მაგრამ შეუსრულებელი არ ჩანდა.

იმ დილით, სასამართლოს სხდომაზე, სერ ჯიმ გააოცა სერ შერატი – ქალაქის სამმართველოს მდივანი და უაღრესად გააბრაზა სერ ბურნი – ადგილობრივი პოლიციის უფროსი. საქმე ის იყო, რომ ცოტა ხნის წინათ ქალაქში მოხდა სენსაციური ქურდობათა (ბინის გატეხვით) სერია. ქურდებმა (ვარაუდობდნენ, რომ მთელი გუნდი მოქმედებდა) მოახერხეს გასხლტომოდნენ პოლიციის დაჟინებული ძიებას. მაგრამ ერთი დღით ადრე სერ ბურნის ერთერთმა ხელქვეითმა დააკავა კაცი, რომელიც, როგორც ყველა ფიქრობდა, ნაწილობრივ ანდა მთლიანადაც იყო პასუხისმგებელი ჩადენილ ქურდობებზე.

ფაივტაუნის მცხოვრებლებმა შვებით ამოისუნთქეს და მხურვალედ ულოცავდნენ სერ ბურნს. და თვითონ სერ ბურნიც ძალზე კმაყოფილი იყო თავისი თავით. ადგილობრივ გაზეთში გამოჩნდა ასეთი სათაური: „სავარაუდო მძარცველის მარჯვე დაპატიმრება“. დაპატიმრებულმა თქვა, უილიამ სმიტი ვარო. საეჭვოდ იქცეოდა.

და უეცრად სერ ჯიმ, სასამართლოს რომ თავმჯდომარეობდა, სმიტს ააცილა წამოყენებული ბრალდება და აჯობა იმდღიანდელ ერთადერთ კოლეგას სასამართლოს ხაზით, ქალაქის სამმართველოს წევრს – ისთონს.

სერ ჯიმ განაცხადა, სამხილთა უკმარისობის გამო უილიამ სმიტის წინააღმდეგ აღძრულ საქმეს ვწყვეტო. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სერ ბურნი ძალზე გაოგნებული დარჩა, თუკი არ ვიტყვით, გაცოფდაო. არც ის არის გასაკვირი, რომ ბურჯი კანონისა – სერ შერატი განცვიფრებამ და წყენამ შეიპყრო. დასასრულ, სერ ჯიმ განაცხადა, მოხარული ვიქნები, ქალაქის სამმართველოს რომელიმე ოთახში უილიამ სმიტს თუ გავესაუბრობო. მიანიშნა, რომ ბრალდებულის მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი და სურდა გამოეველინა თავისი საქვეყნოდ ცნობილი ხელგაშლილობა. ამრიგად, შუადღისას, როდესაც სასამართლო დიდებულად წამოიშალა, სერ ჯიმ მისთვის მიჩენილ ოთახს მიაშურა. ქალაქის სამმართველოს დამცირებულმა წევრმა ისთონმა კი გაცლა ამჯობინა.

მალე იმ ოთახში, პოლიციელის თანხლებით, უილიამ სმიტიც გამოცხადდა. როდესაც პოლიციელმა დატოვა ისინი, სმიტმა მისი მისამართით უწმანური შესტი გააკეთა. ამის დანახვაზე სერ ჯიმ შეცბუნებით ჩაახველა.

– სმიტ, – მკაცრად თქვა მან. იდაყვებით ეყრდნობოდა მაგიდას, – თქვენ დღეს დილით ძალიან გაგიმართლათ. იცით ეს?

სმიტი კართან იდგა და ხელში ქუდი ეჭირა. ის არ ჰგავდა ქურდს, რომელიც, სერ ჯის წარმოდგენით, უნდა ყოფილიყო ზორბა, დაკუნთული და საქმიანი.

სმიტი კი მოგაგონებდათ წვრილფეხა მოხელეს, დიდხანს რომ იყო უმუშევარი, მაგრამ მაინც რალაცნაირად ახერხებდა კარგად გამოეკვება თავი და სმიტაც მარტოდენ წყალი არ ესვა. ჭყეტელა ლურჯი ფერის, ძალზე გაცვეთილი კოსტუმი ეცვა, გახეხილი ყოშებსა და მუხლებზე.

მისი ბამბის საყელო ჭუჭყისგან გაყვითლებული იყო, თითები – ჩაშავებული. თმა დიდხანია არ დაევარცხნა, სქელი და შავი წვერი ნიკაპს უფარავდა. ფეხსაცმელი ერთობ სავალალოდ გამოიყურებოდა.

– დიახ, უფროსო, ვიცი, – უდარდელად მიუგო სმიტმა, – მაგრამ, კაცმა რომ თქვას, საით მიერეკებით?

სერ ჯი სახტად დარჩა. როგორ ბედავს ეს მანანნალა ასეთი ტონით დაელაპარაკოს მას – ქალაქის მერს, საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარესა და მთელი ოლქის ერთერთ მთავარ ქველმოქმედს. მაგრამ აბა რა უნდა ექნა?

პირადად მან, საჯაროდ, დაამტკიცა სმიტის უდანაშაულობა და სმიტი ახლა ჩიტვიტით თავისუფალი იყო; დიანაც სრული უფლება ჰქონდა ისეთი ტონით ელაპარაკა, როგორც გაეხარდებოდა. გარდა ამისა, სერ ჯის ჰაერით სჭირდებოდა სმიტის სამსახური.

– იმედი მქონდა, რომ გამოგადგებოდით, – დიპლომატიურად თქვა სერ ჯიოპოზოფატმა.

– ეს ყველაფერი ძალიან კარგია, – უპასუხა სმიტმა, – მაგრამ, თუ შეიძლება, თქვენი ქველმოქმედი რამე-რუმეების გარეშე. ეგ არაფრადა ღირს. მე სრულიადაც არ ვაპირებ ახალ გზას დავადგე და გულშიც არ გამივლია, ახალი ფურცელი გადავშალო ჩემი ცხოვრების ისტორიაში. არა მჭირდება არც დახმარების ხელი და არც სხვა მისთანანი. უფრო მეტიც, სრულიადაც არა მწაღია, რალაც მდგომარეობა დავიკავო, მაგრამ არასოდეს არ ვამბობ უარს არც ფულზე და არც ლუდზე. არასოდეს, გესმით?! მე კი ერთ თვეში ორმოცი წლისა ვიქნები.

– მე მგონი, – ხმის ამოღება გაბედა სერ ჯიმ, – ქურდობა მაინცდამაინც შემოსავლიანი საქმე არ უნდა იყოს, არა?

სმიტი ახორხოცდა.

– თქვენ ცდებით, ეს საქმე საკმარისად ამართლებს თავს. მაგრამ მე, უფროსო, სეიფში არა ვდებ ფულს. ტრაქტირებში ვდებ, როცა კი შემთხვევა მეძლევა.

– შეხადლოა, რომ ქურდობა მართლაც ხელსაყრელი საქმე იყოს, – თქვა სერ ჯიმ, – მაგრამ ეს უფარგისი რამ არის, ძალიან ანტისაზოგადოებრივია.

– თქვენ დარწმუნებული ხართ? – ცივად შეეპასუხა სმიტი. – ანტისაზოგადოებრივი? ვითომ ასეა? მსმენია, რომ ეს საქმიანობა მრავალი სხვადასხვა სახელით მოუნათლავთ, მაგრამ ასე ჯერ არასოდეს უთქვამთ. მე ერთობ საზოგადოებრივ საქმეს დავარქმევდი. სულ ხომ შენთვის უცნობ ხალხში ტრიალებ და სხვა ამის მსგავსი. მაგრამ, უფროსო, მთელი ეს ლაილაი რამი გვჭირდება? მხედველობაში გქონდეთ, რომ ჩემთვის დრო – ესაა ფული. თქვენ ეს გესმით?

სერ ჯის ისევ აუტყდა ხველა.

– დაბრძანდით, – მიმართა სმიტს.

სმიტი სერ ჯის პირისპირ მიუჯდა მაგიდას და გაპრიანებული იდაყვებით დაეყრდნო ზუსტად ისე, როგორც სერ ჯი.

– მე თქვენ გისმენთ, – წახალისა ქალაქის მერი.

– რას იტყოდით, თუკი შემოგთავაზებთ ქურდობის ჩადენას, რომელიც დანაშაულად არ ჩაგეთვლება? – ჰკითხა სერ ჯიმ, თან აქეთ-იქით აცეცებდა თავის მოუსვენარ თვალებს. – აბსოლუტურად კანონიერი ქურდობა იქნება, – გაიმეორა მან.

– ნეტავი რას გულისხმობთ? – ჰკითხა სმიტმა. გულ-  
წრფელად იყო გაოცებული.

– ჩემს სახლში, – განაგრძობდა სერ ჯი, – მოიპოვება  
ჩემი საკუთარი პორტრეტი, რომელიც ჰკიდია სასადილო  
ოთახში და მე მსურს, რომ იგი მოიპარონ. გამიგეთ?

– მოიპარონო?

– დიახ, მე ვაპირებ თავიდან მოვიშორო და მინდა, რომ  
ყველამ იფიქროს, მოუპარავთო.

– არაფერი მესმის. თქვენ თვითონ რატომ არ დაით-  
რევთ ლამით და არ დანავთ? – ჰკითხა სმიტმა.

– ეს იქნებოდა ხალხის მოტყუება, – მაღალფარდოვ-  
ნად წარმოთქვა სერ ჯიმ. – ვერ განვუცხადებდი ჩემს მე-  
გობრებს, პორტრეტი  
მოუპარავთ-მეთქი,  
თუკი ეს არ მოხდებო-  
და სინამდვილეში. სა-  
ჭიროა ნაღდი ქურდო-  
ბის ჩადენა.

– მითხარით, რამ-  
დენად, – უდიერად  
თქვა სმიტმა.

– რამდენად?

– ჰო, რა. მინდა ვი-  
ცოდე, ხელობაში რამ-  
დენს მომცემთ.

– ხელობაში რამ-  
დენს მოგცემთ? – გა-  
იმეორა სერ ჯიმ. მისი  
ძვალ-რბილში გამ-  
ჯდარი სიხარბე,  
ცხრაკლიტულში რომ  
ინახავდა, ერთბაშად  
გამომჟღავნდა.

– რატომ უნდა  
მოგცეთ? მე ხომ გაძ-  
ლევთ შესაძლებლო-  
ბას, რომ პატიოსნად მოიპაროთ პორტრეტი, რომელიც  
ათას გირვანქაზე მეტი ღირს და რომელიც, ეს შემიძლია  
თამამად ვამტკიცო, ორი ათასი გირვანქა ეღირება ამერი-  
კაში. და თქვენ გნებავთ, რომ ფულიც გადაგიხადოთ?  
იცით თუ არა თქვენ, რომ მანჩესტერის ყოველი კუთხე-  
კუნჭულიდან და ლონდონიდანაც კი მოდიან აქ, რათა ეს  
პორტრეტი იხილონ?

– მაშ რატომღა გასურთ მისი მოშორება თავიდან? –  
ჰკითხა ქურდმა.

– ეს ჩემი საქმეა, – მოუჭრა სერ ჯიმ. – არც მე მომ-  
წონს და არც ჩემს ცოლს, მაგრამ საჩუქრად მოგვართვეს  
და...

– მაგრამ რა უნდა ვუქნა, როცა მოვიპარავ? – ჰკითხა  
სმიტმა. – თქვენ ხომ ვერ გადაადნობთ ვერცხლივით, უფ-  
როსო. თქვენვე ამბობთ, მთელ დუნიაზე იციანო. მე მგო-  
ნი, ასეთივე წარმატებით შეიძლება გავყიდო ადამირალ  
ნელსონის ძეგლი.

– სისულელეა, – თქვა სერ ჯიმ. – სისულელეს მიედ-  
მოედებით. ამ პორტრეტს იოლად გაჰყიდით ამერიკაში.  
გამდიდრდებით. ერთი წელიწადი სადმე გადაინახეთ და  
მერე ნიუ-იორკში გაგზავნეთ.

სმიტმა თავი გააქნია, თითები დააკაკუნა მაგიდაზე,  
მერე მოულოდნელად სახე გაუნათდა და თქვა:

– კეთილი და პატიოსანი, უფროსო. ამ საქმეს ხელსა  
ვიკიდებ, ოღონდ კი პატივი დაგლოთ.

– როდის მოახერხებთ ამის გაკეთებას? – ჰკითხა სერ  
ჯიმ, სიხარულს ძლივს იკავებდა. – ეგებ ამ ლამით?

– არა, – იდუმალი პასუხი გასცა სმიტმა, – ამ ლამით  
დაკავებული ვარ.

– მაშინ ხვალ ლამით.

– ხვალაც დაკავებული ვარ.

– თქვენ, როგორც ჩანს, ძალზე დაკავებული კაცი ყო-  
ფილხართ, – შენიშნა სერ ჯიმ.

– აბა რა გეგონათ?

– მკვახედ მიუგო  
სმიტმა. – საქმე საქ-  
მედ რჩება. მხოლოდ  
ზეგ ლამით მექნება  
დრო.

– მაგრამ ეს ხომ  
შობის მწუხრია, – აღ-  
შფოთდა სერ ჯი.

– მერე რაო, – ცი-  
ვად შენიშნა სმიტმა, –  
თქვენ ეგებ გერჩივ-  
ნოთ შობადღე. შობის  
მერეც დაკავებული  
ვიქნები და მომდევნო  
დღესაც.

– იმედი მაქვს, ფა-  
ივტაუში არ იქნებით  
დაკავებული.

– არა, ფაივტაუნი  
უკვე მოვასუფთავეთ.  
შეთანხმდნენ, შო-  
ბის მწუხრი იყოსო.

– ჩემი სახლის

გეგმა ხომ არ დაგიხაზოთ? – ჰკითხა სერ ჯიმ.

უილიამ სმიტს ზიზღისგან სახე დაეღრია.

– თქვენ გგონიათ, – თქვა მან, – რომ თქვენი სახლის  
გეგმა არა მაქვს? ნეტავი ვიცოდე, ვინა გგონივართ? მე  
ვილაც იდიოტური ტურისტის როლი ვარ, საქმიანი ადამი-  
ანი ვარ. აი ეგრე, უფროსო.

სერ ჯი მიწასთან გაასწორეს და მორჩილად დათან-  
ხმდა სმიტის ყველა წინადადებას მომავალი უწყინარი  
ქურდობის თაობაზე. ის მიხვდა, რომ სმიტის სახით შემ-  
თხვევით შეეყარა უმაღლესი კლასის პროფესიონალს და  
კმაყოფილი იყო, იღბალი მქონიაო.

– ერთადერთი რამ მაღიზიანებს, – წასვლისას თქვა  
სმიტმა, – ეს ისაა, რომ მერე ყველას გამოუჭედავთ ყუ-  
რებს, მე გადავყვევი, იმან კი სახლი გამიქურდაო და მოჰ-  
ყვებით ლაპარაკს დაბალი ფენების უმადურობაზე. უფ-  
როსო, ხომ ხედავ, რა კარგად გიყიდე!

შობის წინააღმდეგ სერ ჯიოპოსოფატი შინ რომ დაბ-  
რუნდა, ლედი დენი თვალს ადევნებდა ჩემოდნების ჩალა-  
გებას. შობის დღესასწაული უნდა გაეტარებინათ სტუმ-  
რად უფროს ვაჟთან, ჯონთან, რომელიც ცხოვრობდა ფა-



მხატვარი მზია დედანაშვილი



ივტაუნის შემოგარენში, ახალ სახლში, ახალ ცოლთან და ახალ შვილთან (ბიჭი იყო) ერთად.

სერ ჯიმ, როგორც სჩვეოდა, არაფერი უთხრა ლედი დენს და როცა კარეტა უნდა მოსულიყო ვაგზალზე წასაყვანად, მაშინლა შენიშნა მოულოდნელად:

– მე დღეს ვერ წამოვალ ჯონთან.

– ღმერთო ჩემო, ჯი! – წამოიძახა ლედი დენმა. – როგორი აუტანელი ხარ! ნუთუ ეს ადრე არ უნდა გეთქვა?

– ხვალ დილით ჩამოვალ, შესაძლოა ცისკრის ლოცვას მოვუსწრო. – უპასუხა ქმარმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

იგი ყოველთვის თავს იკავებდა იმისგან, რომ თავისი საქციელი აეხსნა ცოლისათვის და ისიც მექანიკურად, დაუდევრად ეკითხებოდა. უკვე შეჩვეული იყო იმას, რომ მისი შეკითხვები უპასუხოდ რჩებოდა და ამიტომაც გაოცდა, როდესაც უეცრად ქმარმა განუცხადა:

– რამდენიმე სხდომის ოქმს აუცილებლად უნდა გადავხედო და ამდამითვე უკან დავაბრუნო. შენ კი მშვენივრად იცი, ჩემი არ იყოს, რომ ჯონთან ეს შეუძლებელია. მე უკვე ვუდებუე, დღეს ვერ ჩამოვალ-მეთქი. – სერ ჯი ამკარად ნერვიულობდა და შეცბუნებული ჩანდა.

– მაგრამ შინ რომ ვერაფერს შექამ, – ამოიოხრა ლედი დენმა, – და მსახურნიც, კოლიერის გარდა, ყველანი გავუშვი. კოლიერი კი ვერ მოგიმზადებს ვახშამს. მე მგონი, უკეთესი იქნება, შენს მოსავლელად რომ დავრჩე.

– არა, ამას არ იზამ, – გადაჭრით განაცხადა სერ ჯიმ. – რაც შეეხება ვახშამს, რამეს გავახერხებ. მსახურებს ხომ დავპირდით, გაგიშვებთო, და ეს უნდა გაკეთდეს. როგორმე გავიტან თავს უმაგათოდ, – ამბობდა ფილანტროპი, ალვისილი სამართლიანობის ურყევი გრძნობით.

ამრიგად, ლედი დენი უნდა გამგზავრებულიყო. გუნება გაუფუჭდა. სასადილო ოთახში წინასწარ გაუმზადა ცივი ვახშამი სერ ჯის და კოლიერი დაარიგა, თუ როგორ აედუღებინა წყალი და მეორე დილით ჩაი მიერთმია პატრონისათვის.

სერ ჯიმ ივანშმა სასადილო ოთახში და მსახურნი რომ წავიდნენ, პორტრეტის წინაშე შეჩერდა.

„ყველაფერი მშვენივრად მოგვარდა, – ფიქრობდა იგი, – მსახურთა შინ დატოვება სახიფათო იქნებოდა. უცებ რომელიმე მათგანს ამ ღამით რომ მოპრიანებოდა უძილობით დატანჯულიყო, ხომ გაიგონებდა სმიტის მობრძანებას. მთელი საქმე ჩაოხრდებოდა“.

მეორე მხრივ, სერ ჯი არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა, რომ სმიტის განკარგულებაში უკაცრიელი სახლი დაეტოვებინა. გრძნობდა, რომ თვალი ფხიზლად უნდა სჭეროდა და თვალყური ედევნებინა, რათა ყველაფერი წესრიგში ყოფილიყო და ცუდი არაფერი მომხდარიყო.

წინასწარ გათვალისწინებული საშობაო შვებულება მსახურთათვის ემთხვეოდა მის გეგმებს. ერთადერთი, რაც უნდა გაეკეთებინა, ის იყო, რომ ხვალამდე ფეხი არ გაედგა სახლიდან.

ყველაფერი მშვენივრად აენყო.

და მაინც, ეტყობა, ცოტათი ეშინოდა სმიტისა. მაგრამ, რაც არ უნდა მოხდეს, თორმეტი საათი რომ გავა, ხელი-

დან დაუსხლტება გაუსაძლის კომმარს, რომელიც თავს დაატება პორტრეტმა.

როდესაც სერ ჯი ფიქრობდა იმ დამცირებაზე, პორტრეტმა რომ მიაცენა; როდესაც იხსენებდა სარკასტულ შენიშვნებს თავისი შვილების, განსაკუთრებით კი ჯონის, მისამართით; როდესაც მეხსიერებაში ცოცხლდებოდა ლონდონის გაზეთების კრიტიკული შენიშვნები, ჯავრით კრუნჩხვა ეწყებოდა. საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ ფანდი ქურდობისა იყო ერთადერთი საშუალება, თუ არ ჩავთვლით ხანძარს, ერთადერთი შესაძლებელი ხერხი, რათა ეს პორტრეტი საიდუმლოდ მოეპოვებინა თავიდან.

ასეა თუ ისე, გაქურდვა გაცილებით მისაღები იყო, ვიდრე სახლის გადაბუგვა, მით უმეტეს, რომ ხანძრის გაჩენისას, უსათუოდ, გამოჩნდებოდნენ იდიოტები, რომლებიც ატეხდნენ ყვირილს: „პორტრეტი, პორტრეტი, გადაარჩინეთ პორტრეტი!“ და პორტრეტს, რა თქმა უნდა, გადაარჩინდნენ.

კიდევ ერთხელ დაჟინებით შეხედა ამ საზიზღარ საგანს, ესოდენ რომ სძულდა.

მასიური ოქროს ჩარჩოს ძირში მოჩანდა წარწერა: „მიერთვა ჯიოჰოსოფატ დენს, რაინდს, ნიშნად საყოველთაო პატივისცემისა და მადლიერებისა“, და ასე შემდეგ.

პორტრეტთან ერთად სმიტი ჩარჩოსაც წაიღებს? სერ ჯის სურდა, რომ ეს არ მომხდარიყო. თავს იმშვიდებდა, სმიტს გაუჭირდება, მარტოკამ მძიმე ჩარჩოც წაათრიოსო. აი, თანაშემწე რომ წამოიყვანოს, მაშინ...

– უკანასკნელად გიყურებ, – თქვა სერ ჯიმ. სიძულვილით უმზერდა პორტრეტს.

მერე სასადილო ოთახის ერთ-ერთი ფანჯარა გამოალო, როგორც იყო დათქმული, შუქი გამორთო და საწოლში ჩაწვა.

სერ ჯი დაძინებას არ აპირებდა, თავისი მოქმედების პროგრამაში ძილი არ შეუტანია. ყური უნდა დაეგდო და სმენა გაამახვილა. ღამის ორი საათი იქნებოდა, ზუსტად სმიტის მიერ მითითებულ დროს სერ ჯის რომ მოეჩვენა დახშული, ფრთხილი ხმაური. ასეა თუ ისე, დარწმუნებული იყო, ხმაური მესმისო. ამრიგად, სმიტმა პირობა შეასრულა. უცებ ხმაური ნუთით მიწყნარდა, მერე განახლდა. სერ ჯი ცნობისმოყვარეობას იკავებდა, ვიდრე მოთმინება არ დაეღია. ზეზე წამოდგა, უჩუმრად გამოალო საძილე ოთახის ფანჯარა, თავი გაჰყო სუსხში, საშობაო ღამით რომ სუფევდა და, ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით, თვალი მოჰკრა ზენარში გულდასმით განხვეული პორტრეტის მოხაზულობას, რომელიც ორმა შავმა ფიგურამ სასადილო ოთახის ფანჯრიდან ჩაუშვა ბალში.

სმიტს, როგორც ჩანს, ამხანაგიც წამოეყვანა. მაშასადამე, პორტრეტი ჩარჩოსთან ერთად წაიღო.

სერ ჯი თვალს ადევნებდა მანამდე, ვიდრე ფიგურები გაუჩინარდებოდნენ ხეივნის სიღრმეში. ამის შემდეგ ისევ საწოლს მიაშურა.

ახლა გრძნობდა, რომ თამამად ილაპარაკებდა პორტრეტის მოპარვაზე თავის ოჯახთან თუ მეგობრებთან. გრძნობდა, რომ ძალუძდა თავის მოკატუნება, თითქოსდა არაფერ შუაში იყო.

## დატექტივი

რამდენიმე საათი გაატარა ძილში, დილაადრიან ადგა და ნახევრადრაცმული გაეშურა სასადილო ოთახისაკენ, რათა ენახა სმიტის ნამოქმედარი.

ბუხრის წინ გაშლილ ნოსზე მოჩანდა ნაცრისფერი ტილო უკუღმა დაგდებული პორტრეტისა, რომელზედაც ცარცით წაენერათ: „ეს არაფერში მჭირდება“..

მეორე მსოფლიო ომის წლებში მოკავშირეთა შორის საკმარისი თანხმობა სუფევდა საიმისოდ, რომ საერთო ძალისხმევით დაემარცხებინათ საერთო მტერი – ნაცისტური გერმანია და ერთად ეფიქრათ მსოფლიოს მშვიდობიან მომავალზე. თეირანში, იალტასა და პოტსდამში გაიმართა „დიდი სამეულის“ კონფერენციები. ხალხები სასოებით ელოდნენ მშვიდობის დამყარებას მთელი დედამიწის ზურგზე და სასიკეთო ძვრებს ომისშემდგომ პერიოდში. ვაგლახ, არაერთ იმედს ხორცშესხმა არ ეწერა. „ცივი ომი“ უკვე კარზე იყო მომდგარი.

მანამდე კი მოკავშირენი ერთმანეთში სიამტკბილობდნენ. რუსი ფეხბურთელები ბრიტანეთს ეწვივნენ, რუსმა მწერლებმა შეერთებული შტატები შემოიარეს. ცხადია, იყო საპასუხო ვიზიტებიც. ქალბატონი კლემენტინა ჩერჩილი 1945 წლის ცხრა მაისს მოსკოვში იმყოფებოდა და საბჭოთა ხალხს ულოცავდა გამარჯვების დღეს. ორი წლის შემდეგ ჯონ სტაინბეკმა საბჭოთა კავშირში იმოგზაურა. თბილისის ეკრანებამდეც კი ჩამოაღწიეს ვივიენ ლიმ და ლორენს ოლივიემ. ამერიკელები რუსულ ენაზე სცემდნენ ყოველთვიურ ჟურნალს, რომელსაც

ოქროს ჩარჩო კი გამქრალიყო. ამის შემდეგ გამოიჩვენა, რომ მთლიანად გამქრალიყო ვერცხლის ჭურჭლეული. სმიტს ერთი კოვზიც კი არ დაუტოვებია წამლად.

თარგმნა  
თამარ ღვინია

## მთარგმნელისაგან

„ამერიკა“ ერქვა. შედარებით ხელმოკლე ბრიტანელები ყოველკვირეული გაზეთით დაკმაყოფილდნენ, „БРИТАНСКИЙ

СОЮЗНИК“ უწოდეს. 1946 წელს სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა ინგლისელი მწერლის არნოლდ ბენეტის (1867-1931) დეტექტიური მოთხრობა „თავგადასავალი ერთი პორტრეტისა“.

არნოლდ ბენეტი დაბადებულია სასამართლოს მოხელის ოჯახში. მიუღია იურიდიული განათლება. წლების მანძილზე მსახურობდა კლერკად, ადვოკატად... მამასადაამე, სხვებზე უკეთესად ეცოდინებოდა დამნაშავეთა სამყაროს ასავალ-დასავალი. თავისი ნაწერების გამოქვეყნება დაუწყია 1885 წელს. მის კალამს ეკუთვნის სოციალურ-ყოფაცხოვრებითი რომანები, პიესები. ითვლება ნოველისტიკის ოსტატად. საუკეთესო დეტექტიური მოთხრობების ანთოლოგიებში არაერთხელ შეუტანიათ ბენეტის ნაწარმოებნი. ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული „თავგადასავალი ერთი პორტრეტისა“ განსხვავდება კლასიკური დეტექტივისაგან თავისი არატრადიციული სიუჟეტითა და ერთობ მოულოდნელი, სარკასტული ფინალით, რომელსაც თვით ო'ჰენრი არ დაინუნებდა.

## დაუვინყარი სახელები

ნინო ვახანია

## „ეს ჩემი სული შენვე გამოხსნა“

32 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაურის ალექსანდრე ორბელიანის ნაწერები არასოდეს აუკრძალავს არც ერთ ოფიციალურ ხელისუფლებას, თუმცა, ყველაფერი კეთდებოდა იმისთვის, რომ ეს ნაწერები არ გამოქვეყნებულიყო, მკითხველი მას ვერ გაცნობოდა და მათი ავტორიც მიჩქმალულიყო, ჩრდილს მიფარებოდა. არადა, რამდენ მართალ, საინტერესო ამბავს გვიყვება ორჯერ დამწვარი და პატრონის სიჯიუტით ორჯერვე აღდგენილი არქივი.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას რამდენიმე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე შევაჩერებ.

მწერლის არქივში ინახება საინტერესო თხზულება „ქურციკის სიყვარული“ (ხელნაწ. ინსტ. S-1640/გ). მასში გადმოცემულია სამშობლოს სიყვარულის და მონატრების გრძნობა, ერთ-ერთი პერსონაჟი, წარმოშობით ქართველი სპარსეთის ხანი ასე იგონებს თავის ქვეყანას:

მასსოვს მთის ძირში სოფელი მცირე და კვალად ქოხი სრულებით მდარე, მასსოვს იქ ჩემნი მშობელნი გლეხნი და მათ გულზედა მე მოთამაშე.

ძნელი შესამჩნევი არაა, რომ ეს თვით ავტორის მოგონებაა, სამშობლოდან შორს, გადასახლებაში მყოფი პოეტი, ბუნებრივია, ნოსტალგიითაა შეპყრობილი. თუმცა ალექსანდრე ორბელიანი გლეხის ქოხში არ გაზრდილა, მაგრამ ეს სიტყვები („ქოხი სრულებით მდარე“, „მშობელნი გლეხნი“, „სოფელი მცირე“) განზოგადებული მნიშვნელობისაა, შორეული სამშობლოს ზოგადი სახეა და არა კონკრეტული ვითარების აღმნიშვნელი. ესაა საერთოდ თავის ქვეყანას მონყვეტილი ქართველის გრძნობა და ფიქრი (სხვათა შორის, გადასახლებული ვახტანგ ორბელიანიც თავის ერთ-ერთ ლექსში იგონებს ქოხს, ვენახსა და სხვა ამგვარებს).

კიდევ უფრო მძაფრადაა გამოხატული მშობელი ქვეყნის სიყვარული და მონატრება შემდეგ სტროფებში:

ნეტა ხელ-ფეხი მოეჭრათ ჩემთვის არ ვინაღვლებდი არაფრისათვის ოლონდ ესრეთა ჩემს ქვეყანასვე დაგვედეთ იქა მინას მშობელსვე, რომ მშობელს მინას არ გავმორვოდი, უხელ-ფეხოთა კვლავ დავჩრებოდი, მის ქვასა ვჭამდი, მის მინას ვლოკდი და ამით იქა ტკბილად ვიმეებდი.

ქართული ლიტერატურისთვის არა თუ უცხო, არამედ, სწორედაც ნიშანდობლივი, დამახასიათებელია საერთოდ სამშობლოს სიყვარულის და, კერძოდ, ნოსტალგიის გრძნობა (გავიხსენოთ არჩილი: „თუ კაცსა მიხვდეს გრძლად ყოფნა უცხოს თემსა და მინებსა, შარბათიც ჰქონდეს სასმელად, ნალველად აღმოინებსა“), მაგრამ ასეთი სულისშემძვრელი, სისხლის გამყინავი ნატვრა, რაც ზემოთ დავიმონმეთ, ალბათ, იშვიათია.

32 წლის შეთქმულების მეთაურს სამუდამო გადასახლება მიესაჯა. 1834 წელს, როცა ეს ნაწარმოები იწერებოდა „კასპიის ზღვის პირზე კაიდაკის ყურე-ალექსანდროვის უკრებლენია“-ში, მისმა ავტორმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ რამდენიმე წელიწადში ოცნება აუსრულდებოდა, საქართველოში დაბრუნდებოდა. მწარე, გამოუვალიც კი იყო მდგომარეობა იმ კაცისა, რომელსაც ბრძოლის წილ მხოლოდ კვნის უფლება შერჩა.

და ისიც კვნესოდა:

**ოლონდ მშობელი ქვეყანა ვნახო ჩვენი მტკვრის წყალი ვსო და ვთქო ახო! ამაზედ მეტი სრულად არა რა მინდა სიმდიდრე, არც საუნჯე რა...**

ლიტერატურათმცოდნეობაში სამართლიანადაა მიჩნეული, რომ ალექსანდრე ორბელიანი არ არის ლექსის დიდოსტატი, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ გრძნობის სინრფელე, ქვეყნის სიყვარულით ანთებული გული მის ლექსებსაც სასიამოვნო წასაკითხს ხდის.

შორეულ ორენბურგში ყოფნის დროს მწერალი კვლავ თავის სანუკვარ მამულზე ფიქრობს. ეს სავსებით ბუნებრივია, რალა თქმა უნდა, არაერთხელ გაიხსენებს გარდასულ დღეებს და ჩაუფიქრდება თავიანთ (შეთქმულთა) მიზანსა და ნამოქმედარს. თვითონ, ცხადია, არ ეეჭვებოდა საკუთარი და გარშემო მყოფთა გულის სინრფელე და დიადი მიზანი („ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი?“ – ასე გამოხატავს შემდეგ ილია თავის ფიქრებს). მაგრამ როგორ გაიგეს და აღიქვს შეთქმულთა სწრაფვა სხვებმა, ხალხმა, ფართო საზოგადოებამ? ცნობილია, რომ მთავრობა შეეცადა, საქმე ისე წარმოედგინა, თითქოს „თავქარიანი ახალგაზრდების“ ბუნტი საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ იყო მიმართული. ისიც ცნობილია, რომ ოფიციალურმა წრეებმა თავიანთ სანადეღს ნაწილობრივ მიაღწიეს და საზოგადოებრივი აზრი შეთქმულთა წინააღმდეგ მომართეს... ვინ იყო გამკითხავი? ან ვის შეეძლო უშიშრად სიმართლის თქმა? ალ. ორბელიანსაც – არა. 1835 წელს შორეულ ორენბურგში მყოფი პოეტი წერს ლექსს „რობესპიერი რევოლუციის დროებში ჯერ რომ არ ამალღებულიყოს“. ლექსში გადმოცემულია ბოროტი კაცის ფიქრები. იგი (ბოროტება) სისხლის გარეშე ვერ ძღებს. ვინმე აუცილებლად უნდა მოკლას. ოლონდ იმისთვის, რომ ნდობა მოიპოვოს, ჯერ



ალექსანდრე ორბელიანი

ადამიანებს კეთილად უნდა ეჩვენოს, ამით პირველობას იშოვის. ხალხს მოატყუებს, კეთილსა და მართალს ძირით ამოთხრის და თავის ნამოქმედარს სხვას დააბრალებს. ერსა და მეფეს მახვილით ამოსანყვეტად არ დაერიდება. სიამოვნებითა და განცხრომით წარმოიდგენს, როგორ გადანავს სოფლებსა და ქალაქებს, როგორ ჩანავს და ჩახრაკავს ცეცხლში ჩვილ ბავშვებს და თვითონ ამით იმხიარულებს. ქრისტიანი რაკი არაფერი სწამს, შემუსრავს ხატებსა და ტაძრებს, მოსპობს ღვთის მოსავეებს და სიამოვნებით იფიქრებს: „ჩემთვის ესე სიცოცხლეა სიკეთე“.

ვითომ მართლა საფრანგეთის რევოლუცია იყო ალექსანდრე ორბელიანის ფიქრის საგანი შორეულ რუსეთში? მართლა რობესპიერის პიროვნების გაცნობითა და ხასიათის ჩხრეკით დაკავებულიყო? საეჭვოა. უფრო სარწმუნოა, რომ ეს იყო გზა, ხერხი სიმართლის თქმისა. რობესპიერის ბოროტი მიზნების გაკიცხვით მწერალი შეფარვით საკუთარ წმინდა განზრახვას გვიმჟღავნებს. ყველა რევოლუციონერისაგან განსხვავებით 32 წლის შეთქმულებს ნგრევა და განადგურება კი არ დაესახათ მიზნად, არამედ თავისუფლების მოპოვება შეძლებისდაგვარად მშვიდობიანად. ლექსი ავტორის ღვთისადმი ვედრებით მთავრდება:

**გთხოვ ავტორი დიდსა ღმერთსა უძლეველს! ამგვარს ძალი აღარ მისცე მას წყეულს თუ რომ ვინმემ კიდევ ასე იფიქროს, ამოაგდე ქვეყნის ძირით სრულად ის.**

აქ კარგად ჩანს, რაოდენ ძვირფასია ალექსანდრე ორბელიანისათვის ისეთი მარადიული ღირებულებები, როგორცაა სიკეთე, სათნოება, კეთილშობილება... მწერალი მუდამ ესწრაფოდა ცხოვრებაში, ადამიანთა ურთიერთობებში მაღალი ზნეობის დამკვიდრებას, ამის კიდევ ერთი საინტერესო დასტურია რუსულიდან თარგმნილი ჰატარა ლექსი (გამოუქვეყნებელია, ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში), „გორაციოსაგან რომაელებთანა“.

რუსი ავტორის განცდა, ჩანს, ახლოს მივიდა ალექსანდრე ორბელიანის განწყობასთან. მაშინ, როცა ქართველ მწერალს თვითონ უნდოდა, ეყვირა, არ დაუჯეროთ გამცემს, ცრუსა და მახეზარასო, რუსი მთარგმნელი შეეშველა და ჰორაციუსის მიმართვამ რომაელი ხალხისადმი სრულიად გამოხატა ალექსანდრე ორბელიანის სათქმელი: „რომელიცა განშორებულს მეგობარსა მორყენის (ამბობს გორაციო), რომელიცა განსაცდელში შთავარდნილსა არა შეენევა, რომელიცა არავის დაინდობს, რომელსაცა ენასა ზედა გადმოსდის ჩაგესლებულნი სიტყვანი, რომელიცა ათასობით იცრუებს და არა სცხვენინან იმისი და დასასრულ: რომელიცა საიდუმლოსა არა დაიცომა; აი რომაელნო, ვისა ჰქვიან უბილწოესი კაცი, რომლისთვისაც გირჩევთ, რათა ამისთანასა კაცსა არა ერწმუნოთ“.

ალექსანდრე ორბელიანის აზრით, სწორედ საიდუმლოს შეუნახაობამ, ჩაგვსლებულმა სიტყვებმა, დაუნდობლობამ და მეგობართა მორყვნამ ჩააგდო შეთქმულები შავ დღეში. სამშობლოში სიკვდილიც არ აღირსეს, გადაასახლეს და ამით სასჯელი კი არ შეუმსუბუქეს, პირიქით, კიდევ დაუძიმეს (ილია: „მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლად და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელად?“). ასეა, მოკვეთა, მოშორება, გადასახლება სასჯელის უმაღლესი ზომაა არა მარტო მთის დაუნერელი წესებით, არამედ ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის შინაგანი გრძნობითა და გააზრებითაც.

ამიტომ გასაკვირი არცაა, რომ ორენბურგში თუ ალექსანდროვკაში დანერული სატრფიალო ლექსებიდანაც ალექსანდრე ორბელიანის მონატრებული მამული შემოგვცქერის.

მაინც ვის მიმართავს ავტორი, ქალს თუ შორეულ სამშობლოს:

**სავანედ გულს ვიმყოფ შენად სამკვიდროდ,  
ვისულდგმულზე შენგნით ყოველს წამს და დროს.**

(„შორიდგან“, „ქართული მწერლობა“, ტ. IX, 1992).

ან იქვე:

**სული ჩემი დასწვეთს გულზე სიყვარულს,  
წაზსა, უცხოს, წმინდას, უზადოსა სრულს.**

ალექსანდრე ორბელიანი ხომ ის კაცია, ვისაც აკაკის სიტყვებით, „საქართველო განსხვავებულად უყვარდა“, იქნებ ეს განსხვავებული და გამორჩეული სიყვარულია გამჟღავნებული გარეგნულად სატრფიალო ლექსში „მინვევა“ („ქართული მწერლობა“, ტ. IX, 1992).

დავით გურამიშვილის პოეზიაზე აღზრდილთ, რა გაგვაკვირებს თუ „ზეცის სახე“, „გამოხსნილი ხმა“ და თვით „ლამაზთა თეთრ ხელთა ზედა“ მსხვერპლად მირთმეული საწყალი გული, ხელშესახები ატრიბუტები საყვარელი ქალის ტრფიალებისა მაინც სამშობლოს სიყვარულის, მისი კვლავ წახვის ნატვრად და სურვილად ჩაგვესმის და მაინც, ნეტა ვის მიმართავს ავტორი:

**ეს ჩემი სული შენვე გამოხსნა,  
რომ საუკუნოდ მე დამავალო  
და ამ სოფელსა შენგნით ვიცოცხლო.**

კრიტიკა

პაატა ჩხეიძე

**ორბინალის  
ბადალი**

\*

**უოლტ უიტმენის  
ერთი ლექსის  
თამაზ ჩხენკელისაჟი  
თარგმანი**


თამაზ ჩხენკელის თარგმანებს შორის, დასავლური მწერლობიდან, ღირსშესანიშნავია უოლტ უიტმენის ლექსთა თარგმანები; თამაზ ჩხენკელმა ინგლისური ენა არ იცის და არც ამერიკული ლიტერატურის კარგ მცოდნედ შეიძლება ჩაითვალოს. უიტმენის თარგმნა მან სხვათა რჩევით, რუსული თარგმანებითა და პნკარედების საშუალებით სცადა.

ენის, კულტურის, მსოფლმხედველობის, გარემოს არცოდნა სერიოზული ნაკლია მთარგმნელისათვის, უფრო მეტიც, სახიფათო ნაკლი; თუ მთარგმნელი ნიჭიერი პოეტიც, იგი აუცილებლად დასცილდება ორიგინალს, თავისას შეიტანს თარგმანში და შესაძლოა ზომიერება ვერც დაიცვას; მისი თარგმანი შესაძლოა გადაიქცეს ახალ ლექსად, ვარაიციად ორიგინალის თემაზე, მაგრამ იგივე შეიძლება მოხდეს მაშინაც, თუ ბრწყინვალედ ეცოდინება ორიგინალის ენა და კულტურა.

თეზაურუსის ნაკლოვანებანი დაუძლეველ პრობლემად იქცევა ეპოსის, რომანის, ნოველების წიგნის, პოეტური კრებულის, ესეების თარგმნის დროს. მცირე პოეტური შედეგების თარგმნისას კი ნიჭიერი მთარგმნელი ადვილად შეიძლება დაუძვრეს ხიფათს და არათუ ხიფათს დაუძვრეს, არამედ გაიმარჯვოს კიდევც.

თამაზ ჩხენკელის მიერ თარგმნილ უიტმენის ლექსებში არაერთი შეუსაბამობა აღმოჩნდება დაწვრილებით შედარებისას, მაგრამ არის რამდენიმე ლექსი, რომელიც არა მარტო ქართული ჟღერადობით გვზიბლავს, არამედ ინგლისურ ორიგინალსაც შეუცდომლად მიჰყვება. ეს არ გახლავთ მხოლოდ ნიჭით მიღწეული ბედნიერი შემთხვევა, ეს კიდევ უფრო მეტია, ეს ის არის, რისი ახსნაც ვერ ხერხდება.

Ah Poverties, wincings, and Sulky Retreats  
Ah you foes that in conflict have overcome me,  
(For what is my life or any man's life but a conflict with foes,  
the old, the incessant war?)  
You degradations, you tussle with passions and appetites,  
You smarts from dissatisfied friendships, (ah wounds the  
sharpest of all!)  
You toil of painful and choked articulations, you meannesses,  
You shallow tongue-talks at tables, (my tongue the  
shallowest of any;)  
You broken resolutions, you racking angers, you smother'd  
ennuis!  
Ah think not you finally triumph, my real self has yet to come  
forth,  
It shall yet march forth o'er-mastering, till all lies beneath me,  
It shall yet stand up the soldier of ultimate victory.



უოლტ უიტმენი

ლექსი ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს; პირველი, ნუთისოფლის ჭირვარამთან ბრძოლაში ნანგნევი მარცხის აღიარებაა; მეორე, ცხოვრების ფილოსოფიური შეფასება მტრებთან მარადიულ ბრძოლად; მესამე, კაცის, პიროვნების დაუძინებელი მტრებია ჩამოთვლილი; და მეოთხე კი სტიოკური და ოპტიმისტური შეძახილია გაუტყეხელი და მებრძოლი კაცისა.

ლექსის სულში ჩასწვდომად, შესაძლოა, მხოლოდ ორი ემოციური აქცენტი გამოიყოს; ერთი მტრებით გარშემორტყმული კაცის დაჩვილებაა, ხოლო მეორე ხმაღმემართული მეომრის ომახიანი შეძახილი.

თუ მთარგმნელი ამ ემოციურ დარტყმებს შეინარჩუნებდა, თარგმანი წარმატებად უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ მოდით ლექსის ბნკარედიც გადმოვიღოთ, რათა შევამოწმოთ თუ რამდენად შეძლო მთარგმნელმა შინაარსობრივ-ფაქტუალური ინფორმაციის შენარჩუნება:

**აჰ, სიღარიბევე, კრთომავ და პირქუშო უკანდახევავე,  
აჰ, მტრებო, რომლებმაც კონფლიქტში დამამარცხეთ,  
(რადგან რა არის ჩემი სიცოცხლე ან რომელიმე  
კაცის სიცოცხლე  
თუ არა კონფლიქტი მტრებთან, ძველი,  
დაუსრულებელი ომი?)  
თქვენ, გადაგვარებანო, შენ დავავ ვნებებთან და  
გემოთმოყვარეობასთან,  
თქვენ, ტკივილებო იმედგაცრუებული მეგობრობისა,  
(აჰ, ჭრილობებო, მწვავევ ყველაზე!)  
შენ მახვე მტკივნეული და გამგუდავი  
მეტყველებისა, შენ, სიმდაბლევ,  
შენ ზერელე ენის ტარტალო სუფრასთან (ჩემი ენა  
ყველაზე ზერელე);  
შენ დარღვეულო სიმტკიცევ, შენ მტანჯველო  
სიბრაზევე, შენ მახრჩობელა სევდავე!  
აჰ, ნუ ფიქრობთ საბოლოო ტრიუმფზე, ჩემი  
ნამდვილი არსი ჯერ კიდევ უნდა წამოვიდეს წინ,  
ის ჯერ კიდევ გამოემართება წინ დასათრგუნად,  
სანამ ყველაფერი ჩემს წინ განეფინებოდეს,  
ის ჯერ კიდევ აღსდგება საბოლოო გამარჯვების  
ჯარისკაცად.**

თარგმანი ყოველმხრივ შესანიშნავია, შენარჩუნებულია აქცენტები, ადეკვატურია შინაარსობრივად, კონცეპტუალურად და, რაც მთავარია, ემოციურობითა და ვაჟაკაციური მუხტით; ზომიერადაა გაქართულებული და არა მარტო ეხმაურება უიტმენის ტიტანურ ენერგიას, არამედ ზოგან აჭარბებს კიდევ მას.

**შიში, დათმობა, სიღარიბა**

შიში. დათმობა, სიღარიბე –  
– ჩემი ძველი და დამთრგუნველი, სასტიკი მტრები!  
(მაგრამ რა არის კაცის სიცოცხლე, თუ არა  
მტერთან შერკინება გამუდმებული?)  
შეგინებულო ვაჟაკაცობავ, ვნებას რომ ჰკლავ და  
ახშობ გულისთქმას,  
გულგატეხილი მეგობრობის მწვავე ტკივილო  
(ყველაზე დიდი სატკივარი ეგ არის ჩემთვის),  
ცუდმედიდობავ, ჭორიკნობის ღვარძლო და შურო,  
ფუჭი ლაყბობის სიდუხჭირვე (და მე ვიყავი  
მოლაყბეთა შორის პირველი),  
აუხდენელო ოცნებანო, გულს დაგუბულო  
მდულარებავე, ბოლმის სიმწარევ,  
ადრეა, ადრე თქვენი ზეიმი! კვლავ იხუვლებს და  
მოზღვავედება ჭეშმარიტი ნიშატი ჩემი,  
ბჭეს და ზღუდეებს გადმონგრევს და ყველაფერს  
დაიმორჩილებს  
კიდევ წამოვა ის საბოლოო გამარჯვების მძლე  
იერიშით!

თარგმანის წარმატება (მთარგმნელის ნიჭიერების გარდა) განაპირობა ერთგვარმა ემოციურმა სიახლოვემ ქართულ ხასიათსა და ტრადიციასთან; ეს თემა, ჭირსა შიგან გამაგრებისა და ღირსეული მარცხისა, „ვეფხისტყაოსანიდან“ მოყოლებული მრავალჯერაა დამუშავებული ქართულ მწერლობასა და ფილოსოფიაში და ამიტომ არ გაძნელდა უიტმენისეული განწყობილების გაქართულება.

პოემაში, „სიმღერა ჩემს შესახებ“, უიტმენი მსჯელობს ღირსეულ დამარცხებაზე და ხოტბას ასხამს ღირსეულ დამარცხებულებს:

**Have you heard that it was good to gain the day?  
I also say it is good to fall . . . battles are lost in the  
same spirit in which they are won.**

თუკი გსმენია კარგი არის გამარჯვებაო,  
მე დამარცხების აუგს არ გეტყვი...  
ბრძოლებს წავაგებთ იმავ ღირსებით,  
რა ღირსებითაც გავიმარჯვებდით.

არ ვიცი, ეგებ პარადოქსად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ზესახელმწიფოს სამყაროსეული ძლიერების მაღივლებელი პოეტი-ტრიბუნის მსოფლხედვა და მოწოდება ახლოსაა პატარა, მუდამ განწირულობაში მყოფი ერის პოეტთა გულისპასუხთან.

**რედაქციის მიხედვით:**  
მკითხველი ყურადღებას მიაქცევდა თვალსაზრისს: მთარგმნელი არა მარტო ეხმაურება უიტმენის ტიტანურ ენერგიას, არამედ ზოგან აჭარბებს კიდევ მასო.  
რამდენად შესაძლებელია მთარგმნელმა გადააჭარბოს ორიგინალის ღირსებას? ალბათ შეიძლება იმითომ, რომ ამის საშუალებას აძლევს თავისი მშობლიური ენის თავისებურებანი, ამა თუ იმ კერძო შემთხვევაში ორიგინალის ავტორზე უკეთ რომ გამოახატინებს იმის ჩანაფიქრს.  
ამ მხრივ კიდევ ცალკეა შესასწავლი ჩვენი მთარგმნელობითი მიღწევანი.

ამირან არაბული

# ფრთალება ნისლეების მებობარი და მისაიდუმელი

დღეს ნაკლებად ვიცლით ლექსის-თვის, პოეზიის წმინდა, თავანკარა საუფლოსთვის – ვუგანეთ და გავუგულ-გრილდით ამ უპირველეს სახატეს...

ჩვენი სულის სავანე, ძალღუმადუ-რი ყოფის სათავე და საყუდარი მაინც ისაა – მზის ირიბი სხივივით თბილი და მანათობელი, იდუმალი და მოუხელთე-ბელი.

ლექსის სტრიქონს, ძარღვიანსა და მალამოს მაგიერს, ვაფენდით სიჭაბუ-კის ჭრილობებს; ლექსით ვათირებდით მწყურვალ სულს, ვავარჯიშებდით მა-ძიებელ გონებას; ვწამლობდით მოუ-ლოდნელად მოვარდნილი სიყვარულის ელდით ძალღუმად შეძრულსა და შე-დუდგროვებულ გულს.

დღეს იმგვარი განწყობილება, მთლად იმნაირი, აღარაა: „ნასაღები წაულია უკვე ძერას“ (მურმან ლებანიძე), მაგრამ გული მაინც არ ცხრება, ვერ წყნარდება, ძველებურ ბორგვას არ იშლის.

## გული, გული ასაფრენად იწევს...

თუკი რამ გვაკლია და გვჭირდება ახლა, ისტორიული კატაკლიზმებით ნიშანდებულ საუკუნეთა გზაგასაყარზე, გვაკლია და გვჭირდება სწორედ ცის ნამივით სუფთა და მადლიანი, პენშერჩენილი და შეურყენელი ქართული სიტყვა, მშობლიური ბგერწერა და ინტონაცია...

და თუკი დღეს ვინმეზე ითქმის, რომ თხემით ტერფამ-დე ეროვნული პოეტია, მთელი თავისი არსებით, ხედვით, განცდით და მსოფლმხედველობით ქართველი შემოქმე-დია, ითქმის ეს ტარიელ ხარხელაურზეც.

მისი უჩვეულოდ ენერგიული, ლომა ხარის ღონით აღ-ბეჭდილი პოეტური პნკარი, ცაზე გაკლაკნილ ელვასავით გამკრთალი მხატვრული სახე და მხოლოდ მისეული, ღრმად ინდივიდუალური ხმოვანება ისე შეუმჩნეველად აგი-ყოლიებს, შეგიტყუებს და მოგაჯადოებს, წამით მიწისგან მოწყვეტის და მეტაფიზიკურ განზომილებაში გაღწევის უცნაური განცდაც კი შეიძლება დაგეუფლოს.

თითქოს ყველაფერი ისედაც ნაცნობია, ცხოვრებისეუ-ლია, მაგრამ ისეა ნათქვამი, იმგვარადაა გადმოცემული, რომ... ყოველი ფრაზიდან, სიტყვათა ყოველი წყვილიდან ჭეშმარიტი პოეზიის უსუფთავესი მწვერვალების საღი სუნთქვა მესმის; ნამდვილი პოეტური ხელოვნების განუმე-ორებელი ხმა გეცნობა და გეყურება.

ეს მისი სამყარო და სამფლობელოა, მისი შარა და უბა-ნია, მისი კალო, საბძელი და სათიბია – ერთსა და იმავე დროს სევდიანიც და სიხარულიანიც, ცრემლით ჩარეცხი-ლიც და იმედის შუქით დაფერილიც...



ტარიელი ხარხელაური შვილიშვილთან ერთად

საბადურის ბებერი იფნების ჩუმი ბუბუნი ისევე უხდება და ალამაზებს მის პოეზიას, როგორც ნანვიმარ ნარზე შე-მოსკუპებული მობუზული ნიბლიას უსუსური არსება...

ხილვათა უსიერი ტევრები და ათასგვარ ასოციაციათა აღმძვრელი არაორდინარული ვიზიონები მზერას მისი წი-ნამორბედებისკენ მიგაქცევენ, მაგრამ მალევე რწმუნ-დები იმაში, რომ ეს ყოველივე მხოლოდ მისია, მისი ნიჭისა და წარმოსახვის თარგზე მოჭრილი, მისი ნაფიქრ-ნააზრე-ვის ტვიფარი აზის...

ტარიელ ხარხელაურის პოეზიაში საცნაურია სიახლოვის მზარდი სურვი-ლი წარსულის უნაპირო წიაღთან, წინაპ-რებთან, სახელოვან წასულებთან, იქ, მიღმიერში დაბინადრებულებთან, მათ-თან, ვინც ქმნიდა ღირსეული საქართვე-ლოს სახეს და ვისთვისაც პირადულს, კერძოკაცურ ინტერესს მუდამ ჭარბობ-და და ფარავდა საერთო სატკივარი.

ისტორიის ნაცვთად და ნაწილად ნაქ-ცევი იმ დიდი სამყაროსკენ მიმავალი გზის სათავეში სწორ ზნეობრივ ორიენ-ტირად მოჩანს ლანდი პაპისა, თვალ-ყურს რომ ადევნებს ფრთალებსა ნისლებ-თან და მთიდან წამონაფრენ სიოსთან, ხმელ ფოთოლთან და საკუთარ ნაგრილ-თან, უპატრონობით დამწუხრებულ საფ-ლავებთან და ივრის ხეობის სევდიან ნა-სახლარებთან მოლაპარაკე შვილიშვილს.

მხარზე მზის ნატეხით და ხელში ხმლის ნალევით თავის საცდელად გარეთ გამოსულ გმირს, რომელიც, იმავდროუ-ლად, თვით ავტორის ბუნება-განწყობილებასაც იტევს და ითავსებს, ათასგზის დარბეული და გაპარტახებული მამუ-ლი გაუხდია გამუდამდღიურებული ზრუნვის საგნად და მიწყვი მზადაა, პირველი შეხვედეს მომხვედურის რისხვას, თუკი ამით შვეებას მოუტანს ავბედიითობებით დაღლილ და დაღრუბლულ მშობელ ერს...

ხანდახან (და ესეც სავსებით ლოგიკურია!) ვაფასებური კილო გახმინდება ტარიელ ხარხელაურის პოეზიაში და იმ ადგილების სახელწოდებაც გაკრთება, რომელთა გაგონე-ბა სხვაგვარი მღელვარებით ავსებს დიდი ფშაველი მისანის მაგიურ სიტყვასთან ნაზიარები მკითხველის გულს: „შვი-ლო, მგზავრი ხარ დაღლილი...“, „ვიქნები ჩემი ბაჩალის ერ-თი ბილიკი მტვრიანი...“

ფიქრი იმაზე, რომ „სამყარო არც ისე მშვიდია“ და საში-შია ქარების დუმილი, მღვიძარების მძლავრ იმპულსად გარდაიქმნება და პასიური თუ ბედთან შემრიგებლური ყო-ფისთვის ნიადაგს თითქმის აღარ ტოვებს.

ამიტომაც არის პოეტის ლურჯი კარავი „მარადიული ცრემლით სოველი“, ხოლო ხილვები – „თანაბრად მძაფრი“ და მამულის უამინდობით ნაავადარი სულის მდგომარეო-ბის შესატყვისი...

ტარიელ ხარხელაურის პოეზია თავის კომპეტენტურ განმსჯელსა და შემფასებელს ელოდება. დარწმუნებული ვარ, ეს დრო აუცილებლად დადგება.

ჩემდათავად კი ვიტყვოდი, რომ ეს მომცრო წერილი ერ-თობ მკრთალი და ზედაპირული ანარეკლია იმისა, რასაც „ძნელად გასაწურთნი ყმის“ მართალი პოეტური სიტყვა ტოვებს სილამაზის მაძიებელი რიგითი მკითხველის გულ-სა და გონებაში.



# დროის კონტექსტში

\*

**მაია ჯალიაშვილს  
ესაუბრა  
ირმა რატიანი**



დღეს, გახსნილი საზღვრების პირობებში, ჩვენ გვეძლევა აღნიშნული პრობლემის დაძლევის შესაძლებლობა, შესაძლებლობა იმისა, რომ განვხორციელოთ ფართო, მასშტაბური ფილოლოგიური კვლევები, ავითვისოთ და გადავიზოთ დასავლელი კვლევების გამოცდილება, მოვაქციოთ ქართული ლიტერატურული ტრადიცია თანამედროვე თეორიული მეთოდოლოგიებისა და ტექნოლოგიების არეალში, ჩავაყენოთ იგი მომავალი თაობების სამსახურში.

ირმა რატიანი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის პროფესორი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი, ოსაკის (იაპონია) სახელმწიფო უნივერსიტეტის ენებისა და კულტურის ფაკულტეტის არაერთგზის მინვეული პროფესორი. რამდენიმე მონოგრაფიისა და 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე. დღესდღეობით ლიტერატურის თეორიაში საქართველოში ერთ-ერთი ღირსეული, თვალსაჩინო მეცნიერი.

ამ ტიტულებისა და სამეცნიერო ნაღვანის მიუხედავად, ახალგაზრდა ქალბატონი, კეთილშობილური გარეგნობისა და სულიერების ადამიანია, ამაში თვითონვე დარწმუნდებით, თუ ერთხელ მაინც შეხვდებით და დაელაპარაკებით. კეთილი ღიმილითა და ნდობით სავსე გამომეტყველებით მოვისმენთ. ერთი სიტყვით, გონიერება და სიმშვიდე გამოსჭვივის მისი მზერიდან. სწორედ მასთან საუბარს შემოგთავაზებთ. სიმათლე გითხრათ, სალაპარაკო ბევრია, ყოველ მის წიგნზე ცალკე შეიძლება მსჯელობა, ამჯერად, ზოგადი საუბრით შემოვიფარგლებით.

– ქალბატონო ირმა, 2006 წლის ზაფხულში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად ავირჩიეს. ყველა ვხედავთ, როგორ ცდილობთ სიახლეების დანერგვას, დიდი ტრადიციების მქონე ინსტიტუტისთვის სახელისა და ღირსების შენარჩუნებას. როგორ წარმოგიდგენიათ ინსტიტუტის მომავალი?

– ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, მართლაც, დიდი ტრადიციების მქონე სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც უკვე მრავალი წელია ემსახურება ქართული ლიტერატურის ფუნდამენტური კვლევის საქმეს. მისი დამაარსებელი და პირველი ხელმძღვანელი გახლდათ ბატონი კორნელი კეკელიძე, ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლის ფუძემდებელი, რომელსაც სრულად ჰქონდა გააზრებული ქართული ლიტერატურის, ხალხური სიტყვიერებისა და ზოგადთეორიული პრობლემების კვალიფიციური კვლევის აუცილებლობა. ეს აუცილებლობა დღესაც არსებობს, ვინაიდან არსებობს ქართული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურულ პროცესში ჩართვის საჭიროება.

სამწუხაროდ, საბჭოთა რეჟიმის პირობებში ქართული ლიტერატურათმცოდნეობა, როგორც ერთ-ერთი იდეოლოგიური ბერკეტი, მოკლებული იყო დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობით სივრცეში ფასეული ინტეგრაციის საშუალებას.

ამ თვალსაზრისით, ინსტიტუტში უკვე დაიგეგმა მთელი რიგი სამეცნიერო პროექტებისა, რომელთა განხორციელებაც ნავარაუდევია 2007 წლიდან. ასე მაგალითად, დაგეგმილია საერთაშორისო ლიტერატურათმცოდნეობითი კონფერენციის ჩატარება, ილია ჭავჭავაძის საიუბილეო დღეებისთვის გამოსაცემად მზადდება ოცტომეულის თხუთმეტი ტომი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შედგენილი საიუბილეო კრებული, განახლებული სახით გრძელდება ინსტიტუტის ტრადიციული სამეცნიერო ჟურნალებისა და კრებულების გამოცემა, კონტაქტები მყარდება სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატურულ წრეებთან, ორგანიზაციებთან, ბიბლიოთეკებთან, მიმდინარეობს თანამედროვე ტიპის ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა.

ამასთან, ინსტიტუტი დიდ ყურადღებას უთმობს კონტაქტებს უმაღლეს სასწავლებლებთან და საშუალო საგანმანათლებლო სკოლებთან.

ინსტიტუტში დამუშავდა მემორანდუმის ფორმა, რომელიც ადასტურებს ინსტიტუტის მზაობას აქტიური კოლაბორაციისათვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებთან სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დონეზე, ხოლო სულ ცოტა ხნის წინ ინსტიტუტი ოფიციალურად, სამეცნიერო კონსულტანტის სტატუსით, ჩაერთო „ირმის ნახტომის“ სახელმწიფო პროგრამაში, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერებისა და ახალგაზრდა თაობის ფასეულ დაახლოებას. ამ და სხვა ბევრი გეგმის შესახებ დანერვილებით შეგიძლიათ შეიტყუთ ინსტიტუტის ვებ-გვერდიდან. მთავარია, რომ გეგმები არსებობს და გვაქვს მათი განხორციელების იმედი.

– თქვენს წიგნში, „ქრონოტოპი ილია ჭავჭავაძის პროზაში“ („უნივერსალი“, 2006), რომელიც თქვენივე საკანდიდატო დისერტაციის შევსებული გამოცემაა, ილია ჭავჭავაძის ხუთი ნაწარმოების („მგზავრის წერილების“, „ოთარაანთ ქვრივის“, „კაცია-ადამიანის?!, „გლახის ნაამბობის“, „სარჩობელაზედ“) ანალიზის გზით შესანიშნავადაა წარმოჩენილი ქრონოტოპის თავისებურებანი. გაანალიზებულია ავტორისეული დრო-სივრცე, როგორც მხატვრული დრო-სივრცის ერთ-ერთი ძირითადი პოზიცია, წარმოჩენილია მხატ-

ერული დროის ზოგადი სტრუქტურა და მისი რეალიზების ფორმები, დახასიათებულია ილიას პროზისთვის ნიშანდობლივი ძირითადი სივრცული მოდელები—გზა, სოფელი, კარ-მიდამო, სახლი, ქალაქი, დუქანი, საყდარი და პეიზაჟური ფონი. გაანალიზებულია მხატვრული ქრონოტოპული სისტემის ცალკეული კომპონენტები, მათ შორის, პერსონაჟთა ინდივიდუალური ქრონოტოპი, გზისა და შეხვედრის ქრონოტოპი, პერცეპტუალური დრო და სივრცე, მკითხველისეული ქრონოტოპი. ერთი სიტყვით, საინტერესო ნაშრომია და, რაც მთავარია, ახალი კუთხით არის დანახული და გაანალიზებული ილიას, ჩვენთვის ასე ნაცნობი, მხატვრული სამყარო.

ვინ მიგაჩნიათ ილიას შემკვიდრედ XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. თქვენი აზრით, ვის შემოქმედებაში გაგრძელდა ილიასეული ქრონოტოპის ტრადიცია.

– ილიას შემოქმედება ძალზე მასშტაბური მოვლენაა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში. ლიტერატურულ დიალოგში, რომელიც წარმოებს სხვადასხვა ეპოქის ქართველ მწერლებს შორის, ილია არის მუდმივად ანგარიშგასანევი მოსაუბრე, ვინაიდან მისი თხზულებები წარმოადგენენ არა მხოლოდ კლასიკური რეალიზმის ნიშნით აღნიშნულ ტექსტებს, არამედ შეიცავენ მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურული ტრადიციისთვის ფასეულ ღირებულებებს. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, მიუხედავად კონცეპტუალური და სტრუქტურული ინოვაციებისა, აქტიურად მოძრაობს ღირებულებათა ამ შკალაზე, სადაც მნიშვნელობს ტრადიცია, მისი განმაახლებელი ფუნქციით და, შესაბამისად, მნიშვნელობს ილია თავისი ღიაობით შემოქმედებითი ინტეგრაციისადმი. რაც შეეხება შემკვიდრობითობის ტენდენციას ქრონოტოპის კატეგორიასთან მიმართებაში, აქ გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება: ქრონოტოპი წარმოადგენს მხატვრული აზროვნებისა და ტექსტის ნაწილს დასაბამიდან ვიდრე დღემდე, მხოლოდ მისი გამოვლინებანი და ანალიზი განსხვავებულია ცალკეული ლიტერატურული ეპოქების, მიმდინარეობების, ჟანრებისა და ავტორთა ინდივიდუალური შემოქმედებითი პრინციპების კონტექსტში. XX საუკუნის ლიტერატურა, მხატვრული ტექსტისთვის აუცილებელ სხვა მრავალ სტრუქტურულ კომპონენტთან ერთად, ცხადია, ოპერირებს ქრონოტოპული მოდელებით, იყენებს ტრადიციულ ქრონოტოპულ მოდელებსა და მათი ურთიერთკვეთის პერსპექტივებს, მაგრამ, თანამედროვე კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით, ამრავალფეროვნებს მათ და ავსებს ახალი შინაარსით. XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტი ლიდერის, ილიას შემოქმედებაში გამოკვეთილი ქრონოტოპული მოდელები, რომელთა ფუნქციური დატვირთვაც შეესაბამება ევროპული რეალიზმის კანონებს, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ზოგადი სტრუქტურული ფასეულობანი, რომელთაც შემოქმედებთავე ითვისებს შემდგომი ეპოქის ქართული ლიტერატურა და რომლებთან მიმართებაშიც, XX საუკუნის ლიტერატურულ სივრცეში, ყალიბდება შინაარსობრივად ახალი სტრუქტურული მოდელები, ანუ ახალი ნესრიგი. „ახალი ნესრიგი“ არის მუდმივადქმნადი მთელი, რომელიც ინარჩუნებს საჭირო ბალანსს ტრადიციასა და

თანამედროვეობას შორის. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ვისაუბროთ ღირებულ ურთიერთმომართებებზე XX საუკუნის ქართული ლიტერატურისათვის ნიშანდობლივ მხატვრულ-ქრონოტოპულ ტენდენციებსა და ილიას შემოქმედებაში გამოკვეთილ ქრონოტოპულ მოდელებს შორის.

– თქვენი წიგნი „ქრონოტოპი ანტიუტოპიურ რომანში“, ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ინტერპრეტაციისათვის (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2006) ლიტერატურული პრემია „საბას“ ნომინანტი გახდა.

წიგნში გაანალიზებულია ლიტერატურული ანტიუტოპია და მისი განვითარების ზოგადი ტენდენციები, განსჯილია საკითხი: უტოპია. უ ტოპოს (არარსებული ადგილი) თუ უ ტოპოს (კარგი ადგილი). უტოპია და ანტიუტოპია წარმოჩენილია, როგორც ერთი ამბივალენტური მთლიანობიდან აღმოცენებული ოპოზიციები, საილუსტრაციოდ მოყვანილი და გაანალიზებულია ანტიკური, შუასაუკუნეების, XIX და XX საუკუნეების ლიტერატურული მასალა, წარმოჩენილია ანტიუტოპიის ჟანრის ფილოსოფიური და ლიტერატურული წანამძღვრები. გაანალიზებულია ანტიუტოპიის ჟანრის გააზრების თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტები და განსაზღვრულია ჟანრის სპეციფიკა, სუბიექტივისტური და ობიექტივისტური თეორიების კონტექსტში წარმოჩენილია დროისა და სივრცის გააზრების ფილოსოფიური და მეცნიერული ასპექტები, გაანალიზებულია დროისა და სივრცის კატეგორიათა მხატვრულ-ლიტერატურულ სისტემაში იმპლანტაციის თეორიული პარადიგმა, ქრონოტოპის როლი ლიტერატურული ანტიუტოპიის ჟანრული დეტერმინაციის პროცესში. დამუშავებულია ქრონოტოპის ლიმინალური მოდელები მე–20 საუკუნის ესქატოლოგიურ ანტიუტოპიაში (ვ. ნაბოკოვის რომანების „მოპატიჟება სიკვდილზე“, „ენდ შინისტერ“ და მ. ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ მიხედვით), წარმოჩენილია მხატვრული დროისა და სივრცის ლიმინალური მოდელები, მათი ჟანრგანმსაზღვრელი და ტრანსფორმაციული ფუნქციები.

ასე ვრცლად იმიტომ ვსაუბრობ, რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნას წიგნის შინაარსზე. ამ წიგნში ჩემთვის ბევრი რამ საგულისხმო და გასათვალისწინებელი ამოვიკითხე. განსაკუთრებით საინტერესოდ მივიჩნიე „ჯაყოს ხიზნების“ თქვენეული ანალიზი. მომეწონა, რომ ამ რომანის მთავარ გმირად დროს ასახელებთ და, შესაბამისად, თეიმურაზს „დროის ტყვედ“ მიიჩნევთ. ამან მიხილ ჯავახიშვილის დღიურში ჩანერილი სიტყვები გამახსენა: მე ან ადრე უნდა დავბადებულიყავი, ან გვიანო. ეს სიტყვები მწერალმა არსენა მარაბდელსაც ათქმევინა. წიგნში მრავალ საინტერესო პარალელთან ერთად (თქვენ ხომ კომპარატივისტიკის მეთოდს მარჯვედ იყენებთ კვლევისას), გამოვარჩევი ჯაყოს დაკავშირებას შარიკოვთან („ძალის გული“), უფრო მეტად კი სატანასთან. ასევე, მეტად საინტერესო დაკავშირებაა თეიმურაზისა აგასფერთან (ურიასთან, რომელმაც ქრისტეს შესვენების ნება არ მისცა და მარადიულ მოხეტიალედ იქცა და სხვა.). მთავარი მაინც

ისაა, რომ „ჯაყოს ხიზნებს“ ანტიუტოპიურ ჟანრს მიაკუთვნებთ და ამტიკიცებთ კიდევაც. ამ წიგნის შთაბეჭდილებების მიხედვით, სამ კითხვას დაგისვამთ:

როგორ ფიქრობთ, დროის ტყვეობის თვალსაზრისით, რა საერთო ჰქონდა ავტორს პერსონაჟთან? „გაურკვეველი მომავალი“ მასაც ხომ თეიმურაზივით სტანჯავდა?

– მოგეხსენებათ, XX საუკუნის დასაწყისში ლიტერატურის თეორიამ საკმაოდ ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა ავტორის ფენომენის მიმართ და სერიოზულ ეჭვქვეშ დააყენა ლიტერატურის „პერსონალურობის“ იდეა. ელიოტის მიერ შემოთავაზებული „დეპერსონალიზაციის“ კონცეფცია ეტაპობრივად გადაიზარდა ჯერ „ტექსტის ფეტიშიზმის“, ხოლო მოგვიანებით – „ავტორის სიკვდილის“ ბარტისეულ კონცეფციაში. მართალია, ეს იყო აგრესიული თეორიული მანევრი, მიმართული XIX საუკუნიდან მემკვიდრეობით მიღებულ „ავტორზე ორიენტირებულ“ კრიტიკაზე და ემსახურებოდა მკითხველის ყურადღების კონცენტრირებას უშუალოდ ტექსტზე, როგორც ლიტერატურულ ფაქტზე, მაგრამ, ამასთანავე, აყენებდა ძალზე საყურადღებო თეორიულ პრობლემას: რამდენად მიზანშეწონილი და შესაძლებელია პარალელების ძიება ლიტერატურულ ტექსტს, სიუჟეტს, პერსონაჟსა და ავტორის პერსონას შორის? ერთი მხრივ, ჩვენ ვალდებულნი ვართ დავეთანხმეთ „დეპერსონალიზაციის“ თეორიის მომხრეებს: დაუშვებელია საუბარი ავტორის ცხოვრებისეული რეალიებისა და ტექსტუალური რეალიების იდენტიფიკაციის შესახებ, ვინაიდან ავტორის პერსონალური გამოცდილება ვერ იქნება პრიორიტეტული ტექსტის ესთეტიკური ღირებულების განსაზღვრის პროცესში. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ ასევე ვერ და არ უარვყოფთ რეალურ კონტექსტთან ავტორის სუბიექტური მიმართების გამოვლინების გარადუვალობას მხატვრულ ტექსტში. მაშ, სად ვეძიოთ გამოსავალი? აქ, ალბათ, მიზანშეწონილია მიხილ ბახტინის დამონებება: ავტორი აყალიბებს პერსონაჟის დისკურსს, ანიჭებს მას შინაგანი ლოგიკისა და პერსონალური, ე.წ. „სხვის“ დისკურსის განვითარების დამოუკიდებლობას, მაგრამ ინარჩუნებს „ყველა ხმის“ მიღმა მდგარი იდეური და მხატვრული ცენტრის ფუნქციას. შესაბამისად, „ჯაყოს ხიზნებს“ შემთხვევაში, ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვისაუბროთ „დროის ტყვეობის“ გლობალური პრობლემის ტრანსპოზიციაზე ავტორის რეალური კონტექსტიდან პერსონაჟის მხატვრულ კონტექსტში, მხოლოდ არა იდენტიფიკაციის, არამედ ლიმიტირებული მხატვრული ტრანზიტის ფარგლებში.

თქვენი აზრით, „ჯაყოს ხიზნების“ შემდეგ თუ გაგრძელდა ანტიუტოპიური ჟანრის ტრადიცია ქართულ ლიტერატურაში და რომელ ნაწარმოებს დაასახელებდით ამის ნიმუშად?

– ახალი ლიტერატურული ჟანრის წარმოქმნა ყოველთვის განპირობებულია ორი ფაქტორით: შიდალიტერატურული, ანუ სინქრონული და გარელიტერატურული, ანუ დიაქრონული ფაქტორებით. ახალი ჟანრის ფორმირების დიაქრონული განპირობებულობა მიუთითებს ლიტერატურის უმჭიდროვეს კავშირზე რეალურ ისტორიულ და კულტურულ კონტექსტთან. შესაბამისად,

გარკვეულ კონტექსტში ჟანრი ყალიბდება, არის აქტიური, დომინანტური, მაგრამ ასევე გარკვეულ კონტექსტში მისი სიცოცხლისუნარიანობა მცირდება, ჟანრი გადაინაცვლებს პასიურ კონდიციაში, აღორძინებისათვის უფრო ხელსაყრელი პირობების მოლოდინში. ლიტერატურული ანტიუტოპიის, როგორც „იდეალური ნესრიგის“ წინააღმდეგ მებრძოლი ლიტერატურული ჟანრის დაფუძნებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს, კონცეპტუალური და სტრუქტურული თვალსაზრისით, წარმოადგენდა „მშობისა და საყოველთაო თანასწორობის“ „ლამაზი ოცნების“ მატერიალიზაციის პროცესი: მიუხედავად იმისა, რომ ანტიუტოპიური თემა საუკუნეების მანძილზე მუსირებდა ლიტერატურულ სისტემაში, ანტიუტოპიის კლასიკური ნიმუშები აღმოცენდა XX საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც „იდეალური ნესრიგი“ რეალიზებული მოდელების სახით დაემუქრა კაცობრიობას. შეიქმნა ზამიატინის, ჰაქსლის, ჩაპეკის, ორუელისა და სხვათა კლასიკური ანტიუტოპიები. მაგრამ ანტიუტოპიის ჟანრმა საკმაოდ სწრაფად დაძლია ლიტერატურული ადაპტაციის პერიოდი და განიცადა დეტერმინაცია მეცნიერული, ფანტასტიკური, სატირული ანტიუტოპიების სახით. ანტიუტოპიის ერთ-ერთ ფორმად ჩამოყალიბდა ესქატოლოგიური ანტიუტოპია, რომლის სიღრმისეული მოდელიც ითვალისწინებდა არა ოდენ რეალობის ხაზგასმულად ტოტალიტარულ, ინდუსტრიალურ და პრაგმატულ არსებითობას, არამედ მის ტრაგიკულ შედეგს – პიროვნების სრულ გაუცხოებას სამყაროსთან (რაც მოგვიანებით გადაიზარდა კიდევაც სუბიექტისტური რომანის მოდელი). ქართულ ლიტერატურაში რთულია საუბარი კლასიკურ ანტიუტოპიურ ტრადიციაზე, ისევე როგორც არაერთ სხვა კლასიკურ ევროპულ ლიტერატურულ ტრადიციაზე, გამომდინარე, ერთი მხრივ, ქართული ლიტერატურული პროცესის ინდივიდუალური კულტურული პროექციიდან, მეორე მხრივ, იმ მრავალი საჭირობოტო „ქართული საკითხავიდან“, რომელიც ნებისმიერ ეპოქაში, მუდმივი თემების სახით, თან სდევდა ქართულ ლიტერატურას. მაგრამ XX საუკუნის ქართული მხატვრული ნარატივი შრეობრივია, მრავალფეროვანი, რთული, იძლევა ნაკითხვის ინვარიანტული მოდელის გამოყენების საშუალებას და ექვემდებარება განსხვავებულ მეთოდოლოგიურ ტექნოლოგიებს. ერთ-ერთ ამგვარ ტექნოლოგიად მიგვაჩნია XX საუკუნის ქართული ლიტერატურის გააზრება და კვლევა ანტიუტოპიური ჟანრის კანონების, კერძოდ, ესქატოლოგიური ანტიუტოპიის ფარგლებში: ამ მიმართულებით, ისევე როგორც „ჯაყოს ხიზნები“, ჩვენ წარმატებით შეიძლება ვიკვლიოთ „იდეალური ნესრიგის“ მარყუჟში მოქცეული XX საუკუნის ქართული რომანი, არა დაცალკეებით, არამედ – სისტემურად.

წიგნში უტოპიურ ჟანრს ვრცლად და საფუძვლიანად განიხილავთ. ქართული ლიტერატურიდან უტოპიის ნიმუშად მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფს ასახელებთ: („ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს...“) თქვენი აზრით, სულხან-საბა „სიბრძნე სიცრუისაში“ ხომ არ გვთავაზობს იდეა-

ლური მეფისა და სახელმწიფოს უტოპიას, როდესაც უფლისწულ ჯუმბერს წარმოაჩენს, როგორც ლეონის მიერ იდეალურად აღზრდილს, რომელმაც „ყველაფერი იცის“ სახელმწიფოს სამართავად, რათა „თხა და მგელი ერთად სძოვდეს“?

– ძალზე საინტერესოა თქვენი მოსაზრება სულხან-საბა ორბელიანის თხზულების შესახებ. ვფიქრობ, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს უტოპიური და ანტიუტოპიური მოდელების ამბივალენტური მთლიანობის არსებობას ქართულ ლიტერატურაში.

– არ მოვერიდები, გამოვხატო აღტაცება თქვენი „იაპონური დღიურების“ მიმართ. იაპონიაში 5 წელი გაატარეთ ოჯახთან ერთად და რა გასაკვირია, რომ იქაურობა ღრმად აღგებუქდათ მეხსიერებაში. ჩემთვის გასაოცარი ისაა, რა პოეტურად, ლამაზად, მწერლის თვალთა და გრძნობით წარმოაჩენთ შთაბეჭდილებებს. იაპონიას იხსენებთ არა ეგზოტიკურად, ეს თავისთავადაა, არამედ სწვდებით მის სულს. სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა ამ ქვეყნის მდიდარი უძველესი კულტურის მიმართ. თხრობაში კარგად არის ჩანსული იაპონური მითები და ლეგენდები. დღიურების ცალკე თავები ნოველებივით იკითხება. ნიგნს განსაკუთრებით ალამაზებს იაპონური ტანკები, რომელიც თქვენვე გითარგმნიათ. აი, ერთ-ერთი:

რა სჯობს, ვინ იცის,  
შევერცხლილი მთვარის ნათელი,  
თუ შემოდგომის სევდიანი წვიმის შხაპუნი?  
ჩვენი ფიქრები სხვადასხვა გზით მიედინება  
(საიგო)

და კიდევ ერთი პატარა ფრაგმენტი ნიგნიდან, მისი სურნელის შესაგრძობად: „...ტყეში გზააბნეულ პოეტს და ფილოსოფოსს დოოგენს მაღალი ნეკერჩხლების წიაღში შემოჰლამებია ერთხელ. ჟრუანტელივით დაუვლია ტანში მიუსაფარი მარტოობის შეგრძნებას. სასოწარკვეთამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა, რომ, უეცრად, წვიმის გაბერილი წვეთი დასცემია ხელისგულზე. ერთს მეორე მოჰყოლია, მეორეს–მესამე, მესამეს–მეათე და სულ მალე ტყე შეუძრავს კისრისტეხით მოშხაპუნე წვიმას... გასაოცარი შეება უგვრძნია დოოგენს: ის აღარ იყო მარტო! ციდან წყალობასავით მოვლენილმა წვიმამ ტყის რიტმული სუნთქვის თანაზიარად აქცია პოეტი!“. „დღიურებს“ 2000 წელს ბატონი ოთარ ჩხეიძე გამოხმაურებია, რაც მეტყველებს ნიგნის ღირსებაზე.

არ გიფიქრიათ, რომ გეთარგმნათ იაპონური პოეზია, ამ ნიგნის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს ძალიან კარგად გამოგდით და გამოგივით კიდევ, რადგან პოეტურად ფიქრი და წერა გემარჯვებათ. რას გვეტყვით ამის თაობაზე, მხოლოდ ეს თარგმანებია, რაც ნიგნშია, თუ სხვაც გაქვთ და ჯერ არ გამოგაქვთ სამზეოზე?

– იაპონური პოეზიის თარგმნას, ალბათ, ვერ შევებდავდი, რომ არა „იაპონური დღიურები“. ნიგნის სათქმელმა თავად მიმიყვანა პოეზიასთან. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავასრულე რამდენიმე სალექსო ვერსიის თარგმნა და მოვისმინე კომპეტენტური შემფასებლების აზრი, გადავ-

წყვიტე, გამეგრძელებინა დანყებული საქმე. თარგმანების პირველი ნიმუშები „ომეგაში“ გამოაქვეყნა ბატონმა როსტომ ჩხეიძემ, რისთვისაც მას, კიდევ ერთხელ, უღრმეს მადლობას მოვასხენებ. თარგმანების შემდგომი ნიმუშები წარუვდგინე ბატონ მალხაზ ხარბედიას, რომელმაც ასევე დიდსულოვნად დაუთმო მათ „არილის“ გვერდები. გამომდინარე იქიდან, რომ თარგმნის პროცესი საკმაოდ შრომატევადია და ითხოვს მრავალი თეორიული და პრაქტიკული ნიუანსის გათვალისწინებას, მუშაობის პროცესი უკვე მრავალი წელია გრძელდება (დაახლოებით რვა წელი). ვფიქრობ, 2008 წლის შემოდგომისათვის დავასრულებ გათვალისწინებული მასალის თარგმნას და ვიზრუნებ მის წიგნად გამოცემაზე.

– ნელს თქვენი და ბატონი თეიმურაზ დოიაშვილის რედაქტორობით გამოიცა წიგნი „ლიტერატურის თეორია“, სადაც შესულია XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები. უაღრესად საჭირო წიგნია ჩვენი ლიტმცოდნეობისთვის. წიგნში თქვენი რამდენიმე წერილია: „მიხეილ ბახტინის თეორიული კონცეფცია. დილოგური კრიტიკა“, „ფენომენოლოგიური კრიტიკა“, „ჰერმენევტიკა“, „ამერიკული ახალი კრიტიკა“. ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, მეტყველებს თქვენი ლიტმცოდნეობითი ინტერესების სიღრმესა და სიფართოვეზე. გაგრძელდება თუ არა ამგვარი წიგნების გამოცემის ტრადიცია?

– აუცილებლად გაგრძელდება, გაფართოვდება, კიდევ უფრო გაღრმავდება, ვინაიდან ქართულ ლიტერატურატმცოდნეობით სივრცეში მრავალი მიმართულებით არსებობს სერიოზული ვაკუუმი, რომელიც საჭიროებს ამოვსებას. ასე მაგალითად, მომავალი წლისათვის დასაბეჭდად მზადდება თქვენ მიერ მოხსენიებული კრებულის შევსებული გამოცემა და პირველი ქართულენოვანი ქრესტომათია ლიტერატურის თეორიაში.

– ახლა რაზე მუშაობთ?

– მაქვს გარკვეული პროექტები, მაგრამ მათ შესახებ საუბარი, ალბათ, არ არის მიზანშეწონილი, ვიდრე არ გამოჩნდება კვლევის პირველი შედეგები.

– თქვენს საანკეტო მონაცემებში ამოვიკითხე, რომ კინო გიყვართ, რომელი რეჟისორები მოგწონთ და რატომ?

– მე მართლა ძალიან მიყვარს კინო. კინო არის ის „რეალობა“, სადაც თავს ვგრძნობ კომფორტულად, ან იქნებ–თავისუფლად. ვარ ემოციური მასურებელი, მომწონს სხვადასხვა ჟანრის ფილმები, ვინაიდან კინოგემოვნება, ალბათ, ვერ მოთავსდება ერთი ჟანრის ფარგლებში. რეჟისორებისა და ფილმების ჩამონათვალთ თავს არ შეგანწყენთ – ამ თემაზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. მხოლოდ ერთს დავძენ: ოძუს „ტოკიური ამბის“, ფელინის „კაპირიას ლამეების“, აბულადის „ვედრების“ და ამ რანგის სხვა ფილმების ნახვის შემდეგ კიდევ ერთხელ რწმუნდები, რომ სამყაროს შემეცნება შეიძლება იყოს მხოლოდ დიალოგური, როდესაც „სხვისი გამონათქვამის“ წვდომა ნიშნავს ორიენტირებას „სხვასთან“ მიმართებაში და სამყაროს გააზრებაც არის ამ ფასეული ურთიერთობის შედეგი.

მაია, დიდი მადლობა მინდა მოვასხენოთ საინტერესო შეკითხვებისთვის.

მანანა გაბაშვილი

# თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა

მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით

\*

„ვეფხისტყაოსანი“,  
„აბღულმესიანი“, „თამარიანი“

თამარის ეპოქა თაობების გადასახედიდან იმ ორიენტირად რჩება, რომლის მასშტაბი ქართულ ისტორიოგრაფიაში ბოლომდე გარკვეული არ არის. მიუხედავად ამ „ოქროს ხანად“ აღიარებული პერიოდის შესახებ არსებული მრავალი ნაშრომისა, ბევრი რამ შესწავლასა და დაკონკრეტებას მოითხოვს, რაც სავსებით ბუნებრივია. მით უმეტეს, როდესაც ისტორიული მეცნიერება, თავისი განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე, მკვლევართ ახალი ამოცანების წინაშე აყენებს. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა, კიდევ უფრო კარგად გავერკვეთ, რატომ შემორჩა საქართველოში მეფეთა შორის ყველაზე მეტად თამარის სახელი უამრავ ადგილს, ციხესა თუ კოშკს, რამ განაპირობა ხალხის სსოვნაში ამ მეფისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და სიყვარული, ეროვნული სიამაყისა და ღირსების განცდა, რასაც ცხადია ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ქართველთა უპირველესი ნაწარმოები „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფისადმი მიძღვნილი.

ამ კითხვებმა უკვე მერამდენედ მიგვიყვანა თამარ მეფის პოლიტიკასთან, მის საგარეო ინტერესებთან. ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ ზოგიერთ მოვლენათა ახლებურმა გააზრებამ, ამ პერიოდის პოლიტიკის გაცილებით დიდ მასშტაბზე გაგვიყვანა, ვიდრე ეს აქამდე იყო მიღებული. აღნიშნულ პრობლემას რამდენიმე წერილი მივუძღვევით, სადაც თამარის ეპოქის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის მიზნები და ამოცანები განვიხილეთ. ვუჩვენეთ ის დიდი საერთაშორისო რეზონანსი, რომელიც საქართველოს ხელშეწყობით დაარსებულმა ტრაპიზონის იმპერიამ გამოიწვია, რაც არ იყო შემთხვევითი. იგი ერთგვარ გამოძახილს წარმოადგენდა საქართველოს საგარეო პოლიტიკის იმ მაგისტრალური ხაზისა, რომელიც დასავლეთისკენ იყო მიმართული.

სამწუხაროდ, ტრაპიზონის იმპერიის საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ არის დასმული და გააზრებული, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მოვლენა ტრაპიზონთან მიმართებით აიხსნება და პირიქით. ამას გარდა, ტრაპიზონის იმპერიის და-

არსება, ანუ საზღვაო პოლიტიკა იზოლირებულად, ყოველგვარი კავშირის გარეშე განიხილებოდა თამარ მეფის სპარსეთში ლაშქრობისაგან.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ქართული ისტორიოგრაფია ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში ხედავდა მაქსიმუმს. მაგრამ, როგორც სათანადო კვლევა-ძიებამ გვიჩვენა, მას გაგრძელება უნდა ჰქონოდა, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, როგორც თამარ მეფის მოღვაწეობის ხელახალი გააზრების მხრივ, ისე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის ახლებური გაშუქების თვალსაზრისით. ქართული და უცხოური წყაროების ანალიზის შედეგად, ნათელი გახდა რომ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება შემდგომ ეტაპსაც ითვალისწინებდა. ეს პროცესი სპარსული პოლიტიკის პარალელურად მიმდინარეობდა. ამგვარად, სპარსეთში ლაშქრობა (1210 წ.) და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, გავიზრეთ არა იზოლირებულად, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული, არამედ როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთიანი, კოორდინირებული გეგმა. თუმცა, როგორც სათანადო გამოკვლევებით ვუჩვენეთ, ისინი სირთულის თვალსაზრისით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. თუ საქართველოს სამეფოს სერიოზული წინააღმდეგობა დახვდა სპარსეთში, რასაც „ქართლის ცხოვრება“ 1210 წ. ქართველთა მიერ სპარსეთის დალაშქრებას რამდენიმე ფურცელს უთმობს, ტრაპიზონთან მიმართებით განსხვავებული სურათს გვანვდის, რაც იმითაც აიხსნება, რომ ეს რეგიონი ქართული მოდგმის ლაზებით იყო დასახლებული. კვლევამ, რომელმაც ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასა და სპარსეთში ლაშქრობას შორის კავშირი დაგვანახა, იმ დასკვნის გამოტანის საშუალებაც მოგვცა, რომ თამარ მეფემ საზღვაო პოლიტიკა ორ ეტაპად დაყო. თუ პირველ ეტაპზე მან ტრაპიზონის იმპერია დააარსა, სადაც ტახტზე ბაგრატიონების ახლო ნათესავი ალექსი კომნენოსი დასვა. მისი შემდგომი გაგრძელება, ანუ მეორე ეტაპი დავით კომნენოსს დაუსახა მიზნად, რომელიც ალექსის მსგავსად, დიდი კომნენოსის ტიტულსაც ატარებდა, რაც ვფიქრობთ, გაპირობებული იყო იმ დიდი მისიით, რომელიც მის წინაშე იდგა. ამითვე უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დავითი ზოგჯერ იმპერატორადაც მოიხსენიება. აღნიშნული მისიის შესრულება კი გულისხმობდა კონსტანტინოპოლისკენ გეზის აღებასა და ბიზანტიისაგან სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ტერიტორიების ჩამოშორებას, შავი და ხმელთაშუაზღვების კონტროლს. დასახული მიზნის განხორციელების გზაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ როგორი ურთიერთობა იყო ძმებს შორის, რაზეც – და ესეც არ არის შემთხვევითი – ბიზანტიური წყაროები საგანგებო ყურადღებას ამახვილებენ. როგორც აღმოჩნდა, მათ შორის სრული კოორდინაცია და თანხმობა სუფევდა. დავითი, ალექსის მსგავსად, ასევე საქართველოს სამეფო კარზე ქართულად აღზრდილი, ალექსის ნების აღმსრულებელი იყო, რაც ირიბად მიგვანიშნებს, რომ იგი ალექსი კომნენოსთან ერთად ქართული პოლიტიკის სამსახურში უნდა მდგარიყო.

ტრაპიზონის იმპერია თამარის მიერ იქნა დაარსებული, რასაც ქართულთან ერთად, ბიზანტიური წყაროც ადასტურებს. სავსებით ლოგიკურია, თამარის ნების აღმსრულებლის – ალექსის – პოლიტიკის გამტარებელი დავითი თამარის ნების შემსრულებელიც რომ ყოფილიყო.

ძმებს შორის კოორდინაცია და თანხმობა, პირველ რიგში, საქართველოს ჭირდებოდა. უამისოდ ის თავის მიზნებსა და ამოცანებს ვერ განახორციელებდა. აღნიშნული კოორდინაციის წარმართველი, ისევე როგორც ახალდაარსებული პატარა სახელმწიფოს, ტრაპიზონის საგარეო პოლიტიკის გარანტი, მხოლოდ ძლიერი საქართველო შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამდენად, დავით კომნენოსის ზემოაღნიშნული პოლიტიკა (1205-1214) თამარის საზღვაო პოლიტიკის მეორე ეტაპად შეიძლება განვიხილოთ, რომელიც სხვა მხრივაც იპყრობს ყურადღებას. როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, იგი ემთხვევა საქართველოს სამეფოს სპარსეთისადმი წარმართულ აქტიურ პოლიტიკას და 1210 წლის ცნობილ ლაშქრობას, რომელიც სცილდება სპარსეთის ქალაქების უბრალო დარბევას, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული. ამგვარად, თამარ მეფის საზღვაო და სპარსეთის პოლიტიკა საქართველოს აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის უკანაც დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები იდგა. როგორც ცნობილია, თავრიზისთვის ტრაპიზონი დიდ საზღვაო კარიბჭეს წარმოადგენდა. ვინც ზედამხედველობდა თავრიზ-ტრაპიზონის გზას, მის ხელთ იყო მსოფლიო ვაჭრობის სადავები. ამ მიმართულებით თამარის ეპოქის, ისევე როგორც შემდგომი პერიოდის კვლევამ გვიჩვენა, რამდენად დიდ როლს ასრულებდა აღნიშნული ჩრდილოეთ ლევანტის მაგისტრალი, სამხრეთ ლევანტის გზასთან ერთად იმ ხალხთა ცხოვრებაში, ვინც მახლობელი აღმოსავლეთის ასპარეზზე აქტიურად გამოდიოდა და ამ მაგისტრალებისა და რეგიონის დაუფლებას ცდილობდა.

ამგვარად, თამარის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა, მის წინამორბედთა მიერ მიზანმიმართულად რომ მზადდებოდა, თამარის დროს აღწევს იმ მასშტაბს, რის გამოც მისი სახელი საქართველოში თაობათა ხსოვნაში განსაკუთრებული შარავანდით შეიმოსა და სამუდამოდ დაუკავშირდა ქართული პოლიტიკის ყველაზე დიდ ეპოქას. ზემოაღნიშნული საკითხების კვლევისას, ბუნებრივია გაჩენილიყო კითხვა, რამდენად შეიძლებოდა ასახულიყო თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა თანადროულ მხატვრულ ნაწარმოებებში, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანში“, „აბდულმესიანსა“ და „თამარიანში.“

მეცნიერების განვითარების ყოველ ახალ ეტაპზე, მხატვრული ლიტერატურაც, საისტორიო წყაროების მსგავსად, ახლებური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ბუნებრივია, თამარის საგარეო პოლიტიკის კვლევისას მისი ეპოქის ლიტერატურითაც რომ დავინტერესდით, რომელიც არათუ ავსებს საისტორიო წყაროებს, არამედ ზოგ შემთხვევაში ახალი ინფორმაციის შემცველიცაა. არ არის შემთხვევითი, მხატვრულ ნაწარმოებებს, როგორც საისტორიო წყაროს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, დიდი ყურადღება რომ ეთმობა როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. თავის დროზე, როდესაც მოსკოვში აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა საკავშირო კონფერენციები იმართებოდა („ბარტოლდის კითხვანი“), მისი ერთ-ერთი თემატიკა მთლიანად მხატვრულ ლიტერატურას მიეძღვნა. მაშინ წარვადგინეთ მოხსენება „ვეფხისტყაოსანი“ როგორც საისტორიო წყარო“.

საკვებლათოდ აღიარებულია, რომ არც ერთ ლიტერატურულ ძეგლს ისეთი ღრმა კვალი არ დაუტოვებია ქართველი ერის ცხოვრებაში, როგორც „ვეფხისტყაოსანს.“ პოემა, იმ მრავალმხრივი ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელიც მასში დევს, არაერთი თაობისა და დარგის მეცნიერთა ფიქრისა თუ განსჯის საგანია, მათ შორის, ცხადია, ისტორიკოსებისაც, რომლებიც პირველ რიგში იმ საკითხით დაინტერესდნენ, თუ რამდენად შეიძლებოდა ასახულიყო პოემაში ისტორიული სინამდვილე.

დავით ჩუბინაშვილი და მარი ბროსე ფაქტობრივად პირველები აღმოჩნდნენ ვინც „ვეფხისტყაოსანში“ ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებული წყარო დაინახა, მის პერსონაჟებში კი რუსთაველის თანამედროვე რეალური პიროვნებები. ეს აზრი შემდგომ არა ერთმა ქართველმა თუ უცხოელმა მკვლევარმა გაიზიარა (ო. უორდროპი, ა. ლაისტი, ი. იედლიჩკა, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, შ. მესხია, ვ. დონდუა, ვ. გაბაშვილი...). პოემა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული XI-XII სს. ქართულ ისტორიულ სინამდვილესთან, შესწავლილი იქნა პოლიტიკის, სახელმწიფო წყობილების, ეკონომიკის, საზოგადოებრივი ცხოვრების, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, კულტურისა თუ სხვა თვალსაზრისით. როგორც აღნიშნულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, „ვეფხისტყაოსანი“ არათუ ავსებს ქართულ საისტორიო წყაროთა ცნობებს, არამედ ზოგჯერ დამატებით ინფორმაციასაც იძლევა, რაც მას ეპოქის შესანიშნავ წყაროთა რიგში აყენებს. შესაძლებელია ამის გამოც გამოითქვას ვარაუდი რუსთაველისა და თამარის ისტორიკოსის „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორის იდენტიურობის შესახებ.

„ვეფხისტყაოსანისგან“ განსხვავებით, ისტორიკოსის ხელი შეიძლება ითქვას ნაკლებად შეეხო „აბდულმესიანსა“ და „თამარიანს“, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ნაწარმოები მდიდარ ფაქტობრივ მასალას შეიცავს, რომლის სათანადო ამტკიცებელია ახალი საინტერესო ფაქტებით გაამდიდრება საქართველოს ისტორიას. ასევე მნიშვნელოვანია, რამდენად ეხმაურება აღნიშნული მხატვრული ნაწარმოებების ინფორმაცია ერთმანეთს, თანადროულ საისტორიო წყაროებს და შესაბამისად ეპოქისთვის ნიშანდობლივ მოვლენებს. საინტერესოა აგრეთვე ისტორიკოსის თვალთახედვიდან მათი „ვეფხისტყაოსანთან“ შეჯერებაც. სამივე ავტორი – რუსთაველი, შავთელი და ჩახრუხაძე – გამარჯვებული, ძლევამოსილი ქვეყნის პოზიციიდან წერს, ადიდებს თამარს და მის საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენს.

სამივე ძლიერი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას ემსახურება, ურომლისოდაც ქვეყნის წარმატება შეუძლებელია. სამივესათვის ქვეყნის ინტერესები და სახელმწიფოებრივი მიდგომა, სამშობლოს მსახურება, ეროვნული და საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნებაა წარმართველი. ისინი მეფისადმი თავდადებას, მის უმაღლეს სიუზერენობასა და ხელშეუხებლობას აღიარებენ. ყველა სფეროში, პოლიტიკის, მეცნიერებისა თუ ხელოვნების, თამარის ეპოქის საერთო მაღალ დონეს გამოხატავენ.

„ვეფხისტყაოსანისგან“ განსხვავებით, რომელიც, პირველ რიგში, მხატვრული ნაწარმოებია, კარის მეხოტბენი – შავთელი და ჩახრუხაძე – ჟანრის თავისებურებიდან გამომდინარე, არაერთ ისტორიულ მოვლენას აკონკრეტებენ და ზოგჯერ აღწერის თვალსაზრისით ნამდვილ მემ-



ტიანეს ემსგავსებოდა. მაგრამ როგორც აღნიშნავენ მეცნიერები, არასდროს იმაზე არ წერენ, რაც არ მომხდარა. მათი ცნობები არაერთ ისტორიულ მოვლენას უკავშირდება, რასაც თამარი წარმატებით ეწეოდა როგორც კავკასიის, ისე მახლობელი აღმოსავლეთისა და შავი ზღვის მასშტაბით. შესაბამისად, არაერთი ქალაქი და ქვეყანა დასახელებული, რომელზეც უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მაგისტრატები გადიოდა და დიდ როლს ასრულებდა მაშინდელ საერთაშორისო ცხოვრებაში. მკვლევრები ჩახრუხაძესა და შავთელს თავისი ეპოქის უდიდეს მოღვაწეთა რიგში აყენებენ და რუსთაველთან ერთად ქართული რენესანსის ბრწყინვალე პლედამში მოიაზრებენ.

შავთელისა და ჩახრუხაძის შესახებ ბევრი საინტერესო შეხედულება არსებობს, ზოგი ორ შავთელსა და ჩახრუხაძესაც ვარაუდობს. არსებობს მოსაზრებაც, რომ რუსთაველი და ჩახრუხაძე ერთი და იგივე პიროვნებაა. მაგრამ, ამჟამად, ჩვენი კვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ძეგლების დათარიღებისა და ეპოქისადმი მიკუთვნების საკითხი. მათ მცირე ნიუანსური სხვაობით, XIII. ბოლოსა და XIIIს. დასაწყისს მიაკუთვნებენ. როგორც ცნობილია, „აბდულმესიანს“ დიდხანს ეძებდნენ უშედეგოდ, სანამ იაკობ შემოქმედელის (XVIII.) „არჩილ მეფის შესხმად“ აღიარებული ნაწარმოები „აბდულმესიანად“ არ აღიარეს. 1822წ. დავით რექტორის ეს განცხადება გაიზიარეს ქართველმა მკვლევრებმა (დ. კარიჭაშვილი, ნ. მარი, ე. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ივ. ლოლაშვილი\* და სხვ.). მაგრამ, ბოლო დროს, კვლავ გამოითქვა მოსაზრება, რომ „აბდულმესიანი“ ეკუთვნის არა შავთელს, არამედ იაკობ შემოქმედელს (ბ. დარჩია), თუმცა ის საყოველთაოდ არ უღიარებიათ. როდესაც ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზეა საუბარი, როგორცაა ლიტერატურული ძეგლის გადათარიღება, ფილოლოგთა დავაში, ჰუმანიტარული დარგის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელს შორის, უმნიშვნელოვანესია ისტორიკოსის როლი. მით უმეტეს, არსებობს, არაერთი მაგალითი, როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების ეპოქის დადგენის ერთადერთი საშუალება ისტორიული რეალობაა. ამის დამადასტურებელია თუნდაც XVII. II ნახ. რუსული თქმულება დინარაზე, რომელშიც მ. ბროსემ თამარი და მისი დრო დაინახა, რაც შემდგომში სხვა მეცნიერებმაც გაიზიარეს. „აბდულმესიანშიც“ არის მნიშვნელოვანი ინფორმაციები, რაც მის კავშირს თამარის დროსთან უდავოს ხდის. პირველ რიგში, ესაა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ფაქტი, რაზეც არაერთ მკვლევარს აქვს ყურადღება გამახვილებული. მაგრამ არის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებისა, რომლისთვისაც ყურადღება არავის მიუქცევია. ეს არის სპარსეთთან, საზღვაო ინტერესებსა და საქართველოს საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული ის მოვლენები, რაც მხოლოდ თამარის ეპო-

ქისთვის იყო ნიშანდობლივი. მათი კვლევა აღნიშნული სტატიის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს, რასაც ქვემოთ დანვრისებით შევეხებით.

რუსთაველს, ჩახრუხაძესა და შავთელს, დიდ განათლებას, აღმოსავლურ და დასავლურ ცივილიზაციათა ღრმა ცოდნასთან ერთად, აერთიანებს კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საერთო მომენტი. ისინი უბრალო დამკვირვებლები არ არიან, სამივე კარგადაა გარკვეული და აქტიურად ჩართული მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ითვლება, რომ ჩახრუხაძე სამეფო კართან დაახლოებული, თანამდებობის პირი იყო და რომ მას მდივნის თანამდებობა ეკავა. შ. ნუცუბიძის აზრით, პოეტს შირვანის კართანაც ახლო ურთიერთობა ჰქონია. რაც შეეხება შავთელს, ამაზე თვითონ თამარის ისტორიკოსი „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მიგვანიშნებს. მისი სიტყვებით, იოანე შავთელი ბასიანის ომის დროს თამარს თან ახლდა. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ „აბდულმესია“ ამ გამარჯვების აღსანიშნავადაა დანერილი. ცხადია, შავთელს კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული ბასიანის ომის მნიშვნელობა და მისი შედეგები.

ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, სწორედ მის ნაწარმოებში რომ აისახა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ფაქტი.

თავისი ეპოქისთვის, თუ რამდენად მნიშვნელოვან პიროვნებას წარმოადგენდა შავთელი, კარგად ჩანს თამარის ისტორიკოსის მრავალმეტყველი სიტყვებიდან: „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოლუანებათა შინა განთქმული“.

რაც შეეხება რუსთაველს, თამარის კარზე მის მეჭურჭლეთუხუცესობაზე კარგა ხანია გამოითქვა შეხედულება და დღესაც მკვლევარნი ამ მიმართულებით აგრძელებენ მუშაობას.

ამგვარად, არ არის გასაკვირი, სამივე ავტორთან ეპოქისთვის საინტერესო მოვლენები რომ ასახულიყო, როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ, სამივესთან, რაც ძალზე ყურადსაღებია, ერთნაირი აქცენტებია გაკეთებული მაშინდელ ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებზე. როგორც აღინიშნა, „ვეფხისტყაოსანმა“ დიდი ხანია რაც მიიპყრო ისტორიკოსთა ყურადღება და მათი წვლილი ამ მხრივ არსებითია.

ჩვენი კვლევისთვის ამჟამად ისტორიკოსთა ის შრომებია განსაკუთრებით საინტერესო, რომლებიც ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას, საერთაშორისო ვაჭრობას, დიდვაჭრებს, ქართულ და აღმოსავლურ ტერმინოლოგიას ეხება.

ივ. ჯავახიშვილი „ვეფხისტყაოსანს“ არაჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევდა იმდროინდელი, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ცხოვრებაში. იგი მას სხვადასხვა კუთხით იკვლევდა (ფეოდალური წყობილების კანონები, კარის ცხოვრება და ცერემონიალი, სამხედრო ხელოვნება, ვაჭართა ფენა და სხვ.). მკვლევარი კარგად აცნობიერებდა რამდენად ღრმა იყო „ვეფხისტყაოსანი“ და როგორ დიდ ძალისხმევას ითხოვდა მისი შესწავლა. ამასთან დაკავშირებით ის წერდა: „ჯერ კიდევ ბევრი დრო და გამოკვლევა არის საჭირო, სანამ „ვეფხისტყაოსანი“ ღირსეულად და სასურველის სისრულით იქნება შესწავლილი... მსჯელობის საბუთიანობითა და შესაფერისი სიღინჯით.“

\* პროფ. ივ. ლოლაშვილის აზრით, იაკობ შემოქმედებელი ერთადერთი არ არის, ვინც შავთელის ცალკეული ადგილები მითვისა, იყვნენ XVII-XVIII სს. სხვა მეხოტბენიც, მაგ., ამბროსი ნეკრესელი. ამას იმითაც ხსნიან, რომ შავთელმა უდიდესი გავლენა მოახდინა მთელ ძველ ქართულ მწერლობასა და XVII-XVIII სს. მეხოტბეთა პოეზიაზე, რომლებიც არ იყვნენ იმ დონისანი და ძველის მითვისებით სახელს იხვეჭდნენ.

ბ. ბერძენიშვილს, „ვეფხისტყაოსანი“, ქართველთა ცხოვრებად, მის იდეალურ გამოვლინებად მიაჩნდა. მან იგი შეისწავლა სახელმწიფოთა ტიპების, ქალაქების, ვაჭრობისა და ზოგადად როგორც საიტორიო წყარო. საინტერესოა მისი დასკვნაც, რომლის თანახმად, „იდეურ – პოლიტიკურად ფეოდალური საქართველოს ცივილიზაცია სამ სვეტს ემყარებოდა – სახარება, „ვეფხისტყაოსანი“ და „ქართლის ცხოვრება“ იყო გამარჯვებული ფეოდალური ურთიერთობის სამი „წმინდა წიგნი.“

„ვეფხისტყაოსნის“ ქალაქებზე, ვაჭართა ინსტიტუტსა და საერთაშორისო ვაჭრობაზე ყურადღება გაამახვილა შ. მესხიამ. „ვეფხისტყაოსანს“ დიდი ადგილი დაუთმო თავის შემოქმედებაში ვ. გაბაშვილმა, რომლის შრომებიც ამ კუთხით დღეს უკვე ცალკე განხილვის საგანია. ვ. გაბაშვილმა ისტორიკოსის პოზიციიდან კიდევ უფრო გააფართოვა პოემის კვლევის არეალი. როგორც ქართული, ისე აღმოსავლური მასალის გამოყენებით არაერთი საკითხი ახლებურად დასვა. სწორედ ისტორიკოსის ცოდნამ და ხედვამ მას საშუალება მისცა აეხსნა რუსთაველის ცნობილი ტაეპი: „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,“ რომელიც წლების მანძილზე ასე აღელვებდა ქართულ საზოგადოებას და თავსატეხი გაუჩინა მეცნიერთ.

როგორც ცნობილია, აღნიშნული ტაეპის სწორ ინტერპრეტაციას გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ის უკავშირდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხს. ვ. გაბაშვილმა, ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობით, დაასაბუთა, რომ სპარსულს აღნიშნულ პერიოდში ზოგად მაჰმადიანურის მნიშვნელობაც გააჩნდა.

ამ საკითხს ქვემოთ კვლავ დავუბრუნდებით, აქ კი აღვნიშნავთ, რომ ჩვენთვის ვ. გაბაშვილის იმ შრომებს აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა, სადაც „ვეფხისტყაოსანს“, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების თვალსაზრისით განიხილავს. მას უკავშირებს ის ე.წ. „ვერცხლის კრიზისსაც“, ნუმიზმატიკის ძალზედ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა (X-XIII ს. I ნახ.), არა მხოლოდ საქართველოში, არამედ შუა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში და რასაც მკვლევართა უმრავლესობა საქალაქო ცხოვრების არაჩვეულებრივ აყვავებას უკავშირებს. მანვე „ვეფხისტყაოსანი“ განიხილა როგორც შუა საუკუნეების საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ეკონომიკის ერთერთი საინტერესო წყარო.

„ვეფხისტყაოსანს“ საგანგებოდ შევეხეთ იმ დროს, როდესაც XI-XIII სს. ქალაქებს ვიკვლევდით და მას ამ პერიოდის ქალაქებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში ცალკე თავი დავუთმეთ. კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა, საინტერესო

სო სხვადასხვა თვალსაზრისით, ქალაქის საზოგადოებრივი ფენების, ქართული თუ აღმოსავლური ურბანისტული ტერმინოლოგიისა და სხვ. კვლევის პროცესში ჩვენთვის კიდევ ერთხელ ნათელი გახდა, როგორი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქალაქებს „ვეფხისტყაოსანში“, რამდენად კარგად იცნობდა რუსთაველი ვაჭრობასა და სავაჭრო ორგანიზაციისთან დაკავშირებულ საქმიანობას (დიდვაჭარი, ვაჭართუხუცესი, ხანაგა, არიფი...). ამასვე ადასტურებს ე.წ. „ვერცხლის კრიზისი“, რომელიც, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების არაჩვეულებრივ განვითარებას უკავშირდება, თანაც იმ დროსა და ვითარებაში, როდესაც ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით, არასდროს საქართველოში ამდენი ქალაქი არ ყოფილა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ რუსთაველი მეჭურჭლეთუხუცესი იყო, რომლის ფუნქციაშიც ქალაქები და საქალაქო ცხოვრება შედიოდა, მის მიერ ამ სფეროს კარგი ცოდნა არ უნდა იყოს გასაკვირი.

„ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ქალაქების კვლევა სხვა მხრივაც აღმოჩნდა მნიშვნელოვანი. როგორც სათანადო მასალის ანალიზიდან გამოჩნდა, ურბანისტული ტერმინოლოგია არ სცილდება XI-XII სს., რაც იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა, რომ საქმე გვაქვს არც მერმინდელ ინტერპოლაციებთან და არც გადამწერთა ჩამატებებთან. ამას გარდა „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ქალაქების კვლევის შედეგები ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ პრობლემებზე გასარკვევად, რაც ამ სტატიაში დავსახეთ და უკავშირდება საერთაშორისო ვაჭრობისა და თამარის საგარეო პოლიტიკის არაერთ ასპექტს. ამ მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს XI-XIII სს. ქართული ქალაქები მჭიდროდ რომ იყო დაკავშირებული შავ და ხმელთაშუა ზღვებსა და დიდ საერთაშორისო საზღვაო ცენტრებთან, რაზეც განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ზემოაღნიშნულ ქალაქებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში. შესაბამის მასალებზე დაყრდნობით, ვუჩვენეთ, რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შავ ზღვაზე არსებულ ვითარებას. სხვადასხვა მიზეზთა გამო შავი ზღვის ხმელთაშუა ზღვისაგან ბლოკირების შემთხვევაში, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქები წყდებოდა ინდოეთის ოკეანესა და მსოფლიო სავაჭრო ცენტრებს, რაც უარყოფითად აისახებოდა მათ კეთილდღეობაზე.

ამგვარად, საქართველოსთვის, იმაზე თუ ვინ აკონტროლებდა შავსა და ხმელთაშუა ზღვებს, ბევრი რამ იყო დამოკიდებული სხვადასხვა დროსა და ეპოქაში. ამიტომ ცხადია, ყოველივე ეს არ შეიძლებოდა მხედველობაში არ მიეღო ქართულ პოლიტიკას, აღნიშნულ ეპოქაში თამარ მეფეს, იმდროინდელ საზოგადოებას, რაც გარკვეული სახით მხატვრულ ლიტერატურაშიც უნდა ასახულიყო.



თამარ მეფე ბეთანიის ფრესკაზე

პირველ რიგში შოთა რუსთაველი გვყავს მხედველობაში, რომელიც გარდა იმისა, რომ თავისი ეპოქის შვილი იყო, იმ მოხელესაც წარმოადგენდა, ვის ფუნქციაშიც, და ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება შედიოდა. ამ დროს, საქართველოს ქალაქებისთვის, რომლის დასავლეთი ნაწილის თითქმის ყველა ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა, ტრაპიზონის როლი, მისი როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდი საერთაშორისო ცენტრისა, განსაკუთრებული იყო. შავ ზღვას „ტრაპიზონის ზღვაც“ ეწოდებოდა. მხედველობაშია მისაღები ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, შოთა რუსთაველს მამინ უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, როდესაც საქართველოს პოლიტიკაში დღის წესრიგში აქტიურად იდგა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხი. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროისთვის, რასაც ქვემოთ საგანგებოდ შევეხებით, ტრაპიზონის იმპერია დაარსებული ჩანს. ამიტომ ასეთ ვითარებაში სავესებით ლოგიკურია, ზღვასა და ზღვაოსნობის თემას დიდი ადგილი რომ უჭირავს პოემაში, ისევე როგორც საზღვაო ვაჭრობას, რომლის მნიშვნელობაც რუსთაველს, ცხადია, ასევე კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული.

„ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროისათვის საქართველოს საზღვაო ინტერესების მაქსიმალური ხორცმესხმის პროცესი მიმდინარეობდა და, ცხადია, რუსთაველიც კარგად უნდა ყოფილიყო გარკვეული იმ პროცესებში, რომელიც საქართველოს მიერ ეტაპობრივად ხორციელდებოდა. როგორც აღვნიშნეთ, ტრაპიზონის იმპერიას თამარი პლაცდარმის სახითაც მოიაზრებდა შორს მიმავალი გეგმების განხორციელების გზაზე. აღნიშნული პოლიტიკა მოითხოვდა შესაბამის იდეოლოგიურ მიდგომას, საზღვაო თემის წინ ნამოწვევასა და პოპულარიზაციას.

ამიტომაც ჩვენი თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანი“ მდიდარი ზღვასა და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული სიუჟეტებით, საზღვაო ტერმინოლოგიით (ნავი, ხომალდი, ზღვის მეკობრე და სხვ.), ხოლო აქცენტის საზღვაო ქალაქებზეა გადატანილი, რომლებიც სახელდებითაც მოიხსენიებიან (გულანშარო, მულღანზანზარი).

ამგვარად, რუსთაველის მიერ სავესებით გამიზნულად უნდა წამოწეულიყო საზღვაო თემები იმ ვითარებაში, როდესაც ტრაპიზონის საკითხი ესოდენ აქტიუალური იყო.

თავისთავად ეს ფაქტიც მაშინდელი ქართული საზოგადოების განსაკუთრებული დამოკიდებულების ამსახველიცაა ზღვებისა და ზღვაოსნობის მიმართ.

აღნიშნული პოლიტიკა, რომელსაც თავისი წინაპირობები გააჩნდა საქართველოს გაერთიანებიდან მოყოლებული (Xს.), მიზანმიმართულად მზადდებოდა. ამასთან დაკავშირებით გვინდა მოვიხმოთ Xს. სპარსელი ანონიმი ავტორის („ჰოდუდ ალ ალემი“) ცნობა, რომლის თანახმადაც, შავ ზღვას „ქართველთა ზღვა“ ეწოდებოდა. აღნიშნული გარემოება მრავლისმეტყველად გვეჩვენება. ერთი მხრივ, ქართველების შავი ზღვისადმი დამოკიდებულების, მეორე მხრივ კი, საერთაშორისო დონეზე ამ ინტერესთა აღქმისა და გააზრების თვალსაზრისით.

ასევე მნიშვნელოვანია, „ქართველთა ზღვა“ ამავე პერიოდში შავი ზღვის გავრცელებული სახელწოდების – „ბიზანტიის ზღვის“ პარალელურად რომ ჩნდება. ამ ორი სახელწოდების ერთდროული თანაარსებობა ბიზანტია-

საქართველოს დაპირისპირების ნიშნებად მიგვაჩნია, რამაც შავი ზღვის სახელწოდებებშიც იჩინა თავი.

მნიშვნელოვანია ის დროც, როდესაც შავი ზღვის აღსანიშნავად „ქართველთა ზღვა“ ჩნდება. იგი ემთხვევა საქართველოს გაერთიანების ხანას, რაც იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ მაშინვე ეყრება საფუძველი საზღვაო, ანუ დასავლეთის იმ პოლიტიკას, რომელიც აღმოსავლურთან კავშირში, თამარის ეპოქაში, დიდ მასშტაბს იძენს.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზეც, რომ „ქართველთა ზღვა“ გარკვეულად ეხმაურება შავი ზღვის წმინდა ქართულ სახელწოდებას „სპერის ზღვა“, რომელიც ძირითადად შავი ზღვის იმ ნაწილს უკავშირდება, და იმ რეგიონის სახელწოდებიდან მომდინარეობს, საიდანაც წარმოშობით იყვნენ ბაგრატიონები. აღნიშნული გარემოებაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. მასში შავი ზღვისადმი იმ ინტერესების გამოვლინება უნდა დავინახოთ, ბაგრატიონთა საზღვაო პოლიტიკას რომ უკავშირდება და თამარის ეპოქაში ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით დაგვირგვინდა.

ასევე კარგად იყო გათვლილი, თამარ მეფემ, ტრაპიზონის ტახტზე ბაგრატიონების ახლო ნათესავი, საქართველოს სამეფო კარზე ქართულად აღზრდილი ალექსი კომნენოსი რომ დასვა. ეს უკვე სერიოზული განაცხადი იყო ბიზანტიასთან დაპირისპირების გზაზე. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ „სპერის ზღვასთან“ ერთად შავი ზღვის ერთ-ერთი გავრცელებული სახელწოდება იყო „ტრაპიზონის ზღვა“, გვხვდება „ლაზთა ზღვაც“, რაც სტრაბონთან დადასტურებული „კოლხთა ზღვის“ ანარეკლია.

ყველა ეს სახელწოდება დროის სხვადასხვა ინტერვალში X საუკუნიდან ვრცელდება, რაც მთავარია, ქართველებსა და ქართული მოდგმის ხალხს უკავშირდება და იმ რეგიონს, რომელსაც ოდითგანვე დიდი საზღვაო ტრადიციები გააჩნდა. სწორედ სპერიდან დარუბანდამდე მოიაზრებს თამარის ისტორიკოსი საქართველოს სამხრეთ საზღვარს და შავ ზღვაზე მის ჰეგემონიას ადასტურებს: „იპყრნა ზღვით პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის...“

ნიშანდობლივია, რომ თამარ მეფე, საზღვაო პოლიტიკის პირველი ეტაპის გატარებისას სწორედ ქართული მოდგმით დასახლებულ ამ რეგიონებს ეყრდნობოდა. იგი მყარი პლაცდარმი უნდა გამხდარიყო მეორე, კიდევ უფრო შორს მიმავალი ეტაპის განხორციელების გზაზე.

იოანე შავთელს, გარდა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ არსებული ცნობისა, აქვს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ქართული ისტორიოგრაფიის ყურადღების მიღმა დარჩა და საიდანაც ჩანს, რომ საქართველო ბიზანტიის საზღვაო პოლიტიკაზე აცხადებდა პრეტენზიას.

საქმე ისაა, რომ შავთელი თამარს კეისრად მოიხსენიებს, რაც საზოგადოდ ქართველი მეფეების ამგვარად მოხსენიების ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ფაქტია.

შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია და ლიტერატურა კეისრად მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორებს მიიჩნევს, ასევეა ჩახრუხაძესთანაც.

ქართული წყაროები საქართველოს და ბიზანტიის უმაღლეს ხელისუფალთ, როგორც წესი, ტერმინებით – მეფე და კეისარი გამიჯნავენ. მაგრამ იგივე ქართული წყაროები, და ესეც საინტერესოა, ტრაპიზონის ხელისუფალთ, ხან მეფეს

ხან კი კეისარს უწოდებენ. ვფიქრობთ, ქართული მხრიდან ეს იყო კარგად გააზრებული მიდგომა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კომნენოსთა დინასტია, რომელიც ბიზანტიას მართავდა, დამხობისა და ტრაპიზონის ტახტზე ასვლის შემდეგაც, მისი დაბრუნების იმედს არ კარგავდა. თამარ მეფე მათი ამ განწყობით, ისევე როგორც დიდი პოპულარობით მარჯვედ სარგებლობდა თავის შორს მიმავალ გეგმებში, დასავლეთის იმ პოლიტიკაში, რომლითაც ბიზანტიას უპირისპირდებოდა. ცხადია, ასევე პოლიტიკით ხელმძღვანელობდა ბიზანტიაც, რომელიც საქართველოსგან განსხვავებით, ტრაპიზონის ტახტზე ასულ კომნენოსებს, როგორც წესი, „ლაზთა მმართველებს“, „არხონტებს“, „კოლხთა მმართველებს“, ან უბრალოდ „ლაზებს“ უწოდებდა.

ამგვარად, ქართული ტრადიცია, კეისრის ქვეშ, ჯერ რომის, მოგვიანებით კი მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორს გულისხმობდა, იცოდნენ ეს მოგვიანებითაც. თავის ქართულ ლექსიკონში იოანე ბაგრატიონი კეისარს, იქ სადაც სხვადასხვა ქვეყნის მმართველთა აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას განიხილავს, რომის უმაღლეს ხელისუფალს კეისარს უწოდებს. თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელ საერთაშორისო ვითარებას, პოლიტიკურად დაქუცმაცებული მახლობელ აღმოსავლეთს, საქართველოს ადგილსა და როლს, რომელიც ბიზანტიის იმპერიასაც უწევდა მეთოქეობას, მაშინ გასაგებია უნდა იყოს მისი კეისრად წარმოჩენა.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი გარემოებაც, თამარს კეისრად შავთელი მოიხსენიებს, ავტორი, ვისთანაც ტრაპიზონის დაარსების ფაქტია დადასტურებული.

შავთელს, რამდენად კარგად ჰქონდა გააზრებული თამარის პოლიტიკის კიდევ უფრო შორს მიმავალი მიზნები, ჩანს „აბდულმესიანის“ სხვა ადგილიდანაც, სადაც იგი თამარს „ახალო რომა“ -ს უწოდებს.

ამით იგი თამარის ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას ადასტურებს. პირველ რიგში, იმპერიის საზღვაო მემკვიდრეობაზე პრეტენზიას.\*

მაგრამ არის თუ არა შავთელი ერთადერთი, ვინც თამარის კეისრობაზე ასეთ მნიშვნელოვან განაცხადს აკეთებს. დღეისათვის ცნობილია თამარის ხუთი ფრესკა (ვარძია, ბეთანია, ყინწვისი, ბერთუბანი, ნათლისმცემელი – დავით გარეჯა), იყო მეექვსეც, რომელიც დ. ბაქრაძეს ლეჩხუმში უნახავს, მაგრამ განადგურებულა და ექვთიმე თაყაიშვილს აღარ დახვედრია. მკვლევარები იმასაც აღნიშნავენ, რომ მათი რაოდენობა კიდევ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. თავისთავად მრავლისმეტყველია, XIII საუკუნემდე მოღვაწე მეფეთა შორის, ფრესკებზე ყველაზე დიდი სიხშირით თამარი რომ არის გამოხატული. ხუთივე ფრესკა სხვადასხვა თვალსაზრისით კარგადაა შესწავლილი და აღწერილი. მაგრამ არის ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი თამარის ჩაცმულობაში, რომელიც აღწერით მხარეს არ გასცდენია და მეცნიე-

რული განზოგადოება არ მისცემია. საქმე ისაა, რომ თამარს ვარძიის ფრესკაზე, სადაც ის ბიზანტიურ საზეიმო სამოსშია გამოწყობილი და რომელიც გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგაა შექმნილი (1184-1185), ნითელი ფესხაცმელები აცვია, გიორგი III-ს ოქროსფერი.

სწორედ ამ გარემოებაზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება. ცნობილია, რომ თამარი ყველა ფრესკაზე, ბერთუბნის გარდა, მამის – გიორგი III-ის გვერდითაა გამოსახული, ნათლისმცემლის ეკლესიაში კი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია, მის წინაპართა და თანამედროვეთა მთელი გალერეაა წარმოდგენილი – ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, დემეტრე I (ბერის სამოსში), გიორგი III, თამარი, დავით სოსლანი და ლაშა გიორგი.

ეს გარემოება კიდევ ერთ მინიშნებად მიგვაჩნია იმ პოლიტიკის უწყვეტობისა და დინამიკისა, რომლის უმაღლეს გამოვლინებასაც თამარის ეპოქა წარმოადგენდა. ამავე დროს ეს არის ქართული პოლიტიკის ანმეოს, წარსულისა და მომავლის კავშირი.

ამდენად, პროცესებს, რომელსაც საქართველოს გაერთიანებისთანავე ჩაეყარა საფუძველი, გარკვეულად აღნიშნული ფრესკაც გამოხატავს. ამასთან დაკავშირებით, არ გამოვრიცხავთ, რომ მეფეთა სიის დასაწყისში იგულისხმებოდეს არა ბაგრატ IV, არამედ ბაგრატ III, ვინაიდან წყარო, რომელიც ადასტურებდეს, რომ იგი უეჭველად ბაგრატ IV უნდა იყოს, არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში საკითხი დაფიქრებასა და სხვადასხვა აზრის გათვალისწინებას ითხოვს.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, სწორედ თამარ მეფე რომ არის ნითელი ფესხაცმელებით წარმოდგენილი.

როგორც ცნობილია, ნითელი ფესხაცმელები ბიზანტიელ იმპერატორთა პრეროგატივა, მათი ხელისუფლების ერთ-ერთი სიმბოლური გამოხატულება იყო. ბიზანტიის იმპერია ყოველთვის მძაფრად რეაგირებდა, როდესაც ამ სიმბოლოს სხვა ითვისებდა. თამარის შემთხვევაში, იმპერიის დასუსტებისა და საქართველოს გაძლიერების პირობებში, აღნიშნული ფაქტი ბიზანტიის მემკვიდრეობაზე აშკარა განაცხადს ნიშნავდა, რაც შავთელის ცნობებითაც დასტურდება. მნიშვნელოვანია, რომ თამარი ნითელ ფესხაცმელებშია ვარძიის ფრესკაზე: ის სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ტერიტორიაზე მდებარეობს და შემთხვევით არ შეიქმნა სწორედ აქ მძლავრი სასულიერო კერა. ვარძიამდე გააცილა თამარ მეფემ თავისი ჯარი, გაამხნევა და ილოცა ბასიანის ბრძოლის წინ.

ბასიანის ომი საქართველოს აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენდა, რომლის უახლოესი ამოცანა ტრაპიზონის იმპერიის დაარსება იყო. შემთხვევით არ მიგვაჩნია ვარძიის, ისევე როგორც სხვა ფრესკებზე თამარის გვერდით გიორგი III-ის ასე აქტიურად გამოსახვა. ის, ერთი მხრივ, იმ როლზე მიუთითებს, რაც მან თამარის ცხოვრებაში შეასრულა, და იმ პოლიტიკის შემზადებაზე, რაც თამარმა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა. თამარის საზღვაო პოლიტიკისადმი მიძღვნილ წერილში გამოვთქვით მოსაზრება, რომ გიორგი III-ის კარზე ბიზანტიიდან დევნილი ანდრონიკე კომნენოსის ვიზიტის დროს უნდა მომხდარიყო გარკვეული შეთანხმება და მორიგებაც ტრაპიზონთან დაკავშირებით. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი ბიზანტიის ტახტზე ასვლის შემდეგ (1182) რაშიც საქართველოს ხელიც უნდა დაეინა-

\* კ.კეკელიძის აზრით შავთელს შეეძლო თამარისთვის კეისარი ეწოდებინა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების გამო. ჯიმშედ მფლობელი კი 1210 წ. სპარსეთში წარმატებული ლაშქრობისათვის, რომლის შედეგად იგი სპარსეთის დიდი ნაწილის მფლობელი გახდა. ამის მიხედვით, კ.კეკელიძე „აბდულმესიანის“ დანერის თარიღად 1210 წ. მიიჩნევს. ჩვენი თვალსაზრისით, თამარის კეისრობა გაცილებით მეტს ნიშნავს და ის ბიზანტიის მემკვიდრეობის პრეტენზიაზე მიგვაჩვენებს.

ხოთ, მანამდე აქტიური ტრაპიზონის რეგიონი აღარ უპირისპირდება კონსტანტინოპოლს. მრავლისმეტყველია, ანდრონიკე, კორონაციის დროს, იბერიული ქსოვილისგან შეკერილ ტანისამოსსა და იბერიულ ქუდში რომ არის გამოწყობილი. შ. ამირანაშვილი მის ამ მორთულობას, იერუსალიმში, ჯვრის მონასტრის კედელზე გამოსახულ შოთა რუსთაველისა და ზოგადად ქართველი დიდებულის ჩაცმულობას ადარებს. უკვე თამარის დროს, სწორედ ანდრონიკე კომნენოსის შვილიშვილი, საქართველოს სამეფო კარზე ქართულად აღზრდილი ალექსი კომნენოსი ადის ტრაპიზონის ტახტზე. ბაგრატიონებისა და კომნენოსების ნათესაურ კავშირს, როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის დროს ჩაეყარა საფუძველი. მნიშვნელოვანია, რომ დავითი ნათლისმცემლის ეკლესიაში თამარის გვერდითაა გამოსახული, გიორგი III-ისა და იმ მეფეთა რიგში, საქართველოს ერთიანობისთვის რომ იბრძოდნენ. როგორ მზადდებოდა თამარის ეპოქა და თვითონ თამარი იმ დიდი მისიისთვის, მის წინაშე რომ დაისვა, ჩანს შავთელის შემდეგი ადგილიდან: „რა მოიზარდე, თვით მოიბლარდე / ნათლისა ყოვლის მპყრობელისათა / იროიკ, ბოლრატ, პარმენიდ, სოგრატ / უფლად გთქვეს ზღვისა და ხმელისათა.“

ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება თამარისადმი მიძღვნილი ხალხური ლექსი „სიზმარი“: „თამარს უამბო დედამა / შენზედ სიზმარი ვნახეო. ერთსა სარკეში ჩავხედე, ხმელეთს ულ დავინახეო, / შენ იყო შვილო ქვეყანა, შავნებით შაინახეო“. ყურადსაღებია, რომ სიზმარს აქვს გამოცხადების, მეფედ განწესების მნიშვნელობა ძველ ცივილიზაციაში.

ამგვარად, თამარის მიზნები და ამოცანები, მისი საზღვაო ინტერესები და ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზია, როგორც ვარძიის ფრესკით, ისე შავთელის იმ ცნობებითაც დასტურდება, სადაც თამარ მეფე კეისრად და „ახალო რომოდ“ მოიხსენიება. მაგრამ სანამ თამარის აღნიშნულ გეგმებს კვლავ მივუბრუნდებოდეთ, აუცილებლად მიგვაჩინა გაირკვეს საერთაშორისო ზღვაოსნობაში არსებული ვითარება.

როგორც შავთელს, ისე ჩახრუხაძეს, ვისთანაც ასევე გამოკვეთილია საქართველოს საზღვაო ინტერესები, მით უმეტეს რუსთაველს კარგად უნდა სცოდნოდა საერთაშორისო მასშტაბით ზღვაოსნობაში არსებული სიტუაცია, მიზეზები, რის გამოც ამ ეპოქაში ზღვაოსნობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და რამაც განაპირობა აღნიშნული მიმართულებით ქართული სამეფოს ხედვა – ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და საზღვაო პოლიტიკის კიდევ უფრო გაღრმავება. საქმე ისაა, რომ VII-VIII საუკუნეებიდან მსოფლიო ვაჭრობაში სახმელეთო-საქარაფნო გზების უპირატესობა საზღვაო გზების უპირატესობამ შეცვალა. განთქმულმა „აბრეშუმის გზამ“, ჩინეთის ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს რომ უკავშირებდა, დაკარგა თავისი ოდინდელი მნიშვნელობა და ლოკალურ მაგისტრალად იქცა. გასათვალისწინებელია, რომ საზღვაო ვაჭრობა გაცილებით იაფი, რენტაბელური და უსაფრთხო იყო. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, უპირატესობა, რომელიც დასავლეთის აღმოსავლეთთან ურთიერთობაში საზღვაო ვაჭრობამ მოიპოვა. VIII-XII სს. მსოფლიო ვაჭრობის მთავარ ცენტრებად იქცა ორი გზა – ხმელთაშუა ზღვა და ინდოეთის ოკეანე. ამ ცენტრებში უდიდესი იყო მუსლიმთა როლი. იმ ვითარებაში, როდესაც საერთაშორისო ცხოვ-

რებაში საზღვაო ვაჭრობა და საზღვაო ინტერესები წამყვანი ხდება, ეს არ შეეძლო მხედველობაში არ მიეღო ქართულ სახელმწიფოს, რომელიც ზღვაზე გადიოდა და რომლის ცხოვრებაშიც, მისი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, შავ ზღვაზე არსებული ვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ასე რომ, საქართველოს საზღვაო ინტერესები და ამ მიმართულებით ძალისხმევა საერთაშორისო მასშტაბით ზღვებზე არსებული ვითარების კონტექსტში უნდა განვიხილოთ და აუცილებლად დინამიკაში, მოყოლებული X საუკუნეიდან, როდესაც საქართველოს გაერთიანებისთანვე სამხრეთისაკენ სწრაფვა იწყება. მთავარ მიზანს, რასაც დრო უჩვენებს, ტრაპიზონზე გასვლა წარმოადგენდა. აღნიშნული ინტერესები, ისევე, როგორც ბიზანტიასთან მეტოქეობა, გარდა იმისა, რომ შავი ზღვის სახელწოდებებზე აისახა, მომდევნო პერიოდშიც სხვადასხვა სახით გამოვლინდა. კერძოდ, XI ს. მინურულსა და მთელი XIII ს. მანძილზე იტალიელებსა და ბიზანტიელებს შორის დადებულ ხელშეკრულებებში შავი ზღვა რომ არ ფიგურირებს, ამაში საქართველოს ხელიც უნდა დავინახოთ.

ქართულ სახელმწიფოს შავ ზღვაზე თვითონ რომ გააჩნდა პრეტენზიები, ეს კიდევაც გამოჩნდა 1204 წ. ტრაპიზონის იმპერიის დაარსებით, რომელიც, პირველ რიგში, ჩაფიქრებული იყო როგორც მისი საზღვაო ინტერესების გამტარებელი სახელმწიფო, რომელსაც მხოლოდ ძლიერი ზურგის, ანუ საქართველოს მეშვეობით შეეძლო იმ აქტიური საგარეო პოლიტიკის ხორცშესხმა, რომელსაც დაარსებისთანავე იწყებს.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზეც, რომ ამ მხრივ ყველაზე აქტიურია პირველი ათი წელი, რაც თამარ მეფის მმართველობის ბოლო წლებს ემთხვევა. როგორც აღინიშნა „ვეფხისტყაოსანი“ საქართველოს საზღვაო ინტერესების მაქსიმალური ხორცშესხმის პროცესში იწერებოდა. იგივე უნდა ითქვას შავთელსა და ჩახრუხაძეზე, რომლებიც, რუსთაველის მსგავსად, ასევე ეხებიან საზღვაო თემებს, მიმართავენ საზღვაო ტერმინოლოგიას, რომელიც სცილდება შავი ზღვის ფარგლებს და კავშირს ამჟღავნებს ხმელთაშუა ზღვისა და ინდოეთის ოკეანის ნაოსნობასთან. მაგრამ სამივე ავტორთან დაცული უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგანი. მართალია, ცალკეულ მკვლევართა მიერ აღინიშნა, შავთელის მიხედვით, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ფაქტი, მაგრამ არ განზოგადოებულა მაშინდელი ისტორიული მოვლენების ქრილში, მით უმეტეს, დასავლეთის აღმოსავლურ პოლიტიკასთან კავშირში.

აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ იგი ეხმარება თამარის ისტორიკოსის იმ ცნობას, სადაც ასევე ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაზეა საუბარი. თუმცა შავთელი კიდევ უფრო აკონკრეტებს მას და ამ ლაშქრობის მეთაურზე დავით სოსლანზე საუბრობს, აღნიშნულ წარმატებას კი საქართველოს ძლევაშემოსილი ლაშქრობების, გამარჯვებებისა და ზოგადად წარმატებული საგარეო პოლიტიკის ფონზე განიხილავს, რომელიც გორგასლიანისა და დავითიანის დროშის წინამძღოლობით ხორციელდებოდა. შავთელის ცნობილ სტროფში, სადაც ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაზეა საუბარი ნათქვამია: „თვით სულ იმონა კიდე ლიმიონა, / მით გამოსცდიდა ლომისა მკლავათა“.

საკითხში გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ „აბდულმესიანის“ ლიმონა და თამარის ისტორიკოსის ლიმონია, რომელიც იმ კონტექსტშია მოყვანილი, სადაც ტრაპიზონის დაარსებაზე საუბარი, ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტია. ეს არის სახელგანთქმული ლიმონია, რომელიც, აკად. თ. უსპენსკის სიტყვებით, ტრაპიზონის იმპერიის ყველაზე მნიშვნელოვანი დამცავი ციხე-სიმაგრე იყო. მისივე განმარტებით, ის ვინც ფლობდა ლიმონიას, ფლობდა ტრაპიზონსაც. შავთელი, გარდა იმისა, რომ ავსებს ბასილი ეზოს-მოდღარის ცნობას, მას სიზუსტითა და ლაკონურობითაც ჰგავს. აქაც, ქართული საისტორიო წყაროების მსგავსად, არ ჩანს ის წინააღმდეგობა, რაც მათ სპარსეთში ლაშქრობის დროს დახვდათ. ამას გარდა, შავთელი საშუალებას იძლევა საქართველოს საზღვაო პოლიტიკა დინამიკაში განვიხილოთ, ისევე, როგორც აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა, რომლის შემადგენელი ნაწილიც, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ტრაპიზონის იმპერიის დაარსება იყო. ის ფაქტი, რომ თამარი კეისრად მოიხსენიება მაშინ, როდესაც ტრაპიზონის იმპერია უკვე დაარსებულია, როგორც ითქვა, მის კიდევ უფრო შორს მიმავალ გეგმებს უნდა ადასტურებდეს. ამ პოლიტიკის ორ ეტაპზე, საზღვაო ინტერესების, ისევე როგორც აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის პროგრამულობაზე, რაც დღის წესრიგში თამარის გამეფებამდე იდგა და რაზეც შავთელი ზემოთმოყვანილი ტაეპიც მიგვანიშნებს.

შავთელსა და ჩახრუხაძეს შორის ბევრია საერთო, როგორც ამ თვალსაზრისით, ასევე ზოგადად ისტორიული მოვლენებისა თუ საგარეო პოლიტიკის მიღწევების გადმოცემის მხრივ. ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ეს მასალა უძვირფასესი წყაროა საქართველოს ისტორიის ამათუ იმ პრობლემაში გასარკვევად. მაგ., შავთელის აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ის „ვეფხისტყაოსნის“ დათარიღების კიდევ ერთ წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს. ამდენად, მისი გათვალისწინება აუცილებლად მიგვაჩინა იმ სხვა მასალებთან ერთად, რომელსაც პოემის დათარიღების დროს იყენებენ (მოხმობილი მხატვრული ნაწარმოებები, ლიტერატურული გმირები...).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგი, რომელმაც პროლოგის მსგავსად, დიდი ხანია რაც მკვლევართა ყურადღება მიიქცია. ჩვენთვის ის საინტერესოა მოსე ხონელის, სარგის თმოგველისა და რუსთაველის გვერდით შავთელის დამონმებით. მნიშვნელოვანია თანმიმდევრობითაც: მოსე ხონელი, სარგის თმოგველი, შავთელი და რუსთაველი. ამგვარად შავთელი წინ უსწრებს რუსთაველს, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროისათვის ტრაპიზონის იმპერია (1204) უკვე დაარსებულია, ვინაიდან შავთელი სწორედ ამ ფაქტს ადასტურებს. არ შეიძლება არ აღინიშნოს აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ეპილოგის თაობაზე არსებობს. მკვლევართა ნაწილი მას რუსთაველს მიანერს, ნაწილი კი გვიანდელ მინანერად მიიჩნევს, თუმცა მეცნიერები მინანერების ფასდაუდებელ ღირებულებასაც აღიარებენ. ფაქტია, „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგი ერთადერთია, რომლის მიხედვითაც ცნობილია მოსე ხონელის სახელი და შავთელის ნაწარმოების სახელწოდება „აბდულმესიანი.“ შ. ნუცუბუძისთვისაც ეპილოგი ძვირფასი წყაროა ქართული და აღმოსავლური რენესანსისათვის, სადაც ლოგიკური თანმიმდევრობით არიან ჩამოთვლილი იმ-

დროინდელი სახელგანთქმული ავტორები. აღნიშნულია აგრეთვე, რომ მასში ქართული ლიტერატურის განვითარების დინამიკის თვალსაზრისით, შეცდომა დაშვებული არ არის. ისტორიკოსებისთვისაც, ნატყუარია თუ უტყუარი ეპილოგი, ის ასევე ექვემდებარება გარკვეულ ლოგიკას და ყველა შემთხვევაში ყურადსაღები წყაროა.

თუ ეპილოგი რუსთაველს ეუთვნის, მაშინ, ცხადია, შავთელის მოხსენიება იმაზე მეტყველებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის დროისათვის ტრაპიზონის იმპერია უკვე დაარსებულია, რასაც ზღვაოსნობაზე ესოდენ დიდი აქცენტი, საზღვაო თემის მასშტაბური ხედვა და პოემის საერთო ზეანული განწყობაც უნდა ადასტურებდეს.

მაგრამ თუ ეპილოგი გვიანდელი ჩანართია, მაშინ ერთგვარად ისტორიკოსის ლოგიკა და, აქედან გამომდინარე, კითხვა: რატომ დაუკავშირა გვიანდელმა ტრადიციამ რუსთაველს, რომელიც ზღვაოსნობის თემას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, მაინცადამაინც შავთელი, ვისთანაც დადასტურებულია ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ფაქტი. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საზღვაო თემისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისითაც შავთელი და ჩახრუხაძე ახლოს არიან. თავის მხრივ ჩახრუხაძე იმდენ საერთოს ამჟღავნებს რუსთაველთან, რომ ზოგ მკვლევარს „ვეფხისტყაოსანი“ და „თამარიანი“ ერთი და იმავე ავტორის შემოქმედების ნაყოფად მიაჩნია. არსებობს აზრიც, რომ რუსთაველი პროლოგში ირიბად ჩახრუხაძეზე მიგვანიშნებს. ყოველ შემთხვევაში, ითვლება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მრავალი საკვანძო საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია „თამარიანის“ დეტალური ანალიზის გარეშე.

ამგვარად, სამივე ავტორი საზღვაო პოლიტიკისადმი ქართული სამეფოს დამოკიდებულებას გამოხატავს. თუმცა შავთელი და ჩახრუხაძე ამ საკითხშიც გაცილებით კონკრეტულნი არიან. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩახრუხაძის ის ცნობა, სადაც შავი ზღვა ყველაზე გავრცელებული „პონტოს“ სახელითაა მოხსენიებული და რაც მთავარია მასზე საქართველოს ჰეგემონია დადასტურებული („პონტოს ზღვისაგან არს უფლებანი“).

ჩახრუხაძის მიერ შავ ზღვაზე საქართველოს ჰეგემონიის აღნიშვნა იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ტრაპიზონის იმპერია უკვე დაარსებულია, რაც შავთელის ანალოგიურ, ოღონდ პირდაპირი ხასიათის ცნობას მიესადაგება. მხედველობაში მისაღები აგრეთვე, რომ ჩახრუხაძე მას საქართველოს წარმატებული სპარსული პოლიტიკის ფონზე განიხილავს.

შავთელთან არის კიდევ ერთი საზღვაო ინტერესების ამსახველი ინფორმაცია, რომელიც სცილდება შავი ზღვის ფარგლებს და ბევრად მასშტაბურია. იგი ასეა ფორმულირებული: „მონებენ ზღვანი, სიტყვაცა-მავნი: /არვინ ჩნდა თქვენად ასწორებულად.“

ხომ არ შეიძლება მასში ვიგულისხმოთ ის მიზნები და ამოცანები, საქართველოს წინაშე საზღვაო პოლიტიკის პირველი ეტაპის, ანუ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისა და შავ ზღვაზე ჰეგემონიის მოპოვების შემდეგ რომ დადგა, როგორც ამ პოლიტიკის გაგრძელება, მისი მეორე ეტაპი, რის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

# უწყვეტობა ჟამისა

\*

## ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები ემიგრაციაში (20-30-იან წლებში)

შესავალ სიტყვაში როსტომ ჩხეიძე ამასაც აღნიშნავს: მარტო დიდი ერუდიცია, ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა არა კმაროდა იმ უზღვავე მასალის შესასწავლად და გასააზრებლად, ქართული ემიგრაციის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება რომ ჰქვია და სამყაროს უშორეს სივრცეებზეა განფენილი. აუცილებელი იყო ღრმა ინტუიცია და გონებამახვილობა, რათა წარმატებით გაკვლეულიყო გზა ბურჟუაზი და თივის ზვინში ნემსებივით მიმოხეული ეპიზოდები და რეალიები ერთმანეთს დაკავშირებოდა და ერთიან და შთამბეჭდავ პორტრეტებათ და სურათებად გამოკვეთილიყო.

რაც შეეხება თვითონ მოხსენებას, ის აგებულია წიგნის „ქართული ემიგრაცია 1921-39 წლებში“ 3 თავის – „საქართველოს მთავრობის ლეგაცია და საელჩოები“, „ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები ემიგრაციაში“ და „ქართული ეროვნული დარაზმულობები“ მიხედვით.

1918 წლის 26 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართველოს ცნობის შემდეგ საელჩოები მრავალ ქვეყანაში გაიხსნა (საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, გერმანია, შვეიცარია, ბელგია, რუსეთი, თურქეთი, არგენტინა, მანჯურია). უცხოეთში მთავრობის საქმიანობას და ევროპის ქვეყნებში დიპლომატიურ მუშაობას ელჩი აკაკი ჩხენკელი წარმართავდა. მან რწმუნების სიგელები პარიზში 25 თებერვალს წარადგინა, მაშინ, როცა საქართველოს ჯარმა და მთავრობამ თბილისი დატოვა. პრეზიდენტმა მილიერანმა საელჩოს წევრები დიდი პატივით მიიღო და ოკუპანტთა მიმართ თავისი პროტესტი ასე გამოხატა.

ოკუპაციის შემდეგ საელჩო „მთავრობის ლეგაციად“ გადაკეთდა, ელჩი სრულუფლებიანი მინისტრი გახდა. ლეგაციისა და საელჩოების წევრები მონაწილეობდნენ საერთაშორისო ღონისძიებებში, ზრუნავდნენ პრესაში ქართული საკითხის გაშუქებაზე, ლტოლვილთა დაბინავება-მონყოფაზე, საქართველოს მოქალაქეებს აძლევდნენ ვიზებს, პასპორტებს, შუამდგომლობებს და ... საფრანგეთმა დიდი დახმარება გაუწია ქართველ ლტოლვილებს და მთავრობას, სსრ კავშირში ყველაზე გვიან, 1933 წელს ცნო, ლეგაციის ნაცვლად „ლტოლვილთა ოფისი“ შექმნა. დირექტორად სოსიპატრე ასათიანი დაინიშნა, მოადგილედ ალექსი მდივანი. საელჩოები „ოფისის“ ფილიალებად გადაკეთდა, რომლებიც ლტოლვილთა უფლებების დაცვასა და დასაქმებაზე ზრუნავდნენ. „ოფისი“ გერმანული ოკუპაციის წლებშიც არსებობდა და არა მარტო ქართველების, არამედ სხვა ერთა, განსაკუთრებით ებრაელთა დაცვა-დადარჩენის საქმეში უდიდესი როლი შეასრულა.

ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ ბრძოლა საქართველოს გასათავისუფლებლად ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე დაიწყო. 20-30-იან წლებში მრავალი ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია აღმოცენდა, მათ შორის ნამყვანი პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთული ბიუროები, სოციალ-დემოკრატთა, ეროვნულ-დემოკრატთა, სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალ-რევოლუციონერთა გასაერთიანებლად – „ინტერპარტიული საზღვარგარეთის ბიურო“. მიზანი – ანტიბოლშევიკური ბრძოლის გასაშლელად საერთოქართული ორგანიზაციების შექმნა. ერთ-ერთი პირველი იყო „სტამბოლის პოლიტიკურ კომისია“, ყოფილი მინათმუქმეების და იუსტიციის მინისტრების ნოე ხომერიკისა და რაჟდენ არსენიძის ხელმძღვანელობით. კომისიასთან შეიქმნა საინფორმაციო სამსახური დავით შარაშიძის და სამხედრო კომისია – გენერალ იასონ ოდიშელიძის თავმჯდომარეობით. 1921-22 წლებში არსენიძის რედაქტორობით იბეჭდებოდა კომისიის ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ და ბიულეტენი საქართველოს ამბებზე. მასალებს საიდუმლო სამსახურიდან დამოწერილი წერილებით იღებდნენ. ევროპაში საქართველოს საკითხის საპროპაგანდოდ პარიზში ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით „ცენტრალური საპროპაგანდო-სააგიტაციო კომისია“ დაარსდა. ექსპრესით პარიზი-სტამბოლი-პარიზი მათ შორის ინფორმაცია კვირაში სამჯერ იცვლებოდა. შეიარაღებულ აჯანყების მოსამზადებლად ნამყვანი პარტიების წარმომადგენლებმა 1922 წლის აპრილში სოციალ-დემოკრატ გოგიტა ფაღავას მეთაურობით დააარსეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (დამკომი). იმავე პარტიებისგან საქართველოში შეიქმნა „პარიტეტული კომიტეტი“. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების, ხომერიკის, ფაღავას, ჯუღელის დახვრეტის შემდეგ, დიდხანს აღარც სტამბოლის პოლიტიკურ კომისიას უარსებია.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიურ პოლიტიკას. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების სისხლში ჩახშობამ მთელი ემიგრაცია შეძრა. ნოემბერში კავკასიელებმა პოლონეთის დაფინანსებით „კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი“ შექმნეს. მასში ქართველი მენშევიკები და აზერბაიჯანელი მუსავატელები არ შედიოდნენ, ამიტომ პოლონელებმა მის ნაცვლად ნოე რამიშვილის მონაწილეობით „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“ შექმნეს. 1934 წელს ბრიუსელში ხელმოწერილ პაქტში კონფედერაციის საფუძვლები იყო ჩამოყალიბებული: რესპუბლიკები სუვერენიტეტს ინარჩუნებდნენ, საგარეო პოლიტიკას კონფედერაცია წარმართავდა. საერთო საზღვარს და საბაჟოს კონფედერაციის არმია დაიცავდა.

პაქტს ხელს აწერდნენ: აზერბაიჯანის, საქართველოსა და ჩრდილოკავკასიის ყოფილი მთავრობების თავმჯდომარეები. აირჩიეს „კავკასიური საბჭო“ და „პრეზიდენტი“. კონფედერაცია მოხსენებებს, მემორანდუმებს უგზავნიდა ერთა ლიგას და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. მჭიდრო კავშირი ჰქონდა ყოფილი რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხთა ორგანიზაციებთან. „კავკასიის შემსწავლელი საზოგადოებებზე“ ლექცია-მოხსენებებს კითხულობდნენ და აგიტაციას უწევდნენ კავკასიის ერთობას.



კონფედერაციაში სომხები არ იყვნენ, თუმცა ქართველთა მცდელობით 1933 წელს შეიქმნა „სომხურ-ქართული კავშირი“ (უნიონი). სომხეთის განცალკევებული პოლიტიკა კავკასიელთა ბრძოლას დიდხანს აბრკოლებდა, მაგრამ ხალხთა ერთიანობამ და თანამშრომლობამ თავი დიდი განსაცდელის ჟამს – II მსოფლიო ომის წლებში იჩინა და მათ რიგებში სომხებიც აღმოჩნდნენ.

კავკასიელთა ბრძოლას 1925 წელს ვარშავაში გიორგი გვაზავას ინიციატივით დაარსებული „პრომეთეს კლუბიც“ ხელმძღვანელობდა. ქართველებს, აზერბაიჯანელებსა და ჩრდილოკავკასიელებს შემდეგ უკრაინელები და თურქესტანელებიც დაემატნენ. 1926-39 წლებში ვარშავაში ფრანგულ ენაზე, გვაზავას რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „პრომეთე“. ერთა სოლიდარობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროპაგანდას ჟურნალის გარდა, ადგილობრივი პრესით, კრებებით, მიტინგებით, მანიფესტაციებით, კონფერენციებით, კულტურული და სხვა სახის ღონისძიებებით ეწეოდნენ. იხდიდნენ დამოუკიდებლობის დღეებს, ცნობილ ეროვნულ მოღვაწეთა იუბილეებს, საღამოებს...

როცა ერთა ლიგაში რუსეთის მიღების საკითხი დადგა, „პრომეთემ“ ყველა საბჭოთა ერის გამოსარჩლება ითავა, „პრომეთეს ფრონტად“ გაფორმდა და 1934 წლიდან ერთა ლიგას დამონებულ ერთა ბრძოლაზე დასაბუთებულ მოხსენებებს განუწყვეტილად უგზავნიდა. „პრომეთეს“ საქმიანობა მთელი ევროპის ყურადღებას იპყრობდა. იგი დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწეოდა, მიზნად ისახავდა ჩაგრულ ერთა წარსულის, აწმყოთა ცაცობისა და საგმირო საქმეების გახმაურებას. „პრომეთეს კლუბი“ მალე დაარსდა ფინეთში, 1934 წელს ხარბინში, 1939 წელს – პარიზში, თუმცა პარიზის კლუბმა საქმიანობის გაშლა ველარ მოასწრო, რადგან II მსოფლიო ომი დაიწყო.

ავგისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, პოლიტიკურ ძალთა გასაერთიანებლად, 1925 წელს შეიქმნა „საერთო ფრონტი“ წამყვანი პოლიტიკური პარტიების, უმთავრესად ყოფილი მთავრობის წევრების შემადგენლობით. მასში ბევრი მათგანი ვერ მოხვდა, ამიტომ ამ ორგანიზაციას წინააღმდეგობა თავიდანვე დაჰყვა. 1933 წელს საქართველოს მთავრობის ლეგაციის გაუქმებას ეროვნული აღიანის დაშლა მოჰყვა. დაშლის პროცესი თვით წამყვან ქართულ პოლიტიკურ პარტიებშიც დაიწყო. მათ შორის ხშირი იყო შეუთანხმებლობა და მწვავე დაპირისპირება.

გაუთავებელი პარტიული პოლემიკით თავგაბეზრებული ახალგაზრდობის ერთმა ნაწილმა 1924 წლის სექტემბერში პარიზში ზეპარტიული პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“ დააარსა, რომელიც პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ყველა ქართველის გაერთიანებას ცდილობდა. მას თავდაპირველად „მომავალი“ დაარქვეს და „10 მცნებას“ საფუძვლად მუსოლინის „10 მცნება“ დაუდეს. სახელის შეცვლასთან ერთად მას სათავეში გენერალი ლეო კერესელიძე ჩაუდგა, რომელმაც იგი მძლავრ ორგანიზაციად აქცია. 1926-39 წლებში გამოდიოდა გაზეთი „თეთრი გიორგი“. 1935 წელს გეორგიანულ მოძრაობას ცნობილი მეცნიერის ვიკტორ ნოზაძის მეთაურობით შეუერთდა ჟურნალ „ორნატის“ ჯგუფი. 1936 წელს განხეთქი-

ლება მოხდა. „თეთრი გიორგის“ IV ყრილობამ ლეო კერესელიძე ხელმძღვანელობიდან დაუსწრებლად გადააყენა და შალვა მაღლაკელიძე აირჩია. პარიზში დაბრუნებულმა კერესელიძემ მომხრეთა აქტიური მხარდაჭერით, ხელმძღვანელობა დაიბრუნა. ახალმა ყრილობამ კი „ორნატის“ ჯგუფი მოძრაობიდან გარიცხა და ნოზაძე გაზეთ „თეთრი გიორგის“ რედაქტორობას ჩამოაშორა.

1937 წელს პარიზში დაბეჭდილი პატარა ბროშურის „საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა – დებულებანი მოღვაწეობისა და ბრძოლისათვის“ წინასიტყვაობას „ჩვენი მიზნებისათვის“ ხელს ვ. ნოზაძე აწერდა, დებულებებს – შ. მაღლაკელიძე. საპროგრამო მუხლები იმეორებდა „თეთრი გიორგის“ დებულებებს. მხოლოდ ქართველი ფაშისტები რესპუბლიკის ნაცვლად კონსტიტუციურ მონარქიას აღიარებდნენ და მეფობის კანდიდატად საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრე ირაკლი ბაგრატიონ-მუხრანელი ჰყავდათ შერჩეული.

ქართველი ფაშისტები გერმანულ ნაციონალ-სოციალიზმს აღიარებდნენ, მაგრამ ნაციზმს და რასიზმს უარყოფდნენ, სახელმწიფო მოწყობაზე იტალიელ ფაშისტთა შეხედულებები გაიზიარეს, თუმცა ორგანიზაციულად არც გერმანულ და არც იტალიურ პარტიებში არ შესულან. ფაშიზმი მხოლოდ ეროვნულ კონსოლიდაციასა და კორპორატიულ პარლამენტთან (დარბაზი) იყო გაიგივებული, რომლითაც პარტიული დაყოფის აღმოფხვრას ცდილობდნენ. აქტიური თანამშრომლობა გერმანულ ან იტალიელ ფაშისტებთან არა ჩანს, თუმცა „ქართლოსის“ ჩართულ „სამხედრო ფურცელში“ ესპანეთიდან პოლიოგნიკების ფრიდონ ნულუკიძისა და ალექსანდრე ამილახვრის წერილებით ირკვევა, რომ მათი „სამშობლოს დამაქცევარი იდეის მატარებელ“ წითელ ინტერბრიგადებს ქართველებიც ებრძოდნენ.

1939 წლის აგვისტოში რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტმა ქართველ ფაშისტებს გერმანიის გული აუყარა, დარაზმულობა დაშალეს, 1937-39 წლებში ვ. ნოზაძის რედაქტორობით გამომავალ სქელტანიანი ჟურნალის „ქართლოსის“ გამომშვებაც შეწყვიტეს. 1941 წლის 22 ივნისს სსრ კავშირთან ომის დაწყების შემდეგ, გერმანულ არმიასა და ეროვნულ ბატალიონებში სამშობლოს გამოსახსნელად, სხვა ემიგრანტებთან ერთად, დარაზმულობის ყოფილი წევრებიც ჩაენერენ. მაგრამ ისინი ფაშისტთა სახელით აღარ გამოდიოდნენ. „ქართული ლეიონის“ ხელმძღვანელი შ. მაღლაკელიძე გერმანელებთან თანამშრომლობდა არა როგორც დარაზმულობის მეთაური, არამედ როგორც სამხედრო პირი. ვ. ნოზაძე და კ. სალია „ქართული შტაბის“ საქმიანობაში მონაწილეობდნენ, როგორც რიგითი უპარტიო ქართველები.

ყველა ამ ქართულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ „მთავრობის ლეგაციაში“, „ლტოლვილთა ოფისში“, „ინტერპარტიული საზღვარგარეთის ბიუროში“, „სტამბოლის პოლიტიკური კომისიაში“, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში“, „კავკასიის განმათავისუფლებელმა კომიტეტში“, „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტში“, „პრომეთემ“, „საერთო ფრონტმა“, „მომავალმა“, „თეთრმა გიორგომ“, „ფაშისტურმა დარაზმულობამ“, ურთიერთინააღმდეგობის მიუხედავად, გარკვეული როლი შეასრულა

ემიგრანტული წრეების შეკავშირება-დარაზმვაში, დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში, საქართველოს მომავალი სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრაში.

ზოგიერთი ფრაგმენტი მოხსენების შემდგომი დისკუსიიდან:

**იგორ კვესელავა** „პოლიტიკური უნივერსიტეტის პროფესორი – „კავებეს“ არქივებში საუბარია ვინმე ცინცაძეზე, თქვენ ხომ არ შეგხვედრიათ ეს პიროვნება?

**რუსუდან დაუშვილი** – არ მახსენდება ასეთი პიროვნება, შეიძლება ფსევდონიმა.

**ოთარ ჯანელიძე**, ისტორიკოსი, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის პროფესორი – „კავებეს“ არქივებში ბევრი პიროვნებაა მოხსენიებული, რომელთა ნამდვილი გვარები დამოფრულია, შეიძლება ეს ცინცაძეც ერთი იმათაგანია. რაც შეეხება მოხსენებას, ძალიან საინტერესოა, დიდი ხანია ველით რუსუდანის ამ წიგნს და კარგი იქნება თუ მალე გამოქვეყნდება. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელის სპირიდონ კედიას არქივში, რომელიც პარიზიდან ჩამოვიტანეთ, უამრავი დოკუმენტია ამ ორგანიზაციებზე და ზოგიერთი ფაქტის დასაზუსტებლად რუსუდანს შეუძლია ისარგებლოს ამ მასალით, სანამ არქივი გამოქვეყნდება.

**ზოია ჩიმაკაძე**, ისტორიკოსი ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის პროფესორი – ემიგრაციის ტრაგიკული ისტორია საქართველოს ისტორიის შემადგენელი ნაწილია. ამ თემის კვლევა დიდი პატრიოტული საქმეა, რათა აღდგეს ისტორიული სიმართლე და იმ ადამიანების მოღვაწეობა სწორად შეფასდეს, რომლებიც საზღვარგარეთაც ეძებდნენ საქართველოს ხსნის გზებს. სწორედ ეს საკითხებია რუსუდან დაუშვილის წიგნში. ავტორს დიდი შრომა აქვს განუვლი. უამრავი საბუთი უნდა ნახოს, შეაფასოს, მიაგნოს ჭეშმარიტებას და ობიექტურად მოგვანოდოს. ეს უდავოდ დასაფასებელი შრომა რუსუდანმა გასწია და, ამდენად, მისი ნაშრომები აქტუალური და ძალიან საინტერესოა. ამ თემას არ ენება, მაგრამ ძალიან მაინტერესებს ტექსტის აჯანყების საკითხი, რომელიც საბჭოთა ლიტერატურაში გაურკვევლად და ტენდენციურადაა გაშუქებული. იქნებ უფრო დაწვრილებით დაიწეროს ამის შესახებ, რათა ობიექტური სურათი აღდგეს. და კიდევ ერთი. რაკი აქ უმეტესად ისტორიკოსები არიან, იქნებ თვალი მივადევნოთ ბაგრატიონებს, ამ უძველეს დინასტიას, რომელიც ხანგრძლივად და უწყვეტად მართავდა საქართველოს. იქნებ ვინმემ თავს იდოს და შეისწავლოს ბაგრატიონთა მემკვიდრეების ცხოვრება 1801 წლის შემდეგ არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც.

**რუსუდან დაუშვილი** – ტექსტის აჯანყების საკითხზე ამ ბოლო წლებში რამდენიმე საინტერესო მასალა გამოქვეყნდა, მეც ვცდილობ ამ საკითხის გარკვევას, ბევრი რამ ჩემთვის უკვე ნათელია და ალბათ შევა თითქმის უკვე დამთავრებულ წიგნში „ქართული ემიგრაცია 1939-60 წლებში“. ემიგრანტ ბაგრატიონებზე მეც მაქვს მასალები და დიდი სიამოვნებით მივანვდიდი, ვინც ამგვარ წიგნს დანერს.

**რუსუდან ნიშნანიძე**, ფილოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

პროფესორი – ჩვენ მოვისმინეთ ძალიან საინტერესო ლექცია. რუსუდანი ფლობს უზარმაზარ მასალას, რომელსაც ადგენს ძალიან ზუსტად და მწყობრად გვანოდებს. ის ლაპარაკობდა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დაარსებულ ქართულ სათვისტომოებზე, კოლონიებზე, ორგანიზაციებზე. ეს ახლა წარმოდგენილი ერთ მთლიანობაში, თორემ ინფორმაციები მათ შესახებ გაბნეულია სხვადასხვა წიგნში, კრებულში, ჟურნალ-გაზეთსა თუ არქივებში. ჩვენ ერთად ვმუშაობდით ლევილისა და ჰარვარდის არქივებზე, მის ხელთ იყო უზარმაზარი ისტორიული დოკუმენტაცია, რომელიც ერთ მთლიან სურათს ხატავდა. დღევანდელი ლექცია იყო გარკვეული ფრაგმენტი იმ წიგნისა, რომელიც ალბათ მალე გამოიცემა.

ამბობენ, რომ ადამიანური ურთიერთობები იწყება და მთავრდება. ეს მთლად ასე არაა. ის შედეგს ტოვებს. მით უფრო, პოლიტიკაში. ისიც ცნობილია, რომ არსებობს მოსეს გზა, იაკობის გზა... არ მინდა ნათქვამი გავამარტივო, თუმცა ერთი კია, რეალურად წარმოდგინათ თავიანთი გზა სოციალ-დემოკრატებს, ნაციონალ-დემოკრატებს, ან ანარქისტებს. ამ გზაზე შემდგარი ადამიანები ბუნებრივია, განსხვავებულად იქცეოდნენ. ყველას თავისი „გზა“ ჰქონდა გასავლელი. უცხოეთში ყოველი ურთიერთობა მაინც სხვაგვარ ხიბლს ინარჩუნებს, სხვა მუხტის მატარებელია. მინდა გავიხსენო რევაზ გაბაშვილის მიერ მოთხრობილი ამბავი 50-იან წლებში მიუნხენში გამოცემული წიგნიდან „რაც გამახსენდა“. პარიზში ყოფნისას გაიგო: „აკაკი წერეთელი მოხსენებას კითხულობს“. სასწრაფოდ გაეშურა. დიდმა პოეტმა საუბარი რომ დამთავრა, გაბაშვილმა ქართულ საზოგადოებას მიაშურა, მაგრამ ერთმა ტანმორჩილმა, შავ წვერულვაშიანმა კაცმა შეაჩერა და არც კი გასცნობია, უთხრა: „ორი საათია თქვენს ცხვირს ვუყურებო“. დაბნეულმა გაბაშვილმა სხვა ვერაფერი მოახერხა, გაიღიმა და ეუბნება: „დიად, ძალიან სასიამოვნოა“. „ორი წელია ცხვირს ვეძებ და ახლა ვიპოვეო“. ახლა კი შეწუხდა გაბაშვილი, თანაც ხალხი უკვე იმლებოდა. კაცმა თვითონაც შეატყო სიტუაციის უხერხულობა და სადარბაზო ბარათი გაუნოდა სიტყვებით: „თქვენ უსათუოდ უნდა მობრძანდეთ ჩემს ატელიეში“. სადარბაზო ბარათზე ეწერა: „იაკობ ნიკოლაძე, როდენის მონაფე“. ცნობისმოყვარეობამ სძლია არასასიამოვნო გაკვირვებას და რევაზ გაბაშვილი სახელოსნოში ესტუმრა იაკობ ნიკოლაძეს. იქ რამდენიმე დასლოგადაფარებული თიხის ბიუსტზე ავტორმა თქვა: „შოთა რუსთაველის ბიუსტს ვაკეთებ და ორი წელიწადია ცხვირს ვეძებო“. მან ცოტა ხანს ნაიმუშავა, გაბაშვილს დიდი მადლობა გადაუხადა და გამოემშვიდობა. მოგვიანებით, როცა ეს ნამუშევარი გამოფენაზე წაბა, რევაზ გაბაშვილი იუმორით იგონებდა, რომ ვერაფერი საერთო აღმოაჩინა ამ ორ ცხვირს შორის. ესაა ის დაფარული მუხტი – ეროვნული, ქართული რომ ჰქვია და დიდმა მოქანდაკემ ერთი შეხედვით რომ აღმოაჩინა. ამ ეპოქის შესახებაც ბევრი რამაა აღმოსაჩენი, დასაწერი, თუმცა ასევე უამრავი რამაა სრულიად სერიოზულად მოძიებულიც და გაკეთებულიც. რუსუდანის ნაამბობშიაც ეს დროისმიერი კავშირის უწყვეტობა იგრძნობა და ეს ძალიან ფასეულია. რუსუდან დაუშვილი გონიერი, სერიოზული, ფართო თვალსაზრისის მქონე იყო.

ანდრე მორუა

## საბრალო დედიკო

ბერტრან შმიტი ფოსტას ათვალერებდა. იქვე მდგარი იზაბელი ხალისით უცქერდა ქმრის სახეს, რომელზეც ახალმიღებული წერილები ხან ღიმილს, ხან კი შეშფოთებას აღბეჭდავდნენ.

– მოიცა! – ნამოიძახა ბერტრანმა... წერილი პონ-დე-ლ'ერიდან... იშვიათად მომდის ამ ბოლო ხანს...

ხელმოწერას დააკვირდა.

– ჟერმენ გერენი?... ჰო... დენიზ ჰოლმანის დედა... რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან?

ქალბატონი გერენი იუნყებოდა დედამისის – ოთხმოცი წლის ბარონესა დ'ოკენვილის – გარდაცვალებას. ქალბატონი დ'ოკენვილი რუანში ცხოვრობდა, დამიეტის ქუჩაზე.

„... მინდოდა, თვითონვე მეცნობებინა ეს სამწუხარო ამბავი თქვენთვის, ჩემი ძვირფასი გოგონას მეგობრისათვის. თქვენ ხომ იცნობდით უნჩნ ჩემს საბრალო დედიკოს. მახსოვს ის დრო, როცა დენიზს დაჰყავდით დამიეტის ქუჩაზე, სადაც საბრალო დედიკოს ასე ახარებდა თქვენი ტიტინის მოსმენა. დენიზი იმ დროისათვის საუცხოო გოგონა დადგა, თქვენ კი... არ მინდა ქათინაურად ჩამომართვათ, მაგრამ რომ იცოდეთ, როგორ გავფასებდათ საბრალო დედიკო... ჩემს ცხოვრებაში მისი სიკვდილი საშინელ სიცარიელეს შექმნის... ოცდაათ წელზე მეტია, ყოველ კვირას დავდიოდი რუანში მის სანახავად. დედას, ხანდაზმულობის მიუხედავად, ძვირფასი რჩევის მოცემა შეეძლო. ალბათ, ვერ გადავიტანდი ამ მწუხარებას, ჟორჟისა (იგი, როგორც ყოველთვის, შესანიშნავად გამოიყურება) და ჩემი ბავშვების სიყვარული რომ არ მაძლევდეს ძალას. თუ ერთ მშვენიერ დღეს შემთხვევა მოგიყვანთ ჩვენს ნორმანდიაში და არ შეგაშინებთ მოხუცებული ქალის ყბედობის მოსმენა, შემოიარეთ ჩემთან. მოხარული ვიქნები, თქვენთან ერთად გავიხსენო ჩემი საბრალო დედიკო.“

– იცნობდით ამ ქ-ნ დ'ოკენვილს? – იკითხა იზაბელმა.

– ძალიან ცუდად... მხოლოდ ის მახსოვს, რომ ერთი-ორჯერ დენიზთან ერთად ვიყავი იმ სახლში, რუანში. ძველი, ნახევრადდანგრეული სახლი იყო.

– მაშ რატომ გწერთ მისი ქალიშვილი სენტიმენტალურ წერილს?

– ხომ უნდა დაინუნუნოს! – თქვა ბერტრანმა... ეს ქალი ისეთ არსებათა რიცხვს ეკუთვნის, ვისთვისაც ყოველგვარი უბედურება თავმოწონების საბაბია. ეს მით უფრო კომიკურია, რომ სიცოცხლეში „საბრალო დედიკოს“ იგი ძალზე უხეშად ექცეოდა.

– როგორ თუ უხეშად, ბერტრან?

– დ'ოკენვილები გაკოტრდნენ. დედილო გერენს, რომელიც ორჯერ ზედიზედ ილბლიანად გათხოვდა, ბევრი ფული ჰქონდა. დედამისს საარსებო თანხას აძლევდა, მაგ-

რამ ამ დახმარებას, არც მეტი, არც ნაკლები, დამცირებით ახდევინებდა. ეს გულისამრევი იყო.

ერთ წამს ჩაფიქრდა და დაუმატა:

– არა მარტო დამცირებით... ერთგვარი სამსახურის განწვეითაც.

– რას გულისხმობთ?

– ეს ძველი ამბავია... ქალბატონი გერენი თავდაპირველად ცოლად გაჰყვა ერთ საშუალო ტიპს, გვარად ერპენს, ვისგანაც ეყოლა დენიზი... ქალმა მას უღალატა ჯერ ერთ ოფიცერთან, მერე თვითონ გერენთან, რომელიც მაშინ უცოლო იყო... ამ შეხვედრების შესანიშნავად კი ალიბი სჭირდებოდა... კარგად განვრთნილი საბრალო დედიკო ქალიშვილის ტყუილებს ხელს აფარებდა... დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მგონია, საყვარლებს დედის სახლშიც კი იღებდა... საბრალო დედიკოს ჰქონდა რალაცა მაჭანკლური.

– თითქმის ყველა ქალსა აქვს რალაცა მაჭანკლური, – თქვა ჩაფიქრებით იზაბელმა.

– დედა დ'ოკენვილის შემთხვევაში ეს არცაა გასაკვირი... ახალგაზრდობაში ეს ქალი ფეხმსუბუქად ითვლებოდა (როგორც მაშინ იტყოდნენ ხოლმე). მამაჩემი მკაცრი კაცი იყო და მასზე ყოველთვის ზიზლით ლაპარაკობდა. ამდენს ეს ქალი არც იმსახურებდა. იგი მხოლოდ უტყვინო იყო.

– ბერტრან, სამძიმრის წერილი უნდა მისწერო.

– ასე გგონია? რა უნდა მივწერო? ჩემზე ამ ამბავს ოდნავადაც არ უმოქმედია.

– დიახ, მესმის, მაგრამ მაინც... ეტიკეტი თავისას მოითხოვს...

ბერტრანმა ამოიოხრა, მაგიდას მიუჯდა და ფურცელი აიღო.

„ძვირფასო ქალბატონო, – დანერა მან, – თქვენმა წერილმა გულის სიღრმემდე შემძრა. რა კეთილი ხარო, ასეთი ღრმა სევდის დროს რომ თვითვე მაცნობეთ ეს სამწუხარო ამბავი. დიახ, მე გულისტკივილით ვიხსენებ იმ იშვიათ ვიზიტებს დამიეტის ქუჩაზე. მიდამოს მშვენიერება, თქვენი საბრალო დედის მომზიბლავი და ჯერ კიდევ ახალგაზრდული მხიარულება, მისი კეთილგანწყობა ჩემდამი, – ყოველივე ეს მეხსიერებაში ქმნის ბავშვობის სრულყოფილ სურათებს, რომელთაც ვერასოდეს დავივიწყებ. თქვენ კი... მე ხომ ვიცი, როგორი ერთგული შვილი იყავით. მხოლოდ თქვენი მეუღლისა და ქალიშვილების სინაზე თუ შეგაძლებინებთ, კვლავ შეეგუოთ ცხოვრებას. თუ პონ-დე-ლ'ერში მოხვედრის საშუალება მომეცა, აუცილებლად შემოგივლით და ერთად გავიხსენებთ წარსულს.“

ძვირფასო ქალბატონო,

თანაგრძნობითა და მოწინებით...“

ფურცელი იზაბელს მიაწოდა.

– ნაიკითხეთ, – თქვა მან, – ვფიქრობ, სასაცილოა.

იზაბელმა სწრაფად გადაავლო თვალი წერილს, შემდეგ, სერიოზულმა და კმაყოფილმა, უკან დაუბრუნა ბერტრანს.

– ეს სწორედ ისაა, რაც საჭიროა, – თქვა მან.

ფრანგულიდან თარგმნა  
ნიკო ციმაკურიძე

# აზერბაიჯანული ბაიათები

1. მოჩანს მწვანე კორდები,  
მთაზე ნისლის ბლონდები.  
სული სასულეში ცეკვავს,  
როცა შენ მაგონდები.
2. ეგ მკერდი – ბახჩა-ბოსტანი, –  
მაგისგანა ვარ მომსპარი!  
ლამბს, შენი წარბებისთანას,  
დანნავს რომელი ოსტატი?!
3. ვინ იყო პირგამქისარი, –  
ხელგასახმობიმც ის არი, –  
თვალად ლამაზო ირემო,  
შენ ვინა გტყორცნა ისარი?!
4. ლეილად დამესახები,  
შენგან მჭირს ოხვრა-ვახები,  
მოგწონდი, მეც შეგიყვარე,  
რალაზედ მეუძმრახები?
5. სატრფოს ეშხი გულსა ჰკუჭავს,  
მისი ცეცხლი სწვავს და რუჯავს.  
სიყვარულის შხამი მიჯნურს  
ვით შარბათი, ისე უჩანს.
6. ჩემზე ნუ იტყვი: ცრუ არი,  
მოლალატე და მტყუარი!  
როდის ჩამიკარ თვალი და  
როდის გითხარი უარი?!
7. სატრფოსი, ვარდის სადარის,  
ენა, საქებად, მზად არის,  
მაგრამ, პირისპირ ხილვისას,  
სიტყვა თქვას, – ენა სად არის?
8. შენთვის რად არის ამება,  
ჩემი ამდენი წამება?  
გიხილე, გნახე, შეგხედე, –  
ვერა ვთქვი, ენა დამება.
9. სატრფო – ვარსკვლავად ციალებს,  
თუ უნდა, მზეებრ იალებს.  
არ შესვა ტრფობის შარბათი, –  
დაგათრობს, გაგატიალებს.
10. გულს ვარამი რომ არ ახლდეს, –  
ვამბობ, მაგრამ, არამც ახდეს:  
ნულარც თვალმა შენა გნახოს,  
ნულარც დარდი გამიახლდეს!

11. გული დარდით გაინება,  
რა კვამლია, რა ინება?  
ჩემი სიყვარულის ცეცხლში  
თავად მზეც კი დაინება.
12. რალა გუშინ, რალა დღესა,  
რალა ის და რალა ესა!  
ჩემი ხმა რომ გაგეგონა,  
მიხვდებოდი, რაა კვნესა.
13. თავი რატომ გაიმკაცრე,  
მტანჯე, მგვემე, გული მკანრე?  
კაცს ერთ წამში სძვრება სული,  
შენ მთელი დღე სული მაძრე!
14. ნაკალმ წარბით გული მბეკნე,  
მეც გემონე, გენდე, გეყმე.  
მე მალულად შეგიყვარე,  
შენ ხალხში რად გამიქვეყნე?
15. მდინარე მოდის მღერითა,  
ლოდებზე გადაჩქერითა.  
როგორ გაძლება მიჯნური  
საყვარლის სახის ცქერითა.
16. ბოსტანში ვარ თუ ახოში,  
თუნდ გარეთ, თუნდა გნახო შინ,  
ულვინ-უპუროდ მაპურებს  
შენი თვალების ზარხოში.
17. არხი, ფსკერზე ქვიშითა,  
მოდის ვაი-ვიშითა,  
ფეხაკრეფით დავედივარ  
დედაშენის შიშითა.
18. ბედმა გარშემო მიარა,  
გულს ტრფობა ამიმღვიარა,  
წამლად შენა გთქვეს იმისა,  
რაც მე მჭირს გულზე იარა.
19. ან წყაროსთვალად მაქცია,  
ან ველზე ქარად მაქცია,  
იმ ბიჭის, მე რო ვუყვარვარ,  
წელზედამც ქამრად მაქცია.
20. შენ მომენატრე, ავბრუნდი,  
ვიარე, მოველ, დავბრუნდი,  
სამი დღის ნაშიმშილარმა  
ერთხელ გნახე და დავპურდი.
21. დახე ამ ლამაზ ქალასა,  
მის ზილფებს გალა-გალასა, –  
ერთხელაც მაგის თვალ-წარბი  
იზამს ერთ ხათაბალასა.

22.

ვარდი ვრგე და ვერ ივარდა,  
გულში დარდი ჩამივარდა.  
ნეტავი იმ გოგოს ბედსა,  
თუ მას მისცეს, ვინც უყვარდა.

23.

თუ ჭკვიან კაცად იწოდე, –  
ნელ ცეცხლზე რომ არ იწვოდე,  
პირში მცინარი დოსტისა  
გულისთქმაც კარგად იცოდე!

24.

ეს ნათქვამი ძველი არი:  
დოსტი დოსტის მცველი არი!  
მაგრამ დოსტის ნასროლი ქვა  
მტრის ტყვიაზე ძნელი არი.

25.

ღრუბელი გაიპარება, –  
კარგია გამოდარება.  
ჯომარდი კაცი ნამარდის  
ჩრდილსაც არ შეეფარება.

26.\*

ვისი თვალი – მჭრელი არი,  
ვისი კიდეც – მწველი არი,  
ვისი – სალოცველი არი,  
ვისი – მოსათხრელი არი!

27.

ჩემს მკერდს რო იბალიშებდი,  
ჩემს უბეში რო იშვებდი, –  
რო მყიდდნენ გადამთიელზე,  
სად იყავ, საით მიშვებდი?

28.

გოგო, დახვალ მაშიათი,  
გითხრა ჩემი ხვაშიადი:  
კაცს რად უნდა სილამაზე,  
კარგი ჰქონდეს ხასიათი!

29.

ამდენი ხნის მოვიყარე,  
სიბრძნის ტოტი მოვიხარე,  
სასიკვდილოდ სამშობლო სჯობს,  
მოსასვლელად – შორი მხარე.

30.

ჩემგან თუ გემახსოვრება, –  
დრო ნელა მიიმდოვრება.  
კაცს მალე ჩამოაბერებს  
სხვათა ქვეყანას ცხოვრება.

31.

უცხო თემსა და ობასა,  
ვინ გამიწვედა ძმობასა?  
ჩემ სამშობლოში დავბრუნდი,  
აქლა მოვეგე ცნობასა.

\* „ზოგი თვალი... (?)“

32.

ათას დარდის მკრეფელ-მკონავს,  
ახლაც ისევ ცრემლი მჟონავს,  
უცხო თემში, მე სანყალსა,  
მიყურებდნენ როგორც მონას.

33.

ყარიბობა მახეც არი,  
მნარეც არი, წმახეც არი.  
უცხო თემში უცხოდ დავალ,  
ტკბილი სიტყვის მახევენარი.

34.

ვისაცა ჰკითხავ, რა უყვარს:  
ამას – ეს, იმას – სხვა უყვარს;  
ყველა მთა ლამაზი არი,  
ყველას თავისი მთა უყვარს.

35.

ტურფავ, რა ალად იალე,  
გულ-გონი ამიტრიალე,  
ქამანდი მომდე კისერზე,  
კარდაკარ მახეტიალე.

36.

გულში ჭირი მჭირს მრავალი,  
რა სესხი მძევს და რა ვალი?..  
ამის მეტს ნულარ დამტანჯავთ,  
შორი გზა მელის სავალი.

37.

დარდები ყალყზე დგებიან,  
ერთურთს ვერ ურიგდებიან,  
მე დარდი გულში ჩავიკალ,  
მითხრეს: „ქვის გული გდებია!“

38.

დარდები ჩემი მრევლია,  
გული დარდების გრდემლია,  
გულისთვის შვების მომტანი  
ისევ და ისევ ცრემლია.

39.

როდემდილა ბედმა მსუსხოს  
ან კეტს მცემდეს მკლავზე უმსხოსს, –  
თუ ვართ ერთი მამისანი,  
რად მექცევი როგორც უცხოს?

40.

ვისაც გულში ბოღმა უდევს,  
ცხოვრების გზას გაიმრუდებს.  
ჩიტის ბუდეს ვინც ჩამოშლის,  
ის ჩამოშლის თავის ბუდეს.

41.

რძალს თუ სჭირს კარგი თვისება, –  
სახლი დოვლათით ივსება,  
თუნდაც ლამაზი არ იყოს,  
ჰქონდეს კდემა და ღირსება.

42.

არც პური მაქვს და არც წყალი,  
შეჩერდა გულის ფანცქალი,  
თქვენ დამიტირეთ, უცხოხო,  
მე არც ვაჭი მყავს, არც ქალი.

43.

სახლი არ მიდგას სახლურად,  
გული დარდისგან გახრულა,  
არა სთქვათ: – ქმარი თავს ადგას! –  
ცხოვრებას ვათრევ ძალღურად.

44.

ხალხის სიტყვავ და არაკო,  
კარგი სცან, ავი არ აქო!..  
ცოლად ნათესავს თუ ითხოვ,  
გახდება სალაპარაკო.

45.

რას მიუხვდები მაცილსა,  
სად გამოგიგდებს ნაცილსა.  
ძალიან მშრომელებისას  
დახე სარგოსა და ნილსა!

46.

განა რისი ვარ ჩამდენი,  
რო ბედმა მსახრა ამდენი,  
წვეთ-წვეთ დინებით ზღვად იქცა  
ცრემლი, ჩემ თვალთა ნადენი.

47.

მინაში ვარ დასაფლავი,  
კუბო მელის და საფლავი.  
ბერიკაცის საჭმელია  
ან ჰალვა და ანაც ფლავი.

48.

ზღვის მარგალიტად ვშთენილვარ,  
ზემოთ ვერ ამოვჩენილვარ,  
მთა მელობება, ფრთა არ მაქვს,  
შენთან ვერ გადმოვფრენილვარ.

49.

აიხედე, ცაცა ნახე,  
დაიხედე, ქვაცა ნახე,  
ქვეყანა რო წყალ-ღვარს მიაქვს,  
ჩემი ცრემლის ღვრაცა ნახე!

50.

ვაი თავო, ცოდვიშვილო,  
მინა მელის, ლოდი, შვილო,  
დედაშენი სულზე ვდეგვარ,  
სად ხარ, გელი, მოდი, შვილო!

51.

ბალში მომდის ბევრი ხილი,  
ვერავინ თქვას მისი კილი.  
ძმა და თვისი კარგად მყავდეს,  
მიჯნურია უფრო ტკბილი.

52.

შენი ტრფობის მძიმე ძელი  
მედო, ვზიდე, ძლივს გავძელი.  
მე შენს მოსვლას ვენაცვალე,  
წასვლა კია ძალზე ძნელი.

53.

უშენობით ცრემლი მცვივა,  
ხანა მცხელა, ხანა – მცივა,  
თუ მკურნალი შენ იქნები,  
მაშინ გეტყვი, სად რა მტკივა.

54.

შე ამაგდაუნახველო,  
როდემდე უნდა მახელო,  
თუ ჩემი სიკვდილი გინდა,  
არ შეიბნო საყელო.

55.

განა ცუდი ბიჭი ვარ,  
განა თვალში ხიჭვი ვარ, –  
შენგან, შენთვის გავგიჟდი,  
განა მართლა გიჟი ვარ.

56.

მორჩა დრო და მორჩა ყავლი,  
დავიწვი და დავრჩი ნავლი,  
ეს გული რომ ამიხანძრე,  
რად ვერ დაინახე კვამლი.

57.

ერთი ვაჭი აგერ, აქა,  
მეორე ვაცს დაეტაკა.  
ჩემი სატრფოს ერთმა სიტყვამ  
დამაჩნია გულზე ლაქა.

58.

თუკი ნიავი ნიავობს,  
ჩვენს ვარდებს მოუნიავოს,  
მაგ თქვენი ბალის ბულბულმა  
ჩვენთან იტიატიავოს.

59.

წყაროს წყნარი ტაატი,  
წყაროსთან მასლაათი.  
ერთი გოგოსთვის განყდა  
ვაჭი ოთხმოცდაათი.

60.

აი, ვარდი და ბულბული,  
სიმწრით ნაწინკნი ბუმბული.  
ბულბულის ნაღვარ ცრემლითა  
ვარდია ჩამოლუმბული.

61.

დამინყლულდა დარდით გული,  
სიყვარულით გათანგული.  
მომაშორეთ ექიმბაში,  
ტურფამ შემიხვიოს წყლული.

62.

შენა ხარ ჩემი ჰურია,  
ტან-ფეხად ბედაურია,  
წყალმაც ნაილოს ქვეყანა,  
მე შენი წყალი მწყურია.

63.

ყინულოვან მთაში ვარ,  
დარდის ძაფის რთვაში ვარ,  
ყოველ ღამეს მოგელი,  
ვარსკვლავების თვლაში ვარ.

64.

არაზმა არივ-დარია  
ხიდი და ნახიდარია,  
ჩემი საყვარლის ბაგენი  
ცვარდასხმულ ვარდის დარია.

65.

მე სიშავეს არა გყვედრი,  
სიშავეა განა კეთრი?!  
თუ კაცს ქალი გულით უყვარს,  
რალა შავი, რალა – თეთრი!

66.

აბა, ამ ჩემს მთვარეს დახე,  
მზეს მიუგავს პირისახე.  
ნახე, რაც სიკეთე ვთესე,  
რაც მოვიმკე, ისიც ნახე.

67.

ხარ ჩემი გულის მამკლავი,  
ცრემლი გდის გულის საკლავი,  
შენმა ღვარღვარა ცრემლებმა  
მთლად დამიდუნა მხარ-მკლავი.

68.

მიცნობენ ალვისტანასა,  
ვუხდები დროს და ხანასა,  
შაქი-შირვანიც იარო,  
ვერ ნახავ ჩემისთანასა.

69.

ვარ დარდით ჩამოქანცული,  
თმა-ნაწნავ კობტად დანწული.  
აბა, ეს სამართალია  
ქვრივს ცოლად ნაჰყვეს ქალწული?

70.

ტან-ნაკვთი გაქვს ნაზად ნაქსვი,  
სახე – მზესთან შესათავსი,  
მოერიდე, არ გაგთვალონ,  
ბევრი არის თვალით ნავსი.

71.

თვალიც მისკენ მიმიცდება,  
გულიც მისგან მიმიწდება,  
გულით ველტვი ჩემს ნანდაურს,  
თუმც ხელი არ მიმიწდება.

72.

ზვავმა გზები გადაკეტა.  
საჩქაროა თოვლის ხვეტა.  
ბიჭად ბიჭი ცუდი არ ჩანს,  
ულალატოც თუა ნეტა?

**აზერბაიჯანულიდან თარგმნა  
ზაზვა მელულაშვილმა**

ბაიათი აზერბაიჯანულ-  
ლი ხალხური ლირიკის  
ერთ-ერთი ძირითადი და  
ყველაზე უფრო გავრცელებული ჟანრია. იგი წარმოად-  
გენს შვიდმარცვლიან, სულ ოთხსტრიქონიან კუპ-  
ლეტს, სადაც ერთმანეთს ერითმებიან პირველი, მეორე  
და მეოთხე სტრიქონები, მესამე კი ურითმოდაა დატო-  
ვებული. ბაიათში მოკლედ, სხარტად, თითქმის სენტენ-  
ციური სახითაა გადმოცემული ხალხის სევდა და სიხა-  
რული, ცხოვრებისეული საზრუნავი და ნაგრძნობ-ნა-  
ფიქრალი.

უნდა აღინიშნოს ბაიათის ზოგიერთი აღნაგობრივი  
თავისებურება: ძირითადი სათქმელი ბოლო ორ სტრი-  
ქონში ითქმის, პირველი ორი კი სარიტმო საყრდენი  
ანუ მუსიკალური შემზადება ბოლო ორ სტრიქონზე  
გადასასვლელად. პირველ ორ სტრიქონს აზრობრივი  
წინამავალის ფუნქცია, ჩვეულებრივ, არ აკისრია, მათ-  
ში გამოთქმული აზრი შეიძლება სრულიადაც არ უკავ-  
შირდებოდეს ბოლო სტრიქონებში გამოთქმულს, თუმ-  
ცა გვხვდება ბაიათებიც, სადაც ბოლო ორ სტრიქონში  
წარმოდგენილი სენტენცია, პოეტური დასკვნა თუ და-  
რიგება პირველი სტრიქონიდანვე იღებს სათავეს.  
გვხვდება ისეთი ბაიათებიც, სადაც პირველ ორსა და

**მთარგმნელისაგან**

ბოლო ორ სტრიქონში წარ-  
მოდგენილია ორი, ერთმა-  
ნეთისაგან განსხვავებული  
რაიმე დამთავრებული აზრი თუ სენტენცია, რომელ-  
თაც ხანდახან გარკვეული შინაგანი პარალელიზმი თუ  
აკავშირებთ, თორემ ძირითადზე ძირითადი, უმრავლეს  
შემთხვევაში, მაინც ბოლო ორი სტრიქონია. ეს კანო-  
ნია ბაიათისთვის.

აზერბაიჯანულ ზეპირსიტყვიერებაში ბაიათი უაღ-  
რესად პროდუქტიული ჟანრია, იგი, ვითარცა „ლექსი  
ცოტაი“, ადვილად შესაქმნელი და დასამახსოვრებე-  
ლი, ხვავრიელად იქმნებოდა და იქმნება დღესაც. შეიძ-  
ლება ითქვას, რომ ბაიათი აზერბაიჯანულ ფოლკლორ-  
ში ყველაზე უფრო პოპულარული ჟანრია.

აზერბაიჯანული ბაიათები ჩემი თარგმანითა და წი-  
ნასიტყვაობით 1979 წელს გამოსცა გამომცემლობა  
„ნაკადულმა“.

წინამდებარე ბაიათები ახალი თარგმანებია. ბაია-  
თების ნაწილი შვიდმარცვლოვანი ლექსით გადმოვიღე,  
როგორც დედანშია, ნაწილი კი – რვა მარცვლოვანით,  
რაც ქართული ხალხური შაირებისთვისაა დამახასია-  
თებელი და ქართულ სმენასაც უფრო ბუნებრივად ესა-  
დაგება.





ცნობილი ავსტრიელი მწერალი ქალი ელიზაბეთ ჰაუერი დაიბადა ვენაში, სწავლობდა გერმანისტიკასა და რომანისტიკას, არის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

სამწერლო ასპარეზზე ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან გამოვიდა და უკვე რვა წიგნის ავტორია. მისი ნაწარმოებები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ენაზე.

მიღებული აქვს ლიტერატურული პრემიები, დაჯილდოებულია ლირსების ოქროს მედლით ქვემო ავსტრიის მხარის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის (ლიტერატურული მოღვაწეობა), არის ავსტრიის პენ-კლუბის აქტიური წევრი.

მიუხედავად იმისა რომ დაწერილი აქვს ხუთი რომანი, იგი მაინც ითვლება მოთხრობის ჟანრის ამალორძინებლად.

ელიზაბეთ ჰაუერი

## ლტოლვილი

ძვირფასო მეგობარო! გაგიჭირდება დაჯერება, მაგრამ ეს პირველი წერილია, რომელიც ამ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში დავეწერე. ვგულისხმობ კერძო ბარათებს, თორემ ისე სამსახურში ყოველდღიურად იმდენი წერილის კარნახი მიწევს, უკვე მექანიკურად ვმოქმედებ. მით უმეტეს, რომ ყველა მათგანში, არსებითად, ერთსა და იმავეზეა ლაპარაკი. ალბათ ზედმეტია იმის აღნიშვნა, რომ მათ შექმნაში არც გული მონაწილეობს და არც გრძნობა. ახლა უკვე გვიანი ღამეა და, როგორც ყოველთვის, მართლ ვარ. ვუზივარ ჩემს საწერ მაგიდას, სადაც კალკულატორზე რაღაცას ვანგარიშობ ან ხარჯთაღრიცხვას ვადგენ ხოლმე, დიდ-დიდი სამაგიდო ბლოკნოტში თუ ჩავინიშნო ხანდახან რამე და თავიდან ვეგუები ხელით წერას, ამ ნელ მოძრაობებს. ვერც ვჩქარობ, მეშინია, ნაწერი გაურკვეველი და ძნელად გასარჩევი არ გამოვიდეს. თან რაღაცნაირად მეხამუშება, თუმცა მომწონს კიდევ.

შენ უნდა გაითვალისწინო, რომ უკვე ორმოცი წელია, საქმეში ვარ. თავიდანვე ისეთ თანამდებობებზე მომიხდა მუშაობა, რომლებიც ჩემგან მოითხოვდა პასუხისმგებლობას, სიმტკიცესა და გადაწყვეტილებათა სწრაფად მიღების უნარს. ამიტომაც ადმინისტრაციასა და ვადებთან დაკავშირებული ყველანაირი საქმის მოსაგვარებლად ყოველთვის მჭირდებოდა ასისტენტი. საბეჭდი მანქანების ხმაური ჩემს მისაღებ ოთახში მას შემდეგაც არა წყდება, მე რომ შინ წამოვალ. ხაროვით მშრომელი ადამიანი ვარ და არც მე ვისვენებ და არც სხვას ვაძლევ დასვენების საშუალებას. ჩემი მდივან-მემანქანეებისაგან ვითხოვ დამოუკიდებელი და ლოგიკური აზროვნების უნარს, ბრწყინვალე ორთოგრაფიასა და კარგ ენობრივ ალღოს. აბა, სადა მაქვს იმის თავი, ხელის მოსაწერად წარდგენილ წერილებში შეცდომები ვასწორო. მონიტორის წყალობით ხომ დღეს საერთოდ გაიოლებულია ეს პროცესი. ყველაფერ ამას იმიტომ გიყვები, რომ გაგაგებინო, რატომ ვწერ ამდენი ხნის შემდეგ წერილს პირველად ხელით.

თავის დროზე არც სასიყვარულო ბარათები მიწერია. არ მიწოდდა, რაიმეთი შებოჭილად მეგრძნო თავი. ჩემი ცოლისთვის თუ რამის თქმა მიწოდდა, სიტყვიერადაც კარგად ვახერხებდი. შვილები მე არა მყავს, რომ მოენერათ რამე და ვალდებული ვყოფილიყავი, მეპასუხა. ჩემი ახლანდელი შემთხვევითი ურთიერთობები კი, თუკი ამას ურთიერთობა ჰქვია, სულ არ მოითხოვს ვინმესთან წერილობით კონტაქტს. ალბათ ფიქრობ, აბა, ახლა რა დაემართა, რატომ მოკიდა კალამს ხელი. ძალიან მერიდება გამოგიტყდე, მაგრამ იმდენი უცნაური ამბავი ხდება, იძულებული ვარ, ასე მოვიქცე.

ალბათ გახსოვს ჩვენი თანაკლასელი გებჰარტ ბრუნერი, მერვე კლასში შემოგვიერთდა, პირველივე სასწავლო წელს ომის დამთავრების შემდეგ. მისი ოჯახი სუდეტთა მხრიდან იყო, იქიდან გამოუძევებიათ. იქ ფაბრიკა ჰქონიათ, სახლი, მიწის ნაკვეთი. ყველაფერი ნაურთმევეათ და ასე ცარიელ-ტარიელი, ერთი ხელჩანთის ამარა ჩამოვიდნენ ჩვენს ქალაქში. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ შემოვიდა ბრუნერი პირველად ჩვენს კლასში. მაღალი იყო, გამხდარი, საინტერესო მოყვანილობის თავი ჰქონდა და ხშირი, შავი თმა. ყველაზე უწინ კი თვალში მისი ჩაცმულობა მოგხვდებოდა. სკოლისათვის სრულიად შეუფერებლად ეცვა. მუქლურჯი პიჯაკი, ბევრი რეცხვისაგან გაცრეცილი, მაგრამ საგანგებოდ დაუთოებული პერანგი და წითელი ჰალსტუხი.

დახატვაც კი შემიძლია, ისე ზუსტად მახსოვს. როცა შესვენებაზე ვკითხეთ, მაინც რა მოხდა, რატომ გამოწყვიტეხარ ასე საგანგებოდო, ჩვენ ხომ მოკლე შარვლებითა და დაგლეჯილი პერანგებით გავდიოდით იოლას, გვიპასუხა, მამაჩემმა მიბრძანა, ეს კოსტუმი ჩაიცვი და სამშობლო ისე დატოვეო. სხვა ჩასაცმელი არც ჰქონდა. ჩვენც ცნობად მივიღეთ ეს ახსნა და მოგვიანებით, მას შემდეგ რაც ნათესავებმა გამოწვეული ნივთები შეაშველეს, ისიც ჩვენნაირად ჩაცმული გამოჩნდა.

ვიცი, რომ ბრუნერზე შენ დიდი წარმოდგენა არასდროს გქონია. მე კი რატომღაც მიზიდავდა და შიშნარევი მორცხვობით ვცდილობდი მისი კეთილგანწყობის მოპოვებას, თუმცა უშედეგოდ. თავისი ბუნებით მარტოსული ადამიანი იყო. საკმაოდ მეგობრული, მაგ-

რამ თავის დაჭერაც ეხერხებოდა. ვერც იმას იტყოდი, რომ გადაჭარბებული პატივმოყვარეობა ანუხებდა, თუმცა ჩვენზე აღმატებულ გონებრივ უნარს მაშინ ამზეურებდა, როცა ამას საჭიროდ ჩათვლიდა. ამას ბევრი არ პატიობდა, მათ შორის შენც, ხომ სწორია? მე კი აღტაცებული ვიყავი მისით ყოველგვარი შურის გარეშე, რაიმე ეროტიკული არც გაიფიქრო. ხოლო რაც შეეხებოდა მის შინაგან თავდაჭერასა და დამოკიდებულებას გარე სამყაროსთან, მიბაძვასაც კი ვცდილობდი. ახლა კი სიამოვნებით ვალიარებ ამას, მაგრამ მაშინ საკუთარ თავსაც კი არ ვუტყდებოდი. რა თქმა უნდა, არაფერი გამომივიდა, მაგრამ განუწყვეტილ ვმუშაობდი საკუთარ თავზე, რომ ბრუნერს ცოტათი მაინც დავმსგავსებოდი. სიმნიფის ატესტატზე გამოცდების ჩაბარების შემდეგ ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ ბრუნერი უნივერსიტეტში გააგრძელებდა სწავლას, იგი ხომ სულ მედიცინასა და იურისპრუდენციასზე ლაპარაკობდა. ამასობაში მამამისმა მოახერხა და ერთი პატარა საწარმო კვლავ მოახლავოდა. ამიტომაც შვილს მოსთხოვა, დაუყოვნებლივ შემოდი წარმოებაში. ჩვენდა გასაოცრად, ბრუნერმა ყოველგვარი პროტესტის გარეშე დათმო თავისი გეგმები და მამასთან დაიწყო მუშაობა. მასხოვს, შენ მაშინ რაღაცნაირად, აგდებული თავდაჯერებით თქვი, აგერ ნახავთ, თუ იქაც არ მოახერხებს რაღაცასო. მეც დაგეთანხმე.

ბრუნერი შემპირდა, დაგირეკავ ხოლმეო, თუმცა მე დიდი იმედი არ მქონია. მაგრამ მან შეასრულა თავისი დანაპირები და ერთ საღამოს ხანგრძლივი გასეირნებაც კი მოვანწყვეთ. მიყვებოდა თავის საქმიანობაზე მამის საწარმოში, რომელიც არავითარ სიხარულს არ ანიჭებდა და არც თავისუფალ დროს უტოვებდა. ასევე სხვათა შორის მაცნობა, ერთი გოგონა გავიცანი და მომავალ წელს ალბათ დავქორწინდებითო. თითქოს ხელი მკრეს და ღრუბლებიდან საბოლოოდ ჩამომაგდესო, ისე გავოგნდი. გოგონები სულ გუნდ-გუნდად დასდევდნენ უკან, თან ჯერ ცხრაშეტიც არ შესრულებოდა. ისეთ რაღაცეებს ამბობდა, სრულიად რომ არ შეეფერებოდა. მაგრამ არც საიმისო მზადყოფნა ეტყობოდა, ჩემთვის რამე ახსნა-განმარტება მოეცა. განშორებისას შევეხვენი, არ დაიკარგო-მეთქი. რა აზრი აქვსო, მიპასუხა. ახალს მაინც ვერაფერს გეტყვი. ჩემი ცხოვრება წასულია, მაგრამ იქნებ შენ გავიმართლოსო, დაამატა, მაგრამ მისი მზერა სულ სხვას ამბობდა. არა სჯეროდა, რომ ჩემგან შეიძლებოდა რამე გამოსულიყო. თუ ასე მოხდა, აუცილებლად გამაგებინე, კარგი? მეც უნდოდად გავუღიმიე და პირობა მივეცი.

ის აზრი, რომ ბრუნერის ცხოვრება უკვე წასული იყო, მტანჯავდა და მოსვენებას არ მაძლევდა. მაშინ არაფერი გითხარი იმ გასეირნებაზე, რადგან გამწარებული ვცდილობდი, როგორმე თავიდან ამომეგდო ბრუნერი და მისი ქცევა. ისეთი თავგადაკლული გადავემევი სწავლა-განათლებაში, ადრე რომ ვერ წარმომედგინა, და, ყველასდა გასაოცრად, წარმატებებსაც

მივალწიე. ის ქალები, ადრე მიკარებასაც რომ ვერ ვუბედავდი, სულ უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობდნენ ჩემს ცხოვრებაში, სულ ახალ-ახალი ნაცნობ-მეგობრები გამომიჩნდნენ. შენ მაშინ საზღვარგარეთ წახვედი და ჩვენი კავშირი მწირი ცნობების გაცვლა-გამოცვლით თუ ამოიწურებოდა. მაგრამ გაიგებდი, რომ რეკორდულად მოკლე დროში მოვახერხე სწავლის გასრულება და პირველივე თანამდებობა, რომელიც მივიღე, თავბრუდამხვევი კარიერის საძირკვლად იქცა. ამასობაში ბრუნერი საერთოდ დამეკარგა მხედველობის არედან.

ხანდახან ვფიქრობდი, ხომ არ დავურეკო და მოვუყვი ჩემი ამბები-მეთქი, მაგრამ სულ იქით-იქით ვწევდი და მალე უკვე წლები გვაშორებდა იმ ბოლო გასეირნებას. ერთ დღესაც ისე მოხდა, რომ შემთხვევით ჩავუარე იმ ფირმას, რომელიც, წესით, უკვე დიდი ხანია მისი საკუთრება უნდა ყოფილიყო. შენობას არც თუ ისეთი წარმომადგენლობითი შესახედაობა ჰქონდა, ყოვლად უბადრუკი აბრა ეკეთა, ლაპარაკი არ არის ლატუნსა ან მორბენალ სტრიქონზე. შესასვლელთან ერთი ძველი კონსტრუქციის, ჭუჭყიანი სატვირთო მანქანა იდგა. კინალამ მძლოლს ვუთხარი, მანქანა გამიჩერე-მეთქი, მაგრამ ვერ გავებდე. ვერ წარმომედგინა, ბრუნერისთვის რა უნდა მეთქვა. რა - შემომხედე, რა მაგარი ვარ, ჩემი ცხოვრება ანი ინყება-მეთქი? ან იქნებ - ძვირფასო მეგობარო, დახმარება ხომ არ გჭირდება, უამრავ ხალხს ვიცნობ-მეთქი? არა, მართლა შემრცხვა, ასე ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვიქცეოდი. თუმცა როგორც კი ბიუროში მივედი, მაშინვე ბრუნერის ფირმაში დავრეკე. ყურმილი თვითონ ბრუნერმა აიღო, ეჭვი არ მეპარება, რომ მისი ხმა გავიგონე. პასუხი არ გამიცია, ისე დაკვიდე ყურმილი. მთელი საღამო ამაზე ვფიქრობდი და ჩვეულების საწინააღმდეგოდ შინ დავრჩი, არსად გავსულვარ. ჩემი ცოლი ზღვაზე იყო წასული დასასვენებლად. ორი თუ სამი წიქა ღვინო დავლიე, მაგრამ არაფერი შეცვლილა, ბრუნერი მაინც ისევე მედგა თვალწინ, როგორც რამდენიმე საათის წინათ, როგორ იხრება ყურმილისკენ თავის დამტვერილ მაგიდაზე, დალილი და მოტეხილი, საფეთქლებთან უკვე გვარიანად შევერცხლილი, თვინიერად წარმოთქვამს „ალო“ და წარმოდგენაც არა აქვს, რომ ტელეფონის მეორე მხარეს მისი წარმატებული კლასელი დგას. კლასელი, რომელსაც იგი დიდად არაფრად თვლიდა. როცა ცოტა ხანში სამხრეთიდან ჩემი ცოლი დაბრუნდა, გარუჯული და გაახალგაზრდავებული, კარგ გუნება-განწყობაზე მყოფი, ხანგრძლივი განშორების შემდეგ ჩემთვის კვლავ მიმზიდველად ქცეული, მაშინვე ჩემდაუნებურად გავიფიქრე, ნეტა ბრუნერის ცოლი რას შვება ახლა, ასე ახალგაზრდამ რომ მოიყვანა, როგორ გამოიყურება-მეთქი. ალბათ უკვე რამდენიმე ბავშვი ეყოლებოდა გაჩენილი და ჩემს ცოლთან რას მოვიდოდა. იმ დღიდან მოყოლებული, როგორც კი ჩემს ცოლთან სიახლოვეს მოვინდო-

მებდი, იმნამსვე ამეკვიატებოდა ზმანება ფორმადა-კარგული, სიბერეშეპარული ქალისა, და მხოლოდ დიდი ძალისხმევის ფასად ვახერხებდი მისგან გათავისუფლებას. მაპატიე, რომ ამ დეტალზე ვამახვილებ ყურადღებას, მაგრამ ამ წერილში ესეც აუცილებლად უნდა მეხსენებინა.

სშირად ვიგონებ შენს მიერ სამშობლოში გატარებულ შედარებით ხანგრძლივ შვებულებას, რამაც ბოლოსდაბოლოს საშუალება მოგვცა ერთმანეთს კვლავ შევეყოდით. ბევრ რამეზე ვსაუბრობდით, მაგრამ ბრუნერი ერთხელაც არ გვიხსენებია. შენ ალბათ საერთოდ გადაგავიწყდა და მეც აღარ მოგახვიე თავს მისი პიროვნება. განსაკუთრებული ჰარმონიულობით მაინც შენი ბოლო აქაური საღამო გამოირჩეოდა, თუმცა კარსმომდგარი განშორების აჩრდილი მაინც გვადგა თავზე. ჩვენ ფეხით დავსეირნობდით ზაფხულის წყნარ ბინდებუნდში და ქალაქის განაპირას ღვინის სავაჭროს მივადექით. ვისხედით იქ, მსუბუქად აფერდებულ ბაღში, მოციმციმე ფანრის შუქზე, ხშირ-ხშირად ვავსებდით ჭიქებს და, გარდასულ ამბებზე რომ ვფიქრობდით, ვხვდებოდით, რომ ახალგაზრდობა უკვალოდ გაგვიფრინდა. უეცრად, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, შენ წარმოთქვი: სხვათა შორის, ბრუნერი შემხვდა, გეპჰარტ ბრუნერი, ლტოლვილი, ხომ იცი, ვისზეც ვამბობ? თავი დაგიქნე და შიშით გელოდი, კიდევ რას იტყოდი. დიახ, გააგრძელე და ჩაფიქრებული ათვალიერებდი საკუთარ ხელებს, რომლებიც უხეშად გამოჩოქნილი მაგიდის ზედაპირზე გენყო გადაჯვარედინებული. – უკან დამედევნა, ქალაქში რომ მივდიოდი. წარმოიდგინე, ბრუნერი და ამ დროს მე მომდევს კუდში, როგორია? უკნიდან მომავლო ბეჭებზე ხელი და როდესაც უკმაყოფილო სახით მივუტრიალდი, ჩემი სახელი მითხრა. თავიდან საერთოდ ვერ ვიცანი. აღელვებული მთხოვდა, დამიდასტურე, რომ ნამდვილად ისა ხარ, ვინც მგონიხარო, და მერე ჩუმად მითხრა: მე ბრუნერი ვარ, ბრუნერი დამამთავრებელი კლასიდანო. მერე ერთხანს გვერდზე მომყვებოდა, თუმცა მე არ დამიპატიყებია.

ჩვენს შორის ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა. არც იყო გასაკვირი, ჩვენ ხომ ამდენი საათი გაცხარებული ვსაუბრობდით. ეს სინყნარე მე უფრო მჭირდებოდა, ძალღონის მოკრეფა მინდოდა. – მაინც რაო, რას მოგიყვებოდა ბრუნერი? გკითხე ბოლოს.

ცუდად მისდის საქმეები, – მიპასუხე შენ, – ფირმა გაუკოტრდა და მის შემდეგ ამაოდ დაეძებს სამსახურს. რალაცნაირად ავადმყოფურად გამოიყურება, მოტეხილია, მაგრამ უპირველეს ყოვლისა თავგზა აქვს არეული. ცოლი მუშაობს და ასე გააქვთ თავი. შენ როგორ ხარო, რომ მკითხა, თავდაჭერილად ვუპასუხე, მაგრამ შენი ამბები რომ მოიკითხა, სულ დანვრილებით აღვუწერე შენი წარმატებები. წესით ეს ყველაფერი თვითონ უნდა მოეყოლა ჩემთვისო, წარმოთქვა მწარე ღიმილით, მე ხომ ვთხოვეო. კიდევ მოკითხვა დამაბარა შენთან და უცბად გაუჩინარდა.

ქარმა წამოუბერა და ხეთა ტოტები ააშრილა. ოფიციალტმა მოგვიწოდა, წვიმას აპირებს და შიგნით შემოდით, თორემ მერე ადგილს ველარ იპოვითო. არა, ანგარიში მოგვიტანეთ, თუ შეიძლება, ვუთხარი ოფიციალტს და მაშინვე შევნიშნე, როგორ გამიუცხოვდი. – ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა გექნა, გითხარი ბალიდან გამოსვლისას, ჩემს შესახებ მისთვის არაფერი არ უნდა მოგეყოლა. – შენ მკითხე, რატომ, რა ხდებაო, მაგრამ მე არ გიპასუხე.

აუცილებლად უნდა გამეხსენებინა შენთვის ის საღამო და ჩვენი იმჟამინდელი საუბარი, ძვირფასო მეგობარო, და მალე მიხვდები, თუ რატომაც. ვხვდები, რომ ჩემმა უცნაურმა საქციელმა დისონანსი შემოიტანა ჩვენს უკანასკნელ შეხვედრაში და ძალიან ვნანობ.

მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ ბრუნერის სამსახურებრივმა კარიერამ სრული კატასტროფა განიცადა და მძიმე ფინანსური ყოფის გამო ვერც პიროვნულად იყო დალხენილი, სულ ვეკითხებოდი საკუთარ თავს, ხომ არ შემიძლია, რომ რამენაირი ფორმით დავეხმარო-მეთქი. ეს შეუმჩნევლად, საიდუმლოდ უნდა მომხდარიყო. ერთ-ერთ ინსტიტუტს დავავალე მისი მისამართისა და საცხოვრებელი პირობების გამოკვლევა და დავადგინე, რომ ბრუნერი სადღაც გარეუბანში, ცოლთან და სამ შვილთან ერთად იაფფასიან, მოუნყობელ ბინას ქირობდა. მისი ცოლი ბუხჰალტრად მუშაობდა, საღამოობით კიდევ დამატებით წერილ-წერილ დავალებებს ასრულებდა მოხელეთათვის, ქმარი კი ამ დროს საშინაო საქმეებით იყო დაკავებული. სამივე ბავშვს წესიერად ეცვა და გიმნაზიაშიც დადიოდნენ.

ძალიან გამიჭირდა იმის მოფიქრება, მაინც რა ფორმით უნდა გამეწია ბრუნერისთვის დახმარება. წინ ხანგრძლივი სამსახურებრივი მოგზაურობები მელოდა და ამიტომაც ეს ყველაფერი შემდგომისათვის გადავდე. მოგზაურობის ჟამს მოლაპარაკებებს ვანარმოებდი და თავი განსაკუთრებული მჭევრმეტყველებით გამოვიჩინე, შესაბამისად გამორჩეულად მომგებიანი კონტრაქტების დადებაც მოვახერხე. ყველგან ისე მიღებდნენ, როგორც Very Important Person-ს (განსაკუთრებულად მნიშვნელოვან პიროვნებას). როგორც ყოველთვის, არც ახლა დამიკლია საინტერესო ნაცნობობის გაბმის შესაძლებლობები, და როდესაც აბაზანაში მუდმივი ვარჯიშით გამონრთობილ ჩემს სხეულს თვალს შევავლებდი, თავს იმაზე უფრო ახალგაზრდულად ვგრძნობდი, ვიდრე სინამდვილეში ვიყავი. ყველანაირად ვცდილობდი, რომ ის აკვიატებული წარმოსახვები, თუ როგორ უკავია გეპჰარტ ბრუნერს ხელში იატაკის ტილო ან მტვერსასრუტი, როგორ დგას ქურასთან ან რეცხავს ჭურჭელს, ეს ყოვლად უგვანო და შეურაცხმყოფელი სურათები როგორმე იმის წარმოდგენით ჩამენაცვლებინა, თუ როგორ აღიქვამდნენ ჩემი თანამშრომლები ჩემი წარმატებული მოგზაურობის შედეგებს. ცოლს განსაკუთრებულად ძვირფასი სამკაული შევუძინე. თვითმფრინავში თავს ვინამებდი ნა-

ვაჭრით დატვირთულ და ქუჩაში გაჭირვებით მიმავალ, ავადმყოფ ბრუნერზე ფიქრით, ხომ ვიცოდი, რომ მანქანა აღარ ჰყავდა, და ამ დროს თითქოს გონება გამინათდა. პირველ ჯერზე ყოველკვირეულად სურსათსა და სასმელებს გავუგზავნი ანონიმურად. კარებთან დანყობილს იპოვნიან. თან პატარა ბარათს ჩავუდებ, რომელზეც ეწერება: „დიდი მადლობა დახმარებისათვის, ქალბატონო ბრუნერ!“ და ისიც იფიქრებს, ჩემი ცოლის რომელიმე შემკვეთიაო.

მე თვითონვე ნავედი სუპერმარკეტში, რომ ყველაფერი თავად შემერჩია. ამავე დროს, უნდა გამოგიტყდე, ჩემი ცოლი გამუდმებით მსაყვედურობდა, რომ არასდროს გავყოლილვარ საყიდლებზე, არანაირზე. მეტისმეტად ბევრი რამ შევიძინე. ამხელა საკომისიოს ქალბატონი ბრუნერი ნამდვილად ვერ დაიმსახურებდა და საეჭვოდაც გამოჩნდებოდა. ამიტომაც ნაწილი შემდგომი ვიზიტისთვის გადავდე და, შინ დაბრუნებული დანახარჯებს რომ ჩავუღრმავდი, მივხვდი, საქონლის ამორჩევისას მხოლოდ საკუთარი გუნება-განწყობით ვხელმძღვანელობდი, ანუ ის პროდუქტები შევიძინე, რასაც შევიძინე ჩემთვის, ბრუნერის ადგილზე რომ ვყოფილიყავი.

იმ საღამოს კაი ხანს ვტრიალებდი ბრუნერის სახლთან. შევცქეროდი განათებულ ფანჯრებს და თვალწინ მესატებოდა მაგიდასთან თავმოყრილი ოჯახის სურათი, თუ როგორ აგემოვნებდნენ უჩვეულოდ მსუყე ვახშამს. ამასთან, ვალიარებ, რომ გარკვეულ კმაყოფილებასაც ვგრძნობდი, და ეს არ იყო იმ ადამიანის კმაყოფილება, რომელიც ვაცემს. ალბათ უფრო დასაჩუქრებულის ჩუმი სიხარული თუ ეთქმოდა.

მაგრამ ეს სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. სუპერმარკეტში ჩემი შემდგომი ვიზიტისას მაცნობეს, რომ ადრესატმა მეორე და საერთოდ ყოველგვარი შემდგომი პაკეტის მიღებაზე მტკიცე უარი განაცხადა. ლოგიკური ქცევაა, ვერაფერს იტყვი, მივმართე საკუთარ

თავს. როგორია უმუშევარი ქმრისათვის უყუროს, როგორ იღებს ცოლი საჩუქრებს სხვებისაგან, იმ დროს, როცა მას არაფრის შეთავაზება არ შეუძლია. ამ მოსაზრებათა მიუხედავად ცუდ გუნებაზე დავდექი, დებრესიაც კინალამ ისე მომეძალა, როგორც მემართებოდა ხოლმე ხანდახან. სწორედ ამ საბაბით დავიძვრინე თავი ჩემი ცოლის მიერ მოპატიჟებული სტუმრებისაგან და ჩემს კაბინეტში შევედი. რამდენიმე საათი სანერ მაგიდასთან მჯდარმა გავატარე, ფურცლებზე კაცუნებს ვჩხაპნიდი, სილუეტებს ყველა შესაძლო პოზიციაში, და ბოლოს ყველას მუქლურჯი პიჯაკი რომ ჩავაცვი და წითელი ჰალსტუხი მივახატე, მივხვდი, რომ უნდა გავჩერებულიყავი და ეს უაზრო საქმიანობა შემენწყვიტა.

ეს მდგომარეობა უჩვეულოდ დიდხანს გაგრძელდა. არა და არ დაადგა საშველი ჩემი დათრგუნული გუნება-განწყობის გამოკეთებას. ერთ დღესაც ჩემი ცოლი დამადგა თავზე და მახარა, გალერეაში ვინცებ მუშაობას ნახევარ განაკვეთზეო. ის გალერეა ერთ-ერთ მის მეგობარ ქალთაგანს ეკუთვნოდა და ხშირად ეწყობოდა თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა თემატიკის ნიმუშთა გამოფენები. ჩემი ცოლი კი იმედოვნებდა, რომ ამ სამუშაოს მეშვეობით მოახერხებდა ბოლოს და ბოლოს



მხატვარი

ახალსა და უჩვეულოსთან კონფრონტაციას. თან მცირეოდენ გასამრჯელოსაც მიიღებდა, სრულიად უმნიშვნელოს, მაგრამ თვით ეს ფაქტიც კი ხალისით ავსებდა. არასდროს შემინუხებია თავი იმაზე ფიქრით, თუ რას აკეთებდა ჩემი ცოლი შინ მარტო, მთელი დღის განმავლობაში. თავისუფალი იყო და შეეძლო დრო სურვილისამებრ გამოეყენებინა. დანახარჯებშიც არასოდეს შემიზღუდავს. საღამოობით ვხედავდით ერთმანეთს, ხან ვერც ვხედავდით. ჩემს თავისუფლებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი, არაფერში შეზღუდულად არ უნდა მეგრძნო თავი. ერთმანეთთან კარგი ურთიერთდამოკიდებულება გვქონდა და ჩვეულებრივ ყოფაში ალბათ არც არაფერი მექნებოდა ამ

სამუშაოს სანინალმდეგო. მაგრამ ალბათ უკვე მიხვდი, ჩემო მეგობარო, რომ ამ ვითარებაში სულ სხვაგვარად მოვიქეცი. ყვირილი ავტეხე და წონასწორობიდან გამოსულმა საცოდავ ქალს რა აღარ ვუთხარი. სამსახურის დანებება საერთოდ აღარ მისხენო-მეთქი. როგორ! ჩემმა ცოლმა უნდა იმუშაოს?! რა გჭირს სამაგისო. მიდი რა, იცხოვრე უზრუნველად, როგორც აქამდე გიცხოვრია-მეთქი. მადლობელი უნდა იყო, ჩემნაირი ქმარი რომ შეგვხვდა, არაფერი გაკლია, არაფერი, სრულიად არაფერი. ნებისმიერ სურვილს გისრულე ისე, რომ თითის განძრევაც არ გჭირდება-მეთქი. არაფერი მიპასუხა და ოთახიდან გავიდა, ვიფიქრე, ახლა მოკვდება ტირილით-მეთქი. მალე ავად გახდა. ნერვების ისეთი დაავადება აღმოაჩნდა, რომლის ზუსტი დასახელება თვით მედიცინის უდიდესმა ავტორიტეტებმაც კი ვერ შეძლეს. უზრუნველყავი მისი მონყოლა საუკეთესო სანატორიუმში. უზარმაზარი აპარტამენტები ჰქონდა, ფერადი ტელევიზორითა და ყველანაირი კომფორტით და ერთი ექთანიც ჰყავდა საგანგებოდ მიჩენილი. კვირაში ორჯერ მეც ვნახულობდი. თავაზიანად და თავშეკავებულად ვსაუბრობდით. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს ცოლს არაფერი აკლდა.

ამას მოჰყვა პერიოდი, როცა ადრინდელზე უფრო მონდომებულად გადავევი მუშაობაში. გვიანობამდე ვრჩებოდი ბიუროში, შევემვი საღამოობით კლუბსა და შეხვედრებზე სიარულს. შესაბამისად ჩემი ბიზნესიც არნახულად აყვავდა, დავინყე ჩემი ქონების მომგებიანად დაბანდება საზღვარგარეთ და ჩემი შორსმჭვრეტელობისა და მოხერხებულობის შედეგად განხორციელებული წარმატებული ტრანსაქციები უჩვეულო კმაყოფილებას მგვრიდა. ჩვეულებად მექცა ძილის წინ გასეირნება, ვგრძნობდი, რომ ჩემზე კარგად მოქმედებდა, მით უმეტეს, რომ მთელი დღე ვზივარ. ბიუროდან მომავალი მანქანას სადმე გავაჩერებინებდი და ფეხით ვაგრძელებდი გზას, მძლოლს კი შინ ვუშვებდი. ერთ საღამოსაც, მარტის დასაწყისში, როცა ჯერ ზაფხულის დროზე არ ვიყავით გადასული, სეირნობისას ერთ სამშენებლო მოედანს მივადექი. მშენებლობას უზარმაზარი ფართობი მოეცვა. ორი დაუმთავრებელი შენობის კარკასი კომპივით აღმართულიყო და თითქოს ერთვოდა კუპრივით გაშავებულ ღამეულ ცას. ერთ-ერთ შენობაზე გრძელი კიბე იყო მიყუდებული, უბრალოდ, ყოველგვარი დამაგრების გარეშე. საფეხურები რკინისა ჰქონდა და, თუმცა წვიმის ნასახი არ ჩანდა, თითქოს სისველისგან პრიალებდა. სულ ქვედა საფეხურზე ერთი კაცი იდგა. სამუშაო ფორმა არ ეცვა, გრძელ პალტოში იყო გახვეული და ყველანაირად ცდილობდა, კიბეზე ასულიყო. მაგრამ გრძელი, ფართუნა პალტოს კალთები ფეხებში ედებოდა. ერთხანს თვალყურს ვადევნებდი მის საცოდავ ჯახირს, მერე ახლოს მივედი და შევეკითხე, თუ რას აპირებდა. მთელი ჩემი დოკუმენტაცია იქაა, ზემოთ, მიპასუხა და გაღე-

ბული ფანჯრები დამანახვა. აუცილებლად მჭირდება, თან ახლავე, და ამ სიტყვებით კვლავ შეეცადა კიბეზე ასულიყო, მაგრამ მეორე საფეხურზევე წაბორძიკდა. ჩამოდიო, აბა, ახლა მე ვცდი-მეთქი, ვუთხარი რალაც-ნაირი ალტკინებით, თუმცა ვხვდებოდი, რომ უაზრობას ჩავდიოდი. ოღონდ ვთხოვე, იქვე მდგარიყო და კიბე მაგრად დაეჭირა.

როგორც უკვე გითხარი, ნავარჯიშები სხეული მაქვს, მაგრამ ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, რომ ასე კატასავით მარჯვედ, იოლად და უშიშრად, ერთ ნუთში თუ მოვახერხებდი კიბის დალაშქვრას. მაგრამ როცა იმ ფართოდ გაღებულ ფანჯარას მივადექი, უცნობმა რომ აღმინერა და ფეხით სანდო ადგილის მოსინჯვის შემდეგ შენობაში ფრთხილად გადავედი, უეცრად ამოუცნობმა შიშმა შემიპყრო. ხელების ფართურით ვეძებდი პაკეტს, რომელშიც უცნობის დოკუმენტაცია უნდა ყოფილიყო შენახული, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე. ვიფიქრე, კიდევ ერთხელ ვკითხავ, სად შეიძლება იდოს-მეთქი, და ღია ფანჯარაში გადავეყუდე. თავზარდამცემი ამბავი აღმოვაჩინე, უცნობს კიბე გაენია. რაფაზე კი აღარ იყო მოყუდებული, არამედ მისგან მოშორებით, თან ისე, რომ მე ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვახერხებდი იქამდე მიწვდომას. ასე რომ, გამომწყვდეული აღმოვჩნდი. ქვევით ვეღარ ჩავიდოდი. კი მაგრამ, რას აკეთებთ? – დავუძახე ზემოდან, რადგან დავინახე, რომ ისევე იქ იდგა და ზევით იყურებოდა. – ახლავე დააბრუნეთ კიბე თავის ადგილზე! არაფერი მიპასუხა, მხოლოდ მხრები აიჩჩია და ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას. მთელი ღამე ასე ვავატარე, ბეტონის სველ კედლებში, სიბრაზისა და სიცივისაგან ერთიანად აკანკალებულმა. დილით მუშები მოვიდნენ და გამომიხსნეს ამ უსიამოვნებისაგან. ახლა კი, ძვირფასო მეგობარო, გეტყვი, რაშიც მე ასე პროცენტი, შესაძლებელი რომ იყოს ათასი პროცენტიცა და დარწმუნებული ვარ: ის პალტოში გახვეული უცნობი გეპჰარტ ბრუნერი იყო.

დამინახა თუ არა, თვითონ მაშინვე მიცნო. მე კი საღამოს ბინდბუნდში უცნობად შევრაცხე. ნამდვილად ბრუნერი რომ იყო და მე ეს არ ვიცოდი, მაგიტომაც წამომავო ანკესზე და ყოვლად უგუნური საქციელისაკენ მიბიძგა. ხომ შეიძლებოდა, რომ კიბესთან დაკავშირებული ბოროტი მანიპულაცია კატასტროფით დამთავრებულიყო. ეტყობა, ბრუნერი დიდი ხანია უკვე, რაც მითვალთვალებს, რალაც ცუდი აქვს ჩემთან დაკავშირებით განზრახული-მეთქი, ასე ვესაუბრებოდი საკუთარ თავს ღამეული კომმარის შემდეგ შინ დაბრუნებული და ცხელ აბაზანაში ჩანოლილი.

მას შემდეგ ბრუნერის წინაშე შიში დამჩემდა. გამუდმებით ვფიქრობდი, თუ როგორ მომიხერხებინა მისი კეთილგანწყობის მოპოვება. სასაცილო იყო მისთვის და მისი ოჯახისთვის პროდუქტით ხელის გამართვა. სულ სხვა რამის შეთავაზება იყო საჭირო. მე ხომ ამდენი ქონების დაგროვება მოვახერხე და მასზე წარ-

მატებულიც აღმოვჩნდი, თუმცა მაშინ თვითონ თვლიდა, რომ ჩემგან არაფერი გამოვიდოდა. რადგან იმის შანსი გავუშვი ხელიდან, რომ ყველაფერი მე თვითონვე მეთქვა მისთვის და თვითონაც მხოლოდ უმძიმეს სამსახურებრივ და ცხოვრებისეულ კრიზისში მყოფმა გაიგო ჩემი წარმატებების შესახებ, წარმომიდგენია, რამხელა ტკივილი უნდა განეცადა. როგორც მჩვეოდა, ბევრი აღარ მიფიქრია და მაშინვე საქმეს შევუდექი. ჩემს მდივანს ვუკარნახე წერილი, რომელშიც ბრუნერს სესხის სახით საკმაოდ დიდ თანხას ვთავაზობდი. უაღრესად ხელსაყრელ პირობებში, იმდენად, რომ სესხი ფორმალურად თუ ეთქმოდა. წერილი ექსპრეს-ფოსტით გავაგზავნიე. მთელი მომდევნო დღე არეულ გუნებაზე ვიყავი და ცოლის მონახულებაც კი გადამავიწყდა. ერთ კვირაში მივხვდი, რომ ტყუილად ველოდი ბრუნერისაგან პასუხს, თუმცა არც წერილი დამბრუნებია უკან. თავს სრულიად დაუცველად ვგრძნობდი, არ ვიცოდი, კიდევ რას მოიმოქმედებდა. კინალამ პირადი მცველი ავიყვანე, მაგრამ მერე მეტი სიმეტად მივიჩნეე. გასეირნებებს შევეშვი. ჩემს ბინაში გავაკეთე ის, რაც აქამდეც უნდა გამეკეთებინა – დავამონტაჟე სიგნალიზაცია. უეცრად მოვისაკლისე ჩემი ცოლი. ვიგრძენი, რომ გვერდით ვილაცა მჭირდებოდა. სასწრაფოდ დაუვუკავშირდი სანატორიუმის ხელმძღვანელს, რათა ჩემი ცოლის ჯანმრთელობა გამეგო. ისიც ისეთი წესიერი ადამიანი აღმოჩნდა, რომ არ დამიმალა, მის გამოშვებას არაფერი უდგას წინ, თუკი თვითონ იგრძნობს საამისოდ მოლონიერებულად თავსო. გახარებულმა ცოლს მივაშურე და ვთხოვე, შინ წამოდი-მეთქი. მან მშვიდად შემომხედა და ძარღვიც არ შეტოკებია სახეზე, ისე მითხრა, შინ აღარასოდეს დავბრუნდები, აქ უნდა დავრჩეო. არ გამივიდა მასთან არც ხვეწნა-მუდარა, არც საყვედური, ურყევი გადანყვეტილება მიელო. შევეცადე ბოლოს დავუქტრებოდი, მაშინ აღარც მე მოვალ შენთან-მეთქი, თუმცა სერიოზულად, რა თქმა უნდა, არ მიგულისხმია. კარგიო, მითხრა კიდევ უფრო აუღელვებლად, ეგრე მოიქეციო.

მას მერე ჩემი პირადი ცხოვრება სულ უკან-უკან წავიდა. ჩემი ნაცნობის ცოლთან ნაუცბათევად გაბმულმა რომანმა სრული ფიასკო განიცადა. სათხილამურო კურორტზე დასვენებისას დავეცი და მოტეხილობა მივიღე, რისი წყალობითაც იძულებული გავხდი, ორი კვირით ჩამოვშორებოდი მნიშვნელოვან საქმეებს. ვინეკი შინ მარტო, გამომწყვდეული ოთხ კედელს შუა, მძლოლი თუ მომაკითხავდა ხანდახან და ანერვიულებული ველოდი, აბა, როდის მომცემს ბრუნერი რაიმე ნიშანს-მეთქი. მაგრამ შენც არ მომიკვდე. როდესაც ჩვენმა საქალაქო გაზეთმა სენსაციური სათაურებით ქვეყანას ამცნო, რომ მაღალი სახელმწიფოებრივი ჯილდო მომენიჭა, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ნიშანი გახდებოდა ბრუნერისათვის. ძილი აღარ მქონდა და მოსვენება, და იმ ზომამდე მივედი, ოღონდაც

დამკავშირებოდა და ფორმას აღარ დავეძებდი, ყველაფერზე თანახმა ვიყავი. ბრუნერისაგან კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. ძალ-ღონე მოვიკრიბე და ჩემს ფირმაში მაღალანაზღაურებადი, ხელმძღვანელი თანამდებობა შევთავაზე. ეს წერილი პირადად მე დავბეჭდე მანქანაზე. შევეცადე ბრუნერისთვის ამეხსნა ჩემი წარმატებული კარიერის მიზეზები, თუ როგორ მოვედი აქამდე. წერილის გადაკითხვისას ვიგრძენი, რომ ისე გამოდიოდა, თითქოს ბოდიშს ვუხდოდი, რომ ასე გამიმართლა. ბართი დავხიე და თავიდან დავწერე. ამჯერად მხოლოდ ჩემს შეთავაზებაზე იყო საუბარი. თან ორიოდ მეგობრული ფრაზაც გავურთიე, რითაც შევეცადე მისთვის თქვენი შეხვედრა გამეხსენებინა, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

ბრუნერის საპასუხო რეაქციის მტანჯველი მოლოდინი რომ თავიდან ამეცილებინა, ორი კვირის მანძილზე ცნობილ ექიმთან ძილის თერაპიის კურსს ვიტარებდი. ფხიზელ ყოფას რომ დავუბრუნდი, თავი საშინლად ვიგრძენი. თანდათანობით ეს უსიზმრო ძილი ბედნიერების იმ სახესხვაობად მექცა, რომლის მეშვეობითაც ვახერხებდი სინამდვილეს გავქცეოდი.

ჩემს ბინაში მოსულ საფოსტო გზავნილთა შორის აღმოვაჩინე ბრუნერის სახელზე გაგზავნილი ჩემი მეორე წერილი, რომელზეც წაენერათ: „აღრესატი აქედან გადავიდა.“ ალბათ არც პირველი წერილი მიუღია და დაუდევრობის გამო უკანაც აღარ მომსვლია. ერთი პირობა ვიფიქრე, კიდევ იმ ინსტიტუტს ხომ არ მივმართო-მეთქი, მაგრამ მერე გადავწყვიტე ბრუნერი თვითონ მომენახა. ამით უარი ვთქვი ჩემს უმოქმედო როლზე და გადავწყვიტე თვითონ დამესწრო, ვიდრე ბრუნერი კიდევ რამეს მოიმოქმედებდა, რაშიც ეჭვი არ მეპარებოდა.

ძვირფასო მეგობარო, უაზრობაა იმის ჩამოთვლა, თუ რა მოვიმოქმედე შემდგომში და რა ღონეს მივმართე. გამოვკითხე ყველა, დანყებული იმ სახლის ბინადრებით, სადაც ბრუნერი სულ ცოტა ხნის წინათ ცხოვრობდა, თუ ახლომახლო მდებარე მაღაზიათა გამყიდველებით, დამთავრებული რაიონის ინსპექტორებით, წერილების დამტარებლებით, გაზის ინკასატორებით, შემთხვევითი გამველებით, ჯიბის ქურდებითა თუ მანანალებით, მოკლედ არ დამიტოვებია თვით ისეთი ხალხიც კი, ადრე რომ თავს მილიონად არ გავუცვლიდი. თუმცა ამოდ დავშვრი. ვერავინ ვერაფერი მითხრა, გარდა იმ სამრეველოზე მიმავრებული მღვდლისა. ის ერთადერთი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც შორიდან იცნობდა ბრუნერს. მან გაიხსენა, თუ როგორ მოულოდნელად გაუჩინარდა ერთ დღეს ეს წყნარი და გულჩათხრობილი ადამიანი თავის ოჯახთან ერთად. არასოდეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია მოძღვართან თავისი ზრახვების შესახებ. სამაგიეროდ, უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა მომანოდა სახლის მეუბოვემ მოგვიანებით. დაუნახავს, როგორ ვტრიალებდი ბრუნერის ყოფილი ბინის გარშემო და აღელვებულმა მომახსენა,

ქალბატონმა ბრუნერმა დარეკა, დღეს გამოვლას აპირებო. სხვენის გასაღები სჭირდებოდა თურმე, რათა იქ დარჩენილი ჩემოდანი აეღო. ბიუროში დავიბარე, არ ვიცი როდის დაებრუნდები-მეთქი, როგორც ვიქცეოდი ამ ბოლო დროს. სადარბაზოში ისეთ ადგილზე დავდექი, რომ თვალში არავის მოვხვედროდი და, ყველა შემომსვლელს ვაკვირდებოდი. იდუმლად იმასაც ვიმედოვნებდი, იქნებ ბრუნერიც თან მოჰყვებოდა თავის ცოლს-მეთქი. საათები გადიოდა, გაგანია სამუშაო დღის პერიოდში ორიოდე კაცი თუ შემოაღებდა კარს. ბოლოს, უკვე რომ გადავიღალე და ქანცი გადამიწყდა, ერთი ქალი გამოჩნდა. ნამდვილად ბრუნერის ცოლი იყო, ისე შეესაბამებოდა ჩემს წარმოდგენას მის შესახებ. საშუალო ასაკის, ჯანიანი, ძვალმსხვილი ქალი გახლდათ, თითქმის მსუქანი ეთქმოდა, შავი ფერის ყოვლად უსახური კაბა-კოსტიუმი ეცვა. ერთ დროს ალბათ მშვენიერი სახე ახლა უფერულად გამოიყურებოდა. თმა მეტისმეტად წვრილად დაეხვია, ეტყობა იაფფასიანი ქიმიური ჰქონდა გაკეთებული. ჩქარი ნაბიჯებით მიაშურა მეეზოვის კარებს, მაგრამ ვიდრე დაკაკუნებდა მოახერხებდა, დავასწარი და შეკითხვა დავუსვი. – დიდი ბოდიში, მივმართე ზრდილობიანად, – ქალბატონ ბრუნერს ველაპარაკები? დიას, – მიპასუხა გაკვირვებით, – რა გნებავთ? მე გახლავართ თქვენი მეუღლის სკოლის მეგობარი და რაღაც მნიშვნელოვანი მაქვს მისთვის სათქმელი. თუ არ შენუხდებით, იქნებ მითხრათ, სად შეიძლება მისი ნახვა. ამის გაგება არაფრად გჭირდებათ, – მიპასუხა ცივად, – ჩემი ქმარი გარდაიცვალა. მე თავაზიანად გავუღიმიე, რადგან ეს ცნობა სრულ აბსურდად ჩავთვალე. ვერც კი ვიფიქრე, რომ შეიძლება სიმართლე ყოფილიყო. თქვენი ქმარი მკვდარი ვერ იქნება, – წარმოვთქვი ქარაფმუტული უღარდებლობით, – ამას წინათ ვნახე. ძალიან გთხოვთ, მითხარით მისი მისამართი. ქალმა შემომხედა, გაოცებული ჩანდა, თან თითქოს ბრაზობდა. მისმა თვალებმა მომაგონა ვიღაცა, ვისაც ძალიან კარგად ვიცნობდი, მაგრამ სახელს ვერ ვიხსენებდი. თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა. თავისი ქცევით მაგრძობინა, რომ დაუზარელ და მუყაით ბუღალტერს კი არ ველაპარაკებოდი, არამედ პიროვნებას, რომელმაც იცის,

როგორ მიგიჩინოს შენი ადგილი. თანაც გარკვევით მითხრა: ჩემი ქმარი მოკვდა, გაიგეთ ბოლოს და ბოლოს. მეტად აღარ შემანუხოთ. – მერე მკვეთრად შეტრიალდა და მეეზოვის კარებზე დააკაკუნა.

ერთხანს კიდევ გავაგრძელე ბრუნერის უშედეგო ძებნა, მაგრამ ერთ დღესაც გონებამ მიკარნახა, რომ ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, თუ ამ საქმეს შევეშვებოდი. ახლაც არ მჯერა, რომ ბრუნერი მკვდარია, არა, ვერაფრით ვერ დავიჯერებ. კვლავ სრული დატვირთვით დავუბრუნდი ჩემს საქმიანობას. წარმატებები კვლავ თან მდევს, მაგრამ ისინი ადრინდელ კმაყოფილებას აღარ მანიჭებენ. უაღრესად მშვიდ ცხოვრებას ვენევი. ამასობაში გამახსენდა, თუ ვის მაგონებდა ქალბატონი ბრუნერის მზერა – ჩემს ცოლს, რომელთანაც იმ დღის მერე აღარ მივსულვარ, შინ დაბრუნებაზე უარი რომ მითხრა. ჩემს ცოლს ღია ფერის თვალები აქვს, ქალბატონ ბრუნერს კიდევ – მუქი, მაგრამ ჩემთვის აუხსნელ მიზეზთა გამო, სავსებით იდენტური გამომეტყველება აქვთ. შემიყვარდა ჩემი ბინა, ეს დახშული სივრცე, რომელიც მინაყრილივით მიცავს გარესამყაროსაგან და სადაც თავისუფლად შემიძლია ვისუნთქო. თავს განდეგილად არ ვგრძნობ და ყოველთვის მზად ვარ სტუმრის მისაღებად. ხანდახან მეჩვენება, რომ კარებზე ზარის ხმა და მაშინვე გამიეღვებს, ნამდვილად ბრუნერი მოვიდა-მეთქი. მივდივარ კარის გასაღებად, თან პენიანად ვარ გამონყობილი მუქლურჯ კოსტიუმსა და ნითელ ჰალსტუხში. მაგრამ იმედი მიცრუვდება და კარებთან არავინაა, სრულიად არავინ.

გრძელი წერილი გამომივიდა, ძვირფასო მეგობარო. დარწმუნებული ვარ, გამიგებ. მინდოდა, ვინმესთვის გამეზიარებინა ჩემი ვარაუდი იმ მოვლენებზე, რომელიც თავს გადამხდა და ეს მხოლოდ შენ შეიძლება ყოფილიყავი. ძალიან გთხოვ, საპასუხო წერილს რომ მომწერ, არ დაგავინყდეს იმის აღნიშვნა, შენთან შეხვედრისას ბრუნერს ის ფართხუნა პალტო ხომ არ ეცვა, რომელშიც გახვეულმა მოგვიანებით ჩემი გაცუცურაკება რომ მოახერხა.

**გერმანულიდან თარგმნა  
შორენა შამანაქია**

**ქრონიკა**

11 დეკემბერს „კავკასიური სახლის“ მუდმივმოქმედი სემინარის „კულტურის კალენდრის“ ინიციატივით, ცნობილი მთარგმნელის, აღმოსავლეთმცოდნე ზეზვა მედულაშვილის პოეზიის საღამო გაიმართა. კერძოდ, ამ საღამოზე ზეზვა მედულაშვილის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთი საინტერესო ასპექტი – აზერბაიჯანული ბაიათების ქართული თარგმანი გამოიჩინა. ზეზვა მედულაშვილი ქართულ კულტურაში უნიკალური მოვლენაა. ეს ნამდვილი პოლიგლოტი თანაბრად კარგად ფლობს არაერთ აღმოსავლურ ენას და ამ ენებიდან შესრულებული მისი ყოველი თარგმანი ჩვენი ლიტერატურული ტრადიციის შენაძენად წარმოგვიდგება.

რაც შეეხება აზერბაიჯანულ ბაიათს, რომელსაც ზეზვა მედულაშვილი სიჭაბუკიდან უტრიალებს, ხალხური შემოქმედების ეს მნიშვნელოვანი ჟანრი გარეგნული სისადავისა და სიმარტივის მიუხედავად სათარგმნელად ურთულესია და სწორედ ზეზვა მედულაშვილის უღვივი ნიჭი სჭირდება მის ისე მარჯვედ გადმოღებას, როგორც ეს ბაიათები ქართულ კონვენციურ თარგმანში იკითხება. მთარგმნელი „კავკასიურ სახლში“ გამართულ საღამოზე ბაიათებს ჯერ აზერბაიჯანულად, ხოლო შემდეგ ქართულად კითხულობდა. სტუმრად მოსულ აზერბაიჯანელებს სიხარულის დამალვა არ უცდიათ. ზეზვას სახით მათ ერთგული, მათი კულტურის დამფასებელი და გულწრფელად მოყვარული კაცი ეგულებათ.



\* \* \*

მისაღები გამოცდაა ქართულ წერაში. ნოდარ ალანია ერთ-ერთ ნაშრომს ფრიადისათვის წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს.

ის გადახედავს, გადმოხედავს და... ერთ ფრაზას რალაც ძალიან იხამუშებს:

– რას ნიშნავს „ახალმა ცხოვრებამ ფეხი აიდგა“? განა ცხოვრებას ფეხი აქვს?

– იდიომური გამოთქმაა, პირდაპირ რატომ უნდა გავიგოთ, – ნოდარი შეეცდება აბიტურიენტის დაცვას, მაგრამ თავმჯდომარე არა თმობს:

– რა იდიომი, აშკარად უხეში შეცდომაა და ამიტომ ყურადღებით უნდა წავი-



მხატვარი კარლო ფაჩულია

კითხო. არა, მაინც სად გაგონილა „ცხოვრების ფეხი“?

– იდიომია, – იმეორებს ნოდარი, – თორემ, აბა, თქვენზე რომ ამბობენ: გონებაშავილი კაციაო, – თავში რა – ხმალი გაქვთ გაყრილი?

ის ლამის დადნეს:

– ეგ კი... დიახ, ჰმ... თუ მოგწონს ნაშრომი, გავაფორმოთ ფრიადი და ეგაა.

და ვეება ხუთიანს შემოხაზავს და ხელმოწერილად დაადასტურებს.

... ხმალი თავში შენა გაქვს გაყრილი, თუ გაქვსო, – შეექილიკებოდნენ მეგობრები ნოდარ ალანიას, ამ ეპიზოდს, ვინ იცის, მერამდენედ რომ გაამეორებინებდნენ.

\* \* \*

არნოდ ჩიქობავას ნამდვილი სახელი ბენედიქტე რქმევია.

მისი სახელის შეცვლის ამბავი, დაგვირგვინებული გიორგი ახვლედიანის ნათლიობით, მშვენიერ იუმორისტულ ეპიზოდებაა ჩართული მიხეილ ჭაბაშვილის მოგონებებში.

ამჯერად მხოლოდ ერთი ხაზი გამოვარჩიოთ.

თურმე ყოფილა სხვა ბენედიქტე ჩიქობავაც, პედაგოგიკის სპეციალისტი, ვინც ხშირად აქვეყნებდა პრესაში სტატიებს. ერთხელ მკაცრად გააკრიტიკებდნენ, ბევრი შეურაცხყოფელი სიტყვითაც შეამკობდნენ და უკანონოდ ფულის აღებასაც უკითხინებდნენ.

ამ დროს ენათმეცნიერი ბენედიქტე ჩიქობავა უკვე სახელმწიფო მემცნიერი და ბევრს აერეოდა იმ ბენედიქტეში. შემოფოთებოდა ენათმეცნიერი ბენედიქტე და გაზეთში განცხადებას გამოაქვეყნებდა: მე სხვა ვარ, პედაგოგიკის სპეციალისტ ბენედიქტეში არ აგერიოთო.

გულს ამითაც ვერ დაიშოშმინებდა და გადანყვეტდა სახელის გამოცვლას, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამიჯვნოდა იმ თავის მოგვარსახელეს.

აბა, გაუთავებლად სად ექვეყნებინა განცხადებები: სხვა ვარ და სხვა ვარო!..

თვითონ ამგვარ განცხადებათა ისტორიაც საგულისხმოა.

მკითხველს მოეხსენება, თუ როგორ დაბეჭდა სასწრაფოდ ბორის ჩხეიძემ განმარტება: მწერალთა საკავშირო სესიაზე ნიკოლოზ ტიხონოვის მიერ გაკრიტიკებული ო.

ჩხეიძის ნოველები მე არ მეკუთვინისო.

საშიში დრო იდგა და თავს დაიზღვევდა, თუმც სახელის ინიციალი „ო.“ წესით არავის უნდა არეოდა მისი სახელის დასაწყისში.

ისიც ცნობილია, ლადო ასათიანის პირველი ლექსი ინიციალით რომ გამოქვეყნდებოდა და მაშინვე გამოეხმაურებოდა ლევან ასათიანი ამ პუბლიკაციას: ის ლექსი მე არ მეკუთვინისო. ეტყობა, გაებზრებინათ უკვე აღიარებული მკვლევარი და საზოგადოების თვალსაჩინო ფიგურა: ლექსების წერაც დაგინყიაო. ზოგი შეეხუმრებოდა, ზოგს მართლაც მისი ეგონებოდა და სად ედევნა თვითეული მკითხველისათვის. ამიტომაც განცხადებით შეეცდებოდა გაუგებრობის გაფანტვას.

ამ განმარტების წაკითხვა მხიარულ გუნებაზე დააყენებდა ლადო ასათიანს და მისი იუმორიც მაშინვე გაკვესავდა:

– მეც ხომ არ გამოვაქვეყნო განცხადება, რომ ლევან ასათიანის უნიჭო გამოკვლევები მე არ მეკუთვინის?

დაბეჭდე, დაბეჭდეო, – შეაგულიანებდნენ, – ლევანს დიდი იუმორის გრძნობა აქვს და ბევრსაც იცინებსო.

ისევ ლადო გადაიფიქრებდა:

– იმას კი აქვს იუმორის გრძნობა, მაგრამ ყველა მკითხველი ვერ მიმიხვდება და ვაითუ პირდაპირ გაიგოს. სულ მის ქებაში რომ ხართ, უხერხულობა რატომ უნდა გამოვინვიო, არა სჯობს, გამაცნოთ? მოგვარები ვართ, სხვა თუ არაფერი.

ლევან ასათიანი არასოდეს რედაქტორი არა ყოფილა, მეორე კაცის ადგილი ეჭირა „მნათობის“ რედაქციაში,



ეგაა და ეგ, მაგრამ სულითა და გულით ჩართულიყო სალიტერატურო პროცესში, მწერლობის განახლებისათვის თავს არა ზოგავდა და ახალგაზრდებსაც ერთ-ერთ მფარველად და გზის გამკაფავად ეგულუბოდათ.

არ არის მისაჩუმებელი მისი ეს უანგარო ღვაწლი.

ამ თვალსაზრისითაც გადასახედია ჩვენი სამწერლო ცხოვრება XIX თუ XX საუკუნეებში და იმ პიროვნებათა

გამორჩევა, რომელთაც – არარედაქტორთ – რედაქტორთა დარი ღვაწლი მიუძღვით უკეთესი ამინდის დასამკვიდრებლად ლიტერატურაში.

ლევან ასათიანის გახსენება იქნებ საბაბიც აღმოჩნდეს ამ მიმართულებით კვლევა-ძიებისათვის.

... კარგი კი იქნება საპასუხო განცხადების გამოქვეყნებაო, – იცინოდა ლადო ასათიანი.

\* \* \*

გივი კვერენჩილაძე – ვიდრე საზღვარგარეთ გააღწევდა და გვარს ალექსანდრიად გადაიკეთებდა სავსებით გასაგები მოტივით: ევროპელები კვერენჩილაძეს ან როგორ დაიმახსოვრებენ, ან როგორ წარმოთქვამენო – ერთ ასეთ ფსიქოლოგიურ დაკვირვებასაც გაამჟღავნებდა მეგობარ-ახლობელთა წრეში:

– სვანს რომ ელაპარაკები კი არ გისმენს, სულ იმას ფიქრობს, თავში რა ჩაცხობს, აგური, ქვა თუ რკინა.

და მაშინვე თემის გამოცვლას აპირებს, მაგრამ აზვითდება და აზვავდება სვანური სისხლი დავით წერედიანის არსებაში და სუნთქვამოხშირებული ჩაეკითხება:

– მაგას რას ამბობ? საიდან დაასკვენი?

ის თავს მოისაწყლებს:

– მეც არ მინდა, ასე რომ იყოს, მაგრამ ასეა და...

– ბევრ სვანს იცნობ? – იმის იმედად, ალბათ ზემო და ქვემო სვანეთი ერთიანად მოუვლია, უამრავი ადამიანი გაუცვნია და ერთი-ორმა შემხვედრმა შესაძლოა ვერ დატოვა სასურველი შთაბეჭდილებაო.

ის კი:

– მარტო შენ!


„აუჰ“!

მაგრამ გივი კვერენჩილაძეს დავით წერედიანის იუმორისა ეიმედებოდა და წუთით ამიტომაც არ შეყოყმანდებოდა, გონებაში ის მაკვარანცხული აზრი რომ გაურბენდა.

ისე მართლაც კარგად უნდა იცნობდნენ ფრანსუა ვიიონის ქართველ მეგზურს, მასთან შეხუმრებას რომ არ მოერიდო, თორემ სულ ფიქრში წასული გამომეტყველებითა და ჟამიდან ჟამზე ნაბურცყუნებით – უილიამ ფოლკნერის ლაპარაკის მანერისა არ იყოს – ისეთ შთაბეჭდილებას გიტოვებს, იუმორის გრძნობა ჰქონდეს კი არა, მარტივი ხუმრობის გამგებიც არ იქნებაო.

და მისი გაცნობის შემდეგ დიდ და მცირე ანდერძთა უბადლო თარგმანების გადაკითხვამ შესაძლოა ეჭვიც გაგიჩინოს: ეჰეე, ამასაც სხვისი ნაშრომ-ნადაგი ხომ არ მიუთვისებიაო.

ვიიონის ორივე პოემაზე და ლექსებიც ხომ იმითაც გამოირჩევა, რომ იუმორი მთელი თავისი ათასფერადობით



მოჩქევს – სატირულ გაკვესებადაც, ირონიულ წამოკვრადაც, მხიარულ კომიზმადაც, ამხანაგთა სათრეველადაც, პარადოქსადაც, კალამურადაც. და თვითეული კიდეც თავთავისი დანაშრევებით.

მთარგმნელს თუ არ იცნობ, ერთბაშად წარმოიდგენ სახემციინარ კაცს. არც მთლად გიჟს, მაგრამ არც დანყობილს – თვითონ ვიიონით, ანეკდოტებსა და მახვილსიტყვაობებს რომ აფრქვევს ირგვლივ და მსმენელები დაოსებულნი ყრიან სიცილისაგან. და ინატრებ, ნეტა მაგასთან ერთად მომახვედრა სადმე სუფრაზეო. იქ იქნება თუ იქნება

სიტყვათა ფიერვერკი, „დიდი ანდერძის“ ერთი პასაჟის მონაწილედ რომ ძალდაუტანებლად გაგრძნობინებს თავს და გაგახალისებს და გაგახარებს ყირაზე დამდგარი სამყაროს ხილვა:

**მაგრამ მთავარი ჯადო რაც არი,  
ერთი საგანი სხვად მომალანდა,  
სალამო – დილად, ფქვილად – ნაცარი,  
ხუცესი – აღმად, ჯორი აღამდრად...  
წყალწყალა ლუდი – კამკამა ღვინოდ,  
თვალის ამხელი – მტრად დაუნდობლად,  
როცა უნდოდა, ალაპი – ლხინად,  
ლხინი – ალაპად, როცა უნდოდა,  
ცის კიბედ – თოკი, ჭერში მისკვნილი,  
სამოთხის ჩიტად – ყვავის ბახალა,  
ციხე-დარბაზად – ქარის ნისქვილი,  
ისე რა გოგო – მზეთუნახავად.**

მაგრამ... ფიერვერკი კი არა და აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი დაოსებული მსმენელნი!.. თუ ამოაძრეს გაზით სიტყვა, ხომ კარგი, და იქნებ ესეც ვერ მოხერხდეს. და თუ შენს ძველ წარმოდგენასაც ვერ ეშვები და გიძნელდება ნატვრაზე ხელის აღება, ისევ ის ფიქრი გადაგძლევს, რომ ეს დავით წერედიანი სხვაა, ვიიონის მთარგმნელის მხოლოდ მოგვარსახელე, და სულაც არ მოეთხოვება, იმისი თუნდ ნაპერწკალი ენთოს ამის არსებაშიც.

და კვლავ იმ დავით წერედიანთან შეხვედრას დაელოდები.

ბადი ქალისა

„ქალი მეტად ლამაზი და ტანკენარი იყო; მე ბევრი ლამაზი ქალი ვნახე ამ ქვეყანაში, მაგრამ მისი მსგავსი სილამაზისა არავინ მინახავს. მას, რა თქმა უნდა, ბრალი მიუძღოდა იმ გრძნობების აღძვრაში, რომელსაც იგი მნახველში იწვევდა. მისი ვნებიანი, ნაზი მიზნედილი თვალები თითქოს მოითხოვდნენ კიდევ ტრფიალს და იმედსაც გაძლევდნენ. ერთი სიტყვით, მისი გარეგნობა და ლაპარაკი ყველას იზიდავდა“, – ასე აღწერს იმერეთის დედოფალს თამარს XVII საუკუნის ცნობილი ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი.

ეს ქალი ქართლის მეფის ვახტანგ მეხუთის ანუ შაჰნავაზ-ხანის ძმის კონსტანტინე მუხრან-ბატონის ასული ყოფილა.

შარდენი მოგვითხრობს, რომ თამარი ცოლად ჰყავდა სამეგრელოს ახალგაზრდა მთავარს ლევან დადიანს. იმერეთში მეფობდა უსინათლო ბაგრატი. აქაც და იქაც დიდგვაროვანი მოხელენი განაგებდნენ სახელმწიფო საქმეებს. ისინი გამუდმებით კინკლაობდნენ ერთმანეთში და თავიანთი მბრძანებლებიც ჩაითრიეს. გაჩაღდა ომი, სამეგრელოს მთავარი დამარცხდა და თავის ცოლიანად ტყვედ წაიყვანეს.

ეპისკოპოს გენათელს თამარის იმერეთში დასარჩენად ეშპაკობისთვის მიუმართავს. მან სამეგრელოს დატყვევებული დედოფლის სილამაზე აუწერა უსინათლო ბაგრატს და გულში სიყვარულის ცეცხლი აუნთო. ეპისკოპოსი არწმუნებდა მეფეს, ჭკუითა და სილამაზით ამ ქალს ვერავინ შეედრებო. სამეგრელოს დედოფალიც თანახმა ბრძანდებოდა, რომ იმერეთის დედოფალი გამხდარიყო. ახლა ლევან დადიანი უნდა დაემოშინებინათ. ბაგრატის დაქვრივებულ დას დაავალეს შეეცდინა სამეგრელოს მთავარი, შეუსწრეს და აიძულეს დაქორწინება.

ლევან დადიანს დაუბრუნეს მისი სამფლობელო და ხატზე დააფიცეს, ახალ ცოლს არასოდეს გავეყრებო.

ბაგრატმა უქმროდ დარჩენილი თამარი შეერთო ცოლად.

იმერეთში სრული არეულობა სუფევდა. უსინათლო მეფეს არავინ ემორჩილებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „კვალად ხდომა, შფოთი, კირთება ერთმან მეორესა ზედა და ოხრება ქვეყანათა“.

ლევან დადიანი, მიუხედავად დადებული ფიცისა, დაულაღვად ლამობდა თავისი მშვენიერი ნაცოლარის ხელახლა შერთვას, მაგრამ ბაგრატ მეფესთან ბრძოლაში კვლავ დამარცხდა. მთავარი ოდიშისა შეიპყრეს და ბაგრატს მიჰგვარეს. იმერეთის უსინათლო მეფემ ერთგულების ფიცი დაადებინა ლევანს და შინ მშვიდობით გაუშვა.

ამასობაში სცენაზე გამოჩნდა თამარ დედოფლის ხელის ახალი მაძიებელი, სახელდობრ გიორგი გურიელი („უღვთო, მესისხლე და ტყვისმსყიდველი უწყალო“). იგი შეევედრა ახალციხის ფაშას, თამარი ხელთ ჩამაგდებინო. დიდ ქრთამსაც შეჰპირდა.

1672 წელს ახალციხის ფაშა დაიდრა ბაგრატის წინააღმდეგ, დაამარცხა და დაატყვევა, მაგრამ თამარი გახიზნული იყო. ახლა იმერეთის მეფე შეჰპირდა ახალციხის ფაშას დიდ ქრთამს, ოღონდ სამეფო ტახტზე დამტოვე და ცოლი არ წამგვაროო. ახალციხის ფაშამ აუსრულა სათ-

ხოვარი ბაგრატს.

იმერეთის მეფემ მალე იძია შური გურიელზე: „მოსტყვევნა და მოსწვა გურია

და წარმოვიდა ალაფითა და იავართა“.

მაგრამ გიორგი გურიელს ცხადშიც და ძილშიც ეზმანებოდა მშვენიერი თამარი. ბაგრატმა მის დასაწყნარებლად უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა და 1677 წელს „მისცა ასული თვისი დარეჯან, ნაშობი თამარისგან“. ფიქრობდა, ეგებ მოგვეშვასო. ის კი მოუშვა (დროებით!), მაგრამ მომდევნო წელს ლევან დადიანმა წაართვა ბაგრატს სამეფო ტახტიც და თამარიც. თხოუმეტწლიანი განშორების შემდეგ მაინც დაიბრუნა ცოლი!

ბაგრატმა გურიას შეაფარა თავი, გურიელი ხომ სიძე იყო მისი.

1679 წელს კი, ოსმალთა დახმარებით, ისევ დაიბრუნა იმერეთი და მერე ოდიშისკენ გაემართა, თამარიც დავიბრუნოო. ლევან დადიანი დაამარცხა და თამარი ხელთ იგდო.

მალე ბაგრატიც და ლევანიც გამოესალმნენ წუთისოფელს.

იმერეთში ტახტის მემკვიდრე არ ჰყავდათ და მეფედ მოიწვიეს გიორგი გურიელი.

ვახუშტი ბატონიშვილი გულისწყრომით წერს: „ხოლო გიორგი გურიელმან განირისხა ღმერთი, განუტევა ცოლი თვისი დარეჯან, ასული ბაგრატ მეფისა და შეერთო სიდედრი თვისი დედოფალი თამარ ცოლად“.

წლები და ფათურაკები, ჩანს, ვერაფერს აკლებდა თამარის მშვენიებას. მისი სიყვარულით აღტკინებული გურიელი აღარაფერს ერიდებოდა.

თამარი რაღას ფიქრობდა? წუთუ კმაყოფილი იყო თავისი ხვედრით? ხან ლევან დადიანის ცოლი იყო, ხანაც – ბაგრატ მეფისა და ბოლოს საკუთარ სიძესთან იქორწინა. განგებამ ტანჯვით დააღვეინა სული მშობიარობისას. თამარ დედოფალმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ მწერლობაშიც. აკაკი წერეთლის დრამატული პოემა „თამარ ცბიერი“ მის სვეუბედურ ცხოვრებას ასახავს.

ამ პიესის პირველსავე მოქმედებაში იმერეთის მეფის გიორგი გურიელის ენაკვიმატი მასხარა წარმოთქვამს: „დედოფალიც ბურთი არის: ყველას ხელში უვარდება; ხან გააქვთ და ხან გამოაქვთ, მაგრამ არვის უჩერდება“.

აკაკი წერეთლის მიხედვით, ცოდვებით დამძიმებული თამარ დედოფალი კიდევ ერთ ცოდვას სჩადის – თავს იკლავს.

P.S.

„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომში მთელი გვერდი ეთმობა თამარ ბატონიშვილის თავგადასავალს და იმერეთის სამეფო ტახტისათვის ბრძოლას. დასასრულ ვკითხულობთ: „ამ ფაქტზე ასე დანვრილებით იმიტომ შეგჩერდით, რომ მასში ცხადად ჩანს დასავლეთ საქართველოს მაღალი ფეოდალური არისტოკრატის ზნეობრივი და მორალური დაქვეითება. ასეთ მოღვაწეთაგან, რა თქმა უნდა, არ იყო მოსალოდნელი სამშობლოსა და ხალხის ინტერესებისათვის თავის განირვა. მათ უფრო ეხერხებოდათ ქალების და ბავშვების უცხოეთში გაყიდვა, ვიდრე სამშობლოსათვის თავის დადება“.

როგორ გამოიზონეს გენერალ-მაიორი

ცილობა კვალს ვერ აურევდა „კაგებეს“. შეშფოთებულ-შეშინებულმა სასწრაფოდ დატოვა ინგლისი და შეერ-

თებულ შტატებში გაემგზავრა. გოლიციის გადაქცევა დოლნიცინად ერთობ მარტივად აიხსნება. საქმე ისაა, რომ იმხანად დიდ ბრიტანეთში მსახურობდა საბჭოთა დიპლომატი ანატოლი დოლნიცინი. ჰოდა, ერთმანეთში აერიათ საბჭოეთიდან გამოქცეული მზვერავი და თითქოსდა უწყინარი დიპლომატი. სხვათა შორის, ჟურნალისტებმა, რომელთაც არ იცოდნენ, რომ დაშვებული იყო ბეჭდვითი შეცდომა, დაასკვნეს, რომ სპეცსამსახურთა შეტყობინებაში სწორედ ეს დიპლომატი იგულისხმებოდა.

უშიშროების სამსახურის თანამშრომელი, რომელმაც გოლიცინი დოლნიცინად აქცია, საყვედურის ნაცვლად შეაქეს.

„ცივი ომის“ დროინდელი ინგლისელი პუბლიცისტი ნაიჯელ ვესტი თავის წიგნში წერდა: „უშიშროების სამსახური ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინაიდან მცდარ კვალს გაუყენეს რეპორტიორები, რომლებმაც ირწმუნეს, რომ ლაპარაკი იყო დიპლომატ დოლნიცინზე“.

კიდევ კარგი, „კაგებე“ არ წამოეგო ინგლისელ ჟურნალისტთა უნებურ ანკესზე და უდანაშაულო დიპლომატს ანატოლი დოლნიცინს თავბედი არ აწყევლინა.

რაც შეეხება ანატოლი გოლიცინს, მან უდიდესი სამსახური გაუწია აშშ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს და კიდევ კარგა ხანს ემსახურებოდა ერთგულად და თავდაუზოგავად. ცხოვრობდა მშვიდად და ტკბილად. ატლანტის ოკეანე საიმედოდ იცავდა მის სიცოცხლეს.

1963 წელს გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ პირველსავე გვერდზე უმსხვილესი შრიფტით აუწყებდა თავის მკითხველთა მრავალრიცხოვან არმიას: „საბჭოთა მზვერავი თავშესაფარს პოულობს დიდ ბრიტანეთში“.

პოპულარული ინგლისური გაზეთის მიხედვით, ეს იყო „კაგებეს“ გენერალ-მაიორი ანატოლი დოლნიცინი.

მკვლევართა ლაშქარი რომ დაიქირავოთ და შეუსიოთ ხელმისაწვდომ თუ ხელმიუწვდომელ არქივებს მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგში და ა.შ. ვერაფერს აღმოაჩენს გენერალ-მაიორ ანატოლი დოლნიცინს. ასეთი პიროვნება ბუნებაში არ არსებობდა. ეს გახლავთ მითიური ქმნილება, ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა თავისდაუნებურად რომ გამოიგონეს, როდესაც „დეილი ტელეგრაფი“ ცდილობდა დაედგინა ვინაობა ყოფილი საბჭოთა მზვერავისა, რომელსაც სწორედ მაშინ დაჰკითხავდნენ ლონდონში.

სინამდვილეში ამ კაცს ერქვა ანატოლი გოლიცინი. მაგრამ ბრიტანეთის უშიშროების სამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა არასწორად მიუთითა გვარი. ასე რომ, რეალური გოლიცინი გადაიქცა არარსებულ დოლნიცინად.

კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ხსენებულ გოლიცინს მხოლოდ და მხოლოდ მაიორის ნოდება ჰქონდა, ხოლო დოლნიცინი ერთბაშად გენერალ-მაიორი გახდა. ვინ იყო ამაში დამნაშავე, უშიშროების სამსახური თუ გაზვიადების მოყვარული პრესა? ეს კითხვა უპასუხოდ რჩება.

როდესაც დასავლეთში გადახვენილი გოლიცინი გაცნო „დეილი ტელეგრაფის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ კორესპონდენციას მყვირალა სათაურით, პირდაპირ გაცოფდა. მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ მისი დოლნი-

1 დეკემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის სემინარმა აღმოსავლეთმცოდნე გიორგი ლობჯანიძეს უმასპინძლა, რომელმაც ნაიკითხა საჯარო ლექცია „ყურანის შესწავლისა და თარგმნის ევროპული ტრადიცია“.

ლექციის დაწყებამდე მომხსენებელი აუდიტორიას ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ემზარ ჯგერენაიამ წარუდგინა. მან თქვა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა გიორგი ლობჯანიძის პოეზიის საღამოს გამართვასაც აპირებს, მაგრამ დღეს იგი მკვლევრის რანგში წარმოგვიდგება. საერთოდ ძალზე იშვიათია, როცა ადამიანში შერწყმულია შემოქმედებითი ნიჭი და სამეცნიერო კვლევის უნარი. ბატონი გიორგი ეს იშვიათი გამოჩაჩივდა და თანაბრად საინტერესოა მისი ლექსიც, თარგმანიცა და სამეცნიერო გამოკვლევაც. საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ გიორგი ლობჯანიძემ ცოტა ხნის წინათ დაასრულა თავისი მრავალწლიანი შრომა – ქართულად თარგმნა ყურანი და ეს თარგმანი მალე გამოიცემა. დღეს კი საშუალება გვაქვს მოვუსმინოთ მის თეორიულ მოსაზრებებს როგორც ყურანის ევროპული თარგმანისა და კვლევის ტრადიციის შესახებ, ასევე იმასთან დაკავშირებით, თუ რა მიმართებაშია მისი ქართული თარგმანი ამ ტრადიციასთან.

ამის შემდეგ გიორგი ლობჯანიძემ ვრცელი სამეცნიერო მოხსენება ნაიკითხა და დაწვრილებით შეეხო მუსლიმთა საღვთო წიგნის ევროპული გააზრების ყველა ცდას, რამაც განსაზღვრა დასავლური ყურანისტიკის ძირითადი ტენდენციები და ხასიათი.

მკვლევარმა აღნიშნა, რომ აღმოსავლეთსა და დასავლეთში ყურანის კვლევა თითქმის ერთდროულად დაიწყო და დასავლურმა სამეცნიერო და თეოლოგიურმა აზრმა ამ წიგნის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. საინტერესოა, რომ თავიდან ყურანის შესწავლა კლერიკალურ წრეებში მიმდინარეობდა და ხშირად პოლემიკურ ელფურს ატარებდა. მოგვიანებით კი, როცა სამეცნიერო ინიციატივა სამოქალაქო პირთა ხელში გადავიდა, ყურანის მიუკერძოებელი შესწავლის პირობები შეიქმნა და ამ კვლევა-ძიებამ მუსლიმთა საღვთო წიგნი ევროპული სამეცნიერო გარემოს ორგანულ ნაწილად აქცია.

ლექციის დასასრულს მკვლევარმა დამსწრეთა მრავალ შეკითხვას უპასუხა. განსაკუთრებით დაინტერესებულნი თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის სტუდენტები ჩანდნენ, რომელთაც გიორგი ლობჯანიძე ერთი წლის განმავლობაში ისლამის ისტორიის კურსს უკითხავდა, იმ დღეს კი საგანგებოდ მოსულიყვნენ თავიანთი საყვარელი ლექტორის მოსასმენად.

სიტყვით გამოვიდა არქიტექტორი შოთა ბოსტანაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში იშვიათად ეგულება ისეთი სააზროვნო და ინტელექტუალური სივრცე, რომელიც გიორგი ლობჯანიძის გარშემო ყალიბდება, რადგან გიორგი თვითონვე ქმნის ამ გარემოს და ჩვენი კულტურული ხმა თავის მოღვაწეობით სრულიად ახალ, უფრო მაღალ რეგისტრში გადაჰყავს.